

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
სადოქტორო პროგრამა – ქართველური ენათმეცნიერება

იავლინა გუჯეჯიანი

მასდარი სვანურში

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

მერაბ ნაჭყებია – ფილოლოგიის დოქტორი,

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ქეთევან მარგიანი – ფილოლოგიის დოქტორი,

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2020

სარჩევი

წინასიტყვაობა	5
შესავალი	9
საკითხის შესწავლის ისტორია.....	14

თავი I – მასდარის სტრუქტურული ყალიბები სვანურში

პრეფიქს–სუფიქსური წარმოება:	18
§ 1. ლი -ე აფიქსებიანი მასდარი	18
§ 2. ლი-ი აფიქსებიანი მასდარი	29
§ 3. ლი-ჭ აფიქსებიანი მასდარი.....	32
§ 4. ოდენ პრეფიქსული წარმოება: ლი-	35
§ 5. მასდარი თუ მა- პრეფიქსიანი აბსტრაქტული სახელები?	42
§ 6. ოდენ სუფიქსური წარმოება: -ა	49
§ 7. -ობ სუფიქსიანი მასდარი	54
§ 8. -ეჭ-ა ორმაგსუფიასიანი წარმოება	58
§ 9. არამარკირებული მასდარები	60
§ 10. ბგერწერითი ლექსიკა მასდარებში	64

თავი II – ზმნური კატეგორიები სვანურ მასდარში

§ 11. გვარის გამოხატვა სვანური ზმნის მასდარში	69
§ 12. მოქმედების მრავალგზისობის გამოხატვა სვანური ზმნის მასდარში	78
§ 13. კაუზატივის კატეგორიის გამოხატვა მასდარში	91
§ 14. ობიექტის მრავლობითობის ასახვა მასდარში	100

§ 15. გეზის კატეგორიის გამოხატვა სვანურ მასდარში (ჟი-, ჩუ-, სგა-, ქა-)	
მარტივი ზმნისწინებით.....	104
§ 16. ზოგი უმასდარო ზმნა სვანურში.....	105
თავი III – მასდარის სახლური კატეგორიები	
§ 17. მასდარის ბრუნება სვანურში.....	113
§ 18. მრავლობითი რიცხვის საკითხისათვის სვანურ მასდარში	120
თავი IV – მასდარის სინტაქსური ასპექტები	
§ 19. მასდარის სინტაქსური ფუნქციები წინადადებაში	122
§ 20. მასდარი კომპოზიტებსა და პარონომებში	124
§ 21. მასდარი ფრაზეოლოგიზმებსა და მყარ გამონათქვამებში.....	129
ძრითადი დასკვნები	134
ლიტერატურა	138
წყაროები	153
შემოკლებათა განმარტებანი	153
ინფორმატორები	154

წინასიტყვაობა

თემის აქტუალურობა: საქართველო ცოცხალ საენათმეცნიერო მუზეუმს წარმოადგენს, სვანური ენის მეცნიერული კვლევის მესაძირკვლეს – ნიკო მარს ეკუთვნის ეს სიტყვები და მკაფიოდ გახაზავს საქართველოს ენობრივი სამყაროს სიმდიდრეს. ამ სიმდიდრესა და უნიკალურობაში, ბუნებრივია, ფასდაუდებელია ათას ექვსასწლოვანი ძეგლებით ფიქსირებული სალიტერატურო ენის მნიშვნელობა.

თუმცა ლინგვისტური თვალთახედვით ცოცხალი მეტყველების კვლევა ასევე არანაკლები ღირებულებისაა, რამდენადაც მეტად მნიშვნელოვანია და ფასეული არა მხოლოდ არქაულ ლექსემათა თუ გრამატიკულ მოვლენათა შემონახვის ასპექტები. ითვლება, რომ არანორმირებულ, თავისუფალი განვითარების მქონე ენებსა თუ დიალექტ-კილოკავებს შესაძლოა უდიდესი წვლილი ჰქონდეთ უნივერსალიათა თუ „ენების ფილოსოფიურ-თეორიული პრობლემების გადასაწყვეტად“ (ვ. ჰუმბოლდტი).

საუკუნის წინ ითქვა დიდებული რამ ნიკო მარის მიერ: „ვფიქრობდი, რომ სინას მონასტრის ბიბლიოთეკაში დაცული უძველესი ქართული დათარიღებული ხელნაწერი 864 წლისა მომცემდა ქართული ენის უძველეს სახეს, მაგრამ იმედი გამიცრუვდა და განცვიფრებულვინ დავრჩი: ძველი სამწერლობო ენა არ აღმოჩნდა იმდენად არქაული, რამდენადაც ვფიქრობდი; პირიქით, ის ამტკიცებდა ცოცხალი ქართული მეტყველების ბევრ თავისებურებათა კანონიერებასა და სიძველეს“ (მარი).

წერილობით ძეგლებს, თუნდაც უძველესთ, არ შეუძლიათ გასწიონ ხალხური ცოცხალი ენის მაგივრობა. ისინი ვერ წარმოადგენენ მთელი სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით ენის ფორმებსა და ფუნქციებს. ამისათვის მეტად მნიშვნელოვანია ისეთი ენების შესწავლა, რომლებიც ქმნიან მეტყველების ფორმების თავისუფალი განვითარების აუცილებელ პირობებს და შებოჭილი არ არიან ლიტერატურის საქმეში ჩარევით. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იდიომები ქართული (ქართველური) ტომების: ლაზების, მეგრელებისა და სვანებისა. ამ ერებში ენა ცოცხლობს ჯერ კიდევ თავის ბუნებრივ – მუდმივი წვის მდგომარეობაში და სწორედ ამ ენებს უნდა მივაქციოთ ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება, თუკი გვინდა წარმოვადგინოთ ქართული ენის ნათესაობა და განვითარება (ა. ცაგარელი).

„როცა არქაიზმებზეა მსჯელობა, ქართველურ ენათა სამყაროდან, უპირველეს ყოვლისა, სვანური უნდა გაგვახსენდეს“ (ი. ჩანტლაძე) - ქართველოლოგები თითქმის უპირობოდ თანხმდებიან ამ თვალსაზრისზე. გარკვეულწილად არქაულობის ფაქტორიც განაპირობებს მკვლევართა დიდ ინტერესს სვანურის მიმართ. ინტერესს, რომელიც გიულდენშტედტით იწყება და აგერ უკვე სამი საუკუნეა გრძელდება.

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში სვანური ზმნის სტრუქტურის შესახებ არაერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი გამოკვლევა არსებობს. სვანური ნაზმნარი სახელი კი დღემდე სპეციალური შესწავლის საგანი არ ყოფილა. ამდენად, საინტერესოა აღნიშნულ სახელზმნურ ფორმათა წარმოებისა და ფუნქციონირების კვლევა სვანურში ამჯერად ბალსზემოური კილოების მონაცემთა საფუძველზე.

კვლევის მიზანი და ამოცანები: წინამდებარე სადოქტორო ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის მიზანია სვანური მასდარის სისტემური ანალიზი;

შესაბამისად, ნაშრომში მიზნად დავისახეთ ბალსზემოური კილოს მონაცემების გათვალისწინებით სვანური მასდარის შესწავლა, სტრუქტურული ყალიბების, მაწარმოებელ აფიქსთა / მორფოლოგიურ ელემენტთა კლასიფიკაცია, აღწერა-დახასიათება, სვანური მასდარის სისტემური ფორმოზრივი და ფუნქციურ-სემანტიკური დახასიათება.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე გამოიკვეთა შესასრულებელი ამოცანები:

სვანური ზმნისა და ნაზმნარი სახელის შესახებ არსებული სპეციალური ლიტერატურის დამუშავება, ტერმინოლოგიაზე შეთანხმება, მასდარის სტრუქტურული ყალიბების აღწერა-დახასიათება; მაწარმოებელ აფიქსთა / მორფოლოგიურ ერთეულთა კლასიფიკაცია; მასდარში გამოხატულ სახელურ და ზმნურ კატეგორიათა სიღრმისეულად შესწავლა და სრული სურათის წარმოჩენა.

კვლევის მიზანი იყო მასდარულ ფორმათა წარმოების თვალსაზრისით სვანურის მიმართების განსაზღვრა სალიტერატურო ქართულთან (რიგ შემთხვევებში სხვა ქართველურ ენებთან თუ ქვესისტემებთან). შესაბამისად, ნაშრომში აღნიშნულია საერთოქართული კანონზომიერებები. შესწავლილია განმასხვავებელი ნიშნები და ელემენტები; განსაკუთრებულად არის ხაზგასმული მხოლოდ სვანურში შემონახული

ძველი ქართულის მახასიათებლები, (მაგ.: პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ასახვა ძველ ქართულში მხოლოდ ზმნაში, სვანურში კი - მასდარსა და ზმნაშიც...)

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში დამუშავდა შესაბამისი ემპირიული მასალა: ლექსიკონები და დღემდე გამოქვეყნებული სვანური ტექსტები (იხ. ჩამონათვალი); კვლევისას ასევე გათვალისწინებულია სავსე პირობებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სვანებით დასახლებულ სოფლებში საკუთრივ ჩვენ მიერ ჩაწერილი მასალა.

ლექსიკონები:

ვ. თოფურია, მ. ქალდან 2000 _ სვანური ლექსიკონი;

ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე 1990_ ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი;

ა. ლიპარტელიანი 1994_ სვანური ლექსიკონი;

ბ. ნიჟარაძე 2007 _ სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი;

მ. ჩუხუა _ ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი;

ტექსტები:

სვან. პოეზ. 1939 _ სვანური პოეზია, I, სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს ა. შანიძემ, ვ. თოფურიამ, მ. გუჯეჯიანმა, თბილისი, 1939

სვან. პროზ. ტექსტ. 1939 _ სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსზემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ, თბილისი, 1939

სვან. პროზ. ტექსტ. 1957 _ სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსქვემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. დავითიანმა, ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი, 1957

სვან. პროზ. ტექსტ. 1967 _ სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, ტექსტები შეკრიბეს და რედაქცია გაუკეთეს ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი, 1967

სვან. პროზ. ტექსტ. 1979_ სვანური პროზაული ტექსტები, IV, ლაშხური კილო, ტექსტები შეკრიბეს არს. ონიანმა, მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, რედაქცია გაუკეთეს მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, თბილისი, 1979

სვან. ენის ქრესტ. 1978_ სვანური ენის ქრესტომათია, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალდანმა და ზ. ჭუმბურიძემ, თბილისი, 1978.)

კოდ. ქრონიკ. 2007–2010 – კოდორული ქრონიკები (გამოკვლევებითურთ) ი. ჩანტლაძე, ქეთევან მარგიანი–დადვანი, მედეა საღლიანი, ქეტევან მარგიანი–სუბარი, რუსუდან იოსელიანი, თბ. 2007–2010

კვლევის მეთოდები. ნაშრომში გამოყენებულია ემპირიული მასალის სტატისტიკური, სისტემური აღწერის მეთოდი, აგრეთვე შედარება-შეპირისპირებისა და ანალიზის მეთოდები.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა: ნაშრომი გარკვეულ წვლილს შეიტანს საკუთრივ სვანური ენის გრამატიკული სტრუქტურის, არქაული იერით აღბეჭდილი ლექსიკის კვლევისა და შესაბამისად, ქართველური ენობრივი სამყაროს შესწავლის საქმეში. კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია ზოგადი და ქართველური ენათმეცნიერების, ასევე სვანური ენის პრაქტიკული კურსისათვის.

ნაშრომის სიახლე: ნაშრომი სვანური მასდარის მონოგრაფიულად შესწავლის პირველ ცდას წარმოედგენს. სიახლეა სტრუქტურული თვალსაზრისით სისტემური აღწერა-დახასიათება სვანური მასდარის ფორმებისა. ხაზგასმა სალიტერატურო ქართულთან მიმართებით სვანურის ყველა თავისებურებისა და სპეციფიკისა. ნაშრომში მოცემულია სხვადასხვა აღნაგობის მასდართა ბრუნების პარადიგმები, მოცემულია მხოლოდ სვანური მასდარისთვის დამახასიათებელი ისეთი ზმნური კატეგორიების ასევე სისტემური აღწერა, როგორცაა ობიექტის მრავლობითობა, გვარი, მოქმედების მრავალგზისობა...

20 პუნქტად წარმოდგენილ ძირითად დასკვნებში ასახულია კვლევის შედეგები.

სადოქტორო ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა; ინფორმატორთა და მთქმელთა სია.

ნაშრომის ძირითადი სტრუქტურა: სადისერტაციო ნაშრომი შედგება წინასიტყვაობის, შესავლის, საკითხის კვლევის ისტორიის, ოთხი თავის, 22 პარაგრაფის, ძირითადი დასკვნებისა და გამოყენებული ლიტერატურისაგან.

თავი I – მასდარის სტრუქტურული ყალიბები სვანურში;

თავი II – ზმნური კატეგორიები სვანურ მასდარში;

თავი III – მასდარის სახლური კატეგორიები;

თავი IV – მასდარის სინტაქსური ასპექტები.

შესავალი

ანტონ I-ის შემოღებული ტერმინი **სახელზმნა** კარგად ასახავს მის მიერ აღსანიშნი ცნების როგორც სემანტიკურ, ისე მორფოლოგიურ სპეციფიკას: სახელზმნა, მართალია, სახელია (ბრუნებადი სიტყვაა და არა – უღლებადი), მაგრამ ის, გამოხატავს არა სახელურ სემანტიკას, არამედ–ზმნურს; ამასთანავე, სახელისა და ზმნის ზიარი მორფოლოგიური კატეგორია ქართველურ ენებში, როგორც ცნობილია, არის მხოლოდ რიცხვი, ყველა სხვა კატეგორია ან საკუთრივ სახელურია, ან საკუთრივ ზმნური, **სახელზმნას კი მოეპოვება როგორც სახელური, ისე ზმნური კატეგორიები.** სახელზმნა, მაშასადამე, ისეთი ენობრივი ერთეულია, რომლისთვისაც დამახასიათებელია როგორც სახელის, ისე ზმნის ნიშნები, მაგრამ მთლიანად არ ემთხვევა არც ერთ მათგანს. ამ სემანტიკურ–მორფოლოგიური სპეციფიკის გამო, მნიშვნელობა არ აქვს იმის გარკვევას, სახელზმნა ზმნა უფროა, თუ – სახელი. სახელზმნა სახელზმნაა და ის მთლიანად არც ზმნას ემთხვევა და არც სახელს, მიუხედავად იმისა, რომ ორივესთან აკავშირებს გარკვეული ნიშნები.

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული სხვაობა იბერიულ–კავკასიურ ენათა მასდარსა და ევროპულ ენათა ინფინიტივს შორის: იბერიულ–კავკასიური ენებისთვის უფრო დამახასიათებელი ყოფილა მასდარი, ვიდრე ინფინიტივი. მასდარი წარმოშობით უფრო მეტ სიმკვლეს იჩენს, ვიდრე ზმნის განუსაზღვრელი ფორმა – ინფინიტივი. ინფინიტივი ისტორიულად მასდარისგან არის ნაწარმოები [ცხადაძე 1984:197].

კაპიტალურ მონოგრაფიაში „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“ არნ. ჩიქობავა საგანგებოდ მსჯელობს ქართული ენის ბუნებიდან გამომდინარე ტერმინის „მასდარი“-ს არსსა და როლზე: **მასდარი იწარმოება ზმნისგან, ინფინიტივი კი ზმნის ფორმას ამოსავლად არ საჭიროებს, ის თვითონაა ზმნის საყრდენი, ამოსავალი, - ამიტომაც საჭიროა ჩვენს მასდარი არ ავურიოთ ინფინიტივში.**

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ა. შანიძის მიერ დამკვიდრებულ საწყისსა და არნ. ჩიქობავას მიერ შემოთავაზებულ მასდარს შორის ჩვენ, რამდენადაც ამაში წინამდებარე ნაშრომზე მუშაობის ხუთი წლის მანძილზე დავრწმუნდით,

აღმოჩნდა, რომ უპირატესობას ვანიჭებთ სწორედ ტერმინს – მასდარი, რომელიც ამ შემთხვევაში უფრო მისადაგებელი აღმოჩნდა ქართველურ ენათა სპეციფიკისათვის – როგორც ზმნის პირიელი ფორმიდან ნაწარმოები სახელის აღმნიშვნელი ტერმინი და არა საწყისი – ევროპულ ენათა ინფინიტივის შესატყვისი და ექვივალენტი.

სვანურში მასდართან დაკავშირებული ცალკეული საკითხები დასმულია და განხილულია ა. შანიძის, ვ.თოფურიას, გ. მაჭავარიანის, ალ. ონიანის, ზ. ჭუმბურიძის, ი. ჩანტლაძის, რ. ჭკადუას, მ. საღლიანის, ქ. მარგიანის... ნაშრომებში, მაგრამ საკითხი დღემდე არ ყოფილა მონოგრაფიულად შესწავლილი. საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოკვეთილად იდგა ამის საჭიროება და აუცილებლობა.

სვანური მასდარი უაღრესად საინტერესოა როგორც სტრუქტურა-აღნაგობისა და ნაწარმოებელი ელემენტების, ასევე სემანტიკისა და განსაკუთრებით სხვა ქართველურ ენებთან მიმართების თვალსაზრისით: ჩვენი არჩევანი მასდარის სირთულეებთან შეჭიდებისა, ბუნებრივია, ამ ინტერესმაც განაპირობა. როგორც ცნობილია, სვანურ მასდარში სალიტერატურო ქართულთან მიმართებით გარჩეულია გვარისა და მრავალგზისობის კატეგორიები, რაც განსაზღვრავს კიდევაც მის მთელ სპეციფიკასა და მრავალფეროვნებას და საფუძვლად ედება იმ სირთულეებს, რომელნიც თავს განსაკუთრებით იჩენენ ლექსიკოლოგიურ მუშაობაში მასდართა ასახვისა და მათი შინაარსის ქართულად სრულყოფილად ვერ გადმოცემის გამო:

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1936 წელს დაიგეგმა სვანურ-ქართული ლექსიკონის აკადემიური გამოცემა და დაიწყო ლექსიკური მასალის ინტენსიური შეკრება. სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უნდა დასდებოდა ლექსიკონს, როგორ უნდა ასახულიყო მასდარი და ზოგადად, საწყისთან დაკავშირებული საკითხები სალექსიკონო ფონდში როგორ უნდა გადაწყვეტილიყო, მაქსიმე ქალდანის მიერ შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული: მასდარის ერთი რიგი იძლევა მოქმედებითი და ვნებითი გვარის საპირისპირო ფორმებს. თარგმანი (მაგ., ლიდგე–ლიდგე „ჩაქრობა“) ვერ ასახავს ამ სხვაობას, რადგან ლიდგე მოქმედებითი გვარისაა („აქრობს“) და ლიდგე – ვნებითისა („ქრება“). (ლექსიკონში) ამ ტიპის მასდარებს გრამატიკული დახასიათება მიეცემათ (ეს უფრო ეკონომიური ჩანს, ვიდრე თარგმა-

ნისთვის ფრჩხილებში პირიანი ფორმების მიწერა). მასდარის ნაწილი არჩევს მოქმედების ჯერობას, მაგრამ თარგმანი (მაგ. **ლიწწრე–ლიწწრალი** „გამოწურვა, გამოცლა“ ვერ ასახავს ამ ფორმებს შორის არსებულ შინარსობრივ სხვაობას, რადგან **ლიწწრე** მოქმედების ერთგზისობაზე მიუთითებს, **ლიწწრალი** – მრავალგზისობაზე. ამათგან მრავალგზისებს შეიძლება გრამატიკული დახასიათება მიეცეთ [ქალდანი 2000:905]

პროფ. ი. ჩანტლაძე ვ. თოფურია, მ. ქალდანის „სვანური ლექსიკონის“ წინასიტყვაობაში წერს: **სვანურ ლექსიკონში იმთავითვე ივარაუდებოდა ზმნაში, მსადარსა და მიმღეობაში მრავალგზისობის კატეგორიისა და ობიექტის სიმრავლის აღნიშვნა... ზოგჯერ გაგვიჭირდა ზღვრის გავლება... პრაქტიკულმა საქმიანობამ ისეთი საკითხებისთვისაც მიგვაქცევინა ყურადღება, რაც თეორიული მუშაობის დროს შესაძლოა არ წამოწეულიყო წინა პლანზე – ზოგი მათგანის შესახებ არც სპეციალურ ლიტერატურაშია მსჯელობა. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მხოლოდ ერთ მაგალითს: ცნობილია, რომ ფუძედრეკად ზმნებს სვანურში ახასიათებთ ძირისეული ხმოვნის აბლაუტი, რითაც გარჩეულია მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმები. სალექსიკონო მასალაზე (განსაკუთრებით მასდარისეულ მონაცემებზე) დაკვირვებამ ცხადყო, რომ თანდათან ისპობა ეს დაპირისპირება თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაში (მეტწილად ქვემოსვანურში) ალბათ, ქართულ ენასთან მჭიდრო კონტაქტის გამო): ბზ. დიაკუნდ ლიბინე **ლიჭტმე** (სვ. პროზ. ტ.1, გვ. 431) – „დიაკონმა დაიწყო სირბილი“. შდრ. ლნტ. გელა ჟი ლაპპრ ი **ლიჭტემ** ანბინე (სვ. პროზ. ტ.3 გვ. 72) – „გელა წამოხტა და სირბილი დაიწყო“ [თოფურია, ქალდანი 2000: 9]**

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ მიერ წარმოდგენილი **საანალიზო მასალა** ამოკრებილია ვ. თოფურია, მ. ქალდანის – სვანური ლექსიკონიდან, ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველადის – ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონიდან, სვანური პროზაული ტექსტებიდან, სვანური ენის ქრესტომათიიდან, ა. ლიპარტელიანის – სვანური ლექსიკონიდან, კოდორული ქრონიკებიდან, ბ. ნიჟარაძის სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონიდან, მ. ჩუხუას - ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონიდან, ფრაზეოლოგიზმებთან (და, ასევე, ფონოსემანტიკურ ლექსიკასთან)

დაკავშირებული ჩვენთვის საჭირო მასალა კი მ. სალიანის წიგნიდან - სვანური ენის სტრუქტურის საკითხები...

ზ. სარჯველაძისა და ჰ. ფენრიხის ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში წარმოდგენილია და გაანალიზებულია სამასზე მეტი მასდარული ფორმა სვანურისა ქართულ-მეგრულ-ლაზურთან შედარების ფორმატით. ეს უძველესი ლექსიკური ერთეულებია, არქაული ლექსემებია, რომლებიც ქართველურ ენათა კანონზომიერი ბგერათშესატყვისობების კონონიკურ ფორმულებს ექვემდებარებიან. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონიდან ჩვენ მიერ ამოკრებილი მონაცემები პრე ქართველურიდან მომდინარე ლექსემებია (ლი-მსგა-ჟ/ლი-მსგა-ა „ძეობა“, ლი-ზაზ „მიგებება“, ლი-მზირ „ლოცვა“, ლი-შდაზ „მუშაობა, შრომა“, ლი-ქუნსგ „თქმა“, ლი-ქუნაჟ-აღ „აგონია“ ლი-ტუ „გაქცევა“...)

სრულიად ახალი მასალა ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო მასდარული ფორმა (რაოდენობრივადაც საკმაოდ მასშტაბური - ორ ასეულზე მეტი) მოვიძიეთ მ. ჩუხუას ქართველურ ენა-ვილოთა შედარებით ლექსიკონში, თბ. 2000–2003 წწ.

დიდძალი საენათმეცნიერო ლიტერატურის გაცნობის შემდგომ თემაზე მუშაობის ხუთი წლის მანძილზედ ექსპედიციის ფარგლებში დამატებითი მასალების მოპოვების, გადამოწმებისა და შედარების მიზნით შევხვდი არაერთ საინტერესო ინფორმატორს (ნაშრომს ბოლოში ერთვის მთქმელთა სრული სია).

საანალიზოდ ნაშრომში სვანურის ოთხი დიალექტიდან ძირითადად ბალს-ზემოური ფორმებია წარმოდგენილი. სვანურის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები ა. ონიანი -სვანური ენა, თბ. 1997წ. ზ. ჭუმბურიძე - სვანური ენა, თბ, 2007წ. ვ.თოფურია - სვანური ენის სახელმძღვანელო თბ. 2008 წ. ეფუძნება სწორედ ბალსზემოურის მონაცემებს. სვანურ ლექსიკონში (შევნიშნავთ, რომ ენათმეცნიერთა სხვადასხვა თაობებმა ამ ლექსიკონზე თითქმის ექვსი ათეული წელი იმუშავეს) მეთაურ ლექსემებად ბალსზემოური ფორმებია წარმოდგენილი. ნიკო მარის, ა. შანიძის, ვ. თოფურიას, ზ. ჭუმბურიძის... მიერ დამკვიდრებული ტრადიციას ქართველოლოგიურ ენათმეცნიერებაში სვანურის კვლევის საფუძვლად და საყრდენად ბალსზემოურის დამკვიდრება, გამომდინარე ხმოვანთა სიგრძის, უმლაუტისა და

რედუქციის ე. ი. დიალექტთა სადემეარკაციო გრამატიკული საფუძვლების, შეიძლება ითქვას, კლასიკური ფორმით, სწორედ, ბალსზემოურში არსებობის გამო.

ძირითადი საკვლევი თემატიკის – სვანური მასდარის ძირითადი სტრუქტურული მოდელების გამოყოფის, მაწარმოებელ აფიქსთა განაწილების წესების ანუ დისტრიბუციის, საწყისთა ბრუნების, სინტაქსური ფუნქციების, უმასდარო ზმნების, გაუფორმებელი მასდარების, მასდარში სახელური და ზმნური კატეგორიების კვლევის პარალელურად წინამდებარე ნაშრომში შევეცადეთ აქცენტი სწორედ ზემოთ ნაჩვენებ სპეციფიკაზე ყოფილიყო გაკეთებული ანუ შეძლებიდაგვარად წარმოჩენილიყო გვარის (აქტივი და პასივი), მრავალგზისობის კატეგორიის გამოხატვასთან, მასდარში ობიექტის მრავლობითობის ასახვასთან დაკავშირებული თავისებურებანი სალიტერატურო ქართულთან მიმართებით; საკვანძო საკითხთა შესაბამისად ნაშრომში წარმოდგენილია თავები და პარაგრაფები:

მასდარის სტრუქტურული ყალიბები სვანურში; პრეფიქს–სუფიქსური წარმოება; ოდენ პრეფიქსული წარმოება; სუფიქსური წარმოება; არამარკირებული მასდარები; „პირველადი მასდარები სვანურში“; ზოგი უმასდარო ზმნა სვანურში; მასდარის იშვიათი ფორმები; ზმნური კატეგორიები სვანურ მასდარში; გვარის გამოხატვა სვანური ზმნის მასდარში: აქტივი და პასივი; მოქმედების მრავალგზისობა; მრავალფუნქციური –ალ სუფიქსი სვანურში; კაუზატივის კატეგორიის გამოხატვა მასდარში; გეზის კატეგორიის გამოხატვა სვანურ მასდარში; მასდარის სახელური კატეგორიები; მასდარის ბრუნების პარადიგმები; მასდარის სინტაქსური ფუნქციები წინადადებაში; მასდარი და პარონომაზია; მასდარი ფრაზეოლოგიზმებსა და მყარ გამონათქვამებში.

საკითხის შესწავლის ისტორია

სვანურმა ენამ ჯერ კიდევ XVIII-XIX საუკუნეებში მიიქცია ყურადღება თავისი არქაული ლექსიკითა და გრამატიკული წყობით. პირველი ფიქსაცია სვანურისა განხორციელდა უცხოელ მოგზაურთა, დიპლომატთა, მკვლევართა მიერ. შესაბამისად პირველი ნაშრომები სვანური ენის შესახებ უცხოელი მეცნიერებისა მოიცავდა მხოლოდ დიალექტურ ტექსტებსა და ლექსიკურ მასალას.

სვანურის პირველი გრამატიკული მიმოხილვა (მეგრულ-ჭანურთან ერთად) მოცემულია გ. როზენის შრომაში „Ossetische Sprachlehre nebst einer Abhandlung uber das Mingrelische, Suanische und Abchasische“ (1847: 57-70). მასში ლაშხური კილოს მონაცემებზე დაყრდნობით განხილულია ზმნის უღლების არსებითი საკითხები. მის მასალას ეყრდნობა შემდგომი პერიოდის გამოკვლევები: ფ. ბოპი (Die Kaukasischen Glieder des indoeuroaischen Sprachstamms, 1847); ფრ. მიულერი (Grundriss der Sprachwissenschaft, III, 1884: 208-209); ალ. ცაგარელი (Сравнительный обзор морфологии иберийской группы кавказских языков, 1872).

პეტრე უსლარს ეკუთვნის შრომები: „Грамматический очерк сванетского языка“ - იფარული მეტყველების (ბალსზემოური კილოს) მასალაზე დაყრდნობით; „მოკლე გრამატიკა სვანური ენისა“, რომელიც 1861 წელს დაიწერა, ავტორის გარდაცვალების შემდეგ დაიბეჭდა აფხაზური ენის შესახებ მისი მონოგრაფიის დამატების სახით.

მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში იზრდება ინტერესი სვანურის შესწავლისა. 1890 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის ჟურნალში “Сборник материалов для описания местностей и племен кавказа” გამოქვეყნდა სვანური ანდაზები, გამოცანები და სიმღერები, ჩაწერილი და რუსულად თარგმნილი ბ. ნიჟარაძის მიერ. აღნიშნულ ტექსტებს ახლავს სვანურის მიმოხილვა, დაწერილი მ. ზავადსკის მიერ. ამავე ტომში დაბეჭდილია ა. გრენის Грамматический заметки („გრამატიკული შენიშვნები“) თავის მიერვე შეკრებილ სვანურ ტექსტებზე. მოკლე გრამატიკული ანალიზია მოცემული.

„მოკლე განხილვა სვანური გრამატიკისა“ (1911) ეკუთვნის თავისუფალ სვანს - ბესარიონ ნიჟარაძეს (1852-1919). მასში მოკლედ არის გაანალიზებული სვანური

გრამატიკის უმნიშვნელოვანესი მოვლენები. ნაშრომი ცალკე წიგნად გამოიცა 2013 წელს. რედაქტორი წინასიტყვაობაში ასეთ შეფასებას გვთავაზობს: „მისი მნიშვნელობა ქართველურ ენათა შესწავლის ისტორიაში განუზომელია: ესაა პირველი ნაშრომი, სვანური ენის გრამატიკის საკითხებზე დაწერილი, ქართულ ენაზე“ [ჭუმბურიძე, 2013: 3]. სვანურის გრამატიკის ცალკეული საკითხები სხვა კავკასიურ ენებთან მიმართებით განხილული აქვთ რ. ერკერტს, ა. დირს.

პირველ ეტაპზე სვანური კილოების შესახებ გამოქვეყნებული პუბლიკაციები ზოგადი ხასიათისა იყო და მოიცავდა ძირითადად სვანური მეტყველების ნიმუშების შეკრებასა და ლექსიკური მასალის კვლევას. ვარლამ თოფურია სწორად შენიშნავდა:

„სვანური დიალექტებიდან ყველაზე უფრო ხშირად იყენებდნენ უმგულურს, ნაკლებად - ლაშხურს, ბალსზემოურს, იშვიათად - ბალქვემოურსა და ჩოლურულს. სრულებით არ ყოფილა დაკვირვების ობიექტად ლენტეხური [თოფურია, 2002: 151].

სვანური ენა უაღრესად მდიდარია ყოფითი ლექსიკით, რომელსაც ქმნის ერთი და იმავე საგნისა თუ მოქმედების ორი ან მეტი სახელწოდება ყველა დიალექტში; „სვანურში დაცული ძველი ყოფისა და წარმართობის ამსახველი უძველესი ლექსიკა და გამოთქმები, არქაული გრამატიკული წყობის გადმონაშთები და მდიდარი ფოლკლორი შესაძლებლობას იძლევა, წარმოდგენა ვიქონიოთ ქართველ ტომთა ღრმა აზროვნებასა და მაღალ კულტურაზე; იგივე საფუძველს ქმნის იბერიულ-კავკასიურ და ძველადმოსავლურ ენათა გენეტური ურთიერთობის საკვანძო საკითხთა გადასაჭრელად. ამიტომ ბუნებრივია ის დიდი ინტერესი, რომელიც სვანური ენის ყოველმხრივ შესწავლას ახლავს. ამ ინტერესით არის გამოწვეული მისი ფონეტიკური სისტემისა და გრამატიკული წყობის ისტორიულ ასპექტში აღწერის აუცილებლობა, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკისა და თარგმნითი თუ შედარებითი ლექსიკონების შედგენის საჭიროება“ (ვარლამ თოფურია).

სვანური კილოების მეცნიერული შესწავლა ნიკო მარის სახელს უკავშირდება. მან პირველმა დაადგინა სვანური კილოებისა და კილოკავ-თქმების რაოდენობა, მათი დაყოფის საფუძველი. გამოყო ოთხი კილო: ზემო-ინგურული, ქვემო-ინგურული, ზემო-ლაშხური და ქვემო-ლაშხური [მარი, 1913: 15-16].

აკაკი შანიძემ დააზუსტა სვანურ დიალექტთა დაყოფის საფუძველი (ხმოვანთა სიგრძე, უმლაუტი, სხვაობა ბრუნებასა და უღლებაში...), კილოთა სახელწოდებები: ბალსზემოური, ბალსქვემოური, ლაშხური და ლენტეხური ა. შანიძემ მოგვცა სვანური უმლაუტის კლასიკური ახსნა. მკვლევარმა დაადგინა ფონეტიკურ კანონზომიერებათა ძალა და მნიშვნელობა სვანურ კილოთა მორფოლოგიურ სტრუქტურაში [შანიძე, 1981: 321-322].

სვანური ენის სტრუქტურის ცალკეული საკითხები გაშუქებულია ჰ. ფენრიხის, გ. მაჭავარიანის, მ. ქალდანის, კ. დონდუას, გ. დეეტერსის, ე. ოსიძის, რ. ასათიანის, ლ. პალმაიტისის, ი. ჩანტლაძის, ნ. აბესაძის, მ. სუხიშვილის... ნაშრომებში.

ზოგჯერ ხდება ხოლმე, რომ ესა თუ ის ენა და მისი მკვლევარი ერთმანეთის მიმართ ასოციაციურ წარმოდგენებად იქცევიან. ასეთად რჩება ჩვენს მეხსიერებაში სვანური ენა და ვარლამ თოფურია. სვანური, როგორც **ფონეტიკური ქარტეხილების განსაკუთრებული ნაკვალევის მატერიალი ენა**, აღმოჩნდა ვ. თოფურიას მეცნიერულ შესაძლებლობათა მთავარი საჯილდაო ქვა (ა. არაბული).

სვანურის შესწავლის ისტორიაში საეტაპო მნიშვნელობისაა სწორედ ვ. თოფურიას ფუნდამენტური ნაშრომი, ქართველოლოგთა სამაგიდო წიგნი „სვანური ენა I ზმნა“ (1967წ.), სადაც სვანური კილოების ზმნური პარადიგმა მონოგრაფიულად არის შესწავლილი. ვ. თოფურიასული შეფასება სვანური ზმნის სირთულისა ამგვარია: „სვანური უღვლილების სისტემა ქართველურია. ზმნას იგივე კატეგორიები მოეპოვება, რაც ქართულსა და ზანურს. ქართველური ზმნის მექანიზმი საერთოდ რთულია, მაგრამ სვანურისა – განსაკუთრებით. მას მეტი აქვს ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმები, თურმეობითი I და თურმეობითი II, მყოფადი უსრული და სხვ. ეს ბადებს საკითხთა წყებას მათი გენეზისისა და პირველადობის შესახებ“ [თოფურია 1967: 175].

დღეს უკვე არსებობს სვანურის სამი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო: ალ. ონიანი, სვანური ენა, თბ., 1998; ზ. ჭუმბურიძე, ლ. ნიჟარაძე, რ. ქურდაძე, სვანური ენა, თბ., 2007; ვ. თოფურია, სვანური ენის სახელმძღვანელო, თბ., 2008.

სვანურ მასდართან დაკავშირებული ცალკეული საკითხები სვანური ენის სახელმძღვანელოების გარდა განხილულია ქვემოთ ჩამოთვლილ სამეცნიერო

გამოცემებში და პუბლიკაციებში: არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942;

თ. გაყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტოა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში (საერთო ქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია) თბ., 1965;

ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986;

ქ. მარგიანი–დადვანი, აქტივ–პასივის ფორმათა სემანტიკური ნიუანსები სვანური ზმნის მასდარში, კვაკასიოლოგიური კრებული, თბ., 2004;

რ. ჭკადუა, ზოგი -ა სუფიქსიანი მასდარისა და „პირველად სახელთა“ შეპირი-სპირებისათვის სვანურში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. XIX, თბ., 2005;

ქ. მარგიანი–დადვანი, ფუძედრეკად ზმნათა მასდარის წარმოება კოდორისა და ენგურის ხეობების მცხოვრებთა მეტყველებაში, არნ. ჩიქობავას ენეთმეცნიერების ინსტიტუტის 66-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2007;

მ. საღლიანი, სვანური ენის სტრუქტურის საკითხები, თბ., 2016;

მ. საღლიანი, მასდარის საკითხისათვის სვანურ ფონოსემანტიკურ ლექსიკაში, თბ., 2017.

მონოგრაფიული შესწავლის საგანი სვანური მასდარი დღემდე არ ყოფილა.

ამდენად, მეტად საინტერესოა აღნიშნულ სახელზმნურ ფორმათა წარმოებისა და ფუნქციონირების, მასდარში გამოხატული სახელური და ზმნური კატეგორიების კვლევა სალიტერატურო ქართულთან მიმართებით.

საკითხის დამუშავებისას გამოქვეყნებული სამეცნიერო გამოკვლევებისა და დიალექტური ტექსტების გარდა გამოყენებული ახალი, ჩვენ მიერ ჩაწერილი მასალა ნათლად წარმოაჩენს სვანური მასდარის საერთო თუ განსხვავებულ, სპეცი-ფიკურ მახასიათებლებს.

წინამდებარე ნაშრომი სვანური მასდარის მონოგრაფიულად შესწავლის ცდას წარმოადგენს.

თავი I მასდარის სტრუქტურული ყალიბები სვანურში

პრეფიქს-სუფიქსური წარმოება:

§ 1. ლი - ე აფიქსიანი მასდარი

სტრუქტურული ყალიბების მიხედვით, წარმოების მხრივ მასდარი სვანურში არის ოთხი სახისა: პრეფიქს-სუფიქსური; ოდენ პრეფიქსული; სუფიქსური და უაფიქსო / (არამარკირებული). მასდარის მაწარმოებელი აფიქსებია: ძირითადად თვისართი ლი-; თავსართ- ბოლოსართები: ლი -ე; ლი-ი; ლი- ჭ; სუფიქსები: -ა; ობ; -ე-ჭა;

მასდარი სვანურში ძირითადად იწარმოება აწმყოს ფორმათაგან. ლი-, ლი-ი, ლი-ე აფიქსთა განაწილება დამოკიდებულია აწმყოს მწკრივის [-ე; -ი; -ა; - 0] სუფიქსებზე.

ლი-, ლი-ე და ლი -ი აფიქსთა განაწილების წესების დადგენა შესაძლებელია აწმყოს მწკრივის ფორმებიდან ამოსვლით [ონიანი 1998:262]. თუმცა ამ წესებს აქვთ ძალიან ბევრი გამონაკლისი, რისი თქმის საფუძველსაც დიდძალ ემპირიულ მასალაზე დაკვირვება იძლევა.

სვანურში ლი-ე კონფიქსით, ძირითადად, იწარმოება:

1. მოქმედებით გვარის ზმნათა მასდარი: ლი-ტფურ-ე „გატყავება“... ლი-ბერგ-ე „თოხნა“, ლი-კჭან-ე „გადაგდება“, ლი-ფგლკგრ-ე „დაფელიკება“, დანაწევრება“, ლი-ჭენ-ე „ხელის ჩაჭიდება“ ...

2. ფუძედრეკად ზმნათა აქტიური სემანტიკის მასდარები: ლი-ფხე-ე „გაშლა“, ლი-ბჭკუ-ე „გასკდომა“, ლი-კჭუ-ე „გატეხვა“, ლი-ხპ-ე „გახეთქვა, გასკდომა“ ...

3. გარდაუვალი (-ა დაბოლოებიანი აწმყოს მქონე) ზმნათა მასდარები: ლი-ლრნ-ე „წყენა“, ლი-ჭკგრ-ე „დარდი“, ლი-შრნ-ე „გადამეტება“ ...

4. გარდაუვალი (უნიშნო აწმყოს მქონე) ზმნათა მასდარები: ლი-ხრდ-ე „გახარება, სიხარული, სიხარულით შეხვედრა“, ლი-სგურ-ე „ჯდომა“ ...

5. ყოველგვარი მასდარის კაუზატიური ფორმა: ლიკდ-უნ-ჭუ-ნ-ე „აღებინება“, ლი-ვნ-უნ-ჭუ-ნ-ე „დახვნევენება“, ლი-ზგ-უნ-ე „დასახლება“, გადასახლება“, ლიბერგ-უნ-ე „დათოხნინება“, ლიპრისდ-უნ-ე „მონათვლინება“ ...

ლი - ე თავსართ- ბოლოსართიანი მასდარი საკმაოდ მრავალრიცხოვანია: ლი-ბგ-ე „გამაგრება“, ლი-ბნ-ე „დაწყება“, ლი-ბჟინ-ე „გაგებინება, შეტყობინება“, ლი-ბრ-ე „მოკლება“, ლი-ბრწდ-ე „გატნევა“, ლი-ბშ-ე „მიწოდება“, ლი-ბჰკჳ-ე „გასკდომა“, ლი-ბჟრგ-ე „თოხნა“, ლი-ბგრჯ-ე „თხრა“, ლი-გლგრ-ე „დახევა, დაგლეჯა“, ლი-გნ-ე – 1.გაცილება 2. აყენება, ლი-ბჟრ-ე „დაღამება“, ლი-გჰ-ე „დაწერა, დამაგრება“, ლი-გგრჯ-ე „გარჯა“, ლი-გრწ-ე „გაქანავება“, ლი-გჟდირნ-ე „ხელის ჩაჭიდება“, ლი-გჟმილ-ე „ავსება“, ლი-გჟწ-ე „ატირება, დატირება“, ლი-დაჟშ-ე „გაფუჭება, დაღუპვა“, ლი-დგფუნ-ე „დგაფუნი, წყლის ხმაურიანი დინება“, ლი-დჟწ-ე „გაწეღვა“, ლი-ზგრ-ე „დამთავრება“, ლი-ზგუნ-ე „დასახლება“, ლი-ზწრ-ე „დაზოგვა“, ლი-თლ-ე „შეხება, მიდება, მიკარება“, ლი-თმ-ე „შოვნა“, ლი-თრ-ე „სმა, დაღევა“, ლი-თრინ-ე „გამოჩენა“, ლი-თხნ-ე „შეხვედრა“, ლი-თჟრჳ-ე „დათვალიერება“, ლი-თჟფ-ე „დაკარგვა“, ლი-კთილ-ე „გაკეთილშობილება, გამდიდრება“, ლი-კრ-ე „გაღება“, ლი-კჰტრ-ე „გამოცდა, მცდელობა“, ლი-კწფ-ე „წაქცევა“, ლი-კჟან-ე „გადაგდება“, ლი-კჟდ-ე „ შემცირება, დაკლება“, ლი-კჟდუნ-ე „მოკლება“, ლი-კჟმუნ-ე „შეხოლოვა“, ლი-კჟმდურ-ე „აკეცვა“, ლი-კჟშ-ე „გატეხვა“, ლი-კჰრ-ე „ბზინვა“, ლი-ლტუნ-ე „შეყვარება“, ლი-ლუნთ-ე „გამოზამთრება“, ლი-ლჩ-ე „მოფრთხილება“, ლი-ლჰ-ე „მოთქმა, დატირება“, ლი-ლწნ-ე „წყენა“, ლი-მთჟჳ-ე „მიჩვევა“, ლი-მკახ-ე „ნატვრა, მოლოდინი“, ლი-მში-ე „მუშაობა“, ლი-მცოლ-ე „დაღუპვა“, ლი-მჯწრნ-ე „დამავეება“ მიმსგავსება“, ლი-მწრ-ე „მომზადება“, ლი-მწტინ-ე „ხელის შეშლა“, ლი-მრდ-ე „შეძლება“, ლი-მრრჳ-ე „მომზადებინება“, ლი-ნარჰ-ე „განათება“, ლი-ნგჟჰ-ე „გამაგრება“, ლი-ნწრ-ე „მოგროვება, თავმოყრა“, ლი-ნთხლ-ე „მოფრთხილება“, ლი-ნკ-ე „დავაება, დაყოლიება“, ლი-ნკწლ-ე „მომწყვდევა“, ლი-ნკჟშდ-ე „დამოკლება“, ლი-ნსგლ-ე „გასქელება“, ლი-ნყ-ე „გამოცხოვა“, ლი-ნცგზ-ე „დამახსოვრება“, ლი-პრისდ-ე „მონათლვა“, ლი-პსუნ-ე „ოდნავ მოყრა“, ლი-პტყგნ-ე „უშნოდ გაბრტყელება“, ლი-ჟუმ-ე „ხელის შეშლა“, ლი-რდ-ე „უოფნა, ცხოვრება, არსებობა“, ლი-რკრნ-ე „დაკიდება“, ლი-რჰ-ე „გათენება“, ლი-სგჟრ-ე „ჯდომა“, ლი-სკეთ-ე „მოგვარება, გადაწყვეტა“, ლი-სკწრ-ე „ფიქრი“, ლი-სოყ-ე „გაგიჟება“, ლი-სპ-ე „გადაქცევა, გადაბრუნება“, ლი-სსგ-ე „შეძულება“, ლი-ტმ-ე „შიმშილობა“, ლი-ტფჳრ-ე „გატყავება“, ლი-ტყბ-ე „შეწვა“, ლი-ტყფუნ-ე „სკდომის ხმა“, ლი-

ტყუბ-ე „შეტყუბება, შეერთება“, ლი-ტხ-ე „დაბრუნება“, ლი-დგ-ე „ჩაქრობა“, ლი-ფრ-ე „გხამობა“, ლი-ფს-ე „მოყოლება, გახდომა, გამოსვლა“, ლი-ფშგ-ე „გახსნა“, ლი-ფშტდ-ე „გაშვება“, ლი-ფხსურ-ე „დაფშვნა“, ლი-ფცხ-ე „მოცილება“, ლი-ფხჟ-ე „გაშლა“, ლი-ფხრ-ე „გახელა“, ლი-ფშგტ-ე „ხელით ფერება, ხელის გადასმა“, ლი-ფტშდ-ე „გაშვება“, ლი-ფფლკვრ-ე „დაფელიკება“, დანაწევრება“, ლი-ქინ-ე „სირბილი, გაქცევა“, ლი-ქმ-ე „მატება“, ლი-ქფგრ-ე „გამოცლა“, ლი-ქჩ-ე „მოჭრა“, ლი-ქტც-ე „გაჭრა“, ლი-ქტელ-ე „გაცივება, გაგრილება“, ლი-ღუნ-ე „დაფიცება“, ლი-ღრ-ე „მოშორება“, ლი-ყმ-ე „დახრჩობა“, ლი-ყრინ-ე/ლი-ყრინ-ე „დამართება“, ლი-ყსურ-ე „დამტვრევა“, ლი-ყალტ-ე „შეშინება“, ლი-ყტბ-ე „მოგროვება“, ლი-ყტზ-ე „გამოძრობა“, ლი-ყტფ-ე „ამოძრობა“, ლი-ყტჩ-ე „გატეხვა“, ლი-შგდ-ე „კადრება“, ლი-შდ-ე „დაყრა“, ლი-შდნ-ე „დავიწყება“, ლი-შდხ-ე „დამთავრება“, ლი-შდრ-ე „გართობა“, ლი-შნ-ე „მოსხმა“, ლი-ჩფ-ე „რჩენა“, ლი-ჩშ-ე – 1. მოსწრება, 2. აფარება, ლი-ცურ-ე „დატოვება“, ლი-ცხიდ-ე „დაწუნება“, ლი-ცტრ-ე „დატოვება“, ლი-წკტ-ე „დაწყობა“, ლიწნე/ ლიწრე „მორევა“, ლიწსე – 1. გაჩენა, 2. დაწესება ლი-წწნ-ე „მოწეწვა, მოგლეჯა“ ლი-წწტ-ე „ჩამოწვეთება“, ლი-წტდ-ე „გაწურვა“, ლი-წტდინ-ე „მონატრება< ნახვის ნტვრა“, ლი-წტლ-ე „გათხოვება“, ლი-წტენ-ე „ჩვენება“, ლი-ქთ-ე „წყევლა“, ლი-ქჟჟ-ე „ამოწყვეტა“, ლი-ქკვრ-ე „დარდი, ზრუნვა“, ლი-ქმ-ე „თიბვა“, ლი-ქქნ-ე „ხელის ჩაჭიდება“, ლი-ქქზ-ე „მაგრად მოჭერა“, ლი-ხენ-ე/ლი-ხენ-ე „მიხარება“, ლი-ხჰ-ე „გახეთქვა, გასკდომა“, ლი-ხტტ-ე „ამოწყვეტა“, ლი-ჯდ-ე „მოტანა“, ლი-ჯჯგგ-ე „კანკალი“, ლი-ჯრდუნ-ე „დაგრძელება“, ლი-ჯტდ-ე „შორს წასვლა“, ლი-ჰდგრ-ე „მონანიება“, ლი-ჰენდრ-ე „სახურავიდან წვიმის ხმა“, ლი-ჰრინ-ე „მოხმობა, დაბარება“, ლი-ჰგნგრ-ე „უნაგირის დადგმა“, ლი-ტშმ-ე „გამჟღავნება“, ლი-ტზინ-ე „მიბაძვა, პაროდია“, ლი-ტჟ-ე „ძილი“, ლი-ტჟშმ-ე „შეწუხება“, ლი-ტშგედ-ე „უკადრისობა“, ლი-ტჩხ-ე „წვიმა“, ლი-ჯდ-ე „მოტანა“, ლი-ჯც-ე „1.დახრა, 2. დაღუპვა“, ლი-ჯწნ-ე „ყნოსვა“, ლი-ჯტ-ე „გამოხშირვა“, ლი-ჯტინ-ე „ბლომად დაყრა“, ლრ-რგ-ე „დაყოვნება“, ლრ-შდნ-ე „დავიწყება“...

მასდარის წარმოება სვანურში ძირითადად ლი-ე, ლი – ი, ლი- აფიქსებით ხდება აწმყოს უპირისნიშნო და უქცევისნიშნო ფუძისაგან. ლი-ე, ლი – ი, ლი- აფიქსების

დისტრიბუციის, განაწილების წესების დადგენა, ალ. ონიანის აზრით, შესაძლებელია აწმყოს მწკრივის ფორმებიდან ამოსვლით. თუმცა ამ წესს აქვს გამონაკლისები: მაგ.:

<i>აწმყო</i>	<i>მასდარი</i>
ანდრი „მოდის“	ლი-ჰედ „მოსვლა“ (შდრ. ძვ. ქართ. მოუ-ჰედ-ების)
წრი „არის“	ლი-რდე „ყოფნა“
ესლრი „მიდის“	ლრ-ზი „წასვლა“ < *ლი-გზ-ი
ხალა „სწყინს“	ლი-ლონე „წყენა“
ხაშა „შურს“	ლი-შონე „შემშურება“
ხულა „აქვს“	ლი-ლჷენე „ქონა“...

მაგ.: ხოჩა მუშგვრიშ ლი-ჰედს მწ ხოჩა? [ბქ.სვან.ლექსიკ., 2000:98] - კარგი სტუმრის მოსვლას რა სჯობია? დედბერილდ ი მიჩა გეზალდ ხოჩა ლირდე ადჯიდხ [ბზ. სვან.ლექსიკ., 2000:76] დედაბერმა და მისმა შვილმა კარგი ცხოვრებით იცხოვრეს.

ლი-ე ალომორფი, მაშასადამე, წარმოდგენილია იმ ზმნათა მასდარებში, რომელთაც აწმყოს მწკრივის ნიშნად –ე და –ა სუფიქსები აქვთ.

<i>აწმყო</i>	<i>მასდარი</i>
ახგრზნ-ე გრეხს	ლი-ხგრზნ-ე - გრეხა
ქტიც-ე ჭრის	ლი-ქტიც-ე - ჭრა
აქჩ-ე „კაფავს“	ლი-ქჩ-ე „კაფვა“
ჯიდ-ე „მოაქვს“	ლი-ჯდ-ე „მოტანა“
თჷიფ-ე „კარგავს“	ლი-თჷფ-ე „დაკარგვა“
შდმ-ე „ათრობს“	ლი-შდმ-ე „დათრობა“
ჯიდ-ე „მოაქვს“	ლი-ჯდ-ე „მოტანა“
აგჷშ-ე „ასხამს“	ლი-გჷშ-ე „დასხმა“
ამწრ-ე „ამზადებს“	ლი-მწრ-ე „მომზადება“
ატაბ-ე „თლის“	ლი-ტაბ-ე „თლა“
ხაჩ-ა „იცინის, ელიძება“	ლი-ჩრნ-ე „გაცინება“
ხალ-ა „სწყინს“	ლი-ლრნ-ე „წყენა“

ხაყ-ა „ჰყავს“

ლი-ყენ-ე „ყოლა“ ...

აქ საჭიროა გაკეთდეს რამდენიმე განმარტება: 1. –ა ალომორფიანი აწმყოს შესაბამის საწყისებში გამოვლენილი –ონ, –ენ (უგრძელხმოვნო დიალექტთა –ონ, –ენ) ელემენტები ფუძის კუთვნილებაა და არა – სუფიქსისა, ამაზე მეტყველებს ისეთ პირიან ფორმათა არსებობა, როგორცაა ათლონ „ეწყინა“, ათონ „გაეცინა“, ხაყენა „ჰყოლია“ და ა. შ. 2. იშვიათად ისეთი შემთხვევებიც დასტურდება, სადაც ნულოვანალომორფიანი აწმყოს შესაბამისი საწყისი ლიე კონფიქსით არის ნაწარმოები, მაგ. ხასისგ „სძულს“, ლი-სსგ-ე „შეძულება“, სგურ „ზის“ ლი-სგურ-ე „ჯდომა“; 3. როგორც ითქვა, ვნებითი გვარის აწმყო მაშინაც –ი სუფიქსით იწარმოება, როდესაც მისი საპირისპირო მოქმედებითი –ე ალომორფიანია. თუ საწყისს გვარის მიხედვით საპირისპირო ფორმა არ მოეპოვება, მაშინ ვნებითი გვარის ფორმასაც იგივე საწყისი შეესაბამება, რაც – მოქმედებითი გვარისას, მაგ. ი-ტაბ-ი „ითლება“ ლი-ტაბ-ე „თლა“, ი-კრ-ი „ილება“ ლი-კრ-ე „გალება“, ი-ჭმ-ი „ითიბება“ ლი-ჭმ-ე „თიბვა“ და ა.შ. 4. ლი-ე კონფიქსით წარმოიქმნება ნებისმიერი კაუზატიური საწყისი [ონიანი, 1998: 262]

საინტერესოდ გვეჩვენება ლი-ე კონფიქსური წარმოებისა და შედარებით იშვიათი გამოყენების ერთი მასდარის ისტორია, რომელსაც შენიშვნის სახით წარმოვადგენთ. ლი-ყენ-ე „ყოლა“ მასდარი არ დასტურდება არც ვ. თოფურია, მ. ქალდანის სვანურ ლექსიკონში, არც ჰ. ფენრიხი, ზ. საჯველაძის ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში, არც მ. ჩუხუას ქართველურ ენა-კილოთა შედარებით ლექსიკონში. აღნიშნულ ფორმასთან დაკავშირებით ჩვენი ინფორმატორები არ არიან ერთი აზრისანი, დაგვიდასტურა მხოლოდ ნაწილმა. დანარჩენები კი თითქოს ყოყმანობენ, ან უჭირთ დათანხმება.

სვანურში გვხვდება პარალელური ლექსემა, მიმდებარე ვნებითი გვარისა: უ-ყენ-ა „გამოუსადეგარი“ (ზედმიწ. „უყოლელი“), (შდრ. ლი-ყენ-ე „ყოლა“). ჩვენ ასევე ვიზიარებთ ი. ჩანტლაძისეულ ეტიმოლოგიას ჩვენთვის საინტერესო ამ მასდარული ფორმისა: ბალსზემოურ მეტყველებაში დადასტურდა სტატიკური ზმნის მყა („მყავს“) ვარიანტი, რომელიც ძალზე იშვიათად გამოიყენება (1939 წლის პუბლიკაციაში, სადაც თითქმის საუკუნის წინანდელი ზემოსვანურია წარმოდგენილი, ის მხოლოდ ხუთჯერ

შეგვხვდა). ამის შესახებ არაფერია ნათქვამი „სვანურ ზმნაში“, სადაც საგანგებოდაა განხილული მ-ა-ყ-ა („მყავს“) ზმნა. **ლი-ყენ-ე** („ყოლა“) მიუთითებს იმაზე, რომ პირიანი ფორმის აუსლაუტის -ა (რომელიც ჩვენ სტატიკურობის მორფემა გვგონია), თითქოს აქაც უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი ***ლი-ყ-ა-ენ-ე**), თუმც მასდარში მის გამოვლენას გარკვეული სიძნელე ახლავს. **-ენ** სუფიქსისეული ხმოვნის სიგრძე უფრო მარტივადაც (კომბინატორულად) შეიძლება აიხსნას (**-ენ** < **-ე+ენ**). რაც შეეხება **მ-ე-ყ-ა** ფორმის თავკიდურ ხმოვანს, ის ჩვეულებრივია მყოფადსა (**მ-ე-ყ-ენ-ი** „მეყოლება“) და პირობითში (**მ-ე-ყ-ენ-რლ** „მეყოლებოდა“) [კოდორ. ქრონიკ. 2010: 12]

დავუბრუნდეთ აფიქსთა განაწილების წესებს. მასდარი სვანურში იწარმოება **ლი-** პრეფიქსით და **-ე/-ი/ -0** აფიქსებით, ჩვეულებრივ, აწმყოს ფუძისგან: ბზ. **ა-მზრ-ე** „ამზადებს“ - **ლი-მზრ-ე** „მზადება“, **ი-თრ-ე** „სვამს“ - **ლი-თრ-ე** „სმა“, **ხ-ა-წჷენ-ე** „აჩვენებს“ - **ლი-წჷენ-ე** „ჩვენება“, [ღ]გგემ „აგებს, აშენებს“ - **ლი-გემ** „აგება, აშენება“ და სხვ.

არაფუძედრეკად ზმნებში, რომელთაც ვნებითი **ი-/ე-** პრეფიქსებით ეწარმოებათ, მასდარი ყოველთვის აწმყოს მოქმედებითი გვარის ფუძეს ემყარება: ეს განსაკუთრებით დემონსტრაციულად ჩანს იმ ზმნებთან, რომლებიც აწმყოს მოქმედებითი გვარის ფუძეს -ე თემის ნიშნით აწარმოებენ:

<i>მოქმედებითი</i>	<i>ვნებითი</i>	<i>მასდარი</i>
ა-მზრ-ე „ამზადებს“	ი-მზრ-ი „მზადდება“	ლი-მზრ-ე „მზადება“
ხ-ა-წჷენ-ე „აჩვენებს“	ხ-ე-წჷენ-ი „ეჩვენება“	ლი-წჷენ-ე „ჩვენება“
[ღ]გგემ „აგებს, აშენებს“	ი-გ-ი „შენდება“	ლი-გემ „აგება, აშენება“
ი-ქჷთ-ერ „იპარავს“	ი-ქჷთ-ი /ი-ქჷრთ-ი „იპარება“	ლი-ქჷთ-ერ „მოპარვა“...

პრეფიქს-სუფიქსების დართვისას გასათვალისწინებელია ისეთი ფონეტიკური მოვლენები, როგორიცაა რედუქცია, უმლაუტი...

რამდენადმე განსხვავებული ვითარება გვაქვს მეორე ჯგუფის (ფუძედრეკად) ზმნებთან. ამ ტიპის ზმნები ჩვეულებრივ **ორ-ორ მასდარს აწარმოებენ**. ერთი მათგანი აწმყოს მოქმედებითი გვარის ფუძისგან იწარმოება: ზსვ. კჷიშ-ე „ტეხს“ - **ლი-კჷშ-ე**

„ტეხა“, ქტიც-ე „ჭრის, წყვეტს“ -ლი-ქტიც-ე „ჭრა, წყვეტა“, ხტიტ-ე „წყვეტს, ჟლეტს“ - ლი-ხტიტ-ე „წყვეტა, ჟლეტა“. მეორე ტიპის მასდარი იწარმოება ე-თი გახმოვანებული მარტივი ფუძისგან, რომელიც თანამედროვე სვანურში გარდაუვალი უღვლილების საფუძველს ქმნის: ლი-კტიემ „ტყდომა“, ლი-ქტიეც „ჭრა, წყდომა“, ლი-ხტიეტ „წყვეტა, ჟლეტა“. მეორე ტიპის მასდარს გარდაუვალი შინაარსი აქვს, რაც ქართულ თარგმანში ყოველთვის ვერ აისახება.

ამავე დროს ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ლი-კტიემ ტიპის მასდარი ფუძედრეკად გარდაუვალ ზმნათა აწმყოს ფუძისგან არ იწარმოება. მასდარში წარმოდგენილი არ არის ამ ტიპის ზმნათათვის ნიშანდობლივი აწმყოს თემატური სუფიქსი -ენ-ი: შდრ. კტიემ-ნ-ი „ტყდება“, მაგრამ ლი-კტიემ (და არა *ლი-კტიემ-ენ-ი), ქტიეც-ნ-ი „იჭრება, წყდება“, მაგრამ ლი-ქტიეც (და არა *ლი-ქტიეც-ენ-ი) და ა.შ. [გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965: 211].

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ პირველი ჯგუფის ზმნათა მასდარი მოქმედებითსა და ვნებით გვარს არ არჩევს (რომელიმე ლი-მწრ-ე „მზადება“ პირიანი ზმნის მოქმედებითი გვარის აწმყოს ფუძისგან არის ნაწარმოები, მაგრამ ერთნაირად წარმოადგენს როგორც ა-მწრ-ე „ამზადებს“, ისე ი-მწრ-ი, „მდზადდება“ ზმნათა მასდარს), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მეორე ჯგუფის ზმნებშიც გარჩევა გარდამავალი შინაარსის მასდარსა (ლი-კტიემ-ე ტიპი) და გარდაუვალი შინაარსის მასდარს (ლი-კტიემ ტიპი) შორის მეორეულია.თუ ამ ვარაუდს მივიღებთ, გასაგები იქნება, რატომ არ არის ნაწარმოები ლი-კტიემ ტიპის მასდარი სათანადო გარდაუვალი ზმნის აწმყოს ფუძისგან. სვანურში ქართულის მსგავსად გარდამავალი ფუძედრეკადი ზმნისთვის ისტორიულად დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო თემატური აწმყო ფუძის ე- გახმოვანებით. ამ არქაული ტიპის გადმონაშთებს სვანურში წარმოადგენენ ი-კედ „იღებს“, თერ „ცნობს“, ი-ყერ „იცემს, ირტყამს“ ფორმები.

აღნიშნულ ზმნათაგან მასდარი წესისამებრ იწარმოება მოქმედებითი გვარის აწმყოს ფუძეზე დაყრდნობით: ლი-კედ „აღება“, ლი-თერ „ცნობა“, ლი-ყერ „ცემა“ და მისთ.

ეს მასაღრები სტრუქტურულად ლი-კუემ ტიპს განეკუთვნებიან, მაგრამ გარდაუვალღ შინაარსი არა აქვთ. ლი-კედ, ლი-ყერ, ლი-თერ ტიპის ფორმათა სტრუქტურული იდენტობა ლი-კუემ ტიპის ფორმებთან გვაგარაუდებიწებს, რომ მასდარის წარმოების ამ მოდელისთვის ისტორიულად საერთოდ არ იყო დამახასიათებელი გარდაუვალღ შინაარსის გამოხატვა.

მართლაც, გარდამავალ ფუძედრეკად ზმწათა აწმყოს წარმოების თვალსაზრისით ათემატური ი-კედ, ი-ყერ, თერ ტიპი უფრო ძველია, ვიდრე თემატური კუემ-ე, ქუეც-ე ტიპი (საწინააღმდეგოს დაშვება არ იქწებოდა მართებული არც სვანურის შინაგანი რეკონსტრუქციისა და არც ქართულ-ზანურთან შედარების საფუძველზე). თუ ასეა, მაშინ ლი-კუემ, ლი-ქუეც და სხვ. ისევეა ნაწარმოები *კუემ, ქუეც და მსგავსი ფორმებისგან (ე. ი. ფუძედრეკადი გარდამავალი ზმწის აწმყოს ფუძისგან), როგორც ლი-კედ, ლი-ყერ, ლი-თერ ნაწარმოებია ი-კედ, ი-ყერ, თერ ფორმებისგან [გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965: 211].

ამგვარად, ისტორიულად ლი-კუემ ტიპის მასდარი ისევე ნეიტრალური უწდა ყოფილიყო გვარის თვალსაზრისით, როგორც რომელიმე ლი-კედ, აწ ლი-მწრ-ე ტიპისა.

მას შემდეგ, რაც გარდამავალ ფუძედრეკად ზმწებში აწმყოს თემატური წარმოება (კუემ-ე ტიპი) გაბატონდა, ამ ახალი ტიპის აწმყოს ბაზაზე ჩამოყალიბდა ახალი ლი-კუემ-ე < *ლი-კუემ-ე ტიპის მასდარი. ეს ახალი ტიპის მასდარი, ბუნებრივია, გარდამავალ უღვლილებას მიეკედლა, მაშინ როდესაც ძველი ლიკუემ ტიპის მასდარმა გარდაუვალღ შინაარსი მიიღო. ამ გზით კორელაცია გარდამავალი, გარდაუვალღი (resp. მოქმედებითი, არამოქმედებითი), რაც ასე მკაფიოდ გასდევს სვანურ ფუძედრეკად ზმწათა მთელ სისტემას, მასდარის წარმოებაზეც გავრცელდა [გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965: 211].

სვანურში გვხვდება მასდართა საკმაოდ დიდი ჯგუფი, რომლებიც ლი- ლი-ე მწარმოებლები სვანურია, ძირი კი – ქართული. მაგ.: ლიგუჭუი დაყენება (შდრ. ქართ. გუობა); ლიგუწუი მოფიქრება, მოგონება (შედ. ქართ. გუნება); ლიდღწმბი დადაბლება (შდრ. ქართ. დაბალი); ლიემმაკწლ მოხერხება (შდრ. ქართ. ემმაკი); ლიზმე მიზომება (შდრ. ქართ. ზომა); ლიკუწე შეხვევა (შდრ. ქართ. კონა); ლიკთილე

გამდიდრება (შდრ. ქართ. კეთილი); ლიკილი კივილი (შდრ. ქართ. კივილი); ლიკაფე წაქცევა (შდრ. ქართ. კაფვა); ლიკუანე გადაგდება (შდრ.ქართ. უკან); ლიმსხარა ზუმრობა (შდრ. ქართ. მასხარა); ლიმურჯუი დახმარება (შდრ. ქართ. მარჯვე); ლინშანაწლ ნიშანში სროლა (შდრ. ქართ. ნიშანი); ლიმციქულ მოციქულობა (შდრ. ქართ. მოციქული); ლირგაუწლ მორიგება (შდრ.ქართ. რიგი); ლირხუნაწლ ჭექა-ქუხილი (შდრ. ქართ. მერეხი); ლიუღუნე ხარების უღლში შებმა (შდრ.ქართ. უღელი); ლიღლატი ორგულობა, ღალატი (შდრ. ქართ. ღალატი); ლიღუპაუი დაქცევა, დაღუპვა (შდრ. ქართ. დაღუპვა); ლიღუჭარ ვაჭრობა (შდრ. ქართ. ვაჭარი); ლიშნაუი მოშენება (შდრ. ქართ. შინაური); ლიყულიელ ყვირილი, ბღავილი (შდრ. ქართ. ყმული); ლიშხმე მოწამვლა (შდრ.ქართ. შხამი); ლიშურე, ლიშური წყენა, ვნება(შედ. ქართ. შური); ლიშონაწლ შეშურება (შდრ. ქართ. შური); ლიშტრაუი მიშტერება (შდრ.ქართ. შტერი); ლიშუნდუეი შენდობა (შდრ.ქართ. შენდობა); ლიშუდობე, ლიშდობი გამომშვიდობება (შდრ. ქართ. მშვიდობა); ლიშქარი დაშაქრება (შდრ. ქართ. შაქარი); ლიტკბე დატკბობა (შდრ.ქართ. ტკბილი); ლიჩქლამი მიჩქმალვა, დამალვა (შდრ. ქართ. ჩქამი); ლიცუდე/ლიცუდუაუი გაფუჭება (შდრ. ქართ. ცუდი); ლიცუდილწლ წვალება (შდრ. ქართ. ცოდვა); ლიცცხუნე შეჩუჩხურება, შეკეთება (შდრ. ქართ. ფუცხუნი); ლიდგრცაუი გაძარცვა (შდრ. ქართ. ძარცვა); ლიწხუაუწლ /ლიწხუაუი შეწუხება (შდრ. ქართ. წუხილი); ლიწინდამ/ლიწგნდამ ქსოვა (შდრ. ქართ. წინდა); ლიგზდილე აღზრდა, გაწაფვა (შდრ. ქართ. ზრდილი); ლისფაურე საფუარიანი ცომის დაყენება (შდრ. ქართ. საფუარი); ლითთუეუი სათუთი მოპყრობა, მოფრთხილება (შდრ.ქართ. თოთო); ლინდროუ დამდურება, გაბუტვა (შდრ. ქართ. სამდურავი); ლიქურთონე გასუქება, გამკვრივება (შდრ. ქართ. ქვირიტი); ლიუფუნე აზაზანის მიღება (შდრ. ქართ. ოფლი), ლიდრაჯაწლ დადარაჯება (შდრ. ქართ. დარაჯი)... [ჭუმბურიძე, 2007: 164–167]

ლი-ე აფიქსიან მასდართა საილუსტრაციო მაგალითები სვანური პროზაული ტექსტებიდან:

ლი-თუ-ე ბზ., ლი-თაუ-ე ბქ., ლნტ. - შობა, დაბადება, გაჩენა.

გეზლწ ლითუე მამ ხემდედწ [ბზ., სვან. ლექსიკ., 2000: 434] „შვილის გაჩენა არ შეეძლო“.

ლი-ფაშგუ-ე ბზ., ლშხ., **ლი-ფაშკუ-ე** - მოფერება, მოსმა.

ლოხუბინე **ლიფაშგუ** [ბზ., სვან.ლექსიკ., 2000:451] „მოფერება დაუწყო“.

ლი-ფუ-ე ბზ., **ლი-ფუ-ე** ბქ. - დუღილი.

ლიცდ **ლიფუ** ჩუაქუიც [ბზ., სვან.ლექსიკ., 2000:452] - წყალმა დუღილი შეწყვიტა.

ლი-ყაღუ-ე ბზ., ლშხ., **ლი-ყაღუ-ე** ბქ. - შეშინება. ბეფშს **ლიყაღუ** ხოლა ხარ [ბქ., სვან.ლექსიკ., 2000:455] ბავშვისათვის შეშინება ცუდია.

ლი-შდუ-ე ბზ., **ლი-შდუ-ე** ბქ., ლშხ. - თოვა.

ლიშდუედ მაყალ ლი [ბქ., სვან.ლექსიკ., 2000:461] - თოვის საშიშროებაა.

ლი-შშუ-ე ბზ., **ლი-შშუ-ი** ლშხ., **ლი-შშუ-ე** ლნტ. - შრობა (რძის, წყლის). ფურლე **ლიშშუეს** ხოკუბხ [ბზ., სვან.ლექსიკ., 2000:467]

- ძროხების გაშრობას უფროთხილდებიან.

ლი-ცერუ-ე ბზ., ლშხ., **ლი-ცერუ-ე** ბქ., - მოხალვა.

ძალუს ხოხალ ლელქუერი ითქიმ **ლიცერუ** [ბქ., სვან.ლექსიკ., 2000:473] ძალუმ იცის დსაფქვაგი მარცვლის მოხალვა.

ლი-ცეხუ-ე ბზ., ლშხ., **ლი-ცეხუ-ე** ლნტ., - დაფშვნა, გაცეხვა.

სიმინდი შდარწლს **ქალიცეხუ** ხაკუ [ბზ., სვან.ლექსიკ., 2000:473]

- სიმინდის ტაროებს გაცეხვა უნდა.

ლი-ცუ-ე ზს., ლშხ., **ლი-ცუ-ე** ბქ., ლნტ. - აცმა, გაყრა. **მიშგუა ბუბას ხოჩამდ ხოხალ** ღენწშიშ **ლიცუე** [ბქ., სვან.ლექსიკ., 2000:474] - ბიძაჩემმა კარგად იცის კავის აწყობა.

ლი-ჰუნწუ-ე ბზ., **ლი-ჰუნწუ-ი** ბქ., - ნაკელის მოყრა. **დაბს ლიჟუმი ლიჰუნწუიშალ** ესერ ხარ (ანდ.) -[სვან.ლექსიკ., 2000:488] მშრალად ხვნა ყანას ნაკელის მოყრასავით უხდებო.

ლი-შუ-ე ბზ., ლშხ., **ლი-შუ-ე** ბქ., ლნტ. - შენთება, ანთება, დანთება.

ემუტი დირი ლითხკას **ლიშუედ** მოდ ესერ ხაჯემ (ანდ.) [ბზ., სვან.ლექსიკ., 2000:491] - ერთი პურის კვერი კერიაში შენთებად არ ღირსო.

ლი-ბჯუ-ე - გაპობა. წიფრან ზექმი **ლიბჯუე** უგარჯ ლი (ბზ.) [ინფ. დ. მიბჩუანი, 77 წლის, ოჩამჩირე] - წიფლის შეშის გაპობა არ არის ძნელი.

ლი-ჰელუ-ე - გაჭვარტლა. ხოლა ლემესგს **ლიჰელუ-ე** ხოხალ [ინფ. მ. ფილფანი, 97 წლის, მესტია] - ცუდმა ცეცხლმა ჰვარტლი იცის.

ლი-სელუ-ე რჩენა, მოსულიერება. წინწლიდომ **ჟი ლისელუ-ე** ძღვდ ამხრდგნდა[ზზ. სვან. ლექსიკ., 2000:448] - წიწილას მოსულიერება ძალიან გამიხარდა.

ლი-ე კონფიქსური წარმოების მასდარები გამოვლინდა სვანურ ბგერწერით ლექსიკაში, რაც დიალექტოლოგიური თვალსაზრისით, ვფიქრობთ, სრულყოფილად აქვს აღწერილი და შესწავლილი მ. საღლიანს:

ლი-რლუნ-ე „ნჯღრევა“ (შდრ. **ა-რლუნ-ე** „ანჯღრევეს“); **ლი-რკუნ-ე** „კანკალი“ (შდრ. **ა-რკუნ-ე** „კანკალებს“); **ლი-ჯჯგგზ-ე** „კანკალი“ (შდრ. **ა-ჯჯგგზ-ე** „კანკალებს“); **ლი-ტრანკუნ-ე** „მსუქანი, უმნო აღნაგობის ქალის ლაპარაკი“ (შდრ. **ა-ტრანკუნ-ე** „მსუქანი, უმნო აღნაგობის ქალი ლაპარაკობს; ტრაკუნობს“); **ლი-ტლანმფუნ-ე** „დედაკაცის მიერ ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით ლაპარაკი, ტყუილებ-ის თქმა“ (შდრ. **ა-ტლანმფუნ-ე** „ლაპარაკობს, ცრუობს დედაკაცი ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით“); **ლი-ფრინშკუ-ე** „ფრთხილად შენჯღრევა, გაღვიძება“ (შდრ. **ა-ფრინშკუ-ე** „მძინარეს ფრთხილად ანძრევეს, რომ გააღვიძოს“); **ლი-ყრანჭუნ-ე** „მაღალი, გრძელკისერა ადამიანის ლაპარაკი“ (შდრ. **ა-ყრანჭუნ-ე** „მაღალი, გრძელ-კისერა ადამიანი ლაპარაკობს“); **ლი-ღენჯურ-ე/ლი-ღენჯურ-ე** „ხრვა ძვლისა...“ (შდრ. **ი-ღენჯურ-ე/ი-ღენჯურ-ე** „იხრავს ძვალს...“); **ლი-გენჯურ-ე** „ხრვა ძვლისა, ვაშლისა...“ (შდრ. **ი-გენჯურ-ე** „იხრავს ძვალს, ვაშლს...“); **ლი-ღგრტინ-ე** „რაიმე საქმის გამო ყელის თხრა საყვედურებით“ (შდრ. **ი-ღგრტინ-ე** „რაიმე საქმის გამო ყელს ითხრის საყვედურებით“); **ლი-ღუმ-ე** „ხარბად სმა ღვინისა...“ (შდრ. **ი-ღუმ-ე** „ხარბად სვამს ღვინოს...“); **ლი-ჟილყ-ე** „მსუქანი კაცის ხტომა, ვარდნა“ (შდრ. **ი-ჟილყ-ე** „მსუქანი კაცი ხტება, ვარდება“); **ლი-ყრანჭუნ-ე** „ყლურწვა“ (შდრ. **ი-ყრანჭუნ-ე** „ყლურწავს“); **ლი-ძენძურ-ე** „მოგლეჯვა, მოხევა“ (შდრ. **ი-ძენძურ-ე** „იგლეჯს, იხლეჩს, იხევს“); **ლი-პწკ-ე** „მოციცქნვა, მოხევა“ (შდრ. **ი-პწკ-ე** „აციცქნის, ახევს“) და სხვ. [საღლიანი, 2015:364-365].

ბგერწერით ლექსიკაში გამოვლენილ **ლი-ე** კონფიქსური წარმოების მასდარებში როგორც მოსალოდნელი იყო აფიქსთა დისტრიბუციის ზემოთ განხილული წესები და

შესაბამისი ზმნისთვის -ე და -ა დაბოლოების ქონა აწმყოში არ მოქმედებს და ბალანსი ხშირად არის დარღვეული, სავარაუდოდ ბგერწერითი ლექსიკის ბუნებიდან, ფონოსემანტიკური სპეციფიკიდან გამომდინარე.

§ 2. ლი-ი აფიქსებიანი მასდარი

მასდარი ზმნისაგან (აგრეთვე სახელისაგან) ნაწარმოები ფორმაა, რომელსაც მოეპოვება საკუთარი მაწარმოებლები, აფიქსები, წარმომქმნელი მორფოლოგიური ერთეულები. თანამედროვე სვანურში ამ მორფემათა / მორფოლოგიურ ერთეულთა აწმყოს მწკრივის უმაქცევრო ფორმაზე დართვის გზით წარმოიქმნება მასდართა სტრუქტურული ყალიბები.

ლი – ი თვსართ-ბოლოსართით იწარმოება იმ ზმნათა მასდარი, რომელთა მოქმედებითი გვარის აწმყო – ი ალომორფიანია. შდრ.

აწმყო

ი-თურ-ი „სწავლობს“

წსყ-ი „აკეთებს“

წშხ-ი „წვავს“

ხწდჷწ-ი „სთხოვნის“

მასდარი

ლი-თურ-ი „სწავლა“

ლი-სყ-ი „კეთება“

ლი-შხ-ი „წვა“

ლი-დჷწ-ი „თხოვება“...

საშუალ-მოქმედებითი გვარის ერთი ჯგუფის ზმნათა მასდარი ასევე ლი-ი პრეფიქს-სუფიქსით იწარმოება:

ალომორფი ლი-ე:

კრლ-ი „კივის“

ალხტწრ-ი „მთაზეა“

გწრგლ-ი „ლაპარაკობს“

სტბ-ი „ცეკვავს“

ლი-კრლ-ი „კივილი“

ლი-ლხტწრ-ი „ამთევება“

ლი-გწრგლ-ი „ლაპარაკი“

ლი-სტბ-ი „ცეკვა“...

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საშუალ-მოქმედებითი ანუ ავტოაქტივების დ. მელიქიშვილის ტერმინოლოგიით, ანუ მედიაოქტივების რაოდენობა სვანურში საკმაოდ მცირეა და შეზღუდული. ამასთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესოა, რომ „სემენტური მორფოლოგიური ერთეულებით თანამედროვე სვანურში მხოლოდ მოქმედებითი და ვნებითი გამოიხატება (ოპოზიციის მარკირებული წევრები), საშუალი გვარის ფორმა კი მათ ნიშნის უქონლობით უპირისპირდება (ოპოზიციის არამარკირებული წევრი) [ონიანი, 1998: 233]. სვანურში საშუალ-მოქმედებითა ამ მცირე რაოდენობაშიც კი შევხვდებით მასდართა წარმოების სამივე ყალიბს:

ალომორფი ლი-ე:

ფჷე {ეჯა} „დულს“	ლი-ფჷ-ე „დულილი“
არკუნე {ეჯა} „კანკალეს“	ლი-რკუნ-ე „კანკალი“
ჰვლრფანე {ეჯა} „უმნოდ იყურება“	ლი-ვლრფან-ე „უმნოდ გამოხედვა“

ალომორფი ლი-:

სიპ {ეჯა} „ტრიალებს“	ლი-სიპ „ტრიალი“
იხელწიფ {ეჯა} „მეფობს“	ლი-ხელწიფ „მეფობა“
ირხუნწლ {ეჯა} „ქუხს“	ლი-რხუნწლ „ქუხილი“...

ლი-ი პრეფიქს-სუფიქსური წარმოების მასდარებია:

ლი-ბჷენ-ი „გაგება, შეტყობა“, ლი-ბრწლ-ი „დაბრალება“, ლი-ბრწჷ-ი – დაბარვა, ლი-ბჯგ-ი – 1. ხელკავით წაყვანა 2. მიდგმა, ლი-ბგრდწგ-ი „გაცილება“, ლი-გცხწდ-ი „გამოცხადება, თქმა“, ლი-გჷდჷრ-ი „ხელს მოკიდება“, ლი-გჷნ-ი „ტირილი“, ლი-გჷრწწ-ი „დაგორება, გორება“, ლი-გგრგწლ-ი „ლაპარაკი“, ლი-გგრმწჷ-ი „მთლიანად დაწვა“, ლი-დგურფუნ-ი „დგაფუნი“, ლი-დგწრ-ი „მოკვლა“, ლი-დ-ი/ ლი-დწსგ-ი „დადება“, ლი-დჷრწწ-ი „უარის თქმა“, ლი-დმწწ-ი „თხოვება“, ლი-ზზ-ი „გაგზავნა“, ლი-ზილწჷ-ი „დაზელვა“, ლი-ზწწწ-ი „მოვლა“, ლი-თშ-ი „ამორჩევა“, ლი-თხელ-ი/ლი-თხელ-ი „ძებნა“, ლი-თხჷმ-ი „მეთაურობა“, ლი-თჷენ-ი „შობა, დაბადება“, ლი-თჷრ-ი

„სწავლა“, ლი-კვტუ-ი „ერთიანად მოგროვება, თავმოყრა“, ლი-კლ-ი „დაკეცვა“, ლი-კლანთხ-ი „ამაღლება“, ლი-კლანს-ი „სკოლაში სიარული, მოსწავლეობა“, ლი-კრლ-ი „კივილი“, ლი-კტუფხ-ი „ნეკერის მოჭრა“, ლი-კტუჩხ-ი „კოჭლობა“, ლი-კტუცან-ი „შემშრალეობა“, ლი-კტუკვლ-ი „მომიება“, ლი-ლგტუნ-ი „დაფასება“, ლი-ლმესგარ-ი „ცეცხლში შეშის შენთების პროცესი, ცეცხლობა“, ლი-ლხანტ-ი „მეტისმეტად დაღლა“, ლი-ლხტუნ-ი „ზაფხულობით სათიბად ან სამწყემსავად მთაში ცხოვრება/ ამთევება“, ლი-ლანში-ი „დათესვა“, ლი-მბტ-ი „თხრობა, მბობა“, ლი-ნბან-ი „დაფიცება“, ლი-მზგრ-ი „ლოცვა, შელოცვა“, ლი-მკტუედ-ი „მთლიანად მონდომება“, ლი-მურსგტუნ-ი „გამართლება, გამარჯვება, მარჯვენობა“, ლი-მურყტუნ-ი „აკომპება, ჰიპერბოლიზება“, ლი-მურჯ-ი / ლი-მანჯტ-ი „დახმარება“, ლი-მჯერ-ი „შეტყობა“, ლი-ნბან-ი „დაფიცება“, ლი-ნტყ-ი „ყლაპვა“, ლი-ნწერ-ი „ბედისწერის მიერ ატანა“, ლი-ნხენ-ი/ ლი-ნხ-ი „დაფენა, ჩატნევა“, ლი-ნჯრ-ი „თან გაყოლა, თანხლება“, ლი-პსუხ-ი „პასუხის გაცემა“, ლი-ჟგტრ-ი „წამლობა, აქიმობა“, ლი-ჟრ-ი „შეცოდება, შებრალება“, ლი-ჟხენ-ი „დარქმევა“, ლი-ჟხენ-ი „ჩამოზვავება“, ლი-რგანდ-ი „ლაპარაკი“, ლი-რგანტ-ი „მოგვარება, გადაწყვეტა“, ლი-რდ-ი „გაზრდა“, ლი-რდანლ-ი „გაზრდა ბევრისა“, ლი-რკანლ-ი „გარეკვა“, ლი-რმ-ი „დაწერა“, ლი-რში-ი/ ლი-რშენ-ი „დაფენა, გამლა“, ლი-რშტუნ-ი „დარღვევა, მოხსნა“, ლი-რშტუნ-ი „ხსენება“, ლი-სგდ-ი „ყურება, მზერა“, ლი-სყ-ი/ლი-სყენ-ე „კეთება, ქმნა“, ლი-სხენ-ი „დაარსება“, ლი-სხანთ-ი „მოხერხება“, ლი-სტბ-ი „ცეკვა“, ლი-სგრდ-ი „მზრუნველობა, მეურვეობა“, ლი-ფსენ-ი „დაფასება“, ლი-ფხტან-ი „გამოჩხრეკა“, ლი-ქდენ-ი „აცდენა“, ლი-ქრანტ-ი „დაკარგვა“, ლი-ქჩენ-ი „დაჭრა“, ლი-ქანბ-ი „გვერდის ავლა“, ლი-ღლ-ი „ლოდინი, ცდა“, ლი-ღწმგ-ი „წართმევა“, ლი-ღტრეტ-ი „მოტყუება“, ლი-ღტუნ-ი „ყიდვა, ვაჭრობა“, ლი-ყდ-ი „ყიდვა“, ლი-ყდან-ი „დაჭერა, დაკავება“, ლი-ყენლ-ი „ყველის ამოყვანა“, ლი-ყუნლ-ი „ყმული“, ლი-შდლტ-ი „დამარხვა“, ლი-შკანდ-ი „გამოჭედვა“, ლი-შნანტ-ი „გაშენება“, ლი-შტრანტ-ი „მიშტერება“, ლი-ბომბანტ-ი „დაბომბვა“, ლი-შუნდტებ-ი „შენდობა“, ლი-შყტდ-ი „გარეცხვა“, ლი-შხტუნ-ი „შენახვა“, ლი-შხ-ი „დაწვა“, ლი-შტრ-ი „წყენა“, ლი-შგლ-ი „მული“, ლი-ჩრანტ-ი „გაჩერება“, ლი-ჩხრიკ-ი „გამოჩხრეკა“, ლი-ჩგგრანტ-ი „დაცავგრა“, ლი-ცხტენ-ი „გაჩხერა“, ლი-ცტმენ-ი „წასმა“, ლი-ძინძლანტ-ი „დაძენძვა“, ლი-ძცენ-ი „დაკვლა“, ლი-

მცხალ-ი „გარეკვა, წკეპლით საქონლის გადენა“, ლი-ძგრცაჲ-ი „გამარცვა“, ლი-წს-ი „დაპატიჟება“, ლი-წურ-ი „შურისძიება“, ლი-ჭკუტარ-ი „ფიქრი“, ლი-ჭრანჲ-ი „შეთავაზება, დამალება“, ლი-ჭუდან-ი „კითხვა“, ლი-ჭუნ-ი „მოხვევა“, ლი-ხნ-ი „შემოშვება“, ლი-ხრეს-ი „ჯერობა, რიგრიგობა“, ლი-ხუდესგ-ი „დახვედრება“, ლი-ჯმ-ი „მაფის დარტვა“, ლი-ჰრ-ი „თხოვა“, ლი-ჰუდ-ი „მიცემა“, ლი-ჰუმ-ი „დამალვა“, ლი-ჰუნარ-ი „მოსმენა“, ლი-ჲდ-ი „მიცემა“, ლი-ღრი/ღრ-ი „წერა“, ლი-ღსენ-ი „დაკლვა“, ლი-გმარ-ი „მოხმარება“, ლი-ზ-ი „წასვლა“, ლი-ზნან-ი „მოვლა“, ლი-მბჲ-ი „მბობა, თხრობა“, ლი-შგალ-ი „მოწველა“...[ექსპედ. მასალ.]

-ა და -ობ სუფიქსური წარმოების მასდართა გამოვლენის, აღწერისა და ანალიზის მიუხედავად, გამომდინარე ამ უკანასკნელთა მცირერიცხოვანებიდან, სვანურში მასდარის მაწარმოებელი ძირითად მორფემად ითვლება ლი- თავსართი, რომლის ვარიანტებია ანუ ალომორფებია ლი-ე და ლი -ი.

§ 3. ლი-ჲ აფიქსებიანი მასდარი

ამ ტიპის სახელებია: ლი-მსგაჲ-ჲ „ძეობა“, ლი-მარ-ჲ „კაცობა“, ლი-ზურნალ-ჲ „ქალობა“, ლი-მან-ჲ „სიბერე“, ლი-დი-ჲ-ლი-გზალ-ჲ „დედა-შვილობა“, ლი-მუ-ჲ-ლი-გზალ-ჲ „მამა-შვილობა“, ლი-ჲდულ-ჲ „დობა“, ლი-ჯმულ-ლი-დჩურ-ჲ „და-ძმობა“, ლი-თლადურ-ჲ „რძლობა“, ლი-ამან-ჲ „მტრობა“, ლი-სრმაჲ-ჲ „ქალიშვილობა“, ლი-ბოფშ-ჲ „ბავშვობა“, ლი-ხეხუჭამ-ჲ „ცოლ-ქმრობა“, ეგრ. ლიხეხჲ-ლი-ჭამ-ჲ „ცოლ-ქმრობა“ (ზედმიწევ. „სიცოლ-სიქმრე“), ფუსჲდ „ბატონი“ > ლი-ფუსდ-ჲ „ბატონობა“ (ზედმიწევ. „სიბატონე“), ლი-ხალ-ჲ / ლიხალ „ცოდნა“ ლი-ხან-ჲ „ღორობა“, ლი-ლანტ-ჲ „ყვარება“, ლი-მსგაჲ-ჲ „ძეობა“, ლი-ფურ-ლი-ჯან-ჲ „საქონლობა, საქონლურად“ (ზედმიწევ. ხარ-ძროხულად), ლი-მყარ-ჲ „ძმების ცოლობა, შილობა“, ლი-სუნან-ჲ „ნათელმრონობა“...

სწორედ ლი- პრეფიქსის „მასდარული ბუნებიდან“ გამომდინარე ვ. თოფურია ამ ჯგუფის სახელებს განიხილავს როგორც მასდარებს, მა- პრეფიქსით ნაწარმოებ

ფორმებს კი- როგორც განყენებულ სახელებს: (მწ-გიდ „ძილი“, მა-ჟარ „მოწყენა“, მწ-ხიად „სიხარული“, ბზ. მა-შონ-ა „შური“, ლშხ. მა-ღურ-ა „ფიცი“)... ამ უკანასკნელთ ზ. ჭუმბურიძე, აღ. ონიანი აბსტრაქტულ სახელებად და არა მასდარებად ახასიათებენ.

ვ. თოფურიასთვის კი ლი- პრეფიქსით წარმოება, ანუ მასდარული ყალიბი არის ამოსავალი პრინციპი, თუმცა, რა თქმა უნდა, გარკვეულ დაბრკოლებებს აწყდება: ვახდენთ ზედმიწევნით ციტირებას: „სახელთაგანაც იწარმოება მასდარი ლი-თავსართით: მეჩი > ლი-მწრ-ჟ „სიბერე“, ლი-მჩ-ე „ბერება“, ლი-მჩ-წლ „ბერობა“, ლი-მარ-ჟ „კაცობა“, ლი-ზურწლ-ჟ „ქალობა“...

მთელს რიგს ნასახელარ ზმნებისას აწმყოში და ნასახელარ მასდართ საერთო ფუძე მოეპოვება, მაგრამ არის არც თუ ცოტა შემთხვევები, როცა ნასახელარი მასდარი გვაქვს (ხაზგასმა ჩვენია! – ი. გუჯეჯიანი) და ზმნა კი არა: მწრე „კაცი“ > ლი-მარ-ჟ „კაცობა“, ლი-დი-ჟ-ლი-გზწლ-ჟ „დედა-შვილობა“, ლი-მუ-ჟ-ლი-გზწლ-ჟ „მამა-შვილობა“, ლი-ჟდულ-ჟ „დობა“, ლი-ჯმულ-ლი-დჩურ-ჟ „და-ძმობა“... [თოფურია, 1967 :211-212].

ლი-დი-ჟ-ლი-გზწლ-ჟ – დედაშვილობა: ხომწლე ნწქჟ ლი – ლიდიულიგზწლჟს დწრმოშ აყლჟრე [ექსპედ. მასალ. ინფ. მ.ფილფანი, 97 წლის, მესტია] - უფროსების ნათქვამია, რომ დედაშვილობა ურყევია.

ლი-ხეხ-ჟ-ლი-ჭწშ-ჟ – ცოლქმრობა: დადას ი ბაბას ხოჩა ლიხეხ-ჟლიჭწშჟ ხწდხ [ექსპედ. მასალ.ინფ. მ.ფილფანი] „ბეზიას და ბაბუას კარგი ცოლქმრობა ჰქონდათ“.

ჩვენი ემპირიული მასალით დავადასტურეთ ამ მასდართა ზმნის პირიანი ფორმებიც: მართალია, სალიტერატურო ქართულისთვის თითქოს ხელოვნურია, არაბუნებრივია ფორმა „აცოლქმარებს“ (ის მათ), „ცოლქმარდებიან“ (ისინი), მაგრამ სვანურში აღნიშნულ ფორმებს სრულებითაც არ აკლიათ ბუნებრიობა – დაქორწინება, დაოჯახების მნიშვნელობით:

ად-ხეხ-ჟ-ჭწშ-ე (ეჯნემ ეჯიწრ) „დააქორწინა (მან ისინი) (ზედმიწ. „დააცოლქმარა“)

წდ-ხეხ-ჟ-ჭწშ-წწ-ხ (ეჯიწრ) „დაქორწინდნენ (ისინი) (ზედმიწ. „დაქორწინდნენ“)...

ობწშ ლირგადიგნლო ლიხეხ-ჟჭწშ ხექეხ უმხჟარ [ბქ. 33, სვან. ლექსიკ., 2000: 484] „ბევრი ლაპარაკის შემდეგ ცოლქმრობა უთხრეს ერთმანეთს“.

ლიდიუ - დედობა. (დი - დედა) **გეზალურ ზურალს ლიდიუ მოდმა ესერ ხოჯიდა** (ანდ.) [ბზ., სვან.ლექსიკ., 2000. 430] - უშვილო ქალს დედობა არ გამოუცდიაო.

ად-ხეხუტ-ჭაშ-ე მოქმედებითი გვარის ზმნაა, მეორე სერიის წყვეტილის მწკრივის ფორმით, ერგატიული კონსტრუქციით (ეჯ-ნ-ემ ეჯი-პრ „მა-ნ ისი-ნ-ი“), **აღ-ხეხუტ-ჭაშ-ჰნ-ხ** (ეჯიპრ) - ვნებითია, იმავე წყვეტილის მწკრივის ფორმით და ნომინატიური კონსტრუქციით. აღნიშნული ფორმები განსაკუთრებით ზღაპრების ენისთვისაა დამახასიათებელი, **ადხეხუტჭაშე** „დააოჯახა, დააქორწინა“ (ზედმიწ. „დააცოლქმარა“) **აღხეხუტჭაშჰნხ** „დაცოლქმარდნენ“ ფორმებს ვერ გაიგონებთ ახალგაზრდების მეტყველებაში, მაგრამ თამამად დაგვიდასტურეს საველე მუშაობისას ასაკოვანმა ინფორმატორებმა.

იგივე შეიძლება ითქვას **ლი-სრმაქ-უტ** „ქალიშვილობა“ < **სრმაქ** „ქალიშვილი“ < **ქართ. სიამე** + სვან. -**მაქ** „თვის“. (ზედმიწ. „სიამოვნებისთვის“).

სვანურში ქალის აღმნიშვნელი ლექსებებია: **ზურნალ** „ქალი“, **ზურნალმწრე** „დედაკაცი“, **ჰასუტიშ** „ასული“, **ლი-ზურნალ-უტ** „ქალობა“, **დინა / დივო** „გოგონა“, **სრმაქ** „ქალიშვილი“... ეს უკანასკნელი არ იხმარება გათხოვილი ქალის მისამართით, ითქმის მხოლოდ გასათხოვარ ქალზე. (რაკი თხოვრას მოყვა, აქვე შევნიშნავთ დიდი ქართველი ენათმეცნიერის მიხეილ ქურდიანის „გულისტკივილზე“ და დიდ სურვილზეც, რაც არაერთხელ განუცხადებია კონფერენციებზეც: „დროა ქართველურმა ენებმა ისესხონ სვანურიდან მშვენიერი სიტყვა **სრმაქ** „ქალიშვილი“).

ლი-სრმაქ-უტ „ქალიშვილობა“ მასდარს სვანურში ასევე შეესაბამება ზმნის პირიანი ფორმები, რომლებიც საკმაოდ ბუნებრივი ელფერის მატარებელია, აქვს მხოლოდდამხოლოდ დადებითი კონოტაცია: **ი-სრმაქ-წლ / ი-სრმაქ-** „ქალიშვილობს“, **ქ'წდი-სრმაქ-წნ** „დაქალიშვილდა“...

აქვე განვიხილავთ **ლი-გზელ-ი** „შვილების გაჩენა“ მასდარის შესაბამის ზმნის პირიან ფორმებს, სვანურში საკმაოდ გავრცელებულს და ორგანულს: **ჭგზელი** (ეჯა) „აჩენს შვილებს“ (ზედმიწ. „აშვილოსნებს“), საინტერესოა ისიც **ჭ-გზელ-ი** (ეჯა) ა-მაქცევარი მოქმედებით გვარისაა, განსხვავებით სვანურში მეტისმეტად პროდუქტული **ი-** პრეფიქსისაგან, რომელიც სვანურში აწარმოებს რეფლექსივსაც, ავტოაქტივსაც, **ი-**

ნიან, დ-ონოან, უნიშნო ვნებითებს (შდრ. ილრლ „მღერის“, ი-ხგლწიფ „მეფობს“, ი-შხი „იწვის“, ი-მშხი „შავდება“, ი-ფრი „ხმება“...) **ჭგზელი** (ეჯა) სვანურში, მამასადაძმე, მოქმედებითი გვარის ზმნაა, პირი კი მხოლოდ ერთი შეეწყობა, იმიტომ რომ პირდაპირი ობიექტი ზმნის ძირშივე იგულისხმება - ამიტომია რომ სვანურში გვაქვს ფორმები: **ჭგზელი** (ეჯა) / **ჭთნე** (ეჯა ეჩას) „აჩენს“ ის მას; მაგრამ სვანურისთვის ბუნებრივი თქმა არ იქნება სინტაგმა: **ჭგზელი გეზალს**, განსხვავებით **ჭთნე გეზალს** „აჩენს შვილს“ - სიტყვათშეხამებისაგან.

ამგვარად, ქართველოლოგთა სამაგიდო წიგნის - ვ. თოფურია „სვანური ენა, ზმნა, თბ. 1967 წ. - მონაცემებზე დაყრდნობით და ჩვენ მიერ დამატებით მოძიებული ემპირიული მასალის საფუძველზე **ლი-უ** კონფიქსური წარმოების სახელები - **ლი-მსგა-უ** „ძეობა“, **ლი-ხეხუჭაშ-უ** „ცოლ-ქმრობა“, **ლი-მსგა-უ** „ძეობა“, **ლი-მარ-უ** „კაცობა“, **ლი-მყარ-უ** „ძმების ცოლების ურთიერთობა, შილობა“, **ლი-სტნა-უ** „ნათელ-ძირონობა“... სვანურში მასდარებია.

§ 4. მასდართა ოდენ პრეფიქსული წარმოება: **ლი-**

ლი- პრეფიქსით იწარმოება ძირითადად **ვნებითი გვარის ზმნათა** მასდარი;

მოქმედებითი გვარის ზმნათაგან კი **ლი-** პრეფიქსით მასდარს აწარმოებენ ის ზმნები, რომლებიც აწმყოში უნიშნო ანუ ნულოვანი ალომორფით არიან წარმოდგენილნი. **ლი-**ს გამოყენება მასდარის მაწარმოებელ პრეფიქსად, როგორც სანალიზო მასალის დამუშავებითა და სვანური სალექსიკონო მონაცემებით ირკვევა, სხვა მაწარმოებლებთან შედარებით გაცილებით უფრო ხშირია.

აწმყო

მასდარი

ვნებითი:

კუტეშნი „ტყდება“

ლი-კუტეშ „გატყდომა“

ხუტერნი „ირღვევა, ინგრევა“

ლი-ხუტერ „დარღვევა, ჩამოშლა“

ფხეჟნი „იშლება“

ლი-ფხეჟ „დაშლა“

ჭკეჟნი „წყდება“

ლი-ჭკეჟ „ამოწყდომა“...

მოქმედებითი:

ხეშგუთემ „სთხოვს“, ლი-შეგუთემ „თხოვნა“,
აგემ „აგებს, აშენებს“ ლი-გემ „აგება, აშენება“
იქუთემ „იცვამს“ ლი-ქუთემ „ჩაცმა“
იქუთერ „იპარავს“ ლი-ქუთერ „მოპარვა“...

ლი- თავსართით ნაწარმოები მასადრებია: ლი-ბეგუ „პოვნა“, ლი-ბეკ „მიბჯენა“, ლი-ბემ „დაბმა“, ლი-ბერ „მოკლება, დაკლება“, ლი-ბეჰუ „გასკდომა“, ლი-ბეჯგ „დაბჯენა, მიყრდნობა“, ლი-ბიდ „გაწევა“, ლი-ბჷჷ „მიჩნევა“ ლიგემ „შენება, დადგმა, აშენება“, ლი-გეჰ „გადლება“, ლიგარჯ „სიძნელე“, ლი-გუბ „პოვნა“, ლი-ეხ „დაცემა“, ლი-ზჷზ „მიგებება“, ლი-ზუბ „ჭამა“, ლი-თელ „მიკარება“, ლი-თერ „ცნობა, გაცნობა“, ლი-თხეფ „დაფენა, გადაფარება“, ლი-თხუთარ „ნადირობა“, ლი-თუფე „თოფის სროლა“, ლი-კედ „აღება“, ლი-კუთემ „გატყდომა“, ლი-კუტჰ „გავრცელება“, ლი-ლკჷფ „მორიდება“, ლი-მზირ „ლოცვა“, ლი-მსახუთერ „მუშაობა, მსახურება“, ლი-პეჷ „დამალვა“, ლი-პერ „ფრენა“, ლი-ჷთელ „გადლოლა“, ლისიპ /ლისიპანჷლ „ტრიალი“, ლისკებ – 1. მიმაგრება 2. დაკავება 3. შერჩენა; ლისკოდ „დატევა“, ლისუთემ „ჩარჭობა“, ლიტებ – 1. დაბრუნება 2. აფუყება 3. ამჷყავება; ლი-ფემ „დაღლა“, ლი-ფეცხ „მოცილება“, „მცირე ნაწილის მოშორება“, ლი-ფხეჷ „დაშლა“ < ფხეჷნი „იშლება“ ლი-ქემ „მატება“, ლი-ქებ „მიწევა“, გადაწევა“, ლი-ქუბსგ „თქმა“, ლი-ქჷდ „შეცდენა“, ლი-ქუთემ „ჩაცმა“, ლი-ქუთერ „მოპარვა“, ლი-ღჷლ „გახდა“, ლი-ღუჷჰ „დადევნება“, ლი-ყერ „ცემა, დარტყმა“, ლი-ყერ „თავის დანებება“, ლი-შეგ „მივარდნა“, ლი-შეგუთემ „თხოვნა“, ლი-შდერ „გართობა“, ლი-შდებ „დამთავრება“, ლი-შდჷბ „მუშაობა, შრომა“, ლი-შედ „შველა“, ლი-შკეფ – შეფეთება, მოულოდნელად შეხვედრა; ლი-შყედ „გახსენება“, ლიშოდ – შემოსევა, დასევა“, ლი-ჩედ „გაქცევა“, ლი-ჩემ „დასწრება, მისწრება“, ლი-ცელ „გახევა“, ლი-ცხემ „გაზრდა“, ლი-ცხებ „გარს შემოვლა“, ლი-ცჷდ „შენაცვლება“, ლი-ცუთემ „წამოკიდება“, ლი-ძგერ „დაჯახება“, ლი-ძგუბ „ჩაწყდომა“, ლი-წედ „ნახვა“, ლი-ჰემ – 1. ძუძუს წოვება 2. დადევნება ლი-ჰკეჷ „ამოწყდომა“, ლი-ჰოდ „მიყრდნობა“, ლი-ჰუჷდ „დასევა, შემოსევა“, ლი-ხჷლ „ცოდნა“, ლი-ხუთერ „დარღვევა, ჩამოშლა“, ლი-ხუთებ

„ამოწყდომა“, **ლი-ხტერ** „უმჯობესობა“, **ლი-კედ** „მოსვლა“, **ლი-იმწხტ** „მტრობა“, **ლრ-ტტ** „გაქცევა“...

საინტერესოა, რომ დღეს ოდენპრეფიქსული წარმოების **ლრ-ტტ** „გაქცევა“ მასდარისათვის ისტორიულად თავსართ-ბოლოსართიანი წარმოება ივარაუდება:

სვანური **ლრ-ტტ** „გაქცევა“ კანონზომიერი შესატყვისია ქართული **ვლტ- ი-ვლტ-** ის „მირბის“ **სი-ვლტ-ოლ-ა** „სირბილი“, მეგრული **რტ- / ნტ- რტ-ება /ნტ-ება** „გაქცევა“ და ლაზური **ო-მტ-ინ-უ** „გაქცევა“ ლექსიკური ერთეულებისა; გვხვდება ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში: დაუტევენის ცხოვარნი და **ივლტინ**; რაითა არა იყოს **სი-ვლტ-ოლ-ად** თქუენი ზამთარსა შინა...სვანური **-ტტ** მიღებული ჩანს ***-ტლტ-** ისაგან **ლ-ს** დაკარგვითა და **ტ-**ს მეტათეზისის შედეგად. საწყისი **ლრ-ტტ** < ***ლრ-ტლტ-ტ** [ფენრიხი, სარჯველაძე, 1990: 126]

ლრ-ტტ „გაქცევა“ მასდარში საინტერესოა აგრეთვე პრეფიქსული ხმოვნის სიგრძე განსხვავებით ამავე საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფის საწყისთაგან, რომელნიც წესისამებრ **ლი-** მარტივი აფიქსით არიან წარმოდგენილნი. როგორც თოფურია ქალდანის - სვანურ ლექსიკონში ასევე ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში და მ. ჩუხუას ქართველურ ენა- კილოთა შედარებით ლექსიკონში ამგვარად ნაწარმოები რამდენიმე მასდარული ფორმა დასტურდება მხოლოდ: **ლრ-ტტ** „გაქცევა“, **ლრ-ზ-ი** „სვლა“, **ლრ-თ-ე** „წილის მიცემა“, **ლრ-ქტრსგ** „თქმა“, **ლრ-ცტ** „სიცილი“, **ლრ-შგ-ი** „წველა“, **ლრ-შდნ-ე** „დავიწყება“, **ლრ-შტ-ე** „დანთება“ ...

როგორც ვხედავთ, სტრუქტურული ყალიბების მიხედვით პრეფიქსული ხმოვნის სიგრძე გამოვლინდა ყველა ტიპის მასდარში როგორც ოდენპრეფიქსულ ისე პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოებისაში. საინტერესოა კითხვა, რამ განაპირობა პრეფიქსული ხმოვნის სიგრძე? დადასტურებულად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის საკომპენსაციო სიგრძე შემდეგ ლექსემებში: **ლრ-ტტ** < ***ლი-ტლტ-ტ** „გაქცევა“,

ლრ-ზ-ი < ***ლი-გზი** „სვლა“, **ლრ-ქტრსგ** // ***ლრ-ქუმა** < ***ლი-თქუმა**...

მასდარში **ლრ-ზ-ი** < ***ლი-გზი** „სვლა“, სვანურში **გზ** კომპლექსის გამარტივების შედეგად მივიღეთ **ზ**, რომლის წინამავალი ხმოვანი **გ-ს** დაკარგვის გამო

დაგრძელებულია, (შდრ. ქართ. თქუმა, სვან. ლრ-ქურსგ; ქართ. ვლთ- ვლთ-ობა „გაყოფა“ სვან. ლრ-თ-ე „წილის მიცემა“, სვან. ნწთი „ნაწილი“).

***გზ** არქეტიპი უნდა აღდგეს საერთო-ქართველურ დონეზე. ქართული გზა და ლაზ. გზა დააკავშირა გ. როზენმა. ქართული, მეგრული და ლაზური სახლური და ზმნური ფორმები შეაპირისპირა ა. ცაგარელმა. სვანური ეკვივალენტი ლრ-ზ-ი კი გამოავლინა გ. კლიმოვმა [ფენრიხი, სარჯველაძე, 1990: 81].

ლრ-ტუ „გაქცევა“, ლრ-ზ-ი „სვლა“, ლრ-თ-ე „წილის მიცემა“, ლრ-ქურსგ „თქმა“... მასდარებში პრეფიქსისული ხმოვნის სიგრძე, მაშასადამე, კვალიფიცირებულია საკომპენსაციო სიგრძედ. რამდენადაც ესენი საკმაოდ არქაული ლექსებებია და ზუსტ შესატყვისობებს გვიჩვენებენ ყველა ქართველურ ენაში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამავე ტიპის სიგრძესთან უნდა გვქონდეს საქმე დანარჩენ მასდარებშიც: ლრ-ცუ „სიცილი“, ლრ-შგ-ი „წველა“, ლრ-შდნ-ე „დავიწყება“...მით უფრო, მათი რიცხვი არც ისე ბევრია, ამ საწყისებსიც უნდა ვივარაუდოთ ხმოვნის დაკარგვა და საკომპენსაციოდ პრეფიქსისეული ი-ს დაგრძელება.

ლი- პრეფიქსიან მასდართა ილუსტრაციები სვანური ტექსტებიდან და ინფორმატორთა მეტყველებიდან:

ლიმარგ (ზს.) „ვარგისობა, სიმარჯვე, სიყოჩაღე, მოქნილობა, სისწრაფე, მამაცობა“
ქაკუაჰ ჩაგ ამიშ ლიმარგ [ბქ., სვან. ლექსიკ., 2000:440] - ამის სიმამაცის ხმა ყველგან გავარდა.

ლიდეგ (ზს.) „ქრობა/ჩაქრობა“.
მტუკმწრს ლიდეგ ხოპირახ [ზზ., სვან. ლექსიკ., 2000: 431] - ნაპერწკლები ჩაქრობას აპირებენ.

ლი-კედ -აღება, მოპოვება, ამოწყვეტა. მაი ჰმშყად, ერ ლიკედ მეკუჰად (ზზ) - რაც დამივარდა იმისი აღება მინდოდა.

გუშგუჰე უჩგდდ ამხუჰ ლიკედ ხოჩა რრა [ზზ., სვან.ლექსიკ., 2000:436] - მტრის ამოწყვეტა ჩვენს ჩაურევლად კარგი იქნება.

ლი-სედ -დარჩენა. ბწი ეჩე ლისედ მაკუ [ზზ., სვან.ლექსიკ., 2000:447] - ამაღამ იქ დარჩენა მინდა.

ლი-შედ - შველა.

ჭყინტს ხელწიფი ლიშედ ჩუ ხამდჷდა [ბზ., სვან.ლექსიკ., 2000:461]

- ბიჭს ხელმწიფის შველა შეუძლია.

ლი-შყედ - დავარდნა, ვარდანა, ჩამოვარდნა. **მიშგუ დეცხანჩუ ლიშყედ ლამისნაუ** [ბზ., სვან.ლექსიკ., 2000:466] ჩემი ციდან ჩამოვარდნა დამესიზმრა.

ლი-შყედ - გახსენება. **მიჩა დრეჭჷი ჟი ლიშყედ ხაკუ გტააშუ** [ბქ., სვან.ლექსიკ., 2000:466] - საქმეს თავის დროზე უნდა გახსენება.

ლი-ზაზ - მიგებება. **მექვერწლას ქა ლიზაზ ხაკუ** - მექორწილებს მიგებება უნდათ.

ლი-ბგაღ ბზ., **ლი-ბგაღ** ბქ., **ლი-ბგაღ** ლშხ.,- გამაგრება , გაჯიუტება. **ქორს ლიბგაღ ხაკუ** [ბზ., სვან.ლექსიკ., 2000:425] - სახლში გამაგრება უნდა.

ლი-ბრაღ ბზ., **ლი-ბრაღ** ბქ., **ლი-ბრაღ** ლშხ. - დაბანა. **ბეფშუს ლიბრაღ გუნ ხამჭირ** [ბზ., სვან.ლექსიკ., 2000:426] - ბავშვს დაბანა ძალიან ეზარება.

ლი-ბურდაღ ბზ., **ლი-ბურდაღ** ბქ., **ლი-ბურდაღ** ლშხ. - არეულობა, აშლილობა. **ეჯდარე ქორისგა ლეთი ლიბურდაღ ლაშუ** [ბზ., სვან.ლექსიკ., 2000:426]

- იმათ სახლში წუხელ არეულობა იყო.

ლი-ლჭაღ ბზ., **ლი-ლჭაღ** ბქ., **ლი-ლჭაღ** ლშხ. - მოთქმა, დატირება. **ზურნღ ჟი იბნე ლილჭაღს** [ბზ., სვან.ლექსიკ., 2000:440] - ქალი დაიწყებს მოთქმას.

ლი-მშერაღ ბზ., **ლი-მშერაღ** ბქ. - ჩივილი, წუხილი.

ბექმურზას კოჯხენქა ლიმშერაღ ხასგმდა [ბქ., სვან.ლექსიკ., 2000:442] - ბექმურზას კლდიდან წუხილი, ჩივილი მოესმა.

ლი-ნზორაღ ბზ., **ლი-ნზორაღ** ბქ., **ლი-ნზორაღ** ლშხ., **ლინაზორაღ** ლნტ. - თავშეყრა, შეკრება. **მერმე ლადაღ იბნეხ ლინზორაღს** [ბზ., სვან.ლექსიკ., 2000:443] - მეორე დღეს იწყებენ თავშეყრას.

ლი-წყაჭაღ ბზ., **ლი-წყაჭაღ** ბქ., **ლი-წყაჭაღ** ლშხ. - საუბარი, მასლაათი, დროის გაყვანა, თავის გართობა. **მამჭირაღ ზუროლარს ლინყაჭაღ ხალატხ** [ბზ., სვან.ლექსიკ., 2000:443] - ზარმაც ქალებს მასლაათი, დროის გატარება უყვართ.

ლი-ჟუმურალ ბზ., **ლი-ჟუმურა**ლ ბქ. - აშლილობა, არეულობა. ქორისგან ლიჟუმურა^ლს **ლითა**ლ **ესერ ახფასა** (ანდ.) [ბზ., სვან.ლექსიკ., 2000:445]- ოჯახში აშლილობას გაყრა მოჰყოლიაო.

ლი-რქალ ბზ., **ლი-რქა**ლ ბქ., **ლი-რქა**ლ ლმზ., **ლი-რე**ქა^ლ ლნტ. - ჩაცმა. (ლერექუ - ტანსაცმელი). **გიერგრლ მახანჟი ლირქა**ლს **ხამარჯუ**და [ბზ., სვან.ლექსიკ., 2000:446] - გიერგილა ხელახლა ჩაცმას აპირებდა.

ლი-რხუნალ ბზ., **ლი-რხუნა**ლ ბქ., **ლი-რხუნა**ლ ლმზ. - ჭექა-ქუხილი, გრუხუნი. **დეცდ ადბინე ლირხუნა**ლ [ბზ., სვან.ლექსიკ., 2000:447]- ცამ დაიწყო გრუხუნი.

ლი-რჰალ ბზ., **ლი-რჰა**ლ ბქ., **ლი-რჰა**ლ ლმზ. - გათენება. **ხუიგნა**ლდ **ჩუ** ლირჰა^ლდ [ბზ., სვან.ლექსიკ., 2000:447] - ვდგებით გათენებამდე.

ლი-ღრალ ბზ., **ლი-ღრა**ლ ბქ., **ლი-ღარა**ლ ლნტ. - მღერა, სიმღერა. **შუანარს** ლიღრა^ლ **ხოჩახოხალხ** (ბქ.) სვანებმა კარგი სიმღერა იციან [ბზ., სვან.ლექსიკ., 2000:454]

ლი-შდრალ ბზ., **ლი-შდრა**ლ ბქ., **ლი-შდრა**ლ ლმზ. - თამაში. **ლიშდრა**ლს **ი** ლიღრა^ლს **მინე-მინე გუი** **ესერ ხაკუხ** (ანდ.) [ბზ., სვან.ლექსიკ., 2000:460]- სიმღერას და თამაშსაც თავ-თავისი გული უნდაო.

ლი-შიალ ბზ., **ლი-შია**ლ ბქ., **ლი-შია**ლ ლმზ. - ომი. **ხელწიფს ლიშია**ლ **ოხვან**დ [ბზ., სვან.ლექსიკ., 2000:462] - ხელწიფეს ომი მოუვიდა.

ლი-ცემდალ ბზ., **ლი-ცხემდა**ლ ბქ., **ლი-ცკომდა**ლ ლმზ. - მშვილდოსნობა, მშვილდ-ისრის ტყორცნა. < (ცემდა - მშვილდ-ისარი). **მეჰად ლიცემდა**ლ **იარს ხასმა**? [ბზ., სვან.ლექსიკ., 2000:478] - ყოველთვის მშვილდოსნობა ვის გაუგია.

ლი-ბემ ზს., - დაბმა მიბმა. **ფირჟი ლიბემ სგა ლამა**შდგენ [ბზ., სვან.ლექსიკ., 2000:425] - ძროხის დაბმა დამავიწყდა.

ლი-გემ - აშენება, აგება. **ქა ლოხგათუ**ედ **მურყმუა**შ **ლიგემ** (პოეზ.)[ბზ., სვან.ლექსიკ., 2000:428] - დავამთავრეთ კოშკის აგება.

მასდართა **ლი-** პრეფიქსიან სტრუქტურულ ყალიბში განვიხილავთ სვანურისათვის სპეციფიკურ **-ა**ლ **-ე**ლ დაბოლებიან მრავალგზის ფორმებს, რომელთა ზუსტი თარგმნა ქართულად ვერ ხერხდება. პარალელისთვის საინტერესოა, რომ როგორც გამონაკლისის გარეშე ყველა კაუზატიური მასდარი არის **ლი-ე**

სტრუქტურისა, ასევე მრავალგზისობის -**წ**ლ -**მ**ლ მორფემიანი ყველა მასდარული ფორმა არის **ლი-** ოდენ პრეფიქსული წარმოებისა:

ლი-მშერ-წლ „დარდის ამოთქმა, შეჩვილება“, **ლი-ბრეგ-წ**ლ „აბრაგობა, ყაჩაღობა“, **ლი-ზგა-ლ** „სახლობა, დასახლება“, **ლი-ზელ-წ**ლ „სიარული“, **ლი-თრლ-წ**ლ „ურთიერთობა, ახლობლობა“, **ლი-თჟ-წ**ლ „დაბადება, შობა“, **ლი-თმ-წ**ლ „მცდელობა“, **ლი-ლჟ-წ**ლ „მოთქმა, დატირება“, **ლი-მსხარ-წ**ლ „მასხრობა, ხუმრობა“, **ლი-მქარ-წ**ლ „შეჯიბრება“, **ლი-მწოდ-წ**ლ „თავის მართლება“, **ლი-მხუბ-წ**ლ „მძობა“, **ლი-პეჟუნ-წ**ლ „დამალობანა“, **ლი-მჯ-წ**ლ „სინანული, სამდღურავის თქმა“, **ლი-მწრ-წ**ლ „მომზადება“, **ლი-ნგზაჟრ-წ**ლ „მგზავრობა“, **ლი-ნთხლ-წ**ლ „მოფრთხილება“, **ლი-ნჩგდ-წ**ლ „გარეგამორევა“, **ლი-ნჭურ-წ**ლ „შეკრება, ყრილობა“, **ლი-ნწთ-წ**ლ „ნათესაობა“, **ლი-სტარუნ-წ**ლ „პირჯვრის გადაწერა“, **ლი-სემწ-წ**ლ „აჯა, მუდარა, დახმარების თხოვნა“, **ლი-ტყუბ-წ**ლ „შეერთება, ერთობა“, **ლი-ფდრლ-წ**ლ „მიახლოება“, **ლი-ფრჟან-წ**ლ „დაბნეულად მოძრაობა“, **ლი-ქუნაჟ-წ**ლ „აგონია“, **ლი-ღრ-წ**ლ „სიმღერა“, **ლი-ყბ-წ**ლ „კოცნა“, **ლი-ყვ-წ**ლ „კოცნა“, **ლი-ყუბ-წ**ლ „შეკრება, ყრილობა“, **ლი-ყუნ-წ**ლ „დაწოლა“, **ლი-შგურ-წ**ლ „მორცხვობა“, **ლი-შმ-წ**ლ „ომი, ბრძოლა“, **ლი-ჩრბ-წ**ლ „სრიალი“, **ლი-ჩგდ-წ**ლ „გარევა“, **ლი-ცადუნ-წ**ლ „გაცვლა-გამოცვლა“, **ლი-ცალ-წ**ლ „ტოლ-ამხანაგობა“, **ლი-წხაჟაჟ-წ**ლ „წუხილი“, **ლი-წხაჟაჟ-ი** „შეწუხება“, **ლი-ცყერ-წ**ლ „ძრომიალი“, **ლი-ცხრდ-წ**ლ „წუნის დადება“, **ლი-ცრნგ-წ**ლ „მაღალი და წვრილფეხება ადამიანის სიარული“, **ლი-ცჟ-წ**ლ „კამათი, ჩხუბი“, **ლი-წტრლ-წ**ლ „გათხოვება“, **ლი-ხუნ-წ**ლ „დამუქრება“, **ლი-ხად-წ**ლ „გახარება“, **ლი-კვრ-წ**ლ „ვედრება, მუდარა“, **ლი-ჰ-წ**ლ „აჩქარება“, **ლი-ხზუნ-წ**ლ „დამუქრება“, **ლი-ჩქაჟან-მ**ლ „ჩამუხლვა“ [ექსპედ. მასალ.]

ჩვენი დაკვირვებით, მრავალგზისობის -**წ**ლ სუფიქსი არა ყველა, მაგრამ მასდართა გარკვეულ ნაწილს აშკარად ანიჭებს პასივის სემანტიკას, ვნებითობის შინაარსს:

<i>აქტივი</i>	<i>პასივი</i>
ლი-ე > ლი -წლ-0	
ლი-ნთხლ-ე	ლი-ნთხლ-წ ლ „მოფრთხილება“
ლი-ლჟ-ე	ლი-ლჟ-წ ლ „მოთქმა, დატირება“

ლი-მწრ-ე

ლი-მწრ-წლ „მომზადება“

ლი-წტბლ-ე

ლი-წტბლ-წლ „გათხოვება“...

ლი-ი > ლი-წლ-0

ლი-წხტაჟ-ი „შეწუხება“ (სხვისი) ლი-წხტაჟ-წლ „წუხილი“

ლი-წტაღაჟ-ი „წვალება“ (სხვისი) ლი-წტაღაჟ-წლ „წვალება“

მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მრავალგზისობის კატეგორიის გამოხატვისას მასდარი სვანურში უგამონაკლისოდ არის მხოლოდ პრეფიქსული წარმოებისა.

§ 5. მასდარი თუ მა- პრეფიქსიანი აბსტრაქტული სახელები?

უაღრესად საინტერესო აღმოჩნდა დაკვირვება აბსტრაქტულ სახელებზე იმ ტიპისა და ყალიბისა როგორც არის: მაკაფ „ნდომა“, „გადაწყვეტილება“, მამჭირ „სიზარმაცე“, მაჟაბ „მოცალეობა“, მაჟერ „სიბრალული“, მაშყაღ „მანსოვრობა“, მწზიგ „სენი“, მალტრა „ფიცი“, მალრნა „წყენა“...

საენათმეცნიერო ლიტერატურაში განსაკუთრებული ღირებულებისად არის მიჩნეული ისეთი წარმოება, სადაც ლი- და მა- პრეფიქსიანი ვარიანტები ერთი და იმავე ფუძისაგან აწარმოებენ განყენებულ ნაზმნარ სახელს:

მა-მჭირ „სიზარმაცე“,

ლი-მჭირნ-ე „დაზარება“

მა-ლატ „სიყვარული“

ლი-ლატ / ლი-ლატ-ჟ „ყვარება“

მა-ხალ „ცოდნა“

ლი-ხწლ / ლი-ხალ-ჟ

მა-ყალ „შიში“

ლი-ყალჟ-ე „შინება“

მწ-სისგ / სისგ „სიძულვილი“

ლი-სისგ-ჟ „შეძულება“...

ახლა პარალელური წარმოების ამ წყვილებს შორის ერთგვარი სემასიოლოგიური სხვაობაც შეიმჩნევა: **მაყალ** თითქოს სუბსტანტივია, **ლი-ყლჷნ-ე** - მასდარი „შინება“, მაგრამ ეჭვის გარეშეა რომ აქ მეორეულ მოვლენასთან გვაქვს საქმე: პირვანდელი მნიშვნელობის მოშლის შემდეგ ენა ცდილობს მიუჩინოს ფუნქციები ორივე სახის წარმოებას. ამრიგად, ერთგვარი სემასიოლოგიური დიფერენციაცია ვერ მიჩქმალავს იმ ფაქტს, რომ აქ **მა-** და **ლი-** პრეფიქსიანი წარმოება უპირისპირდება ერთმანეთს.

რა უნდა ყოფილიყო ამ **მა-**ს მნიშვნელობა? – სვამს კითხვას არნ. ჩიქობავა და იქვე გვთავაზობს ახსნას გრამატიკული კლასკატეგორიების თეორიით: თუ სინამდვილეს შეესაბამება ის პერსპექტივები, რაც **ლი-/ სი-** პრეფიქსთა რაობის რკვევისას დაისახა, **მა-** ადამიანის კატეგორიის აღმნიშვნელი პრეფიქსი უნდა ყოფილიყო: **სვანურში დაცული უნდა იყოს ის, რაც არ შემოგვრჩა არც ერთ სხვა ქართველურ ენაში.**

თუ ეს ასეა, **მა-ყალ** იქნებოდა არა „შიში“ ზოგადად, არამედ „შიში ადამიანისა“, შიში, რომელსაც ადამიანი განიცდის; **მა-ლატ** - სიყვარული, რომლის მატარებელიც, განმცდელიც ადამიანია; **მა-ხალ** ცოდნა ადამიანისა, ცოდნა, რომელიც ადამიანს ეკუთვნის... არც ერთი ამ ზმნათაგანი გარდამავალი არაა და, ბუნებრივია, თუ სათანადო მასდარში სუბიექტის, ე.ი. ადამიანის კატეგორია უნდა ყოფილიყო აღნიშნული. როცა **მა-** და **ლი-** პრეფიქსიანმა წარმოებამ წინანდელი მნიშვნელობა დაკარგა, ე.ი. კლას-კატეგორიათა გარჩევა მასდარებში (და, საერთოდ) მოიშალა, ამ პრეფიქსთა ფუნქციის დიფერენციაციის საკითხიც გაჩნდა [ჩიქობავა, 1942: 243]

სვანური ენის სახელმძღვანელოში ხაზგასმით არის მითითებული, რომ სავსებით ბუნებრივია ისეთ ფორმათა **განყენებულ სახელებად (და არა საწყისად)** მიჩნევა, როგორც არის: **მალატ** „სიყვარული“, **მწსისგ** „სიძულვილი“, **მაყალ** „შიში“, **მაზიგ** „სენი“, **მალჷრა** „ფიცი“, **მალრნა** „წყენა“ და ა.შ. [ონიანი, 1998:262–265; თოფურია, 1967: 212-213]

გრამატიკულ კლას-კატეგორიათა არსებობა ქართველურ ენებში საყოველთაოდ არ არის გაზიარებული, გარდა ამისა, საენათმეცნიერო ლიტერატურაში თანხმდებიან იმაზე, რომ მართალია, აბსტრაქტული სახელი და მასდარი ერთმანეთთან საკმაოდ ახლოს მდგომი, მაგრამ მაინც განსხვავებული ენობრივი მონაცემებია; ამიტომაც

სვანურისათვის რიგ შემთხვევაში პარალელურ ფორმათა არსებობის მიუხედავადაც კი, ჩვენ ცალკე ვერ განვიხილავთ მაყალ „შიში“, მაკაფ „ნდომა“, „გადაწყვეტილება“, მამჭირ „სიზარმაცე“, მაჟაბ „მოცალობა“, მაჟერ „სიბრალოლი“, მაშყაბდ „მახსოვრობა“, მწზიგ „სენი“, მალტრა „ფიცი“, მალრნა „წყენა“... ტიპის სახელებს როგორც მაპრეფიქსიან მასდარებს, იმიტომ რომ ისინი სვანურში სწორედაც რომ განყენებული სახელებია სხვა ენობრივი სპეციფიკით და განსხვავებული სემენტკური ნიუანსებით.

მა-ლატ > **ლი-ლატ** /**ლი-ლატჷ** ტიპის სახელთა (ანუ აბსტრაქტულ სახელთა და მასდართა) მონაცველობის მაგალითები, შევეცადეთ, დაგვეძებნა ლექსიკონებში, ექსპედიციის მასალებში თუ სვანურ ტექსტურ გამოცემებში:

მა-ჟარ - ლი-ჟარ - მოწყენა. **მაჟარჟი ეშხუ ხულ ლეთრე ქა ხაშიდ** [ბქ., სვან.ლექსიკ., 2000:395] - მოწყენისას ერთი ყლუპი სასმელი შველის. **ლიმჟარ ლიმჭირს ხოხალ** (ზს. ანდ.) - მოწყენა სიზარმაცემ იცის.

მწ-სისგ - ლი-სისგ - ძულეზა (სიძულვილი). **მწსისგ ი მალატ უშხვარ ხემქერაღლხ** (ბქ.) [ინფ. თ. გუჯეჯიანი, 82 წლის, ჩხალთა] - ძულეზა და სიყვარული ერთმანეთს ეჯიბრებიან.

ისგტჷდ ლიმსისგს ქრთყეჩნი ამუნლო [ბზ., სვან.ლექსიკ., 2000:369] - თქვენს სიძულვილს მოვიშორებ ამის შემდეგ.

მა-მჭირ - ლი-მჭირ - დაზარება. **მიჩა ბაბა ლასკორას ათაგან, ჩილად მამჭირ იმლა როქ ხარ?** [ბქ., სვან.ლექსიკ., 2000:368]. - ბაბუამისი საგონებელში ჩავარდა, ყოველთვის სიზარმაცე რატომ ძლევსო?

მა-ფაშ - ლი-ფეშ - დაღლა. **მაფაშ ხარ ი ლაბურგტჷმ ანჯიდხ** [ბქ.სვან.ლექსიკ., 2000:357] - დაღლილია და ხელით მოიყვანეს.

ჩქარდ ლიმდაბს ლიფეშ ხოხალ (ბქ.) [ინფ. თ. გუჯეჯიანი, ჩხალთა]- ჩქარა მუშაობამ დაღლა იცის.

მწ-ლონა - ლი-ლონე - წყენა. **იმშა მალონა ხარ დადრლს** (ბზ.) - რისი წყენა აქვს ბეზიას.

მიზეზ დეშ ოხკიდ ი ლილონე ოთბინე ეჯღაბი (ბქ.) - მიზეზი ვერ უპოვა, მაგრამ მაინც წყენა აქვს.

მწ-ხიად - ლი-ხიად - ხარება, გახარება. **ქორაშ ლიგემს მწხიად ხობალ** [ბქ., სვან.ლექსიკ., 2000:358] - სახლის აშენებამ სიხარული იცის. **მესტილწრს ლიხიად** **ოთბინახ** [ბზ. სვან.ლექსიკ., 2000:359] - მესტიელებს გახარებიათ.

მწ-სდიკ - ლი-სდკე - წყენა. **ხოლამ საქციელს მწსდიკ ახჭიმი** (ზს.) [ინფ. მ. ფილფანი, 97 წლის, მესტია] - ცუდად მოქცევას წყენა მოსდევს. **მიჩა დედეს ჩილად** **ლისდკე ხმთქუა** - დედამისს ყველაფრის წყენა სჩვევია.

მა-მბაჟ - ლი-მბაჟ - გაკვირვება. **ლწრ ლი ისგეჟ ლალგაცალ, მამბაჟ მარ** [სვან.ლექსიკ., 2000:363] - ვინ არის შენი დასაცინი გამკვირვებია.

ლგფჭავე გტემს ლიმბჟე დემ ხაშიდ - გაფუჭებულ საქმეს გაკვირვება არ შველის.

მა-სკვრელ - ლი-სკვრელ - გაოცება. **ნინუცას მასკვრელ ხად** - ნინუცა გაოცებული იყო. **დადოლს ხელწიფხი ლიწედლა ლისკვრელ** **ოთბინა** - ბებია ხელმწიფის დნახვაზე გაოცებულა.

მა-ყალ - ლი-მყალ - შეშინება შიშის ქონა. **ბოგქა ლიზის მყალ ხობალ** (ბქ.) - ხიდზე გასვლამ შიში იცის. **დემშა ლიმყალ ხობალდ ციოყს** - არაფრის შიში ჰქონდა ციოყს.

მა-შონა - ლი-შონე - შური, შეშურება. **ლიშონე ხოლა ლი** [ბზ., სვან.ლექსიკ., 2000:464] - შეშურება ცუდია.

გეხალთე მოლემ მაშონა იას ხასმა?! [ბქ., სვან.ლექსიკ., 2000:464] - შვილისთვის რამის დანანება ვის გაუგია.

მა-სტუნ - ლი-სტუნ - ტკიება, ტკივილი. **იმემ მასტუნ აწხტწვი?** [ინფ. ხ. გურჩიანი, 78 წლის, ჩხალთა] - რისი ტკივილი აწუხებს.? **ლტქწჩ ჭიშხდ ლისტუნე** **ოთბინე** - დაჭრილმა ფეხმა ტკიება დაუწყო.

მა-ლატ - ლი-ლატ - ყვარება, სიყვარული. **მიშგტი მალატ ხარ მწვინ** **ადო ათხალდ** **ღტრდა** **წგითე** [ბზ., სვან.ლექსიკ., 2000:408] - მე რომ ვუყვარვარ ეს უშლის ხელს, თორემ აქამდე წავიდოდა სახლში. **ლილატ** **ოთბინე** **დივოლს** - გოგონას ყვარება დაუწყო.

მა-ხალ - ლი-ხალ - ცოდნა, ცოდნის ქონა. **დწრჯტლს ჩიმი მახალ ხობალდ** [ბზ., სვან.ლექსიკ., 2000:511] - დარჯულს ყველაფრის ცოდნა გააჩნდა.

ხოჩემ ლიხალ ჩიჭად სარგებ ლი - კარგი ცოდნის ქონა ყოველთვის სასარგებლოა.

მა-სოყალნა - ლი-სოყალ - გიჟობა, სიგიჟე. **მაშდმარ მარეს მასოყალნა ხად** - მთვრალ კაცს სიგიჟე სჭირდა. **ლისოყალ ლეთრეს როქ ხოხალ** - სიგიჟე და გადარევა სასმელმა იცისო.

მა-რკუნა - ლირკუნე - კანკალი. **ნაცხუაპს მუცხიმ მარკუნა ოხშყად** - მოტაცებულს შიშით კანკალი აუტყდა. **ბეფმდ მაყალმ ლირკუნე ადბინე** [ინფ. ც. სუბელიანი, აჟარა]- ბავშვმა შიშით კანკალი დაიწყო.

მამდკუნა - ლი-მდკუნე - სლოკინი. **ბაბოლს ლიცი ლითრე ხამთქუნ მამდკუნაჟი** - ბაბუას სლოკინზე წყლის დაღევა სჩვევოდა. **მეცხამ ბებშს ლიმდკუნე ხოხალ ჩილად** - მოზარდ ბავშვს ხშირად ცჩვევია სლოკინი.

მა-რგადნა - ლი-რგადი - ლაპარაკი. **ეჯა ლი სემეშდიტოხტიშდ ლტხამ იეჯლა ხარმრგადნა** - ის ოცდათხუტმეტი წლისაა და სულ ლაპარაკის ხასიათზეა.

ალმარს ლირგადი ჩუ მექტეცე ხარხ [სვან.ლექსიკ., 2000:510]- ამათ ლაპარაკი არ შეუძლიათ.

მა-მბერ - ლი-მბერ - დანანება, დანაკლისი. **ეჯი ლეზები მამბერლა დემგვამ ლაბთალ** - მან ხელი არ დააკარა საჭმელს, რომ არ დაკლებოდათ.

მა-ცვდილ - ლი-ცვდილალ - ცოდვილობა. **ნოეს დადოლშ მაცვდილ ხად** - ნოეს ბებია ეცოდებოდა. **ნაუმეკროშ ლიცვდილალ უქად ხად** [ინფ. მ. ფილფანი, 97 წლის, მესტია] - მოუხერხებლობის გამო ცოდვილობა არ აცდებოდა.

მა-ლკამ - ლი-ლკამე - გულის აჩუყება. **დის მალკამ ახჟონან გეზლა ხოჩამ ლირდელა** - დედას გული აუჩუყდა შვილის კარგად ყოფნაზე. **ლილკამე ლგუთილ მარას ხოხა** - გულის აჩუყება კეთილმა ადამიანმა იცის.

მა-ჟორნა - ლიჟორე - თავბრუსხვევა. **თჟიმი ნაზობ მაჟორა ხარ** - თავლის ნაჭამი თავბრუსხვევა აქვს. **ლიჟორე მანდს ხოხალ** - თავბრუსხვევა შიმშილმა იცის.

მა-ფჟოვნა - ლი-ფჟოვე - ბოდვა. **მანხანდტშ მაფჟოვნა ხარ** - სიხარულისგან ბოდვა დაიწყო. **ალ დადოლს ლიფჟოვალ ხამთქვა** [ინფ. დ. მიბჟუანი, 77 წლის, ოჩამჩირე] - ამ ბებიას ბოდვა სჩვევია.

მა-ჭშეგენა - ლი-ჭშეგედი - უკადრისობა. იმშა მაჭშეგედ ხარხ ალ მექვერწლას? - რა იუკადრისეს მექორწილეებმა. ჩილად ლიჭშეგედის მშმ ხაყა - ყოველთვის უკადრისობა არ არის კარგი.

მა-შყანდ - ლი-მშყედ - მახსოვრობა, გახსენება. ხოჩამ ბაჟს ხოჩა მაშყანდ ხოხალ - კარგმა გონებამ კარგი მახსოვრობა იცის.

მა-წებ - ლი-მწებ - საჭიროება. დემშა მაწებ ხარხ ჟიბშანს - არაფრის საჭიროება აქვთ ზევით რომ ცხოვრობენ იმათ (ზედმიწ. „ზემოურებს“).

ჩიმემ ლიმწებს ხადგენი ციოყ მიჩა გეზლირს [სვან. ენ. ქრესტ., 1978:93]- ყველაფრის საჭიროებას უქრობს ციოყი თავის შვილებს.

მა-კაფ - ლი-მკაფ - ნდომა, სურვილი. ხოჩემ მაკაფს მანგ ხოჩა ახჭიმი - კარგის ნდომას ყველაფერი კარგი მოსდევს. იშა ლიმკაფს ოხლელიხ? [ინგ. მ. ფილფანი, მესტია] - ვის ნდომას, სურვილს ელოდებიან.

მან-იდ / ლი-მან-იდელ - შიმშილობა. აშგარ მან-იდ ხარ საბრალ ქუჯის - სულ შიმშილობს (სულ შიმშილის გრძნობა აქვს) საწყალი ქუჯი. მემდბას ლიმან-იდელ ხოლა ხარხ - მუმებს შიმშილობა სწყენთ.

მა-ფგენ - ლი-ფგენ - წყურვილი. ჯიმი ნამუნ კუმშუს ლიცი მაფგენ ხარ - მარილის ნაჭამ საქონელს წყლის წყურვილი აქვს.

მა-შედ - ლი-მშედ - შველა, რგება. ხოჩა ლირდე ჩის მაშედ ხარ - კარგი ცხოვრება ყველას რგებს. ლეგდ ლირდეს ლიმშედ ხაკუ - ავად ყოფნას შველა უნდა.

მა-ჟანბ - ლი-ჟბინე - მოცლა. მამჭირანს ჩილად მაჟანბ ხარ - ზარმაცს ყოველთვის სცალია. გვეშტრ ლიჟბინე როქ მან ხარ [ინგ. ე.ჯაჭვლიანი, 85 წლის, მულახი]- უსაქმოდ მოცლა რად სჭირდებაო.

მა-კლა- ლი-მკვლ - ნაკლებობა.

ლახუბა ლგანშ ლანსუბ ი დემშა მაკლა ხადხ [სვან. ენ. ქრესტ., 1978: 78]- ძმები ძლიერი იყვნენ და არაფრის ნაკლებობა არ ჰქონდათ.

მა-ტკლანბ - ლი-ტკლებე - დანანება. ლჭანდ დაბ უჩხედ ჟი ანჟომე ი საბრალ დადილს გვანმიდ მატკლანბ ხად (ბქ.) - დაფარცხული ყანა წვიმამ წალეკა და საწყალ ბებიას ძალიან დაენანა. ოთარშერს ფიშირამუნ ხანთქუენახ ლჭუსობ ი ლიტკლებ

დემემ ხანთქუნხ[ბქ., სვან.ლექსიკ., 2000:539] - ოთაარანთ ხშირად სჩვეოდათ თურმე წვეულება და არაფრის დანანება არ იცოდნენ.

მა-ჯუჳმ - ლი-ჯუჳმი - მადლობა. **ხოჩემ ლისყის ლიჯუჳმი ხაკუ** [ინფ. მ. ფილფანი, მესტია] - კარგის კეთებას მადლობის თქმა სჭირდება.

ეჯ გუჳემისგა ნწერთგულიდა **მა-ჯუჳმ** ხუჳეჳა მიშგუ ნაცალალუ მიშგუ მეზუბელს [ინფ.ა. ჯაჭვლიანი, 85 წლის, კოდორი] „იმ საქმეში ერთგულებისთვის **მადლობა** ვუთხარი ჩემს თანატოლ მეზობელს“.

მა-ჯუჳმ ხუჳეჳა-ს ჩანაცვლება **ლი-ჯუჳმი** ხუჳეჳა-თი სვანურისთვის იქნებოდა არაბუნებრივი მეტყველება, ხელოვნური ფორმები.

ილუსტრაციებიდან ნათლად ჩანს, რომ **მაჟერ** „სიბრალოლი“, **მაშუჳდ** „მახსოვრობა“, **მწიიგ** „სენი“, **მაღურა** „ფიცი“, **მაღონა** „წყენა“ **მაკაფ** „ნდომა“, „გადაწყვეტილება“, **მამჭირ** „სიზარმაცე“, **მაჟუბ** „მოცალეობა“... ტიპის **მა-** პრეფიქსიანი სახელები თავისუფლად ვერ მონაცველებენ **ლი-** პრეფიქსული წარმოების იმავე სახელებთან. იმიტომ რომ **მწ-ზიიგ** „ტკივილი“, **მა-ღურა** „ფიცი“, **მა-ღონა** „წყენა“, **მა-ლატ** „სიყვარული“... ფორმები სვანურში განსხვავებით **ლი-ზიიგ** „ტკივილი“, **ლი-ღურ-ინე** „დაფიცება“, **ლი-ღონე** „წყენა“, **ლი-ლატ** „ყვარება“... ტიპის ლექსემათაგან სვანურში აბსტრაქტული ანუ **განყენებული სახელებია და არა მასდარები**. თითქმის ყველა ენაში მასდარი და განყენებული სახელები შინაარსობრივად ერთმანეთთან საკმაოდ ახლოს მდგომი, მაგრამ ფუნქციურად განსხვავებული ოდენობებია. სვანურში ამ ტიპის სახელები ამ კონკრეტულ შემთხვევაში სტრუქტურულადაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამიტომაც ჩვენ მიერ შედგენილ მასდართა მაწარმოებელ აფიქსთა ცხრილში **მა-** მორფემა არ იქნება წარმოდგენილი.

მასდართა ოდენ სუფიქსური წარმოება:

§ 6. -ა სუფიქსიანი მასდარი

-ა სუფიქსიანი (ოდენსუფიქსური წარმოების) მასდარები სვანურში შემდეგია:

ხუტ-ა „წყვეტა, ჟლეტა“, **კუშ-**ა „ტყდომა“, **ცუარ-**ა - ტოვება, ღალატი, **ქუც-**ა - ჭრა, კვეთა, **დაგრ-**ა- კვდომა, **ქუარ-**ა - ლობობა, **ჭკუა-**ა - ამობუგვა, ამოწყდომა, **დგა/დეგა** „გალატაკება, დავსება, გაქრობა“...აქვე განვიხილავთ **დაგრ-**ა „სიკვდილი“, **ჯაც-**ა „გარდაცვალება“, **გარგლ-**ა „ლაპარაკი“ მასდარებსაც (**გარგლა** < გარგალა, შდრ. მეგრ. **ოღარღალუ**)...

-ა სუფიქსის შესახებ საენათმეცნიერო ლიტერატურაში მრავალფეროვანი მასალა მოიპოვება, ყველა მკვლევარი თანხმდება პრექართველურიდან მის მომდინარეობაზე: -ა სუფიქსიანი მასდართა სუბსტანტიურ ხასიათზე მიუთითებენ თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი და ბ. ჯორბენაძე [გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965:210; ჯორბენაძე, 1988:136]. ა. არაბულის თვალსაზრისით კი -ა სუფიქსი ისტორიულად მასუბსტანტივებელ -ა ელემენტს უკავშირდება. -ა საერთოქართველური სუფიქსია და ძირითადად ფუძედრეკად ზმნათაგან ნაწარმოებ საწყისთათვის არის დამახასიათებელი [ჭკადუა, 2005:323].

ივარაუდება, რომ -ა სუფიქსი ქართველურ ფუძე ენაშივე იყო გამოყენებული მანამ, სანამ განყენებული და მოქმედების სახელები ერთ კლასს შეადგენდნენ. ყურადსაღებია, რომ -ა სუფიქსი ფონეტიკური შესატყვისებით კი არ არის წარმოდგენილი ქართველურ ენებში, არამედ ყველგან ერთი და იგივე სახე აქვს.

ფრიად საყურადღებოა, რომ ვ. თოფურია, -ა სუფიქსიანი მასდარებს, მათი სემანტიკიდან გამომდინარე, განყენებულ **მა-** პრეფიქსიანი სახელებს უტოლებს **მა-სტუნ-**ა „ტკივილი“ **მა-ღურ-**ა „ფიცო“, **მა-ლონ-**ა „წყენა“...მსგავსსავე სახელებს აწარმოებს -ა ბოლოსართი უმთავრესად II ჯგუფის საშუალ-ვნებით ფუძეთაგან. **ხუტ-**ა „წყვეტა, ჟლეტა“, **კუშ-**ა „ტყდომა“ **ცუარ-**ა - ტოვება, ღალატი, **ქუც-**ა - ჭრა, კვეთა ... [თოფურია, 1967:213]

ითვლება, რომ მას შემდეგ რაც სახელთა გარკვეულ ჯგუფს აბსტრაქციის მეტი უნარი აღმოაჩნდა, -ა სუფიქსის გამოყენების არე შეიზღუდა და მოქმედების პროცესის ნომინაციისთვის ყველა ენამ გაიჩინა თავთავისი პრეფიქსები, რომლებიც რეგულარულ შესატყვისებებს ავლენენ ქართულ - სვანურ - ზანურში.

რ. ჭკადუა შენიშნავს, საერთოქართველურ -ა სუფიქსის სვანურ მასდარებში ხშირად ენაცვლება სვანურში ქართულიდან შემოსული, აბსტრაქტულ ცნებათა მაწარმოებელი -ობ< ობ-ა სუფიქსი. შდწბ-ა /შდწბ-ობ ბზ. „ამოწყვეტა“; ცჷერ-ა / ცჷერ-ობ ბქ.ლშბ. „[მი]ტოვება“; ხეტ-ა / ხეტ-ობ ბქ. ქს. „[ამო]წყვეტა“ [ჭკადუა, 2005: 324]

ჩვენთვის საინტერესოა -ა სუფიქსიან მასდართა ფორმებში ლი - პრეფიქსიანი ფორმების თავისუფალი მონაცვლეობა და თარგმანში ერთნაირი მნიშვნელობით გადმოცემა:

ხუწტ-ა / ხჷეტ-ა „წყვეტა, ჟლეტა“	ლი-ხჷეტ „წყვეტა, ჟლეტა“
კჷშმ-ა / კჷემ-ა „ტყდომა“	ლი-კჷემ „ტყდომა“
ცჷწრ-ა / ცჷერ-ა „მიტოვება, ღალატი“	ლი-ცჷერ „მიტოვება, ღალატი“
ქჷწც-ა / ქჷეც-ა „ჭრა, კვეთა“	ლი-ქჷეც „ჭრა, კვეთა“
ქჷწრ-ა / ქჷერ-ა „ლპობა“	ლი-ქჷერ „ლპობა“
ჭკწჷ-ა / ჭკეჷ-ა „ამობუგვა, ამოწყდომა“	ლი-ჭკეჷ „წყდომა“...

დაგრ-ა „სიკვდილი“ მასდარი ვერ გუობს ლი- პრეფიქსს, თავისუფლად ირგებს ლი-ი კონფიქსს, ოღონდ მნიშვნელობის ცვლილებით:

დაგრ-ა „კვდომა“ ლი-დგწრ -ი „კვლა“ (ე. ი. აქტივი და პასივი), გწრგლ-ა და ლი-გგრგწლ-ი „ლაპარაკი“ ფორმათა შემთხვევაში კი მნიშვნელობის ცვლას ადგილი არ აქვს. გარგლა უფრო არსებითია, მასდარული სემანტიკა კი ლიგგრგწლი-ში იგულისხმება.

სვანური ენის მასალაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ მასდარის მაწარმოებლად ლი- პრეფიქსი გაცილებით ხშირად გამოიყენება, ვიდრე -ა ბოლოსართიანი ფორმები, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობის მეტყველებაში. შევნიშნეთ ისიც, რომ ხუწტა / ხჷეტა „წყვეტა, ჟლეტა“, ჭკწჷა „ამობუგვა, ამოწყდომა“ ცხწმა „მატება, ზრდა“...

ძირითადად დალოცვისა და წყევლა-კრულვის მზა ფორმულებისთვისაა დამახასიათებელი: ახალი წლის სვანური ტრადიციული მილოცვა სწორედ ამ არქაულ ლექსებებს შეიცავს: **ზამ ყერი მგვადი ხოჩა ზამს უშ ჯიგადი, ცხამან ი ქამან უშ ალხნდელხი** „დრო-ჟათა მცვალელები თვთაება კარგ ახალ წელსამც გინაცვლებდეს, ზრდით და მატებით მცა გახარებულიყავი“.

რ. ჭკადუას სვანურ პროზაულ ტექსტებსა და ლექსიკონებში ამის საილუსტრაციო უამრავი მაგალითი აქვს მოძიებული: [ჭკადუა, 2005:323–326].

ბოლჷ კადა! [ბზ., სვან. ლექსიკ., 2000:343] „ბოლოს მოლება (ძირფესვიანად ამოწყვეტა)!“

ხოლა შდამხუ ჯარხ [სვან. ლექსიკ., 2000:814] „ცუდადაც ამოწყვეტილხარ“.

ისგე კიფ-ბალად თეფა [ბქ., სვან. ლექსიკ., 2000:343] „თქვენი ღერო-ფოთლიანად (მთლიანად) დაკარგვა (გადაშებენა)“.

ეჯიარე ხოლა ნინ ქემა-ცხემალოშ ადსიპა [სვან. პროზ. ტექსტ., II 1957:343] „იმათი ცუდი ენა (აუგის თქმა) მატება-ზრდად გქცეოდეს“.

მახე ზადსუ ლოხგენენად ცხემაშმ, ქემაშმ [ლშხ. სვან. ლექსიკ., 2000:841] „ახალ წელს შევხვედროდეთ ზრდით, მატებით“.

ისკტე ცხემაშ მასმა ჩაგირ [ლნტ. სვან. ლექსიკ., 2000:841] „თქვენი მატება გამეგოს (მსმენოდეს) ყოველთვის“...

-ა სუფიქსიანი მასდარები სვანურში შესაძლოა შეგვხვდეს **კომპოზიტის ერთ-ერთ კომპონენტად: კინჩხიქტა** „შერცხვენა, სირცხვილი“ (ზედმიწ. კისრისმოჭრა) **ქტინისადა** „გადარჩენა“ (ზედმოწ. სულისდარჩენა), **ბოლჷკადა** „გადაშენება“ (ზედმიწ. „ძირის აღება“).

-ა სუფიქსიანი მასდარი სვანურში **ფუძედრეკადი** ზმნებისთვის არის დამახასიათებელი. შინაარსობლივი თვალსაზრისით -ა სუფიქსით ნაწარმოები მასდარი იმით განსხვავდება პრეფიქსიანისგან, რომ პირველი უფრო გაარსებითებულია, უფრო ნაკლებად არის დაკავშირებული ზმნის სისტემასთან, ვიდრე მეორე - ლი- პრეფიქსიანი ფორმები: **ლი-ხტეტ** - წყვეტა, ჟლეტა, **ლი-კტემ** - ტყდომა; **ლი-ცტერ**- ტოვება, ღალატი; **ლი-ქტეც** - ჭრა, კვეთა; **ლი-ქტერ** - ღპობა...

საინტერესოა -ა სუფიქსიანი მასდარების დიაქრონიული ანალიზი: სინქრონული თვალსაზრისით ხტეტ-ა ტიპის მასდარი გარდაუვალი უღვლილების ფუძეს ემყარება. მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ამ ტიპის მასდარისთვის ამოსავალი გარდაუვალი ფუძედრეკადი ზმნის აწმყოს ფუძე იყოს. ასეთ შემთხვევაში გვექნებოდა არა ისტორიულად დამოწმებული ხტეტ-ა, ქტეტ-ა, კტემ-ა და მისთ., არამედ *ხტეტ-ნ-ა, ქტეტ-ნ-ა, კტემ-ნ-ა და ა.შ. **დიაქრონული თვალსაზრისით ხტეტ-ა ტიპის მასდარის წარმოება გასაგები ხდება, თუ ლი-კტემ ტიპის მასდარის ისტორიას მოვიგონებთ. ლი-კტემ ტიპის მასდარი ისტორიულად გარდამავალი ფუძედრეკადი ზმნის აწმყოს ძველი სრულ-საფეხურიანი ათემატური ფუძის ბაზაზეა ნაწარმოები. ასეთივე სრულ-საფეხურიანი ათემატური ფუძე უნდა იყოს ისტორიულად ამოსავალი ხტეტ-ა ტიპის მასდარისთვისაც: *ხტეტ, *ქტეტ, *კტემ... აქედან ხტეტ-ა, ქტეტ-ა, კტემ-ა. ის ფაქტი რომ ხტეტ-ა ტიპის მასდარს ზოგჯერ გარდაუვალი შინაარსი მიეწერება (კტემ-ა „ტყდომა“), მეორეული ჩანს: მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა ხტიტ-ე, კტემ-ე ტიპის თემატური აწმყო, რომელმაც თითქმის მთლიანა გამოდევნა სრულ-საფეხურიანი გარდამავალი აწმყო *ხტეტ, *კტემ ტიპისა, ფუძის ე- გახმოვანება მხოლოდ გარდაუვალი უღვლილების კონსტიტუციურ ნიშნად იქცა. მაგრამ ხტეტ-ა ტიპის მასდარმა ძველი ათემატური გარდამავალი აწმყო ფუძის ე-ვოკალიზმი შეინარჩუნა; ამის შედეგად განხილული ტიპის მასდარი გარდაუვალ უღვლილებას დაუახლოვდა და რამდენადმე გარდაუვალი შინაარსი შეიძინა. სვანურის სისტემის შინაგანი რეკონსტრუქციის გზით მიღებულ დასკვნებს ადასტურებს შედარება ქართულთან: სვან. ხტეტ-ა, კტემ-ა, დეგ-ა ტიპის მასდარი ზუსტად შეესატყვისება ქართულის ცვეთ-ა, ფენ-ა, ზელ-ა ტიპის მასდარს. სვან. ხტეტ-ა, ისევეა ნაწარმოები გარდამავალი აწმყოს აღსადგენი *ხტეტ ფორმისგან, როგორც ქართ. ცვეთ-ა - გარდამავალი ათემატური აწმყოს სრულ-საფეხურიანი ცვეთ- ფორმისგან. ლი-კტემ და ხტეტ-ა ტიპის მასდარის ისტორია სვანურში, მისი ისტორიული მიმართება ლი- ხტეტ-ე ტიპის მასდართან გასაგები ხდება, თუ დავუშვებთ, რომ ფუძედრეკად გარდამავალ ზმნათათვის სვანურში ისტორიულად დამახასიათებელი იყო აწმყოს ათემატური წარმოება ფუძის სრულ-საფეხურიანი ე- გახმოვანებით. როგორც ლი- პრეფიქსიანი, ისე -ა სუფიქსიანი მასდარი გარდამავალი**

ზმნის აწმყოს ფუძისგან იწარმოებოდა. აღსანიშნავია, რომ მასდარის წარმოებისას სვანურში ფუძე ინარჩუნებს აბლაუტის სრულ საფეხურს მიუხედავად -ა სუფიქსის დართვისა (ხუტ-ა, კუტ-ა, დეგ-ა), სწორედ ისე, როგორც ეს ქართულში დასტურდება: ცუტ-ა, ფენ-ა და მისთ. (შდრ. აგრეთვე ორმორფემიან ფუძედრეკად ზმნათა მასდარი ქართულსა და მეგრ.-ჭანურში: ქართ. დრეკ-ა - მეგრ. დირაკ-ა). **სვანურის ჩვენება ადასტურებს თეზისს ამ მოვლენის საერთოქართველური წარმომავლობის შესახებ.** რედუქციის საფეხურის გადმოტანა აორისტიდან აწმყოში და ათემატური წარმოების შეცვლა თემატურით პარალელს პოვებს მეგრულ-ჭანურსა და ახალი ქართული ენის დიალექტებში: კიდ-ე, დიგ-ე, კუიშ-ე - მეგრ. დირიკ-უნ-ს, შქირიტ-უნ-ს, ჭყვიდ-უნ-ს (ჭან. ჭყვიდ-უფ-ს); ქართ., დიალექტ. დრიკ-ავ-ს, გლიჯ-ავ-ს, წყვიტ-ავ-ს. ყველაზე უფრო თანმიმდევრულად ეს ტენდენცია მეგრულ ჭანურშია გატარებული [გაყრელიძე, მაჭავარიანი, 1965: 210]

-ა სუფიქსიანი მასდარები გარდაქცევითობის შინაარსით ვითარებითი ბრუნვის ფორმით ხშირად გვხვდება **ლიგნე** „დგომა, გაცილება“, **ლოზი** „სვლა“ მასდარებთან და მათსავე პირიან ზმნებთან:

ბჰკუ-დ ლიგნე „სკდომად ქცევა“, **ტყც-დ** „რღვევა-დ ქცევა“, **ხჰ-დ** ლიგნე / **ხჰ-დ** **ლოზი** „სკდომად წასვლა, სკდომად ქცევა“

ხჰ-დ ი **ბჰკუ-დ** **უჷ შმჩედელხი** [ექსპედ. მასალ. ინფ. დ. მიბჩუანი, 77 წლის, კოდორი] „სკდომად და ხეთქად წასულიყავი მცა“.

დავინტერესდით თემით, თუ როგორია -ა სუფიქსიან მასდართა გამოყენების შემთხვევები ცოცხალ მეტყველებაში. ირკვევა, რომ ინფორმატორები (შეიძლება თქვას თაობები) ასაკის შესაბამისად განსხვავდებიან ე. წ. მასდარული ლექსიკით; სხვადასხვა ყალიბის მასდარების გამოყენებით. -ა სუფიქსიან მასდარებს თითქმის ვერ გაიგონებთ (ან ძალზედ იშვიათად) ახლგაზრდა თაობის საუბარში. მათი ლექსიკური ფონდი ძირითადად **ლი-** პრეფიქსიანი საწყისებით ხასიათდება. ქვემოთ მოხმობილი ყველა ილუსტრაცია ჩაწერილი გვაქვს ასაკოვან მთქმელთაგან:

ხუჰტ-ა - წყვეტა, ჟლეტა. **ამი მუჩვემს ხუჰტა ხარ ბაც** [ბზ. ინფ. მ. ფილფანი, 97 წლის, მესტია]- ამის გამკეთებელს წყვეტა (ამოწყვეტა) ელოდება.

კუჭში-ა - ტყდომა. **იმემ კუჭში ხალა** [ინფ. ც. სუბელიანი, 60 წლის, აჟარა]- რისი ტყდომა სწყინს.

ცუწრ-ა - ტოვება, ღალატი. **ჭყინტი ცუწრა ხოლა გუემ ლი** [ზუ. ინფ. დ.მიზჩუანი, 77 წლის, კოდორი] - ბიჭის ტოვება (ღალატი) ცუდი საქმეა.

ქუწც-ა - ჭრა, კვეთა. **თხუიმი ქუწცა კადომ გარ მამ ლი** [ზუ. ინფ. ე. ჯაჭვლიანი, 86 წლის, მესტია] - თავის მოჭრა, მოკვეთა მარტო ნაჯახით არ ხდებაო.

დაგრ-ა- კვდომა. **ამიშ ლითრინეს დაგრა მარ ხოჩა** (ბქ.)- ამის თრევას კვდომა (სიკვდილი) სჯობია.

ქუერ-ა - ღპობა. **მეჟირ ქართობლი ლიკედს შიშდ ქუერა ხოხალ** [ინფ. ც. სუბელიანი, 60 წლის, აჟარა]- სველი კარტოფილის ამოდებას მოსდავს მალე დაღპობა.

ჭკეჟ-ა - ამობუგვა, ამოწყდომა. **ალამრს ჭკეჟა უქად ხარხ ხოლემ ნაჩომღა** [ინფ. ე. ჩხეტიანი, 50 წლის, დმანისი]- ამათ ამოწყვეტა გარდაუვალია, იმდენი ცუდი აქვთ გაკეთებული.

მასაშადამე, მასდარებში - **ხუტ-ა** „ჟლეტა“, **დაგრ-ა** „სიკვდილი“, **ჯაც-ა** „გარდაცვალება“, **გარგლ-ა** „ლაპარაკი“, **კუჭში-ა** „ტყდომა“, **ცუწრ-ა** „ტოვება, ღალატი“, **ქუწც-ა** „ჭრა, კვეთა“ ...) გამოვლენილი -ა სუფიქსი კანონზომიერად შეესატყვისება ქართულ -ა და მეგრულ-ჭანურ -ა სუფიქსს.

§ 7. -ობ სუფიქსიანი მასდარები სვანურში

ეს ჯგუფი მასდარებისა მცირერიცხოვანია. რაოდენობრივად ათეულს არც კი სცდება, მაგრამ მაინც ცალკე სტრუქტურულ მოდელად და განსხვავებულ შინა-არსობრივ ჯგუფად უნდა განვიხილოთ. -ობ სუფიქსიანი მასდარებია:

დორ-ობ < (დიწრ „პური“) „პურობის, სადილობის დრო“

გარგლ-ობ „საუბრის დრო, საქმის გარჩევის დრო“

ჯაცობ „დაღუპვის, დაქცევის დრო“

დაგრ-ობ „მკვლელობის დრო“, „აღსასრული“

შდწხ-ობ „ამოწყვეტა“

ცწწრ-ობ „მიტოვების, დალატის ჟამი“

ხეუწტ-ობ „ამოწყვეტის დრო“

ჭკწჟ-ობ „[ამო]წყვეტა“

მწდარ-ობ „შიმშილობა“ შიმშილობის დრო“

ქწწხწჟ-ობ „დიდი ყინვების დრო“ და ა. შ.

-ობ სუფიქსიანი მასდარები შინაარსობრივად გულისხმობენ პროცესს, ზოგადად რაღაცის დროს, მიმდინარეობას. შესაბამისად, სვანურში ერთ-ერთ მოდელად შესაძლოა, გამოვყოთ -ობ სუფიქსიანი მასდარებიც.

-ობ სუფიქსიანი მასდარები სტრუქტურულად თავისუფლად ენაცვლებიან -ა სუფიქსიან მასდარებს, შინაარსობრივად კი - ვერა. როგორც ცნობილია, პარალელური ფორმების არსებობის შემთხვევაში ენა ყოველთვის ცდილობს ახალი ფუნქციების დაკისრებას, ახალი სემანტიკური ნიუანსის გამოხატვას. ჩვენი აზრით სწორედ ასე მოხდა -ა და -ობ სუფიქსიანი მასდარების შემთხვევაშიც: -ა სუფიქსიანებმა შეინარჩუნეს სუბსტატიური შინაარსი, -ობ სუფიქსიანმა მასდარებმა კი- პროცესს, ზოგადად რაღაცის დროის, მიმდინარეობის სემანტიკა გამოხატეს.

გწრგლ-ობ გწრგლ-ა „საუბარი, ლაპარაკი“

კწც-ობ კწც-ა „დალუპვა“ „ დაქცევა „

დაგრ-ობ აგრ-ა „სიკვდილი“

შდწხ-ობ შდწხ-ა „გამოლევა“

ცწწრ-ობ ცწწრ-ა „მიტოვება, დალატი“

ხეუწტ-ობ ხეუწტ-ა „ამოწყვეტა“...

ორივე სახე (-ა და -ობ მორფემებით) ნაწარმოები მასდარები თავისუფლად გულობენ ლი- პრეფიქსიან და ლი-ი, ლი- ე კონფიქსურ ყალიბებს.

გზრგლ-ობ / გზრგლ-ა / ლი-გზრგლ-ი „საუბარი, ლაპარაკი“

ჯაცობ / ჯაც-ა / ლი-ჯც-ე „დალუპვა“

დაგრ-ობ / დაგრ-ა / ლი-დგრ-ი „სიკვდილი“

შდნხ-ობ / შდნხ-ა / ლი-შდნხ „გამოლევა“

ცტნრ-ობ / ცტნრ-ა / ლი-ცტნრ „მიტოვება, ღალატი“

ხტნტ-ობ / ხტნტ-ა / ლი-ხტნტ „ამოწყვეტა“...

უფრო მეტიც, სვანურში დღეს შეინიშნება ტენდენცია ოდენსუფიქსური წარმოების კონფიქსურ წარმოებაზე გადასვლისა:

ხტნტ-ობ / ხტნტ-ა > ლი-ხტნტ / ლი-ხტნტ-ე „ამოწყვეტა“

ჯაცობ / ჯაც-ა > ლი-ჯწც / ლი-ჯ-ე „დალუპვა“...

როგორც ცნობილია სვანურის კვლევისას კლასიკოსები -ნიკო მარი, აკაკი შანიძე, ვარლამ თოფურია, გივი მაჭავარიანი, ზურაბ ჭუმბურიძე... ეპითეტებს არ იშურებენ სვანური ლექსიკის არქაულობისა და სვანურის სიტყვათწარმოებითი განსაკუთრებული უნარის აღსანიშნავად და ხაზგასასმელად (მხედველობაშია და-ძმის აღმნიშვნელი ოთხი ლექსემა, სიარულის გამომხატველი 300- მდე ზმნური ფორმა სვანურისა, და სხვაც არა ერთი...)

შეიძლება ითქვას, მასდარებშიც ფორმათა მრავალფეროვნებით მკაფიოდ ვლინდება სვანურის განსაკუთრებულობა სიტყვათქმნადობის თვალსაზრისით. მაგალითად, სწორედ ოდენ პრეფიქსულ მასდარებს შეუძლიათ რაოდენობრივად ექვსი მასდარული ფორმის წარმოება, ქართული თარგმანი ზედმიწევნით, აღწერითი გზების გარეშე გადმოსცემს მხოლოდ ორ ფორმას ამ ექვსთაგან – ამოსავალს და კაუზატიურს:

ოდენსუფიქს. წარმ.	ოდენსუფიქს. წარმ.	პასივი	აქტივი	მრავალგზ.	კაუზ.
ხტნტ-ა „ამოწყდომა“	ხტნტ-ობ	ლი-ხტნტ	ლი-ხტნტ-ე	ლი-ხტნტ-წლ	ლი-ხტ-უნ-წტ-ნე
ცტნრ-ა „მიტოვება“	ცტნრ-ობ	ლი-ცტნრ	ლი-ცტნრ-ე	ლი-ცტნრ-წლ	ლი-ცრ-უნ-წტ-ნე

კადა „ამოწყდომა“	კადა-ობ	ლი-კედა	ლი-კედა-ე	ლი-კედა-წა	ლი-კედა-უნ-ჭა-ნე
შდაზა „გამოლევა, დამთავრება“	შდაზა-ობ	ლი-შდეზ	ლი-შდეზ-ე	ლი-შდეზ-წა	ლი-შდეზ-უნ-ჭა-ნე
ბჭკუა „სკდომა, გახეთქვა“	ბჭკუა-ობ	ლი-ბეკუა	ლი-ბეკუა-ე	ლი-ბეკუა-წა	ლი-ბეკუა-უნ-ჭა-ნე
ხაპა „სკდომა“	ხაპა-ობ	ლი-ხეპ	ლი-ხეპ-ე	ლი-ხეპ-წა	ლი-ხეპ-უნ-ჭა-ნე
წკარა „გახლეჩა“, გაპობა (გულის)“	წკარა-ობ	ლი-წკერ	ლი-წკერ-ე	ლი-წკერ-წა	ლი-წკერ-უნ-ჭა-ნე
ჟდაპა „გასრესა, ჭყლეტა“	ჟდაპა-ობ	ლი-ჟდეპ	ლი-ჟდეპ-ე	ლი-ჟდეპ-წა	ლი-ჟდეპ-უნ-ჭა-ნე

(ენათმეცნიერება ხატოვან ეპითეტებს რომ ჰგუობდეს, თამამად ვუწოდებდი ამ ცხრილს „სვანურ მასდარულ კალიდოსკოპს“).

აღნიშნულ ფორმათაგან თითოეულს სტრუქტურული ყალიბების, მაწარმოებელი აფიქსების ასეთი მრავალფეროვნების შესაბამისად ეძებნება სხვადასხვა შინაარსი სხვადასხვა სემანტიკური ნიუანსით: კერძოდ, პირველი სვეტი -ეს არქაული შინაარსისა და აღნაგობის მასდარებია (ხაჭა, ცაჭარა, კადა, შდაზა...) („ღალატი, ამოჟლეტა, ამოწყვეტა, დამთავრება“), მეორე სვეტი -ობ სუფიქსიანი ფორმები (ხაჭაობ, ცაჭარობ, კადაობ, შდაზაობ...) ამ მასდარებით გამოხატული მოქმედების მიმდინარეობის პროცესს გამოხატავს („ღალატის, ამოჟლეტის, ამოწყვეტის, დამთავრების დრო“), მესამე სვეტი ლი- პრეფიქსიანი ფორმები (ლიხაჭე, ლიკედა, ლიშდეზ)

ამ მასდართა ვნებით შინაარსს გადმოგვცემს, მეოთხე სვეტი ლი-ე თავსართ-ბოლოსართიანი მასდარები (ლიხაჭე, ლიკერე, ლიკედა, ლიშდეზე) აქტივის ფორმებია, ლი-წა ყალიბით ნაწარმოები მასდარები (ლიხაჭეწა, ლიკერეწა, ლიკედაწა, ლიშდეზეწა) მოქმედების მრავალგზისობას გადმოგვცემენ და შესაბამისად, ქართულ

თარგმანში ზედმიწევნით ზედმიწევნით ვერ ავსახავთ ამ გრამატიკულ კატეგორიებს. ბოლო მეექვსე სვეტის მასაღარები -უნ-ჭუნე დაბოლოებით (ლი-ხტ-უნ-ჭუნ-ე, ლი-ცრ-უნ-ჭუნ-ე, ლი-კდ-უნ-ჭუნ-ე, ლი-შდხ-უნ-ჭუნ-ე...) კაუზატიური ფორმებია. აქ შესატყვისი ფორმები ქართულში გვაქვს. ოღონდ სვანურმა აქაც „გამოიჩინა თავი“ ორმაგი კაუზატიური სტრუქტურით: ლი-ხტ-უნ-ჭუნ-ე, „ამოწყვეტინება“, ლი-ცრ-უნ-ჭუნ-ე „მიტოვებინება“ ...

§ 8. -ეჭ- ა ორმაგსუფიქსიანი მასღარები

ამ ტიპის სახელებია: ტ-ეჭ-ა /ტ-ეჭ-ა /ტ-ჭუნ-ა „აურზაური, აყალმაყალი, ჩხუბი“, ტგნტ-ეჭ-ა „ხმაური“, ჭგნჭყ-ეჭ-ა „ ხმაური (ბავშვებისა)“, ფგც-ეჭ-ა „ფუთფუთი“, ჭკლ-ეჭ-ა „ ხმაური (დიდი)“, ხლ-ეჭ-ა „ხმაური (ხალხისა)“, ჯგლ-ეჭ-ა „ხმაური (ხალხისა)“, ჭიმჭკ-ეჭ-ა „ხმაური (ბავშვებისა)“, ჯგნჯლ-ეჭ-ა „ხმაური“...

აღნიშნულ ფორმებს ხმაბაძვით ლექსიკურ ერთეულებს უწოდებს მ. საღლიანი და -ეჭ(ა)/-ეჭ(ა) აფიქსს გენეზისურად უკავშირებს ქართულ -იალ-ს: სვანურში გამოვლინდა -ეჭ(ა)/-ეჭ(ა) სუფიქსიანი რამდენიმე ხმაბაძვითი ლექსიკური ერთეული, რომლებიც, შესაძლებელია, ქართული ზრიალ-, სრიალ-, ჟრიალ-, შრიალ-, ჭრიალ-, წრიალ-, გრიალ-, კრიალ- ... ტიპისა იყოს, თუმცა სტრუქტურული შედგენილობით საგრძნობლად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. სვანური -ეჭ(ა)/-ეჭ(ა) სუფიქსის ქართულ -იალ სუფიქსთან ფონეტიკური დაკავშირება საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს. საანალიზო სუფიქსთა ფონეტიკური ტრანსფორმაცია კი შემდეგი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ: ქართ. -იალ > სვან. -იჲლ > -იელ > -ელ > ეჭ [საღლიანი, 2016:289]

სრულიად ვეთანხმებით მკვლევარს აფიქსური მორფემის გაანალიზებაში. რაც შეეხება კვალიფიცირების საკითხს, მცირერიცხოვანების მიუხედავად ჩვენთვის ეს ლექსიკური ერთეულები მასღარებია, სწორედ ამიტომ განვიხილავთ მათ სტრუქტურის მიხედვით ოდენ სუფიქსურ წარმოებაში;

ვერ დავეთანხმებით მ. სალიანს შემდეგი დებულების მართებულობაში: განსხვავებით სხვადასხვა ყალიბისა და სტრუქტურის საწყისთაგან რაც შეეხება -**ეჭ/-ეჭ** სუფიქსიან მასდარებს, რომლებიც სისტემას არ ქმნიან სვანურში, მათ **მასდარის მაწარმოებელი არც ერთი სხვა აფიქსი არ დაერთვით**; მოქმედება-მდგომარეობის შინაარსს სწორედ თავად ეს სუფიქსები გადმოსცემენ და ისინი, როგორც გამოკვლევამ აჩვენა, შესაძლოა, ქართული *ზრიალ-, სრიალ-, ჟრიალ-, შრიალ-, ჭრიალ-, წრიალ-, გრიალ-, კრიალ-* ... ტიპისა იყოს [სალიანი, 2015:180].

ჩვენი მონაცემების, სვანურ მეტყველებაზე დაკვირვებისა და ინფორმატორებთან რამდენიმეჯგუფის მასალის შემოწმების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სემანტიკურად ძირითადად ხმაურთან ასოცირებული ეს ლექსემები ბალსზემოურ დიალექტში თანდათან და თავისუფლად ირგებენ მასდართა „ტრადიციულ“ **ლი _ ე** კონფიქსურ ყალიბსაც და მეტყველებაში პარალელურად გვხვდება შემდეგი ფორმები:

ტ-ეჭ-ა / ლი-ტეჭ-ე „აურზაური, აყალმაყალი, ჩხუბი“

ტენტ-ეჭ-ა / ლი-ტენტეჭ-ე „ხმაური“

ჭენტეჭ-ეჭ-ა / ლი-ჭენტეჭეჭ-ე „ხმაური“ „ხმაური (ბავშვებისა)“

ჯენტჯლ-ეჭ-ა / ლი-ჯენტჯლეჭ-ე „ხმაური“...

ტ-ეჭ-ა / ლი-ტეჭ-ე „აურზაური, აყალმაყალი, ჩხუბი“, **ტენტ-ეჭ-ა / ლი-ტენტეჭ-ე** „ხმაური“ ... მასდართაგან ნაწამოები ზმნური პარადიგმები, სავარაუდოდ, შინაარსობრივად ხმაურის სემანტიკის გამო, პირნაკლი ფორმებია და მეტყველებაში ძირითადად გამოიყენება მრავლობითი რიცხვის II და III პირის ფორმით: ეჯდჷრ **ტეჭეხ** „ისინი აყალმაყალში არიან“, ეჯდჷრ **ტენტეჭეხ** „ისინი აყალმაყალში არიან“...

უარყოფითი კონოტაციის გამო პირველი პირის ფორმით თითქმის არ გვხვდება ზმნები: ნჷდ **ტეჭედ** ან ნჷდ **ტენტეჭედ** „ჩვენ ვაყალ-მაყალობთ“...

სვანურად მეტყველის პოზიციებიდან, უნდა აღინიშნოს, რომ ამ პარალელურ ფორმათაგან არქულობის სემანტიკა სწორედაც რომ პირველი ჯგუფის (**ტეჭა, ტენტეჭა...**) სახელებს გააჩნიათ **ლი-ე** თავსართ- ბოლოსართით ნაწარმოებ (ლიტეჭე, ტენტეჭე...)

ლიტენტეუ...) ფორმებთან მიმართებით. შესაბამისად ახალგაზრდების მეტყველებაში აღნიშნულ მასდარულ ფორმებს იშვიათად გაიგონებთ.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ განხილულ ტენტ-ენტ-ა, ტ-ენტ-ა, ჭენტყ-ენტ-ა, ხლ-ენტ-ა, ჯგლ-ენტ-ა, ჭიმჭკ-ენტ-ა, ჯგნჯლ-ენტ-ა ხმაურის აღმნიშვნელი ეს მასდარები სტრუქტურულად ორმასუფიქსური წარმოებისად შეიძლება კვალიფიცირდეს: -ენტ ქართულ - იალ-ს უნდა უკავშირდებოდეს, ბოლოკიდური -ა კი საერთო ქართველური მონაცემია, რომელიც ისტორიულად განყენებულ სახლეთა მაწარმოებელი უნდა ყოფილიყო სვანურში (შდრ. ხუატა- წყვეტა, ჭკაჟა - წყვეტა, თხარა - სკდომა, ბჭკუა - წყვეტა, კადა - წყვეტა...)

აბსტრაქტული სახელი და მასდარი, მართალია, სხვადასხვა ენობრივი მონაცემია, მაგრამ შინაარსობრივად საკმაოდ ახლოს მდგომი ერთმანეთთან.

ამრიგად, სვანურში გვხვდება -ენტ- ა ორმაგ სუფიქსური წარმოების რამდენიმე მასდარი. ჩვენი აზრით, ტენტა, ტენტენტა... ტიპის ფორმები საკმაოდ არქაული ლექსიკური ერთეულებია, რომლებიც მასდართა კონფიქსური წარმოების ყალიბსაც თავისუფლად ირგებენ. მცირერიცხოვანების მიუხედავად, ისინი ცალკე ჯგუფად უნდა განვიხილოთ.

§ 9. არამარკირებული მასდარები

გაუფორმებელი ანუ არამარკირებული მასდარებია ძირში -ი- გახმოვანების მქონე, უაფიქსო ფორმები: ძგუბ, დღილ, ცილ, ხგლ ...

ძგუბ „ წყვეტის ხმა“

ხგლ „თოფის ხმა“

დღილ „გლეჯის ხმა“

ბიჭკუ „სკდომის ხმა“

ყუბისგ „თოფის სროლის ხმა“

ტყუბიფ „სილის გარტყმის ხმა“

რიყ „სიღრმეში მძიმე საგნის ჩავარდნის ხმა“

მიჭყ „ჭყლეტის ხმა“

ბიჩხ „გაშლილი ხელით გარტყმის ხმა“

შკუბიფ „ჯოხით ცემის ხმა“

რიფ „თოვლის ხის ტოტიდან ჩამოვარდნის ხმა“...

უსუფიქსოდ – მარტივი (ე. წ. შიშველი) ფუძით წარმოდგენილი შემდეგი მასდარები განხილული აქვს მ. სალიანს: ბითქ (ზს., ქს.) „ბათქაბუთქი“; ბიტყ (ჩოლ.) „მირტყმა-მორტყმის ხმა“; ზღტუბ (ჩოლ.) „წკნელის მირტყმა-მორტყმის ხმა“; რისტ (ბქ., ლშხ., ჩოლ.) „გალაწუნება, მირტყმა-მორტყმის ხმა“; ტკიჩ (ბქ., ლშხ., ჩოლ.) „ჯოხის, ან რაიმე ბლაგვი საგნის დარტყმის ხმა“; ტკუბ (ბქ.) „ტკაპანი“; ტტრიმ (ბქ.) „მირტყმა-მორტყმის, დამტვრევის ძლიერი ხმა“; ტყუფ (ბქ.) „ხელის გარტყმის ხმა“; ღრიჭ (ზს., ქს.) „ფაჩუნი; ხმელ ფოთლებზე ფრთხილი სიარული“; ყუღიჩ (ბქ.) „ღრჭიალი, ღრიჭინი“; შკუფ (ბქ.) „ხმელი ნივთების მტვრევის ხმა“; ჩხუფ (ბქ.) „მსხვრევის ხმა“; წყიგ (ბქ., ლშხ., ჩოლ.) „წყლის წვეთვის ხმა, წანწკარი“; ჭიხ (ზს.) „ჭახ-ჭახი, ჭახანი; გარტყმის ხმა“; ჭკუბ (ბქ.) „ძაფის გაწყვეტის ხმა“; ხტრიმ (ბქ.) „ხრამუნი“; ხტრიბ (ზს., ლშხ., ჩოლ.) „ხვრეპა“... [სალიანი, 2013: 134]

სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ტიპის უაფიქსო ფორმათა აღსანიშნავად გამოყენებულია სხვადასხვა ტერმინი: პირველადი მასდარები (არნ. ჩიქობავა, რ. ჭკადუა, მ. სალიანი, „სახელურ-ზმნური“ ფუძეები – ა. დავითიანი)... ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ ტერმინს – არამარკირებული, რამდენადაც აღნიშნული ფორმები სწორედ ფუძის სიშიშვლით, არამარკირებულობით განსხვავდებიან ნებისმიერი სტრუქტურის ოდენ პრეფიქსული, ოდენსუფიქსური, კონფიქსური წარმოების დანარჩენ მასდართაგან.

საინტერესოა, რომ ცოცხალ მეტყველებაში ეს გაუფორმებელი, უაფიქსო ფორმები, ჩვენი ინტერპრეტაციით არამარკირებული მასდარები – ძგუბ, დღილ, ცილ... ლი-ი / ლი-ე კონფიქსებს ირგებენ. შესაბამისად ვღებულობთ პარალელურ ფორმებს:

ძგუბ „წყვეტის ხმა“	ლი-ძგუბ-ე „ჩამოწყდომა“
ტყუფ „სილის გარტყმის ხმა“	ლი-ტყუფ-ი „სილის გარტყმა“
შკუფ „ჯოხით ცემის ხმა“	ლი-შკუფ-ი „ჯოხით ცემა“
ბიჩხ „გაშლილი ხელით გარტყმის ხმა“	ლი-ბიჩხ-ი „გაშლილი ხელით დარტყმა“
ბიჭკუ „სკდომის ხმა“	ლი-ბიჭკუ-ე „გასკდომა, გახეთქვა“
ჟღიბ „მუშტის დარტყმის ხმა“	ლი-ჟღიბ-ი „მუშტის დარტყმა“...

სანურში არის მცირერიცხოვანი ჯგუფი -ა ბოლოსართიანი ლექსემებისა ცქწფ-ა, ცწლ-ა, ხწპ-ა, ჟღწპ-ა ... რომლებიც ლიგნე ზმნის ფორმებთან ერთად აღწერითად გამოხატავენ გარდაქცევითობას;

მაგ: ცქწფ-დ ლიგნე „ხეთქად ქცევა, გახეთქვა“, ცწლ-დ ლიგნე „ხევა-დ ქცევა, გახევა“, ხწპ-დ ლიგნე „სკდომად ქცევა, გახეთქვა“, ჟღწპ-დ ლიგნე „ჭყლეტად ქცევა, გაჭყლეტა“ ...

რ. ჭკადუას მიერ შენიშნულია, რომ ძირში -წ- გახმოვანების მქონე ლექსემების გვერდით, სვანურში გამოიკვეთება იმავე ფუძის ლექსიკური ერთეულები, მხოლოდ ძირისეული -ი- ხმოვნით. ისინი მხოლოდ გარკვეულ ზმნებთან კომბინაციაში გამოიყენება, აქვთ ბრუნების კატეგორია და საერთო სემანტიკური ნიუანსი: აღნიშნავენ რაღაც ქმედების შედეგად გამოცემულ ხმას. მაგ.: ძგუბ „წყვეტის ხმა“; დღილ „გლეჯის ხმა“; ბიჭუტ- „სკდომის ხმა“; მიჭყ „ჭყლეტის ხმა“; რიყ „სიღრმეში მძიმე საგნის ჩავარდნის ხმა“; რიფ „თოვლის ხის ტოტიდან ჩამოვარდნის ხმა“; ტყუიფ „სილის გარტყმის ხმა“; ბიჩხ „გაშლილი ხელით გარტყმის ხმა“; შკუიფ „ჯოხით ცემის ხმა“ და ა.შ. აღნიშნული ლექსემები ძირითადად ორ ზმნასთან გამოიყენება: ლიღნე „გადენა (გაადენს)“; ლიკედ (აღება). მხოლოდ არა ძირითადი აღება-ს მნიშვნელობით, არამედ ხმის გაღების. ეს არქაული ფორმები სემანტიკურად ქართულის ე.წ. პირველადი მასდარების ექვივალენტი უნდა იყოს [ჭკადუა, 2005:325]

მსგავს სახელებს ქართულში, ხმოვნის შენაცვლებით ზმნის ფუძისგან ნაწარმოებად მიიჩნევენ ა.შანიძე: კრეჭა - კრაჭუნი, ბეგვა - ბაგუნი, ბრეგვა - ბრაგუნი, ტყეპა - ტყაპუნი და სხვ. [შანიძე, 1980:566].

ერთი და იმავე ფუძის ძირისეული ხმოვნის მონაცვლეობით ვიღებთ შეპირისპირებულ წყვილებს: ძგუბ - ძგუბ-დ; ცილ -ცწლ-დ; ჟღიბ - ჟღწპ-დ; ჟღიპ - ჟღწპ-დ და ა.შ.

არამარკირებული მასდარები წინადადებაში გამოდიან ძირითადად ქვემდებარისა და პირდაპირი დამატების როლში; ოღონდ ყველა ზმნა-შემასმენელთან ვერ ქმნიან სინტაქსურ წყვილს; არათუ ყველასთან, მათი არეალი ამ მხრივ საკმაოდ

შეზღუდულია და ორიოდე ზმნაზეა დაყვანილი. ამ ზმნათა მასდარებია ლიკედ „აღება“ ლიღნე „გადენა, ხმის გამოცემა“...

მთელი ლეთ ჩუ ლგდა **ხგლ-მახგლ** [ექსპედ. მასალ. ინფ. ა. ჯაჭვლიანი, 85 წლის, კოდორი] „მთელი ღამე ისმოდა (ზედმიწ. „იდგა“) თოფის ხმა“.

მგრწმნედ **რიხ ანკიდ** [ზზ., სვან. ლექსიკ., 2000: 690] „რადაცამ ბრავანი გაილო“.

გურნად **ფიჩ ანკიდ** ჭემჟურნ [ზზ., სვან. ლექსიკ., 2000:764] „რიყის ქვამ ფაჩუნი გაილო თივაზე“.

მაღულდ ნაკლჷჟი ათღანე **ფლიჩ** [ბქ., სვან. ლექსიკ., 2000: 764] „მელამ ბზეზე გაადინა ფაჩუნი“.

მზეხ ზაჷ თეფიშ **ყჷისგ** ჩუ ლგ [ბქ., სვან. ლექსიკ., 2000: 808] „ახალ წელს თოფის ჭახანი დგას (გაისმის)“.

ბეჩდ **რიხ** ანკიდ [ლშხ., სვან. ლექსიკ., 2000: 690] „ქვამ რახუნი გაილო (გარახუნდა)“.

არამარკირებულ მასდარებს სვანურში ახასიათებთ კომპოზიცია, ფუძის რედუპლიკაცია:

ხგლ-მახგლ „თოფის ხმა“	რიხ-რწხ „რახუნი, რახა-რუხი“
ჟღიბ - ჟღწბ „მუშტის დარტყმა“	ბრიგჷ-ბრწგუ „ბრავუნი“
ბიჭკჷ-ბწკჷ „სკლომა“	ტყჷიფ-ტყწფ „ტყაპა-ტყუპი“ და ა.შ.

სავარაუდოდ, სხვადასხვა ეტაპზე წარმოქმნილი, საერთო ძირის ლექსემები ერთი მხრივ, არქაული ფორმის, უაფიქსო სტრუქტურის არამარკირებული მასდარები და მეორე მხრივ, ასევე არქაული -წ სუფიქსიანი საწყისები, ფორმობრივად ძირისეული ხმოვნის მონაცვლეობის მეშვეობით დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, რაც შემდგომ ფუნქციურად სემანტიკური ნიუანსებით გამოიხატა.

დასასრულ, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სვანურში მსგავსად სხვა ქართველური ენებისა გვაქვს მასდართა უაფიქსო ფორმები. ენაში გარკვეულწილად შეინიშნება ტენდენცია არამარკირებულ მასდართა უსუფიქსო წარმოებიდან

სუფიქსურ და კონფიქსურ წამოებაზე გადასვლისა: რაც გამოიხატება პარალელურად ისეთი ფორმების არასებობაში, როგორცაა

არამარკირებული: ბითქ, სგუიჭ, სიტ, ტყიპ, შკუიფ, ჯიჭკ...

სუფიქსური: ბურთქ-უნ, შკურფ-უნ, ბგრთქ-გნ, სგრტ-გნ, ტყგრპ-გნ...

და კონფიქსური წარმოების მასდარები: ლი-ბგრთქგნ-ი, ლი-სგურჭუნ-ი, ლი-სგრტგნ-ი, ლი-ტყგრპგნ-ი, ლი-შკგრფგნ-ი.

§ 10. ბგერწერითი ლექსიკა მასდარებში

ხმაბაძვითი, ბგერწერითი ლექსიკური ერთეულები ყველა ენისთვისაა დამახასიათებელი. სვანური ფონოსემანტიკური ლექსიკა სხვადასხვა ასპექტით არის შესწავლილი მ. სალლიანის მიერ. მასდარებად კვალიფიცირებულ ამ ლექსემათა ერთი ნაწილი მიღებულია ორი სხვადასხვა ფუძის/ძირის შერწყმით (ანუ კონტამინაციით): **ზგრზგნ** „ზანზარი“ - **ფგრზგნ** „კანკალი, ზანზარი“, **ტურშუნ** „რახუნი“ - **ბურგუნ** „ბრაგაბრუგი, რახუნი“, **ჩხგრკგნ** „ჩხაკუნი“ - **ფხგრკგ** „ფხაკუნი“, **ცურცუნ** „ჩურჩული“ - **ფურცუნ** „ჩურჩული“, **ხგრმგნ** „ხმაური, მტვრევა-მსხვრევის ხმა“ - **ტურმუნ** „დიდი ხმაური, მტვრევა-მსხვრევის ხმა“)... მეორე ნაწილი კი მიღებულია თავკიდურ თანხმოვანთა ალტერნაციით: **თგრთხგნ** - **ფგრთხგნ** (თ/ფ), **სგრტგნ** - **პგრტგნ** (ს/პ), **ხგრტგნ** - **პგრტგნ** (ხ/პ)...

სტრუქტურულად **-უნ/-უნ** და **-გნ/-გნ** სუფიქსიანი ეს სახელები ძირითადად აღნიშნავენ ხმას (შესაბამისად ამ ხმის გამომწვევი მოქმედების დიურატიულობას, განგრძობითობას), რომელიც ახლავს ამა თუ იმ სახის მოქმედებას (ცემას, დარტყმას, მტვრევას, მსხვრევას, სროლას, სროლას, ჭამას, და სხვ.) გარკვეული ხმის თანხლებით. ეს სახელები, თავის მხრივ, წარმოადგენენ „პირველად მასდარებს“, რომელთაგან იწარმოება ახალი ზმნური ფორმები, ზოგჯერ რამდენადმე შეცვლილი სემანტიკით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხშირად ეს სემანტიკური ცვლილება ხელშესახებია არა მხოლოდ დიალექტების დონეზე, არამედ ერთი დიალექტის ფარგლებში, კილოკავების

დონეზეც კი. -**უნ/-უნ** და -**გნ/-გნ** სუფიქსით ნაწარმოები სახელები შედარებით ახალი წარმოქმნილია სვანურში ამოსავალი მარტივი ფუძეების რედუპლიკაციითა და შემდგომ სუფიქსაციით, რაცაც თაცდაპირველი შიშველი ფუძეების არსებობაც ადასტურებს [სალლიანი, 2016:289]

ბგერწერითი ლექსიკით ნაწარმოები ეს „პირველადი მასაღარები“ სვანურში თავისუფლად გუობენ **ლი-ი** კონფიქსურ სტრუქტურულ ყალიბს:

ტურშუნ „რახუნი“	ლი-ტურშუნ-ი „რახუნი“
ბურგუნ „ბრაგაბრუგი, რახუნი“	ლი-ბურგუნ-ი „ბრაგაბრუგი, რახუნი“
ჩხგრკუნ „ჩხაკუნი“	ლი-ჩხგრკუნ-ი „ჩხაკუნი“
ფხგრკუნ „ფხაკუნი“	ლი-ფხგრკუნ-ი „ფხაკუნი“
სგრტუნ „ყვირილი“	ლი-სგრტუნ-ი „ყვირილი“ ...

ლი-ი კონფიქსის დართვის შედეგად კი ფუძისეული (თუ რედუპლიცირებული ძირისეული) ხმოვანი სიგრძეს კარგავს: (**ჟ > უ, გ > ჯ ...**)

ეს საკმაოდ მცირერიცხოვანი ჯგუფია ფუძეგაორკვეებული სიტყვებისა, თუმცა ბგერწერითი ლექსიკის მონაწილეობა სვანურ მასღარებში ამით არ ამოიწურება:

-**გნ/-გნ** დაბოლოებიანი ფუძეების პარალელურად სვანურში შეგვხვდა რამდენიმე -**ინ** სეგმენტისანი ხმაბაძვითი ლექსიკური ერთეული: **კგრკუნ** „კისკისი“, **ფგრღუნ** „კანკალი, ცახცახი“, **ყგრყუნ** „პირდაღებული ტირილი“, **ცგრცხუნ** „დუღილი, ცახცახი“...

სვანურ მასღართა „ტრადიციული“ **ლი-ი** კონფიქსი ამ შემთხვევაშიც თავისუფლად ერგება რედუპლიცირებულ ფორმებს:

თგრხუნ > ლი-თგრხუნ-ი „ხმაური“
კგრკუნ > ლი-კგრკუნ-ი „კისკისი“
ფგრღუნ > ლი-ფგრღუნ-ი „კანკალი, ცახცახი“
ყგრყუნ > ლი-ყგრყუნ-ი „პირდაღებული ტირილი“
ცგრცხუნ > ლი-ცგრცხუნ-ი „დუღილი, ცახცახი“
ჩხგრკუნ > ლი-ჩხგრკუნ-ი „ჩხიკინი“ ...

ლი-ი კონფიქსის დართვის შედეგად ამ შემთხვევაშიც ფუძისეული ირაციონალური ანუ ანაპტიქსური ხმოვანი სიგრძეს კარგავს: (**ღ > გ ...**)

ამ უკანასკნელთა სტრუქტურული შედგენილობა და სავარაუდო ფონეტიკური ტრანსფორმაცია თითქმის იგივეა, რაც **-უნ/უნ** და **-გნ/გნ** დაბოლებიანი ფუძეებისა.

საინტერესოა, **-ნ** სეგმენტის ფონოსემანტიკური ლექსიკური ერთეულები ახალი გაჩენილია სვანურში თუ არქაულ მოვლენასთან გვაქვს საქმე? ცხადია, ორივე შესაძლებლობის დაშვება შეიძლება, თუმცა მასალის სიმცირე საბოლოო დასკვნის გამოტანის საშუალებას არ იძლევა.

-ნ დაბოლებიანი ლექსიკური ერთეულები სისტემას არ ქმნიან სვანურში. რამდენიმე ერთეულია მხოლოდ. თუ ჩავთვლით, რომ ეს ფორმები ახალი დამკვიდრებულია სვანურში ქართული ყროყ-ინ-ი, ყიყ-ინ-ი, ჭიხვ-ინ-ი, და ა.შ. ფორმათა ანალოგიით, მაშინ სვანურის მოვლენას არქაიზმად ვერ მივიჩნევთ. თუნცა ვერც იმ ფაქტს გამოვრიცხავთ, რომ სვანურში სწორედ უძველესი საერთო ქართველური **-ინ** დაბოლოება შემოინახა ნაშთის სახით [სალლიანი, 2016: 291]

ამგვარად, სვანური „**მასდარული სამყარო**“ საკმაოდ მრავალფეროვანია როგორც სტრუქტურული ყალიბების, სალიტერატურო ქართულთან და ზანურთან მიმართების, სპეციფიკურობის, არქაიზმების, ლექსიკური შემადგენლობისა და სემანტიკური ასპექტების გათვალისწინებით. ამ მრავალფეროვნებაში, როგორც ვნახეთ, ბგერწერითი ლექსიკაც მონაწილეობს.

ლი-ი / ლი-ე კონფიქსთა დართვა მასდარებში იწვევს ფონეტიკურ ცვლილებებს, კერძოდ, ძირეული ხმოვნის რედუქციას:

ლი-ბჟინ-ე „გაგებინება, შეტყობინება“ < **ბჟინ** „მაცნე, შიკრიკი“ (დაიკარგა **წ** ხმოვანი).

ლი-ნსგლ-ე „გასქელება“ < **სგელ** „სქელი“ (დაიკარგა **ე** ხმოვანი).

ლი-გჭ-ე „დაჭერა, დამაგრება“ < **გეჭ-ნი** „ძლებს“ (დაიკარგა ძირეული **ე** ხმოვანი).

ლი-ჭთ-ე „წყევლა“ < **ჭათა** „წყევლა“, **ჭათე** „წყევლის“ (დაიკარგა ძირეული **ა** ხმოვანი).

ლი-ჟრ-ი „შეცოდება, შებრალება“ < **ჟგრ** „წყალობა“ (დაიკარგა **გ** ხმოვანი).

ლი-ლხჭარ-ი „ამთევება“ <ლახჭ „მთა“ (დაიკარგა ძირეული ა ხმოვანი).

შკუთფ > ლი-შკუთფ-ი, ბიჭკუჭ > ლი-ბჭკუჭ-ე, ძგუთბ > ლი-ძგუთბ-ე ...

ამგვარად, შეიძლება დასკვნის სახით ითქვას, რომ სტრუქტურული ყალიბების მიხედვით, წარმოების მხრივ მასდარი სვანურში არის ოთხი სახისა: პრეფიქს-სუფიქსური; ოდენ პრეფიქსული; სუფიქსური და უაფიქსო / (არამარკირებული).

ჩვენი კვლევებით მასდარის მაწარმოებელ აფიქსთა ცხრილი სვანურში ასეთი სახისაა: კონფიქსური წარმოება: ლი -ე; ლი-ი; ლი-ჭ;

ოდენ პრეფიქსული: ლი- ;

სუფიქსური: -ა; ობ; -ეჭა ;

უაფიქსო: 0

უძველესი, ყველაზე არქაული ამ ყალიბთაგან ოდენ სუფიქსური წარმოება [-ა] უნდა იყოს. პრეფიქს-სუფიქსური წარმოება ძირითადად ლი-ე, ლი-ი თვისართ-ბოლოსართით გამოიხატება; ოდენ პრეფიქსული წარმოება ლი- მრავალფუნქციური სართით;

მასდარი სვანურში ძირითადად იწარმოება აწმყოს ფორმათაგან. ლი-, ლი_ი, ლი_ე აფიქსთა განაწილება დამოკიდებულია აწმყოს მწკრივის [-ე; -ი; -ა; - 0] სუფიქსებზე. განაწილების წესებს, როგორც ეს ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, აქვს გამონაკლისები.

მხოლოდ ერთეულების სახით, ოდენპრეფიქსული და თავსართ-ბოლოსართიანი წარმოების, ძირითადად არქაული იერის, ქართველური შესატყვისობების მქონე მასდარებში ლრტუ - გაქცევა, ლრზი - სვლა, ლრთე - წილის მიცემა, ლრქურსგ - თქმა...) გამოვლენილი ლრ- პრეფიქსული ხმოვნის სიგრძე აიხსნება ძირეული ბგერის დაკარგვით და, შესაბამისად, კვალიფიცირდება, როგორც საკომპენსაციო სიგრძე: ლრ-ტუ < *ლი-ჭლტ-ჭ „გაქცევა“, ლრზ-ი < *ლიგზი „სვლა“, ლრ-ქურსგ / *ლრ-ქუმა< *ლი-თქუმა...

თანამედროვე სვანურში ოდენ სუფიქსური წარმოება შერყეულია. მას ავიწროებს და თანდათან ბატონდება პრეფიქს-სუფიქსური და პრეფიქსული წარმოება: (ხჭატა > ლიხუტე -ლიხუტე) ...

სუფიქსური წარმოების მასდარები სვანურში შედარებით მცირერიცხოვანია: საერთოქართველური -ა და ქართული -ობ სუფიქსები თავისუფლად მონაცვლეობენ ფორმებში: შდნხა-შდნხოზ „გამოლევა“, ცტწრა-ცტწროზ „მიტოვება, ღალატი“, ხტწტა-ხტწტოზ „ამოწყვეტა“...

-ობ სუფიქსიანი სვანური მასდარები (დობრ-ობ „პურობის დრო“ მწადარ-ობ „შიმშილობა“, ქტწხტ-ობ „დიდი ყინვების დრო“)... შინაარსობრივად გამოხატავენ პროცესს, პერიოდს, მიმდინარეობას.

სვანურში სხვა ქართველურ ენათა მსგავსად დასტურდება პირველადი მასდარები (შედარებით მცირე ოდენობით). სვანური უაფიქსო / არამარკირებული მასდარებია: ძგტობ „წყვეტა“; ბიჭკტ „სკდომა“, შკტოფ „ცემა“, რიყ „დარტყმის ხმა“, რიფ „რეჩხი, ბაგა-ბუგი“, ბიჩხ „გაშლილი საგნის დარტყმის ხმა“...

თავი II ზმნური კატეგორიები სვანურ მასდარში

§ 11. გვარის კატეგორიის გამოხატვა სვანურ მასდარში

ზმნური კატეგორიები ზოგადად: გრამატიკული კატეგორიის არსებობა გულისხმობს გარკვეულ დაპირისპირებას ფორმებს შორის, ამდენად გვარზე შეგვიძლია ვისაუბროთ იმ შემთხვევაში თუკი ენაში არის საშუალება, რომ ერთი ფუძისაგან აწარმოოს თუ არა სამი (მოქმედებითი, ვნებითი, საშუალო), ორი მაინც, რომლებიც ერთმანეთის მიმართ იქნებიან დაპირისპირებულნი. აქტივ-პასივი ან აქტივ-მედიუმი. ქართულ ენაში არის ზმნის ისეთი ფორმები, რომელთაც საპირისპირო ფორმები სრულიად აკლიათ. ასეთი ზმნები, ბუნებრივია, მოკლებულია გვარის გაგებას და უგვაროა. მაგ. არის, იცის, აქვს და სხვა. უცალოა და არ აქვს საპირისპირო ვნებითი ან საშუალო, რომელიც არის გარდამავალი, თუმცა ფორმით მოქმედებითი. მაგ. ბრძანა. არ ითქმის იბრძანა და, აქედან გამომდინარე, იგი არის უცალო მოქმედების ფორმა. ერთდაერთი საფუძველი, რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ეს მოქმედებითი გვარის ზმნაა არის ის, რომ მას აშკარა კავშირი აქვს გვარის ფორმებთან: ბრძანა-უბრძანა. არის ისეთი ფორმებიც, რომლებიც მხოლოდ ფორმის თვალსაზრსით არის ვნებითი, მას არ აქვს საპირისპირო მოქმედებითის ფორმა და ამიტომაც მოკლებულია გვარის გაგებას. გვაქვს ერთპირიანი გარდაუვალი ზმნა „წყურება“, არ მოიძებნება მისი კონვერსიული ზმნა, რომელიც შეიძლება ორპირიანი იყოს და მოქმედებითი გვარის გაგებას გვაძლევდეს და რადგანაც აკლია მას საპირისპირო კონვერსიული ფორმა, აქედან გამომდინარე, მისი ვნებითობაც არის უფრო მოჩვენებითი, ვიდრე ნამდვილი. ასეთები ფორმალურად არის ვნებითი და არა ფუნქციონალურად. მაგ. ელის, ებრძვის, ერჩის და სხვა. არის ფორმები, რომლებიც გარეგნულად მოქმედებითს ჰგავს, თუმცა გარდაუვალია და საპირისპირო ფორმები არ აქვს, არის აწყმოს მწკრივის ფორმა „ჩასდგამს“- ეს იქნება უცალო საშუალო. [ა.შანიძე,1980: 310]

არის რიგი ზმნებისა, რომელთაც არ მოეპოვებათ იმავე ფუძის კონვერსიული ფორმა, თუმცა ეს დანაკლისი შიძლება შეივსოს სხვა ფუძის ზმნით. მაგ. დააყენა - დადგა.

გვარის საკითხი დგება საპირისპირო ფორმათა პარალელური არსებობით კონვერციის ნიადაგზე, გარდამავლობისა კი პირადაპირი ობიექტის შეწყობის უნარით, თუმცა ზმნა „იცის“ არ არის მოქმედებითი, რადგანაც საპირისპირო ვნებითი და საშუალო აკლია. იგივე შეიძლება ითქვას „ქირაობს“ ზმნის შესახებ, იგი გარდამავალია, მაგრამ მასაც არ მოეპოვება ვნებითისა და საშუალო გვარის ფორმები, ამიტომაც ის არ არის მოქმედებითი.

ქართველურ ენათა ზმნას, როგორც მრავალპირიანს და მდიდარს ფორმებით (მათ შორის გვარის ფორმებითაც), განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გვარის კატეგორიის დადგენისათვის საზოგადოდ და კერძოდ აქტივ-პასივის ურთიერთობის გარკვევისათვის [შანიძე, 1981:480] საენათმეცნიერო ლიტერატურაში ზმნას, როგორც მეტყველების ნაწილს, განმარტება მეტ-ნაკლებად განსხვავებული აქვს სხვადასხვა ავტორთან, რასაც, ბუნებრივია, მისი სირთულე განაპირობებს და სურვილი, რომ ამ მეტყველების ნაწილის განმარტებაში სრულად წარმოჩნდეს ზმნის არსი და თავისებურებანი.

XIX საუკუნეში ქართული გრამატიკით დაინტერესებულმა პლატონ იოსელიანმა ქართული ზმნა ამგვარად შეაფასა: „ქართული ენისა ზმნანი ყოველნივე არიან უკანონონი; თვითოეულსა ზმნასა აქვს თვისება გარდაკეთებისა სხვად ზმნად მიმატებითა, რომელთამე მარცვალთა მრავალთა სხვათა სიტყვისა ნაწილთა ძალუმთ გარდაქცევა ზმნად; აქედან გამოვალს სიძნელე კანონთა მიღებისა მათთვის“ [პ. იოსელიანი, 1840: 49]. ბუნებრივია, ქართული ზმნის ამგვარი შეფასება სწორედ მისმა სირთულემ განაპირობა. თითქმის მსგავსი შეფასება აქვს ქართულ ზმნასთან დაკავშირებით ა. ქუთათელაძეს, რომელიც ამბობს: დღემდის მაინც ვერ ვიგდეთ ხელში ის კლიტე, რომელიც ადებს ყველა ზმნის კარს, რომ შიგ რა არის გავიგოთ; მაინც ვერ გავხსენით დღემდის იმ საიდუმლოების ნასკვი, რომელსაც ჰქვია უღვლილება. ე.ი. ვერ მივაგენით იმ კანონს, რომლის ძალითაც შეგვეძლებოდა ყოველი ზმნის ჩაგდება კალაპოტში უღვლილების დროს და ისე, რომ ერთმანეთში არ აღგვრეოდა. არნოლდ ჩიქობავა ქართული ზმნის შესახებ ამბობს: „ქართული ზმნის ხლართში მეცნიერული ანალიზის შუქმა ჯერაც ვერ შეატანა და ალბათ საკმაოდ დრო გაივლის, სანამ მისი

უჩინარი მექანიზმის პირველადი ბერკეტები გაშიშვლებოდეს“ [ჩიქობავა, 1958: 13] წარმოდგენილი ფრაზები შეიძლება ითქვას, რომ ხატოვანია, მაგრამ კარგად ასახავს ქართველური ზმნის სირთულეს.

რა ზმნური ნიშნები მოეპოვება მასდარს? ა. შანიძის მიხედვით მასდარს მოეპოვება წარმოქმნის კატეგორიები: „გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, კონტაქტი, იშვიათად, აგრეთვე, გვარიც; აკლია: ქცევა და სიტუაცია, უმეტესად აგრეთვე გვარიც. საწყისი საზოგადოდ ზიარი კატეგორიაა მოქმედებითისა და ვნებითისთვისაც, იგი ერთია ორივე გვარისთვის, ესეიგი იგი თანაბრად განეკუთვნება ორივე გვარის პირიან ფორმას.

სალიტერატურო ქართულთან მიმართებით საინტერესოა, რომ სვანურ მასდარში შინაარსობრივად მკაფიოდ არის გამოხატული აქტიური და პასიური სემანტიკა, სტრუქტურალად კი ეს გარჩეულია პარალელური წყვილებით - მოქმედებითი და ვნებითი გვარის მასდარული ფორმებით. საკითხი ნაკლებადაა შესწავლილი საენათმეცნიერო ლიტერატურაში.

ვნებითობის შინაარსს მასდარის ფორმებს ანიჭებს როგორც სვანურში მრავალფუნქციური და საკმაოდ ნაყოფიერი **-წლ** (-ალ / -წლ/-წლ) სუფიქსი, ასევე ფუძის აბლაუტი.

სვანურ განსხვავებით სალიტერატურო ქართულისაგან გვარის კატეგორიის გამოხატვა არ ხდება ყველა საწყისურ ფორმაში, არამედ მხოლოდ ერთი ტიპის მასდარებში. ეს ფუძედრეკად ზმნათა საწყისებია შესაბამისად ორ-ორი მასდარული ფორმით აქტივისთვის **ლი-ე** კონფიქსური, ხოლო პასივისთვის **ლი-** ოდენ სუფიქსური წარმოებით. ქ. მარგიანი ამ ტიპის მასდართა მეტნაკლებად სრულ ჩამონათვალს გვათავაზობს [მარგიანი, 2004: 64].

<i>მოქმედებითი</i>	<i>ვნებითი</i>	
ლი-ბჰჰჷ-ე	ლი-ბეჰჰუ	„გასკდომა“
ლი-ხჰ-ე	ლი-ხეჰ	„დანარცხება“ „სკდომა“
ლი-ცლ-ე	ლი-ცელ	„გახევა, მოხევა“

ლი-გლ-ე	ლი-გელ	„გახევა, გაპობა“
ლი-ბთქ-ე	ლი-ბეთქ	„გასკდომა“
ლი-ყუჩ-ე	ლი-ყუჩერ	„მოტეხვა, ტეხვა“
ლი-ჯდ-ე	ლი-ჯედ	„მოსვლა-მოტანა“
ლი-თხრ-ე	ლი-თხერ	„გასკდომა“
ლი-ტყუფ-ე	ლი-ტყუფეფ	„თავს დატყდომა“
ლი-ხუტ-ე	ლი-ხუტე	„ამოწყვეტა“
ლი-ხეც-ე	ლი-ხეცე	„გასკდომა“
ლი-ძგუბ-ე	ლი-ძგუბე	„ჩამოწყდომა, ჩაწყდომა“
ლი-რელ-ე	ლი-რელე	„დაცემა, წაქცევა“
ლი-ქუც-ე	ლი-ქუცი	„გაჭრა, მოჭრა“
ლი-წკუპ-ე	ლი-წკუპე	„გაწყდომა“
ლი-შგბ-ე	ლი-შგბე	„ამოდრობა“
ლი-ტყც-ე	ლი-ტყცი	„გარღვევა, მოწყდომა“
ლი-ჩგუნ-ე	ლი-ჩგუნე	„წოვა, მოწოვა“
ლი-თხკ-ე	ლი-თხკე	„დაწვეთება“
ლი-ღრ-ე	ლი-ღერ	„მოშორება“
ლი-ფხჟ-ე	ლი-ფხჟე	„გაშლა, განფენა, დაშლა“
ლი-ფშგ-ე	ლი-ფშგე	„გახსნა“
ლი-კუშ-ე	ლი-კუშე	„დათანხმება, გატეხვა“
ლი-ქხ-ე	ლი-ქხე	„მიწევა, გადაწევა“
ლი-ყუღ-ე	ლი-ყუღე	„დაშორება, მოშორება“
ლი-შდრ-ე	ლი-შდრე	„გართობა“
ლი-პწკ-ე	ლი-პეწკ	„ოდნავ გახევა“
ლი-ხურ-ე	ლი-ხურე	„ჩამოშლა, ჩამონგრევა“
ლი-ჩხფ-ე	ლი-ჩხფე	„გახდომა, დასუსტება“
ლი-ჩშ-ე	ლი-ჩშე	„გასწრება; ჩამოფარება“

ლი-შზრ-ე	ლი-შხერ	„გაპობა“
ლი-შდხ-ე	ლი-შდეხ	„გათავება, მოთავება“
ლი-ცც-ე	ლი-ცც	„გახევა, გაყოფა“
ლი-წკრ-ე	ლი-წკერ	„გახლეჩა, გაპობა“
ლი-ნკჷ-ე	ლი-ნეკჷ	„დახრა, მოხრა“
ლი-კჷჷ-ე	ლი-კჷჷჷ	„შეტყობა, მცდელობა“
ლი-კჷ-ე	ლი-კჷჷ	„გაცვეთა“

ამგვარია საერთო სურათი თანამედროვე სვანურში მასდარში გვარის გამოხატვის თვალსაზრისით. ისტორიულად კი სხვა ვითარება ივარაუდება. ადრეულ ეპოქაში გვარის მიხედვით დაპირისპირებული სვანური მასდარული ფორმები გარჩეული არ უნდა ყოფილიყო. ისტორიულად ლი-კჷჷმ ტიპის მასდარი ისევე ნეიტრალური უნდა ყოფილიყო გვარის თვალსაზრისით, როგორც რომელიმე ლი-კედ, ან ლი-შზრ-ე ტიპისა. მას შემდეგ, რაც გარდამავალ ფუძედრეკად ზმნებში აწმყოს თემატური წარმოება (კჷჷმ-ე ტიპი) გაბატონდა, ამ ახალი ტიპის აწმყოს ბაზაზე ჩამოყალიბდა ახალი ლი-კჷჷმ-ე < *ლი-კჷჷმ-ე ტიპის მასდარი. ეს ახალი ტიპის მასდარი, ბუნებრივია, გარდამავალ უღვლილებას მიეკედლა, მაშინ როდესაც ძველი ლიკუემ ტიპის მასდარმა გარდაუვალი შინაარსი მიიღო. ამ გზით კორელაცია გარდამავალი, გარდაუვალი (resp. მოქმედებითი, არამოქმედებითი), რაც ასე მკაფიოდ გასდევს სვანურ ფუძედრეკად ზმნათა მთელ სისტემას, მასდარის წარმოებაზეც გავრცელდა [გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965: 234].

აქვე განვმარტავთ ფაქტსაც, რომ სინქრონულ დონეზეც კი მოქმედებითისა და ვნებითისათვის სხვადასხვა მასდარული ფორმები გვაქვს მხოლოდ ზემო სვანურში (ბალსზემოურსა და ბალსქვემოურში). მეორეულად მიჩნეული აქტივ-პასივის ფუძეთა აბლაუტური დაპირისპირების მოშლის ტენდენცია უკვე შეინიშნება ქვემოსვანურის დიალექტებში.

ლი-ბჷჷ-ე – გაპობა. წიფრჷ ზეგმი ლიბჷჷე უგარჷ ლი [ინფ. ა.ჯაჭვლიანი, 84 წლის] - წიფლის შემის გაპობა არ არის ძნელი.

ლი-ბეკუ – პობა, გაპობა. **მეჭტრე ზეეს მიჩაჭუმ ლიბეკუ ხობალ** (ზზ.) - დამპალ შეშას თავისით გაპობა სჩვევია.

ლიბჭუკე - ლიბეჭკუ -გასკდომა. **კუმშს ხილს ნოსა ხამნე, ადო ჩუ ლიბჭუკუ ხობალ** - საქონელს ხილს ნუ აჭმევ, თორემ გასკდომა იცის; **იცხს ნშმში ლიბეჭკუ ლუბნე ხარ** [ინფ. დ. მიბჩუანი, 77 წლის, კოდორი] „მხალს სიმწიფისგან გასკდომა დაწყებული აქვს“.

ლიბჰე - ლიბეჰ -დანარცხება. **ამშა ლიბჰე მიშგუ გუმე მამ ლი** - ამის დანარცხება ჩემი საქმე არ არის; **ჩუ ლიშყედ ი ჩუ ლიბეჰ ეშხუ ლი** [სვან.ლექსიკ., 2000:484]- ჩამოვარდნა და დანარცხება ერთია.

ლიცლე - ლიცელ - გახევა, გაპობა. **ალექსანდრედ კუდირს ლიცლე ლოხუბინე** - ალექსანდრემ მორს გაპობა დაუწყო; **გუმშიდ ლიფრეს მიჩოვშ ლიცელ ხობალ** [სვან.ლექსიკ., 2000:473-474] - ძალიან გახმობას, თავისით გახევა იცის);

ლიგლე - ლიგელ - გაპობა. **ხოჩა მწრეს ხოჩა ლიმწჩუ ხაკუ, გუმი ლიგლე მამა** - კარგ კაცს კარგი სიბერე უნდა, გულის გაპობა კი არა. **დეცმი ლიგელს უჩხე შხჰამ** [ლ. შერვაშიძე, 86 წლის, მულახი] „ცის გაპობას წვიმა წამოჰყვა)“.

ლიბთე - ლიბეთე - აფეთქება **თშშის შუკი ლიბთე ხეკუშდ** - თამბის გზის აფეთქება უნდოდა;**ჰაგს ლიბეთე ხობალ** - დენტმა აფეთქება იცის.

ლიყუჩე - ლიყუერ - ტეხა, ტყდომა. **გუნ ამსწსტკგნ უისგუი ლიყუერ** - ძალიან მეწყინა ვაშლის ხის მოტყდომა; **სიმინდი ლიყუჩე იბნი** [ზზ. ინფ. დ. მიბჩუანი, 77 წლის] „სიმინდის ტეხა იწყება“.

ლიჯლე - ლიჯელ - ჩასობა. **ბჯგე ლიჯლე მადმა ლი გარჯ** - ბოდის ჩაობა არ არის ძნელი; **ეჯი ხოლლი ბჯგე მიჩოვშ ლიჯელს** „ის ელოდება ბოძი თავისით ჩასობას“.

ლიკუშე - ლიკუშე - ტყდომა, ტეხა. **სტამანიშ ლიკუშე სურუ ამსწსტკგნ** - დოქის გატყდომა ძალიან მეწყინა; **სტამანიშ ლიკუშე მად ლი გარჯ** [სვან.ლექსიკ., 2000:438] - „დოქის გატეხვა ძნელი არ არის“.

ლიქფე - ლიქფე - წასვლა, აყრა. **მიჩა ლილწტუნწლი ბედშ ლიქფე ხოპირა** - მისი სიყვარულობანის გამო აყრას აპირებს; **ბჰქიშ ლიქუისგს ლიქფე შხფას** „ტყუილის თქმას აყრა მოყვა“.

ლიქხე - ლიქეხ - გაცლა, გაწევა. მწლს თტეფ ესხელ ლადგარდ, მწლდ ლიქეხ ჳდბინე - მელას თოფი დაუმინა მოსაკლავად , მელამ გაცლა (გაწევა) დაიწყო; მამილს გიმ ლაზელად ესერ ხალა ი დადტილს ლიქხე ოთბინე [სვან.ლექსიკ., 2000:453-454] „მამალს მიწა სასიარულოდ ეთაკილებათ და დედალს გაწევა დაუწყო“.

ლი-ქურ-ე - ლი-ქურ - ლპობა. ლეტან ჩტაჩანდ ნაჭემიშ ლაკმართე, ჭემს ლიქურ ლტბნე ხად - ლევანი ჩავიდა ნათიბის სანახავად, თივას ლპობა დაწყებული ჰქონდა; დადად იცხს ბალარ ესლაფრე ლიქურემ მაყალშ [ინფ. ხ. გურჩიანი, 86 წლის, ჩხალთა] „ბებიაშ მსხალს ფოთლები დააფარა ლპობის (დალპობის) შიშით“.

ლი-მშხ-ე - ლი-მეშხ - გამავება. ეჯნემ ჭემინს კტმისგა ლიფრემ მტქაფ ლიმშხე ოთბინა - მან ქერს გამრობის მაგივრად გამავება დაუწყო; ზურალს მტცხიმ ლიმეშხ ოთბინა - ქალს სიცივისგან გამავება დაუწყო.

ლი-ყჩ-ე - ლი-ყეჩ - გახუნება. ლაჩქი ლიყჩე დესა მეკტანდ, მარე ჩუ ამშდგნ - თავსაფრის გახუნება არ მინდოდა, მაგრამ დამავიწყდა; ლტფხტისგა დაბს ლიცურ ლიყეჩ ხოხალ - ზაფხულში უწყლოობისგან ყანამ გახუნება იცის.

ლი-ნკტ-ე - ლი-ნეკტ - დამხოზა, დაპირქვავეზა. ლემსგი ლანდგად მოლემ ლინკტე მეკტანდ- ცეცხლის ჩასაქრობად რადაცის დაპირქვავეზა მინდოდა; ყვავლიდ ლიცურ ლინეკტს იბნე [ინფ. კ. ღვაჩლიანი, 80 წლის, საკენი] „ყვავილი უწყლოდ დამხოზას იწყებს“.

ლი-ნკტ-ე - ლი-ნეკუ - მოღუნვა. მიშგტა თეფს ლანთლარე ლინკტე ხაკუ - ჩემს თოფს სასხლეტის მოღუნვა უნდა; გუმგტე ჩაჟს თხტმი ლინეკუ მამ ხანდჲდა - ჩვენს ცხენს თავის მოღუნვა არ შეუძლია.

ლი-ნკტ-ე - ლი-ნეკუ - დათანხმება. ჟილინკტე მიპირა ალ დინანშ - ამ გოგოს დათანხმებასვაპირებ. ლინეკუ დესა ხოპირა- დათანხმებას არ აპირებს.

ლი-ხტტ-ე - ლი-ხტეტ - გაწყდომა. მოლე ხოლა ლეგლირდე ჳფურთტინენახ ი ლიხტეტ ოთბინახ - რადაცა ცუდი ავადმყოფობა დარევიათ და გაწყდომა დაუწყიათ; მუწურ ი მუწური ამკალიბ ჩიქქა ხედრანლხ უმხტარი ლიხტეტს [ინფ. ე. ჯაჭვლიანი, 88 წლის, მულახი] „შურისმადიებლები ასეთ დროს უდარაჯებენ ერთმანეთს გაწყდომის გამო“.

ლი-ყუზ-ე - ლი-ყუეზ - გაძრობა (ტანსაცმლისა). ბეფშს ლიცი ლათრაჟი ლერქტაწლე ლიყუზე ოთბინა - ბავშვს წყლის დაღვევის დროს ტანსაცმლის გახდა დაუწყია; ჟელმი ლაბამს ლიყუეზ ხოპირა - ძაღლის ყელსაბამი გაძრომას აპირებს).

ლი-წქუ - ე - ლი-წიქუ - დაწვეთება. ჰარყი ლიწქუე მადმა მეკვად ი სტუირ ლოხსგუირ გუებს [სვან.ლექსიკ., 2000:480] - არყის დაწვეთება არ მინდოდა და გამოსახდელი მილი ჩავდგი გეჯაში.

ლი-ქტე - ლი-ქტეც - გაწყდომა, გაწყვეტა. ლალაბი ჩაჟს განზი ლიქუეცე მამ ხაკუ - ტვირთშიდავ ცხენს ქანცის, ილაჯის გაწყვეტა არ უნდა; თაკუს ლიქუეც ლგბნე ხად [სვან.ლექსიკ., 2000:450]- თოკს გაწყდომა დაწყებული ჰქონდა.

ლი-ტყე-ე - ლი-ტყეც - გარღვევა, ახევა. დინა ლაშყუდიელთე აჩად ი ჩუ ლუნგჳე სპენს ლიტყეცე ოთბინე - ქალიშვილი სარეცხად წავიდა და გაქვავებულ საპონს ახევა დაუწყო; ნაშხებდ ლიტყეც ვადბინე - ნაკერმა გარღვევა დაიწყო.

ლი-ფტ-ე - ლი-ფეტ - გახვრეტა. ისგლეთქა გპჩ ახუიკ ი ლაშდგუწარიშ ლიფტე ოთბინ - შუალამისას დანა ავირე და სათაგურის გახვრეტა დავიწყე; ცხურილს ლიფეტ ხოპირა - საცერი გახვრეტას აპირებს.

ლი-იცხუნ-ე - ლი-ეცხ - გაღვიძება. მენრმა ლადელ მარედ მიჩა ხეხუს ლიდცხუნე ოთბინე - მეორე დღეს კაცმა ცოლს გაღვიძება დაუწყო. ეჯას ლიეცხ მამა ხოპირან [ინფ. რ. პირველი, 78 წლის, აჟარა] „ის გაღვიძებას არ აპირებდა“.

ლი-შდბ-ე - ლი-შდებ - ფუება, მატება. დადოლდ ლეზიას ლიც ესგუემ ლიშდბემ გვიმარომ - ბებიამ ლობიოს წყალი დაასხა აფუების მოლოდინში. მტუჯაბ ითქდ ლიშდებ ვადბინე [ინფ. ე. ვიბლიანი, 75 წლის, აჟარა] „მოხარშულმა მარცვალმა გაფუება დაიწყო.

ლი-კდ-ე - ლი-კედ - გაწყდომა, ამოწყვეტა. რახან ალ დატუ ჩუადგარხ, ჩიმი ლიკდე ხეკუანდხ - რადგანაც ეს დევი მოკლეს, ყველას ამოწყვეტა უნდოდათ; ფარშმანგდ გუნ პთსისტკე მიჩა წინწლარე ჟი ლიკედ [სვან.ლექსიკ., 2000:436] - ფარშევანგმა ძალიან იწყინა თავისი წიწილებისამოწყვეტა).

ლი-დგ-ე – ლი-დეგ - ჩაქრობა, ქრობა. **ლემსგი ლიდგეს მამ ხაყა ლუნთისგა** - ცეცხლის ჩაქრობა არ შეიძლება ზამთარში; **ლემესგს ლიდგე ხოპირა**[სვან.ლექსიკ., 2000:430] - ცეცხლი ჩაქრობას აპირებს.

ლი-რწუ-ე – ლი-რეწუ - გაწეღვა. **ეზარ ლირწუე ათმარჯუნ ბექას** - კარგი გაწეღვაგამოუვიდა ბექას; **კინჩხს ლირეწუ მამ ხამდჷდა მაფაშუმ** - ვისერს დაღლილობისაგან გაწეღვა არ შეუძლია.

ლი-თუფ-ე – ლი-თუეფ - დაკარგვა. **ამიშ ლითუფე მი მამ მიხალდ** - ამის დაკარგვა მე არ ვიცოდი; **თხუმემ ლითუეფ ხოპირა** [სვან.ლექსიკ., 2000:435] - თავის გადაკარგვა უნდა.

ლი-ტკრ-ე – ლი-ტკერ - ბზარის გაჩენა, პირის დაღება. **ყორა ლიტკრე ხოჩა ირა** - ოდნავკარის გამოღება კარგი იქნება; **ლიტკერ ხოპირა** [ინფ. ც. სუბელიანი, 60 წლის, აჟარა] „პირის დაღებას აპირებს“.

ლი-ფშე-ე – ლი-ფეშე - გახსნა; ნასკვის. **დერხი მექნოტაშლს ხოლა ლიქნოტაშლ ხად ამკაშლიბჟი ყარაშ ლიფშეე ლასტუწეს** - ზოგ სულთმობრძავს სული არ ამოსდის, ასეთ დროს სახურავის ახდა წესად იყო; **ყურყდ ლიფეშეე ადბინე** [სვან.ლექსიკ., 2000:452]-ნასკვმა გახსნა დაიწყო.

ლი-ქმ-ე – ლი-ქემ - მატება, მომატება. **ზურაშლს კაბმი ნაჯდუთიშ ლიქმე ხეკუნდ** - ქალს კაბის სიგრძის მომატება უნდოდა; **ლიცს ლიქემ ლუბნე ხად** - წყალს მატება დაწყებული ჰქონდა.

ლი-ფხე-ე – ლი-ფხეე - გაფანტვა, გაშლა, დაშლა. **ჭემი ლიფხეე დანს ხეკუნდ** - თივის გაფანტვაარავის უნდოდა; **მერაშლს ლიფხეე ლუბნე ხადხ** [სვან.ლექსიკ., 2000:453]

- ღრუბლებს გაფანტვა დაწყებული ჰქონდათ.

ლი-კრ-ე – ლი-კერ - გაცვეთა. **ამშა ლიკრე მამ მაკუ** - ამის გაცვეთა არ მინდა. **ცხტაშდსლიკერ ლუბნე ხარ** [სვან.ლექსიკ., 2000:486-487] - ქვაბს ცვეთა დაწყებული აქვს.

ლი-ჭკჟე – ლი-ჭკჟეე - ამოწყდომა, ამოძირკვა. **მალს ქათლარე ლიჭკჟეე ოთბინა** - მელიას ქათმების მუსრის გავლება დაუწყია; **შდტუფტაშტარს ლიჭკჟეე ლუბნე ხარხ** [ინფ. დ. მიბჩუანი, 77 წლის, კოდორი] „თავებს ამოწყდომა დაწყებული აქვთ“.

ლი-შთხე - ლი-შდებ - გამოლევა, დამთავრება, გათავება. ჰარყი ლიშთხე ხოპირაქუერწილდ - არაყის გამოლევას აპირებს ქორწილამდე; ხოლამ დარწლდ ლიშდებ ჯდბინებ [სვან.ლექსიკ., 2000:460] - ცუდმა ამინდებმა დამთავრება დაიწეს.

§ 12. მოქმედების მრავალგზისობის გამოხატვა სვანური ზმნის მასდარში

ძველი ქართული ენის რთული გრამატიკული წყობის, მორფოლოგიური სტრუქტურისა თუ ლექსიკა-ფრაზეოლოგიის არაერთი მოვლენა და ფაქტი სვანურს დღესაც იმავე არქაული სახით აქვს შემონახული; ეს მოვლენებია: ხანმეტობა, პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ასახვა ზმნაში, ხარისხის ფორმათა წარმოება, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია, კითხვითობის -ა, -მეა, -მე ნაწილაკები, რომლებიც მიერთვიან რა ზმნა-შემასმენელს, თხრობით ფორმებს აქცევენ კითხვითად, ტმესი ანუ განკვეთა... [მარგიანი, 2016: 41]

სვანურში ზმნისთვის და მასდარისთვისაც დამახასიათებელია მოქმედების მრავალგზისობის კატეგორიის გრამატიკული გამოხატვა შესაბამისი აფიქსით. მრავალგზისობის გამოსავლენად დასახელებულია სუფიქსები: -ჯლ-ი, -ჯლ-ი, და სხვა. ვ.თოფურია ამ სუფიქსებს ზმნასა და ნაზმნარ სახელებში ობიექტის სიმრავლის გამომხატველს უწოდებს...[თოფურია, 11967: 67]

ზ.ჭუმბურიძე კი, -ჯლ, -ჯლ სუფიქსებს მრავალგზისობის მაჩვენებელს უწოდებს და დასძენს, რომ „ამ სუფიქსთა პირველადი ფუნქცია ნასახელარ ზმნებში ყოველთვის მკაფიოდ არ ჩანს“ [ჭუმბურიძე, 2007:167]

როგორც ცნობილია, გზისობა არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს თუ რამდენგზის არის მოქმედება ჩადენილი, ერთგზის თუ მრავალგზის, ანუ ერთხელ თუ მრავალჯერ. ქართველურ ზმნას აქვს საშუალება ერთი ფორმით აღნიშნოს არა მარტო მოქმედება, რომელიც ერთხელ მოხდა, არამედ ისეთიც, რომელიც მეორდებოდა. ე. ი. ერთხელის მეტად ხდებოდა, ამის მიხედვით გვაქვს ფორმა: ერთგზისი და მრავალგზისი. ერთგზისია ფორმა, რომელიც ერთხელ მომხდარ მოქმედებას აღნიშნავს

და მრავალგზისია ფორმა, რომელიც რამდენჯერმე განმეორებულ მოქმედებას გამოხატავს. გზისობა აღწერითი გზითა და საშუალებებითაც შეიძლება გადმოიცეს. ამ შემთხვევაში ზმნის ფორმას ახლავს ისეთი სიტყვა, რომელიც თავისი ლექსიკური მნიშვნელობით მიგვითითებს, თუ რამდენჯერ მოხდა, ხდება ან მოხდება ზმნის გამოხატული მოქმედება, ასეთი სიტყვებია ნაწილაკი ხოლმე და ერთი წყება ზმნიზედებისა (ორჯერ, ათჯერ, მრავალჯერ, ბევრჯერ). გზისობა, როგორც გრამატიკული კატეგორია მაშინ გვაქვს, როცა ზმნის ფორმა სხვა სიტყვის დაუხმარებლად მიგვითითებს ერთხელ არის მოქმედება ჩადენილი თუ მრავალჯერ. მრავალგზისის ფორმა ხოლმეს გაგებას შეიცავს, ამიტომ მას ხოლმეობითსაც ეძახიან. ერთგზისობისთვის ქართულში გამოყენებულია წყვეტილის ფორმები, რაც შეეხება მრავალგზისობას, მისთვის ძველად საგანგებო მწკრივი იყო, რომელიც დღევანდელ მთის კილოებსა და ქიზიყშია დაცული და აქედან ლიტერატურაშიც არის შემოსული. ცოცხალ კილოთა უმეტესობამ და სალიტერატურო ქართულმა ეს ფორმები დაკარგა, სამაგირეოდ, მათი გამოხატვა უწყვეტელსა და მისგან ნაწარმოებ ხოლმეობითის მწკრივს დააკისრა. უნდა აღინიშნოს, რომ არნ. ჩიქობავა არნიშნული კატეგორიის გამოსახატავად უპირატესობას ანიჭებდა ტერმინს - პერმანსივი. გზისობის კატეგორია შეიძლება გამოიხატოს მარტო წარსულში. ამიტომ, როცა გვინდა, რომ განმეორებული მოქმედება ახლანდელ დროში ან მომავალში გადმოიცეს, საჭიროა აღწერილობის საშუალებას მივმართოთ.

მოქმედების მრავალგზისობა მრავალფუნქციური **-წლ** მორფემით არის გამოხატულია შემდეგ მასდარებში: **ლი-მშერ-წლ** „დარდის ამოთქმა, შეჩვილება“, **ლი-ბრეგ-წლ** „აბრაგობა, ყაჩაღობა“, **ლი-ზგა-წლ** „სახლობა, დასახლება“, **ლი-ზელ-წლ** „სიარული“, **ლი-თბლ-წლ** „ურთიერთობა, ახლობლობა“, **ლი-თჟ-წლ** „დაბადება,შობა“, **ლი-თა-წლ** „მცდელობა“, **ლი-ლჭ-წლ** „მოთქმა, დატირება“, **ლი-მსხარ-წლ** „მასხრობა, ხუმრობა“, **ლი-მქარ-წლ** „შეჯიბრება“, **ლი-მწოდ-წლ** „თავის მართლება“, **ლი-მხუბ-წლ** „ძმობა“, **ლი-პეჟუნ-წლ** „დამალობანა“, **ლი-მჯ-წლ** „სინანული, სამდურავის თქმა“, **ლი-მწრ-წლ** „მომზადება“, **ლი-ნგზაჟრ-წლ** „მგზავრობა“, **ლი-ნთხლ-წლ** „მოფრთხილება“, **ლი-ნჩგდ-წლ** „გარეგ-გამორევა“, **ლი-ნჭურ-წლ** „შეკრება, ყრილობა“, **ლი-ნწთ-წლ**

„ნათესაობა“, **ლი-სტარუნ-წლ** „პირჯვრის გადწერა“, **ლი-სემწ-წლ** „აჯა, მუდარა, დახმარების თხოვანა“, **ლი-ტყუბ-წლ** „შეერთება, ერთობა“, **ლი-ფდრლ-წლ** „მიახლოვება“, **ლი-ფრჟან-წლ** „დაბნეულად მოძრაობა“, **ლი-ქუნაჟ-წლ** „აგონია“, **ლი-დრ-წლ** „სიმღერა“, **ლი-ყხ-წლ** „კოცნა“, **ლი-ყჰ-წლ** „კოცნა“, **ლი-ყუბ-წლ** „შეკრება, ყრილობა“, **ლი-ყუნ-წლ** „დაწოლა“, **ლი-შგურ-წლ** „მორცხვობა“, **ლი-ში-წლ** „ომი, ბრძოლა“, **ლი-ჩირხ-წლ** „სრიალი“, **ლი-ჩგდ-წლ** „გარევა“, **ლი-ცადუნ-წლ** „გაცვლა-გამოცვლა“, **ლი-ცალ-წლ** „ტოლ-ამხანაგობა“, **ლი-ცყერ-წლ** „ძრომიალი“, **ლი-ცხნდ-წლ** „წუნის დადება“, **ლი-ცონგ-წლ** „მაღალი და წვრილფეხება ადამიანის სიარული“, **ლი-ცჟ-წლ** „კამატი, ჩხუბი“, **ლი-წუძლ-წლ** „გათხოვება“, **ლი-ხუნ-წლ** „დამუქრება“, **ლი-ხად-წლ** „გახარება“, **ლი-ჯგრ-წლ** „ვედრება, მუდარა“, **ლი-ჰ-წლ** „აჩქარება“, **ლი-ხზუნ-წლ** „დამუქრება“, **ლი-ჩქჟან-მელ** „ჩამუხლვა“, **ლი-წხტაჟ-წლ** „წუხილი“, **ლი-წხტაჟ-ი** „შეწუხება“, **ლი-წტალაჟ-წლ** „წვალება“, **ლი-წტალაჟ-ი** „წვალება“... [ექსპედ. მასალ.]

ერთგზისობა მრავალგზისობის ოპოზიცია კარგად ჩანს ფორმებში, სადაც პირველი სვეტის მასდარებით გადმოცემულია მოქმედება, რომელიც ხდება ერთხელ კონკრეტულ ვითარებაში, მეორე სვეტით გადმოცემული -**წლ** აფიქსით დაბოლოებული მასდარებით კი იმთავითვე იგულისხმება მოქმედების ზოგადობა, მრავალგზისობა, დაუსრულებლობა. სტრუქტურულად მრავალგზისობის გამომხატველ მასდარებს ყოველთვის აქვთ ყალიბი **ლი-წლ** ან **ლი-მელ**:

ლი-ზგ-ე „ცხოვრება“	ლი-ზგ-წლ „სახლობა, დასახლება“
ლი-ჰეჟ „დამალვა“	ლი-ჰეჟუნ-წლ „დამალობანა“
ლი-მწრ-ე „მომზადება“	ლი-მწრ-წლ „მომზადება“
ლი-ნჭურ-ე „მოგროვება“	ლი-ნჭურ-წლ „შეკრება, ყრილობა“
ლი-ჩირხ-ე „სრიალი“	ლი-ჩირხ-წლ „სრიალი“...
ლი-ჩქჟეჟ-ი „მუხლდრეკა“	ლი-ჩქჟან-მელ „ჩამუხლვა მრავალგზის“...

უნდა აღინიშნოს რომ **-წლ -მელ** დაბოლოების მქონე მასდარულ ფორმებს ყოველთვის არ ეძებნებათ „ოპოზიციური“ წყვილები, მაგ.: **ლი-ში-წლ** „ომი, ბრძოლა“,

ლი-ქუნაჟ-წლ „აგონია“, ლი-ღრ-წლ „სიმღერა“, ლი-ყბ-წლ „კოცნა“, ლი-ყპ-წლ „კოცნა“, ლი-მსხარ-წლ „მასხრობა, ხუმრობა“, ლი-მქარ-წლ „შეჯიბრება“, ლი-ცტ-წლ „კამათი, ჩხუბი“, ლი-ხტნ-წლ „დამუქრება“... მასდარები არასდროს არ შეგვხვდება - წლ სუფიქსის გარეშე. წესისამებრ რაკი - წლ მრავალგზისობის გამომხატველია, უნდა გვქონდეს საპირისპირო ერთგზისი ფორმები, თუმცა ეს ასე არა არის და თანამედროვე სვანურში არ დასტურდება მრავალგზისობის ამოსავლად ნაგულისხმევი მასდარები:

*ლი-ში- > ლი-ში-წლ „ომი, ბრძოლა“

*ლი-ქუნაჟ-ი > ლი-ქუნაჟ-წლ „აგონია“

*ლი-ღრ-ი > ლი-ღრ-წლ „სიმღერა“

*ლი-ყბ-ი > ლი-ყბ-წლ „კოცნა“

*ლი-ყპ-ი > ლი-ყპ-წლ „კოცნა“

*ლი-მსხარ-ი > ლი-მსხარ-წლ „მასხრობა, ხუმრობა“

*ლი-მქარ-ი > ლი-მქარ-წლ „შეჯიბრება“

*ლი-ცტ-ი > ლი-ცტ-წლ „კამათი, ჩხუბი“

*ლი-ხტნ-ი > ლი-ხტნ-წლ „დამუქრება“...

ლიკტწმდეღლ - მრავალგზისობის სემანტიკის შემცველი ერთი მასდარის დიაქრონიული ანალიზი ასეთია: ლი-კტწმდეღლ „მადლიერება მრავალგზის, ლი-კტწმდეღლ-ი „მადლობის თქმა, „გადალოცვა“. მადლობა, მადლიერების გამომხატველ ამ მასდარულ ფორმებთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესოდ მივიჩნით მ. ჩუხუას მიერ დადგენილი ქართველური შესატყვისები და ქართული - ხმ-ობა, ზან. ხვამ „ხმა, ლოცვა“, სვან. მა-კტწმ „მადლობა“ არქექტიპად აღდგენა *კტამ- ფორმისა, რომელიც სვანურის თანამედროვე მდგომარეობას ემთხვევა:

მა-კტამ-ზრ ბზ. „მადლობელი“, ლი-კტწმდეღლ-ი „მადლობის თქმა, „გადალოცვა“.

სვან. მა-კტამ ბზ. მა-კტამ ბქ. „მადლობა“ ლა-კტამ-ი „ეკლესია, სალოცავი“.

ქართ. კმ-ა, კმ-ობ-ა, კმ-ევ-ა „დახმარება“ სა-კმ-ევ-ელ-ი, სა-კმ-არ-ი „შესაწევნელი (საბა)“.

ზან. ხომ- || ხვამ-, ხომ-ა -> || ხუმ-ა „ხმა“, ხვამ-ა „ლოცვა“ დო-ხვამ-ა „გადალოცვა“.

ო-ხვამ-ე „ეკლესია, სალოცავი“ ო-ხვამ-უ || ო-ხომ-უ „ლოცვა“, ო-ხომ-ალ-ა „სალოცავი“.

ცხადია, ლოცვა / დალოცვა, სალოცავი = ეკლესია სემანტიკებს საფუძვლად ხმ-ა / ხმ-ობ-ა სემა დაედო. საინტერესოა, ქართული მო-ი-ვმ-ობ-ს/მო-ი-ვმ-ევ-ს, რომელიც ერთდროულად „მოხმობასაც“ აღნიშნავს და „დახმარებასაც“ ანუ „მოხმობას დასახმარებლად“ ე.ი. მოიხმობს, რათა დაიხმაროს; სწორედ აქედან განვითარდა შემდგომში ლოცვის მნიშვნელობა.

ქართველურ ფუძეთა შედარებითი ანალიზის საფუძველზე საერთოქართველურითვის აღვადგენთ ვტამ- არქეტიპს, რომელიც სვანურის (ბქ.) თანამედროვე მდგომარეობას ემთხვევა. ქართულში რედუცირებული ფუძეები დასტურდება ვტამ-ა > ვმ-ა... ამოსავალ ტა თანმიმდევრობას ზანურში ო (-> || ვა) || უ მოუცია, რაც კანონზომიერია.

ს-ქართვ. *ვტამ- „ხმა, მოხმობა“, „ლოცვა“ -> ქართ. ვმ-ა, ვმ-ევ- || ვმ-არ: ზან. ხომ- -> || ხვამ-, ხუმ- : სვან. ვტამ- || ვტამ- || ვტამ- || ვტამ [ჩუხუა, 2000-2003:410].

სვანური ლექსიკონის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: მასდარის ნაწილი არჩევს მოქმედების ჯერობას, მაგრამ თარგმანი (მაგ. ლინწერე-ლინწერალი „გამოწურვა, გამოცლა“ ვერ ასახავს ამ ფორმებს შორის არსებულ შინარსობრივ სხვაობას, რადგან ლინწერე მოქმედების ერთგზისობაზე მიუთითებს, ლინწერალი – მრავალგზისობაზე. ამათგან მრავალგზისებს შეიძლება გრამატიკული დახასიათება მიეცეთ [ქალდანი 2000:905] სვანურ ლექსიკონში იმთავითვე ივარაუდებოდა ზმნაში, მსადარსა და მიმდებარებაში მრავალგზისობის კატეგორიისა და ობიექტის სიმრავლის აღნიშვნა, თუმცა ამის განხორციელება საკმაოდ რთული არმოჩნდა პრაქტიკულ ლექსიკოლოგიურ საქმიანობაში.

შევნიშნავთ, რომ მასდარებსა და შესაბამის ზმნურ ფორმებშიც მრავალგზისობის -წლ /-წლ (ასევე კაუზატივის -უნ) სუფიქსთა პირველადი ფუნქცია ყოველთვის მკაფიოდ არ ჩანს. მაგ.: ლიბულქოჭ-წლ „კარტის თამაში“, ლიჭდიერ-წლ „ყოყობა, დიდგულობა, უდიერობა, ნებივრობა“ ლითხუმწლ „თავკერძობა, მიკერძობა საკუთარი თავისადმი“...

საინტერესოა, რომ მოსალოდნელი იყო, მგრამ არ გვაქვს ფორმები:

***ლიბულქოჭი > ლიბულქოჭა** „კარტის თამაში“

***ლიტდიერე > ლიტდიერა** „დიდგულობა, უდიერობა“

***ლითხუმი > ლითხუმა** „თავკერძობა, მიკერძოება საკუთარი თავისადმი“... ამ უკანასკნელთან გვხვდება ფორმა **ლი-თხუმი < თხუმი**, რაც მეთაურობას, წინამძღოლობას ნიშნავს.

სვანურის სალექსიკონო მასალების, ტექსტური კორპუსის ანალიზისა და საკუთარი სამეტყველო პრაქტიკის საფუძველზე შეიძლება ახალი სემანტიკური ნიუანსის და შესაბამისად ფუნქციის დაძებნა აღნიშნული მრავალგზისობის კატეგორის ფორმანტათვის და შემდეგნაირად ინტერპრეტირება, კვალიფიცირება:

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მრავალგზისობის -ა სუფიქსს ერთი ტიპის ზმნებში შეაქვს პასივის სემანტიკა, რაც კარგად ჩანს ოპოზიციურ წყვილთა შეპირისპირებით: ამის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ვკითხულობთ: ყურადღება მიიქცია -ა სუფიქსიანმა მასალებმა, რომელთაც აქვთ ააშკარად გამოხატული პასიური შინაარსი მიმართებით შესაბამის უსუფიქსო ფორმებთან. ეს უსუფიქსო ფორმები კი - გამოკვეთილად აქტიური სემანტიკის მატარებელია [მარგიანი, 2007:70]

მოქმედებითი

ვნებითი

ლი-ნბან-ი(ანბანი ეჯა ეჩას) „აფიცებს ის მას“ **ლი-ნბან-ა** (იმბანა ეჯა) „იფიცება“
„დაფიცება“

ლი-ყუნ-ე (ყუნე ეჯა ეჩას) „აწვენს ის მას“ **ლი-ყუნ-ა** (იყუნა ეჯა)
„დაწვენა/დაწოლა“

ლი-ლჳე (ილჳე ეჯა ეჩას) **ლი-ლჳა** (ილჳა ეჯა)
„დატირება“

ლი-ჩრჳე (ჩრჳე ეჯა ეჩას) **ლი-ჩრჳა** (ი-ჩრჳა ეჯა)
„გასიძება“

ლი-წჳილ-ე (წჳილ-ე ეჯა ეჩას) **ლი-წჳილ-ა** (ი-წჳილ-ა ეჯა)...
„გათხოვება“.

ჩვენ სრულიად ვიზიარებთ ამ მოსაზრებას და შევეცდებით ჩვენ მიერ დამატებით მოძიებული მაგალითებით კიდევ უფრო გავამყაროთ იგი. საყურადღებოა სვანურში მრავალფუნქციური **-წლ** ფორმანტიანი მასდარების პასიური სემანტიკა შდრ. **ლი-წჷილ-წლ** / **ლი-წჷილ-ე** „გათხოვება“... ქართული თარგმანი სავსებით ვერ ასახავს ამ ფორმებს შორის არსებულ სემანტიკურ ნიუანსებს. სვანურში **ლიწჷილე** ითქმის მაშინ, როცა გათხოვების პროცესში ჩართულია სხვა პირი, მაგალითად მშობელი, **ლი-წჷილ-წლ** კი - მაშინ, როცა პროცესში არავინ არ ერევა. ისინი თავისუფლად არ ენაცვლებიან ერთმანეთს.

რაკი სემანტიკაზე ვსაუბრობთ, ბარემ აქვე ქართულ გათხოვებასთან მიმართებით სვანური **ლი-წჷილ-წლ** (< წჷილ) „გაპატარძლების“ ანალიზიც, ვფიქრობთ, ურიგო არ იქნებოდა. გენდეროლინგვისტიკაზე საუბრისას თ. გითოლენდია **გათხოვება, თხოვდება** ფორმის ანალიზისას იზიარებს ლ. რეხვიაშვილის თვალსაზრისს **სიტყვის უარყოფითი კონოტაციის** შესახებ, წერს: ციტატა – ზმნა **გავათხოვე**, რომელიც ასე ფართოდ გამოიყენება და თეორიულად, ადამიანის ცხოვრებაში დადებით მოვლენას, ოჯახის შექმნას აღნიშნავს, ატარებს **დამამცირებელ კონოტაციას** (გვ. 88). თ. გითოლენდიას ნაშრომის რეცენზირებისას ქ. მარგიანი განმარტავს: აღნიშნული სემანტიკის მიმართ ერთგვარი „პროტესტი“ ჩვენც არაერთგზის გაგვჩენია, მით უფრო ქართულ-სვანურ ფორმათა შეპირისპირების ფონზე: ქართულად **გათხოვებას** აქვს „**თხოვების**“ სემანტიკა, **სვანურად კი – გაპატარძლებისა**: წვილ „პატარძალი“, **ლი-წვილ-წლ** „გათხოვება“ < ე. ი. „გაპატარძლება“, (საინტერესოა ისიც, რომ გენეზისურად – **ალ** მრავალგზისობის მარკერია...

როგორც ცნობილია, ყოველი ენა თავისი **სემანტიკური სტრუქტურით** გამოირჩევა. „რამდენადაც ენა გვეძლევა არა ზოგადი ფორმით, არამედ როგორც მხოლოდ დედაენა, ე.ი. გარკვეული ენის ქართულის, ფრანგულის, ჩინურის ... სახით, „მსოფლხედვა“ დედაენისეულია და ყოველ ენას (დედაენას) სამყაროს **ენობრივი მოდელირების საკუთარი წესი**, სამყაროს ენობრივი გადამუშავების საკუთარი „მსოფლხედვა“ აქვს [რამიშვილი, 1988: 23].

ჟესტ-მიმიკის გამომხატველი ლი-პლ სტრუქტურის მასდარები: სხეულის ენა გაცილებით მეტ ინფორმაციას გასცემს ადამიანის განწყობასა და ემოციებზე, ვიდრე ვერბალურად არის შესაძლებელი მათი გამოხატვა. გამოკვლევებით დადგინდა, რომა დამიანებს შორის ურთიერთობის დროს კომუნიკაციის 60-80% ხდება არავერბალურად, ინფორმაციის მხოლოდ 20-40% გადაეცემა სიტყვიერად. სხეულის ენა არის არავერბალური კომუნიკაციის ერთ-ერთი სახე. არავერბალური კომუნიკაცია ნიშნავს კომუნიკაციას სიტყვების გარეშე. ეს არის ენა, რომლითაც საუბრობს ყველა, ისიც კი, ვინც არ იცის ამ ენის არსებობის შესახებ. ასეთი ხერხი ადამიანს ურთიერთობაში ეხმარება.

სვანური „მასადრული სამყარო“ ამ მხრივაც საკმაოდ მრავალფეროვანია: **ლი-პლ სტრუქტურის მასდარები**, როგორც ეს ჩვენს ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, განსაკუთრებული სიხშირით გვხვდება სწორედ ჟესტ-მიმიკის ამსახველ და გამომხატველ მოქმედებათა სახელებში:

ლი-კვიჭან-პლ - უკმაყოფილო გამოხედვა. **იმლა როქ ჰკვიჭანე მიჩა დადა?** - რატომ იყურება უკმაყოფილოდ მისი ბებია? - **ლიკვიჭანპლ ხოლა წეს ლი** [ინფ. მ.ფილფანი, 97 წლის, მესტია] - უკმაყოფილოდ ყურება ცუდია.

ლი-რიჭტან-პლ - ყურების დაცქვეტა ახალი რაღაცის მოსასმენად, წარბაზიდული ყურება. **პრიჭტანე** - თვალწარბაზიდული იყურება. **ჩიდად ხალტუნ მერმემ ლიჰუნპრი** **ი ლირიჭტანპლ ხოხრობტუნღვე** [ინფ. მ.ფილფანი, 97 წლის, მესტია] - პატარობიდანვე ყოველთვის უყვარდა მიყურადება და ყურების ცქვეტა.

ლი-სხტირან-პლ - გაბრაზებული ყურება, თვალების ბრიალი. **ისხტირანპლ** - თვალებს აბრიალებს. **ერასტოს მაშდმარჟი აშგარ ხამთქტა ლისხვირანპლ** - ერასტოს სიმთვრალეში ყოველთვის სჩვევია თვალების ბრიალი.

ლი-სილტან-პლ - ელამი გამოხედვა, თვალების გაელამება. **ისილტანპლ** - თვალებს აელამებს. **ალექსანდრე ჟი იხრინოლ ეჩქას ლისილტანპლს იბნა** - ალექსანდრე გაბრაზების დროს თვალებს აელამებდა.

ლი-სხტიპან-წლ - თვალ-წარბის ასხეპვა, აზიდვა ისე გამოხედვა. **ისხტიპანწლ** - თვალ-წარბ ასხეპილი იყურება. **მახანაჯიდ თელღურას მამა ხესგუჯ ლისხვიპანწლ** [ინფ. მ.ფილფანი, 97 წლის, მესტია] - ახალ მოყვანილ რძალს არ უხდება თვალწარბაზი-დული ყურება.

ლი-რიკუან-წლ - სიფხიზლე, ფხიზელი გამოხედვა (ამბობენ, როცა თოთო ბავშვს ძილი არ ეკარება). **წრიკუანე** - თვალებს იქით-აქით ცოცხლად ატრიალებს. **ლეთ ი ლადწლ ჟი ლუჟმე ხარ, ლადწლშუ აჟუჟე ი ლეთუშ ლირიკუანწლ ხოცხა** - დღე და ღამე არეული აქვს, დღე სძინავს და ღამე ღვიძავს.

ლი-მიჭუან-წლ - ტუჩებმოკუმული ყურება, გაბუსხვა. **წმიჭუანე** - რაღაცის გამო გაბრაზებული და ტუჩმობუზული იყურება. **დოდოს გადნი ლიტხეს ერვჷ ხატულდა, ჩინს ლიმიჭუანეს ხობნა** - დოდოს ვინც ვალის დაბრუნებას სთხოვდა, იმას გაბუსხული უყურებდა.

ლი-ჭუიფან-წლ - გამოხედვა როცა ვერ იტან ვიღაცას, სახის მოღრეცვა. **წჭუიფანე** - სახემოღრეცილი იყურება. **დემნას მეკედ მამ ხალტენ, შიშდ ლიჭუიფანწლს იბნა** [ინფ. მ.ფილფანი, 97 წლის, მესტია] - დემნას მომსვლელი არ უყვარდა, ხელათ სახე მოღრეცილი იწყობდა ყურებას.

ლი-მიძგუანწლ - ზიზღნარევი გამოხედვა, უკმაყოფილო ყურება. **წმიძგუანე** - ვიღაცის მიმართ ზიზღს გამოხატავს გამოხედვით. **შომა გვეშმასწრდ ხუტლჟე დადა ივდითეს ი დწრ ხომურჯუტი ლიმიძგუანეს იბნე** - როცა ბებია ივდითეს ბევრი საქმე აქვს და არავინ ეხმარება, უკმაყოფილო, ზიზღნარევი გამოხედვა იცის.

ლი-ღუიპან-წლ - ცრემლნარევი გამოხედვა, სატირლად გამზადებული ყურება. **წღუიპანე** - დანადვლიანებული, სატირლად ემზადება. **კვლთხი ჰერს იმჟი მრშ ჟი ძწრ იკედ, ჰენწისგა დივოლ ლიღუიპანწლს იბნე** - თუ ვინმე ხმამაღალ საუბარს იწყებდა, აკვანში მწოლიარე გოგონა სატირლად გამზადებული იყურებოდა.

ლი-ბლტირან-წლ - დაბღვერილი გამოხედვა, გაბრაზებული ყურება. **წბლტირანე** - ვიღაცაზე გაბრაზებული დაბღვერილი იყურება. **ნინუცას ლიბლტირანწლ დესა ხობალ** „ნინუცას არ სჩვევია დაბღვერილი ყურება და სიარული“.

ლი-სგტიჰან-წლ - გაბრაზებული თან სქმიანი გამოხედვა. კოპების შეკვრა. **წსგტიჰანე** - გაბრაზებული იყურება. **სირმახან მეჰად აშგარ წსგტიჰანე, ლისგტიჰანწლ დწს ხესგტვ** - სირმახანი მუდამ დღე კოპებ შეკრულია, გაბრაზებული ყურება არავის არ უხდება.

ლი-პაჰტუ-წლ - პრანჰიაობა, მეტიჩრობა. **იპაჰტულ** - იპრანჰება. **ერასტომ დიჰწლს ჩილად ლიპაჰტულ ხამთქვახ** - ერასტოს გოგოებს ყოველთვის სჩვეოდათ მეტიჩრობა.

ლი-ლქად-წლ - მეტიჩრობა, კვეხნა. **ილქადწლ** - თან მეტიჩრობს, თან იკვეხნის. **მეჰად ლილქადწლ დწს ხალბტ** - ყოველთვის მეტიჩრობა, კვეხნა არავის მოსწონს.

ლი-ქიჟან-წლ - აქეთ-იქით უაზრო ყურება, ქაჯური გამოხედვა. **წქიჟანე** - იქით-აქით ჯიქურად , უაზროდ აქნევს თავს. **ხოჩამლა ი ხოლამლა ჩილად ლიქიჟანე დწს ხოცხრა** [ინგ. მ.ფილფანი, 97 წლის, მესტია] - კარგზე და ცუდზე ორივეზე უაზრო, ქაჯური გამოხედვა, არავის გაუგია.

ლი-ბრიღჟან-წლ - დასაშინებლად თვალების ბრიალი, დასაშინებელი გამოხედვა. **მეთხვამწრს აორრუ ტუტეტი მიგნე დაშუდ ლახთხანენა ი უშხუარდ ლიბრიღჟანწლ ოთბინახ** - მონადირეს ორ ფეხზე შემდგარი დათვი შეხვედრია და ერთმანეთისათვის თვალებით ბრიალი დაუწყიათ.

ლი-ბლიჰან-წლ - გაუგებრობით გამოწვეული ყურება, პირის დაფჩენა. **წბლიჰანე** - პირღია იყურება - **ნენსგა ზაგწრჟი ჩუ ლუგწან ი დესა ხობალდ იმთე მწუზი ლას, პილწრ მკწრ წბლიჰანა** - შუა გორაზე იდგა და არ იცოდა სად წასულიყო, პირდაფჩენილი იყურებოდა.

ლი-წიკჰან-წლ - წუწკი გამოხედვა, თვალების მოწკურვა. **მეჰად ამწა ლიწკვანელეგ ლესგდი ესერ ლი** [ინგ. მ.ფილფანი, 97 წლის, მესტია] - ძალიან ცუდი საყურებელია ამისწუწკი გამოხედვა მუდმივად.

ლი-გლიტან-წლ - მოდებილო გამოხედვა, პირდია გამოხედვა. უაზროდ ყურება.
ლიგლიტანწლი მტქაფ გვეშს როქ,უ ლოხოგან სგა - უაზროდ ყურების მაგივრად, სჯობია საქმეს შეუდგესო.

ლი-მიყტან-წლ - უაზრო ყურება, გაბუსხული გამოხედვა. **აშგარ ლიმიყტანწლ ხოხალ ნალქადომ ვარსახას** - მედიდურობისაგან მუდამ გაბუსხული ყურება სჩვევია ვარსახას.

ლი-ყტინყტლატ-წლ - მოყურვა, თავისთვის წყნარად და ჩუმად ფუსფუსი. **იყვინყვლალ** - უწყინრად, თავისთვის ფუსფუსებს. **თინილს მიჩოვშ ლიყტინყტლატწლ ხოცხან მერმემ ლიმტრჯტის** - თინის თავისთვის წყნარად ფუსფუსი ერჩინა სხვის დახმარებას.

ლი-დრიზან-წლ - მოუქნელი სიარული, ტლანქად გადაადგილება. **იდრიზანწლ** - ტლანქად, მოუქნელად მიიზლანება. **გტემ მმგვეშ ხოსყა მიშას ლიდრიზანწლუნქა** - საგმე არაფერი გაუკეთებია მიხეილს, მხოლოდ ტლანქად გადაადგილებისა.

ლი-ჯვინჩლატ-წლ - მოყურვა,უხმაუროდ ფუსფუსი. **იჯვინჩლატწლ** - შეუმჩნევლად, მშვიდად ფუსფუსებს თავისთვის. **დადოლ დას ესერხოშვინე, მიჩოტშ იჯვინჩლატწლ ჰარტამისგა** [ინფ. მ.ფილფანი, 97 წლის, მესტია] - ბებია არავის უშლის ხელს, თავისთვის ფუსფუსებს ბოსტანში.

ლი-ფიშყტან-წლ - მშვიდი დაწყნარებული ყოფა, როცა ადამიანი შინაგან სიმშვიდეს ინარჩუნებს. **დეც მურგვალ როქ იჯვოლნი ივდითე ეჯღა ლიფიშყტანწლს დემ როქ იშდნე** - ცამრგვალი რომ იქცეოდეს, ივდითი მაინც სიმშვიდეს არ დაკარგავს და წყნარად არის.

ლი-ფხიჭან-წლ - სწრაფი და მოუსვენარი მოძრაობა. ხელის ტაცება ხან რაზე, ხან რაზე. **ხოლა ლტგანდილე ბობშარს მეჰად ლიფხიჭანწლ ხანთაქტახ** - ცუდად აღზრდილი ბავშვები ხან რას სტაცებენ ხელს ხან რას.

ლი-შკტიფან-წლ - დაბნეული, გაურკვეველი, უაზრო, ყურება. **შშკტიფანე** - დაბნეულია , გაურკვეველობაშია. **სანდრო იალექსნდრე უშხტარ ხემქტრალხ**

ლიშკუტიფანაზლს - ალექსანდრე და სანდრო ერთმანეთს ეჯიბრებიან დაბნეულ, გაურკვეველ ყურებაში.

ლი-ფიჟან-აზლ - სულელური, არასერიოზული ყურება იქით-აქით. **აფიჟანე** - გიჟიანობს, უაზროდ იყურება. **ჟიბშარესირმახან ნამშდუმოშ ლიფიჟანაზლს დეშ ხეყენი** - ზემოთურების სირმახანი სიმთვრალისგან სულელურ ყურებას იქით-აქით ვეღარ ეშვება.

ლი-შუტიტან-აზლ - სიბრაზისგან გაელამებული ყურება. **აშუტიტანე** - გაბრაზებული იყურება. **როლანდი ნალფეთოშაშგარ აშუტიტანე** [ინფ. მ.ფილფანი, 97 წლის, მესტია] - როლანდი სიბრაზისაგან გაელამებული იყურება.

ლი-ფუცხუან-აზლ - რაღაცის გამო აჩქარებული ტრიალი, შეფუცხუნება, მიედ-მოედება. **მუშგურაშ ლიჯედს მართა მეჰად ოხლელდა, შიშდ ლიფუცხვანაზლს იბნა** - სტუმრის მოსვლას მართა ყოველთვის ელოდა, რადგან ხელათ შეფუცხუნდებოდა და ტრიალს იწყებდა.

ლი-ქიქან-აზლ - მსუბუქ-მედიდური სიარული. **იქიქანაზლ** - დაჩერჩეტობს. **ლიქიქანაზლ ლულქადუს ხოხალხ** - მეტიჩრებმა იციან იქით-აქით უაზრო მედიდური სიარული.

- **ლი-ცენცურ-აზლ** - წვრილად დაქუცმაცება ლუკმის და ისე მირთმევა, საჭმლის რჩევა-რჩევით მოციცქვნა. **იცენცურაზლ** - იციცქნება, ინაზება. **მახე თელღურას ლეზები ლიცენცურაზლ ხამთქუა** - ახალ პატარძალს საჭმლის რჩევა-მოციცქვნა სჩვევია.

ლი-შუნდრუკ-აზლ - გაბუტვა, ამრეზვა, გაბუსხვა. **იშუნდრუკაზლ** - იბუტება. **მეჰად ლიშუნდრუკაზლ ხოლა ლესგდი ლი** - ყოველთვის გაბუტვა ცუდი საყურებელია.

ლი-ფეთ-აზლ - გაცოფება, გაბრაზება. **იფეთაზლ** - ცოფებს ყრის. **დემნა შომა ლიფეთაზლს იბნა, ნინ სგახოშყდენდა** - დემნა როცა გაბრაზებას იწყებდა, ენა უკან უვარდებოდა.

ლი-ტყუიფან-წლ - ლოყების ალექვა, აღმურის ადენა. **იტყუიფანწლ** - ლოყებგაწითლებული იყურება. **ლიტყუიფანწლ ლუმგურადამიწწს ხობალ** - ლოყების ალექვა მორცხვ ადამიანს სჩვევია.

ლი-მუქუან-წლ - გაღიმება. **ივღითეს ხოლამლა ი ხოჩამლა ჩილად ლიმუქუანწლ ხამთქუა** - ივღითეს კარგზეც და ცუდზეც, ყველაფერზე გაღიმება სჩვევია.

ლი-ტენტ-წლ - ხელების წაშენა სახეში დატირების, მოთქმის დროს, რითაც გამობატავს წუხილს, უბედურებას. **დადოლდ ლირენტწლ ადბინე, შომა დიმიტრიმ დაგრა აცხირ** - ბებიამ სახეში ხელები წაიშინა როცა დიმიტრის გარდაცვალება გაიგო.

ლი-ფრკუან-წლ - სახტად დარჩენა, მშრალად დარჩენა. **შომა თუფეი ჰერახსუმიდა, დათიკოდ ლიფრკუანწლ ადბინე** - სახტად დარჩა დათიკო, როცა თოფის ხმა გაიგო.

ლი-გურ-წლ - ხვეწნა , მუდარა, ვედრება. **ხეგურწლ** - ემუდარება, ეხვეწება, ევედრება. **ნავრეხს მიჩა დი კანჭოლარშუ ხეჭურალ ნაუზის** - ნავრეხს დედამისი ნეკათითებგადაგრეხილი ემუდარებოდა, ეხვეწებოდა, ევედრებოდა წაუსვლელობას.

ლი-ტფურ-წლ - ლოყების ხოკვა, ერთგვარი ჩვევა როცა ახლობლის გარდაცვალებას იგებენ. **იტფურწლ** - ლოყებს იხოკავს, იკაწრავს. **საშა ჩიმი დაგრაღა აშგარ იტფურალ** - საშას წესად ჰქონდა ლოყების ხოკვა, კაწვრა, თუ ვინმეს გარდაცვალებას გაიგებდა.

ლი-ჰონ-წლ - სისუსტისგან დნობა, ლასლასი. **იჰონწლ** - ლასლასებს, წაქცევაზეა. **მანდჟუშ აშგარ იჰონწლხ მგუშდბა** - შიმშილისაგან მუშები ძლივს ლასლასებენ.

ლი-დუწ-წლ - მიიწელება, გაწეღვა, წოწიალი. **ჩილადალ შუკუარქა ლიდუწწლ უპატრონწლს როქ ხობალხ** [ინგ. მ.ფილფანი, 97 წლის, მესტია] - ყოველდღე გზებზე წოწიალი, გაწეღვა უპატრონომ იცისო.

§ 13. კაუზატივის კატეგორიის გამოხატვა მასდარში

როგორც სალიტერატურო ქართულის საწყისის ფორმებში ასევე სვანურ მასდარში გამოხატულია კაუზატივის (შუალობითი კონტაქტის) გრამატიკული კატეგორია: ზმნის პირიან ფორმებსა და მასდარებში ამ კატეგორიის მაწარმოებელი აფიქსები ერთი და იგივეა, ესენია **-უნ, -უნ, -ნ** მორფემები, სართები. შესაბამისად სვანური კაუზატიური მასდარული ფორმებია:

ამოსავალი მასდარები (აქტივის სემანტიკა)	მრავალგზისი ფორმები	კაუზატიური მასდარული ფორმები	
ლი-თუნ-ე	ლი-თუნ-ჰლ-ი	ლი-თნ-უნ-ე	„დალევინება“
ლი-ნზორ-ე	ლი-ნზორ-ჰლ	ლი-ნზორ-უნ-ე	„მოგროვებინება“
ლი-ჰნ-ი	ლი-ჰნ-ჲელ	ლი-ჰნ-უნ-ე	„დახვნევენება“
ლი-ტფურ-ე	ლი-ტფურ-ჰლ	ლი-ტფურ-უნ-ე	„გატყავებინება“
ლი-ფშგ-ე	ლი-ფშგ-ჰლ	ლი-ფშგ-უნ-ე	„გახსნევენება“
ლი-ბარგ-ე	ლი-ბარგ-ჰლ	ლი-ბარგ-უნ-ე	„აბარგებინება“
ლი-მბან-ი	ლი-მბან-ჰლ	ლი-მბანალ-უნ-ე	„დაფიცებინება“
ლი-ქთუნ-ე	ლი-ქთუნ-ჰლ	ლი-ქთუნალ-უნ-ე	„განძრევენება“
ლი-დუწ-ე	ლი-დუწ-ჰლ	ლი-დუწალ-უნ-ე	„გაწელვინება“
ლი-ნჯრ-ი	ლი-ნჯრინ-ჰლ	ლი-ნჯრნ-ნ-ე	„წაყვანა“

როგორც დასახელებული ნიმუშებიდან ჩანს, კაუზატიური ფორმის სპეციფიკა ის არის, რომ აქ მასდარის მაწარმოებელი არის ლი-ე ვარიანტი, იმის მიუხედავად, საპირისპირო არაკაუზატიურ ფორმაში ლი-ე არის წარმოდგენილი, ლი-ი, თუ ლი-.

მაშასადამე, კაუზატივის მიხედვით დაპირისპირება სვანურ მასდარში ემთხვევა ზმნის პირიან ფორმებს როგორც სემატიკით, ისე გამომხატველი მორფოლოგიური ერთეულებით. ამ კატეგორიის მორფემა აქაც -უნ, -უნ, -ნ ვარიანტებით არის წარმოდგენილი, მათი განაწილებაც იმავე პრინციპს ემყარება, რასაც - პირიან ფორმებში.

ხაზგასმით აღნიშვნის ღირსია -უნ აფიქსის მრავალფუნქციური დატვირთვა ენაში; კაუზატივის -უნ სიტყვასაწარმოებელი სუფიქსია სვანურში: იგი გარდაუვალ ზმნას აქცევს გარდამავლად: **იზგე** „სახლობს“, **აზგ-უნ-ე** „ასახლებს“, სახელისგან აწარმოებს გარდამავალ ზმნას: **ლიც** „წყალი“ ალც-უნ-ე „რწყავს“, ფუძისეულ **რ-ს** ცვლის **ნ-დ**: **აყურე** „წევს“, **აყუნე** <* **აყურ-უნე** „აწვენეს“ [თოფურია, 2002: 195]

ზმნაში სვანურში ასევე სალიტერატურო ქართულის მსგავსად დიდი რაოდენობით დასტურდება სამპირიანი კაუზატიური ფორმები:

იჭუდ-წ-ი (ეჯა ეჩას) „კითხულობს“ – **ხაჭუდ-წ-უნ-ე** (ეჯა ეჩას ეჩას) „აკითხებს“
იბნე (ეჯა ეჩას) „იწყებს“ – **ხაბნ-უნ-ჭუნ-ე** (ეჯა ეჩას ეჩას) „აწყებინებს“...

სარედუქციო პოზიციაში კაუზატივის -უნ ნიშანს ენაცვლება -უნ ვარიანტი.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ დიალექტთა ერთ ნაწილში კაუზატივის მორფემის დასახელებულ ალომორფებთან -უნ, -უნ -ნ თავისუფლად მონაცველობს -ნუნ ვარიანტი. **ხაჯაბ-ნ-ე** / **ხაჯაბ-ნუნ-ე** „ახარშვინებს“, **ხამარ-უნ-ე** / **ხამარ-ნუნ-ე** „ამზადებინებს“ ... [ონიანი, 1998 : 253] თუმცა მასდარებში ზმნის პირიან ფორმათაგან განსხვავებით, ჩვენს მიერ გაანალიზებულ მასალაში -ნუნ ალომორფიანი მაგალითები ვერ დავადასტურეთ.

კაუზატიური მასდარი მხოლოდდამხოლოდ ლი-ე კონფიქსით წარმოიქმნება. –
უნ, -უნ, -ნ აფიქსების დართვის შემთხვევაში თითქმის გამონაკლისის გარეშე მასდარებში გვაქვს **ლი-ე** თავსართ-ბოლოსართიანი წარმოება:

ამოსავალი მასდარი:

კაუზატიური მასდარი:

ლი-ი > ლი-ე

ლი-სყ-ი „გაკეთება“	ლი-სყ-უნ-ე	„გაკეთებინება“
ლი-შხ-ი „დაწვა“	ლი-შხ-უნ-ე	„დაწვევინება“

ლი-ი > ლი-ე

ლი-გემ „აგება“	ლი-გემ-უნ-ე	„აგებინება“
ლი-ბემ „დაბმა“	ლი-ბემ-უნ-ე	„დაბმევინება“
ლი-თერ „ცნობა, გაცნობა“	ლი-თერ-უნ-ე	„გაცნობინება“
ლი-ძგერ „დაჯახება“	ლი-ძგერ-უნ-ე	„დაჯახებინება“
ლი-ქებ „გადაწევ, ამიწევა“	ლი-ქებ-უნ-ე	„გადაწევინება“
ლი-ყერ „ცემა, დარტყმა“	ლი-ყერ-უნ-ე	„დარტყმევინება“
ლი-ყერ „თავის დანებება“	ლი-ყერ-უნ-ე	„თავის დანებებინება“
ლი-ხებ	ლი-ხებ-უნ-ე	„დანარცხებინება“...

ლი-ზღ > ლი-ე

ლი-სტარუნ-ზღ „პირჯვრის გადაწერა“	ლი-სტარუნ-ზღ-უნ-ე	„პირჯვრის გადაწერინება“
ლი-სემწ-ზღ „მუდარა, აჯა, დახმარების თხოვანა“	ლი-სემწ-ზღ-უნ-ე	
ლი-ქუნაჲ-ზღ „აგონია“	ლი-ქუნაჲ-ზღ-უნ-ე	
ლი-ღრ-ზღ „სიმღერა“	ლი-ღრ-ალ-უნ-ე	
ლი-ზელ-ზღ „სიარული“	ლი-ზელ-ალ-უნ-ე	„ტარება, წყვანინება“
ლი-დჳ-ზღ „გასულელება“	ლი-დჳ-ზღ-უნ-ე	„გასულელებინება“

შენიშვნა: ლი-სემწ-ზღ-უნ-ე, ლი-ქუნაჲ-ზღ-უნ-ე, ლი-ღრ-ალ-უნ-ე ფორმათა გრამატიკული თარგამანი აღწერითი კონსტრუქციების გარეშე სალიტერატურო

ქართულზე რთულია („ვედრებინება, სულის ამოხდომა/გარდაცვალება, ამდერებინება“)... მაგრამ სვანურისთვის ბუნებრივი თქმები და ფორმებია, სტრუქტურულად კი, უდაოდ, კაუზატიური მასდარებია.

ლი-ე > ლი-ე

ლიბნე „დაწყება“	ლიბუნჳ-უნ-ე	„დაწყებინება“
ლიბერგე „თოხნა“	ლიბერგ-უნ-ე	„დათოხნინება“
ლიპრისდე „მონათლვა“	ლიპრისდ-უნ-ე	„მონათვლინება“
ლიზგრე „დამთავრება“	ლიზგრ-უნ-ე	„დამთავრებინება“
ლიმზრე „მომზადება“	ლიმზრ-უნ-ე	„მომზადებინება“
ლიტხე „დაბრუნება“	ლიტხ-უნ-ე	„დაბრუნებინება“
ლიცურე „დატოვება“	ლიცრ-უნ-ე	„დატოვებინება“
ლისყენე „კეთება“	ლისყ-უნ-ე	„გაკეთებინება“

ცნობილია, რომ კაუზატივისა და კონტაქტის ურთიერთმიმართების, მათი რაობის, შინაარსისა და გამოხატვის მექანიზმის შესახებ ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში (გ. მაჭავარიანი, რ. ასათიანი...) არსებობს პრინციპულად განსხვავებული მოსაზრებები: კერძოდ, კონტაქტი არის გარდამავალი ზმნის კატეგორია. ხოლო კაუზატივი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე – კონტაქტი. ის აერთიანებს ყოველგვარ ფორმას, სადაც ადგილი აქვს ერთი პირის მიერ მეორის იძულებას. გ. მაჭავარიანის მიერ არის შემოღებული ტერმინები „ერთმაგი კაუზატივი“ და „ორმაგი კაუზატივი“ აწუხებს და აწუხებინებს ტიპის ფორმათა დაჯგუფებისა და გამიჯვნის მიზნით. უნდა ითქვას, რომ ენათმეცნიერები იმ საკითხში თანხმდებიან, რომ თანამედროვე ქართულში კაუზატივის მორფოლოგიური კატეგორია გამოიყოფა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც არსებობს ისეთი საპირისპირო ფორმები, როგორცაა აკეთებს – აკეთებინებს; აშენებს – აშენებინებს.

როგორც ზმნის პირიან ფორმაში, ასევე მასდარში კაუზატივის გამოხატვის თვალსაზრისით სვანურში სალიტერატურო ქართულის მსგავსი ვითარება გვაქვს.

სვანურს განსაკუთრებით უყვარს ორმაგი კაუზატივი, როდესაც **-უნ** აფიქსი ზმნის პირიან ფორმაში და შესაბამისად მასდარშიც ორგზის არის გამოყენებული:

ლი-ტხ-უნ-ე>ლიტხ-უნ-ჭუ-ნ-ე „დაბრუნება“ „დაბრუნებინება“ „ღებინება“

*ღებინებინება“.

ლი-შგუემ - ლი-შგუმ-ან-ალი > ლი-შგუმ-ან-ალ-ნ-ე „მათხოვრობა“, *„თხოვნებინება“

ლი-შხ-ი > ლი-შხ-უნ-ე > ლი-შხუნ-ჭუ-ნ-ე „წვა“ „დაწვევინება“...

ორმაგი კაუზატიური ფორმები სვანურში განსაკუთრებით ხშირია მაშინ, როდესაც ზმნასა და მასდარში წარმოდგენილია პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ან მრავალგზისობის **-ალი/ -ალ** სუფიქსი, ასეთ შემთხვევებში კაუზატივის **-უნ** მასდარში გამოყენებულია ორგზის:

ლი-კედ „აღება“ **ლიკედ-უნ-ჭუ-ნ-ე** „აღებინება“

ლი-კნ-ი „ხვნა“ **ლი-კნ-უნ-ჭუ-ნ-ე** „დახვნევენება“...

კაუზატიურ მასდართა საილუსტრაციო მაგალითები სვანური ტექსტური გამოცემებიდან და ინფორმატორტაგან ჩაწერილი მასალებიდან:

ქუთოს ჟი ესჰიდხ ი ნაქუთჷრი **ლიცტურუნე** ლახკაფუნეხ [ზზ., სვან.ლექსიკ., 2000:473] - ქურდს მიუსწრეს და ნაქურდალის დატოვებინება აიძულეს.

ლი-მარ-ე / ლი-მარ-ალი / ლიმარნე - მზადება; აჯალ ალ დინას ათხუბდ სანდილი **ლიმარე** (ზზ)- კიდევ ამ გოგოს მოუწია (შეხვდა) სადილის მომზადება. **ქუერწილს ძღვდ ლიმარალ ხაკუ** (ზზ) - ქორწილს დიდი მზადება სჭირდება. **მვლდღჷშდ ამი ლიმარნე მჷკჷფ** [ინფ. დ. მიბჩუანი, 77 წლის, კოდორი] - მწყემსებისთვის ამის მომზადებინება მსურს.

ლი-ნზორ-ე / ლი-ნზორ-ალი / ლი-ნზორ-ნ-ე მოგროვება, შეკრება; **თეთრი ლინზორე ხეკუჷდხ** (ზზ) - ფულის მოგროვება უნდოდათ; **ნებოხს იბნი ლინზორალ** (ზქ) - სადამოს იწყება შეკრება; **სოფლი თეთრი ლინზორნე ხეკუჷდხ** (ზზ) - სოფელის ფულის შეგროვება უნდოდათ.

ლი-ფშე-ე / ლი-ფშე-წლ / ლი-ფშე-უნ-ე „გახსნა, ახდა, ნასკვის გახსნა“. **ლუცხამბჰემ ლიფშეე გარჯ ლი** (ბზ.) - განასკულის გახსნა მნელია; **ბექმერზას ყწრწ ლიფშეგლდ ლიცი ლიქუქლე ოთბინა** (ბზ.) [ინგ. ვ. უშხვანი, 75 წლის, გენწვიში] - ბექმერზას ყავრის ახდამდე წყლის გაცივება დაუწყია. დწვითიშდ წმი **ლიფშეუნე** მიპირა - დავითისთვის ამი გახსნა მინდა (დავაძალო).

ლი-ბწრგ-ე / ლი-ბწრგ-წლ / ლი-ბარგ-ნ-ე-აბარგება, ბარგება მგზავრობის წინ.

სურუ ხეკუად ეჩა ქა ლიბარგე ი მოლოვშ ქადბარგე (ბქ.) - ძალიან უნდოდა მისი გადაბარგება და, როგორც იქნა, გაამგზავრა; **ხოლა ლიბწრგწლეუ ჯწრ!** (ბზ) - ცუდი აბარგებამც გქონდეს! (წყევლაა); **მიშგუა დიდ ჰამს, ურჰად, წდბინწსგუნე ლიბარგუნწლ** [ინგ. ქ.ჩხეტიანი, 65 წლის, დმანისი] დედაჩემძა დილას ადრე დააწყებინა ბარგის ჩალაგება, აბრგება.

ლი-ბჟინ-ე / ლი-ბჟინ-წლ / ლი-ბჟ-უნ-ე შეტყობინება, ცნობა რაღაცის; **მწდ მაკუ ლწდი ამწლიბჟინე** (ბზ.) - არ მინდა დღეს ამის შეტყობინება; **ქუტერწილს ლიბჟინწლ ხაკუ** (ბზ) - ქორწილს შეტყობინება უნდა.

ლი-წნ-ი / ლი-წნ-მელ / ლი-წნ-უნ-ე ხვნა, დახვნა; **ლიწნი მწრტისგა იბნი** (ბქ) - ხვნა მარტში იწყება; **ლიწნმელ აწწდ** (ბზ) - ხვნის დრო მოვიდა, დადგა; ამი **ლიწნუნე** მაკუ ეჯღა ხვიმწრწლ (ბქ.) [ინგ. ქ.ჩხეტიანი, 65 წლის, დმანისი] - ამის დახვნევეინება მინდა; ვემზადები, ეს რომ მოვახვნევეინო..

ლი-გწთუ-ე / ლი-გათუწლ / ლი-გთა-უნ-ე გათავება, დამთავრება; **ალ გუემში ლიგათუე მაკუ** (ლაშხ.) - ამ საქმის გათავება მინდა; **ლასწდი ლიგათუწლს მწმ ხაკუ ლიღლი**(ბზ) - სარჩოს გათავებას ლოდინი არ უნდა; **ამი ლიგთაუნეს ხაკუ ლიღლი** [ბქ. სვან.ლექსიკ., 2000:427] - ამის დამთავრებას უნდა ლოდინი;

ლი-თუწნ-ე / ლი-თუწნ-წლ / ლი-თუწნ-უნ-ე სმა, დაღევეინება, დარწყულება; **კუმწშს ლიცი ლითუწნე ხაკუ** (ბზ.) - საქონელს წყლის დაღევეინება უნდა; **ეჩქანღტე კობწრშუ წრყიშ ლითუწნწლი ლი** (ბქ.) - შემდეგ ხის თასებითაა არყის სმა; **ლეთრემი ლითუწნუნეს ხოპირე ჰყინტს** (ბზ.) [ინგ. ლ.შერვაშიძე, 84 წლის, მულახი] - სასმელის დაღევეინებას უპირებს ბიჰს.

ლი-მშედ / ლი-მშედ-წლ / ლი-მშედ-უნ-წლ შველა, დახმარება; ათხად როქტ ხაკუდა ლიმშედწლ (ბზ.) - აქამდე მინდოდა შველაო; ლას ხამდედა წმი ლიმშედ(ბზ) - ვის შეუძლია ამის შველა; ლიმშედუნწლს ხოპირე [ბქ., სვან.ლექსიკ., 2000:442] - დახმარებას უპირებს, მიხმარებას.

ლი-ტფურ-ე / ლი-ტფურწლ / ლი-ტფურნ-ე- გატყავება, ხოკვა, კაწვრა; დაწლა ლიტფურე მნდ ლი გარჯ(ლნტ) - თხის გატყავება არ არის ძნელი; დაწლა ლიტფურნე მაკუ [ბზ., სვან.ლექსიკ., 2000:449] - თხის გატყავება მინდა, ვინმეს რომ გავატყავებინო;

ლი-ქაბ-ი / ლი-ქაბუნწლ / ლი-ქაბ-ნ-ე თავის არიდება, აცდენა. გადანს ლიქაბუნწლ დემ ესერ ხალიესგ(ანდ) - ვალს თავის არიდება ვერ გადაიხდისო, ანდ.); ამახუს ლიქაბი ხაკუ (ბქ.) - მტერს არიდება, მორიდება უნდა; ამი ლიქაბნე ხაკუდახ [ბქ., სვან.ლექსიკ., 2000:453] - ამის თავის არიდება ნდომებიათ;

ლი-ქთუნ-ე / ლი-ქთუნ-წლ / ლი-ქთუ ნწლნ-ე- განძრევა, რხევა. მარას ტუეტი ლიქთუნეს დემ ლოქ ხანბეხ(ბქ) - კაცს ხელის განძრევას არ ანებებენო; მწლ ჩწანდლუგურწნ ეჯჟი, ერე ლიქთუნწლ ოთჩწდ [სვან.ლექსიკ., 2000:454] - მელა გასუქდა ისე, რომ განძრევა არ შეეძლო; დწუს ლიქთუნწლნეს ხოპირეხ (ბქ) - დევს განძრევას, გატოკებას უპირებენ.

ლი-დტწ-ე / ლი-დტწ-წლ / ლი-დტწწლნ-ე - გაწელვა, წელვა. ლიფანაჟი ლეცტმწრიშ ლიდუწე ხამთქტახ დირწრქა [ბქ., სვან.ლექსიკ., 2000:455] - საკურთხის დროს სწვევიათ პურებზე მოხარშული ყველის გაწელვა - თწმმი ლიდტწწლნე ათბინასგენე (ყველის გაწელვა დააწყებინა);

ლი-თუნ-ე / ლი-თუნწლ-ი / ლი-თუნ-ე - დალევინება. ხომწლდ ლითუნე ოთპირეხ - დიდებმა დალევინება დაუპირეს. იბნახ ლითუნწლის ი დწრ სტედნივ ჭიშხჟი - იწყებოდა სმა და არავინ რჩებოდა ფეხზე. ლეგმერდას ძალოტშ ლითუნეს ხოპირახ [ინგ. ე. ვიბლიანი, 70 წლის, საკენი] - ავადმყოფებს ძალით დალევინებას უპირებდნენ.

ლი-თხ-ნ-ე / ლი-თხ-ნ-წლ / ლი-თხ-ნ-უნ-ე „შეყრა, შეხვედრა“. ლწთხტუიარჟი მეთხტარა სგა ლითხნე ხოჩმდ ხოკიდხ - ნადირობისას მოადირეების შეხვედრა კარგის ნიშანია.

ხოჩემ ლითხნალ ხერახ მექტერწლას - კარგს გადაეყრებიან მექორწილები. **იმმა ლითხუნე ხაკვხ ხოშალს?** [ინფ. ა. ჯაჭვლიანი, 85 წლის, კოდორი] - რა შეხვედრა სურთ უფროსებს?

ლი-ზგ-ე / ლი-ლზიგალ / ლი-ლზიგალნ-ე - დასახლება. **ცხეკს ლიზგე უგარჯ ლი მზგარიშდ** - ტყეში ცხოვრება ძლიერისთვის არ არის ძნელი. **სანდროს ლილზიგალ ოთბინა** [ინფ. ც. სუბელიანი, 60 წლის, აჭარა]- სანდროს დასახლება დაუწყია. **ციქულიდდ ლილზიგალნე ათბინასგუნე დაუს** [ინფ. ხ. გურჩიანი, 80 წლის, ჩხალთა] - ციქულიდმა დევს დასახლება დააწყებინა.

ლი-მარ-ე / ლი-მარალ / ლი-მარალნ-ე - მზადება, მომზადება. **ურიჰდ ლაიბინე ლიმარე** - გათენებამდე დაიწყო მზადება. **ქტერწილს ხოჩამდ ლიმარალ ხაკუ** - ქორწილისთვის კარგად უნდა მომზადება. **ლიმარალნე ათბინასგუნეხ სოფელს** - სოფელს დააწყებინეს მზადება.

ლი-მბან-ი / ლი-მბანალ / ლი-მბანალნ-ე „დაფიცება“. **ფუსდს ეჩა ლიმბანი ახკავ** - ბატონს მისი დაფიცება მოუნდა. **ლიმბანალ უქად ხარხ** - დაფიცება გარდაუვალია. **ეჩხენიშარს ამრ ლიმბანალნე ხოპირახ** [ინფ. ე. ჯაჭვლიანი, 88 წლის, მესტია]- იქეთურებს ამის ხატზე დაფიცებას აპირებენ.

ლი-ნზორ-ე / ლი-ნზორალ / ლი-ნზორალნ-ე „მოგროვება, შეკრება“. **თაშმი ლინზორე ოთბინა დადოლს** - ყველის მოგროვება დაუწყია მოხუცს. **ბობშარდ შიშდ ლინზორალ ლაბინეხ** - ბავშვებმა ხელათ შეკრება დაიწყეს. **მახტუმის ციოციშდ ახკაფუნ ზექმი ლინზორალნე** [ინფ. მ. ფილფანი, 97 წლის, მულახი]- უფროსმა ციოცს დააკისრა შეშის მოგროვება.

ლი-ნთხლ-ე / ლი-ნთხლალ / ლი-ნთხლალნ-ე - სიფრთხილე, მოფრთხილება **თხტმი ლინთხლე ჩიდ ხოცხან ცაცუს** - თავის მოფრთხილება ყველაფრად ერჩინა ცაცუს. **ჩინჩტის ლინთხლალ ხაკუ ჩილად** - ჩვილს ყოველთვის მოფრთხილება უნდა. **ლინთხლალნე ათბინასგუნე გეზლირს** - მოფრთხილება დააწყებინა შვილებს.

ლი-პანტ-ე / ლი-პანტალ / ლი-პანტალნ-ე - გაფანტვა. **ჭემიშ ლიპანტე დანვარს ათბრლე** - თივის გაფანტვა თხებს დააბრალა. **ხოლა ლიპანტალ ოთპირე მარალს** -

ცუდად გაფანტვა, დაშლა დაუპირა მოციქულებს. **ლიპანტლნე** ათბინასგუნე ჟედარს - მალეებს გაფანტვა, დაშინება, დააწყებინა.

ლი-პრისტ-ი / ლი-პრისტლ / ლი-პრისტნ-ე - მონათვლა. **ალექსანდრეს დურუმ ლიპრისტი ხაქუებ** - ალექსანდრეს დურუმს მონათვლა სთხოვეს. **თაბაშს ლიპრისტლ ხოპირახ** - სამშაბათს ნათლობას აპირებენ. **ეჩანლო ლიპრისტნე ხოპირახ** [ინფ. თ. გუჯეჯიანი, 77 წლის, ჩხალთა] „მერე მონათვლას უპირებენ“.

ლი-ტენტ-ე / ლი-ტენტლ / ლი-ტენტნ-ე - დატირება. **ლდგარს ლიტენტე ხაკუ** - მიცვალებულს დატირება უნდა. **ისგლეთქა ლიტენტლ ლანსგმდა** - შუალამისას დატირება შემოგვესმა. **ლიტენტნე ათბინასგუნე** - დატირება დააწყებინა. **ლი-შგუმ / ლი-შგუმნალი / ლი-შგუმნალნ-ე** - მათხოვრობა. **ათხე ლოქ იმნარ ხაკუ ლიშგუმ?** - ახლა რად გინდა მათხოვრობაო? **ლამბინე დედბერილდ აჯალ ლიშგუმნალი** - დაიწყო დედაბერმა ისევ მათხოვრობა. ჭირდ **ლიშგუმნალნე** ახთურ „გაჭირვებამ მათხოვრობა ასწავლა“ [ექსპედ. მასალ. ინფ. მ. ფილფანი, 97 წლის, მესტია, 2018 წ.]

მაშასადამე, თანამედროვე სვანურში კაუზატივის კატეგორია **-უნ, -უნ -ნ** აფიქსებით გამოიხატება როგორც ზნის პირიან ფორმაში, ისე მასდარში. **კაუზატიური მასდარი მხოლოდდამხოლოდ ლი-ე კონფიქსით წარმოიქმნება.**

კაუზატიური წარმოება ქართულის მსგავსად სვანურშიც არ ვრცელდება ყველა ტიპის ზმნასა და მასდარზე: **კაუზატიური ფორმები არ გვხვდება ბგერწერითი ლექსიკით ნაწარმოებ მასდარებში**, ასევე **-ა -ობ** სუფიქსური წარმოების მასდარებში: **ხუნტ-ა** - წყვეტა, **ჟლეტა**, **კუნშ-ა** - ტყდომა, **ცუნრ-ა / ცუნრ-ობ** „ტოვება, ღალატი“, **ქუნც-ა / ქუნც-ობ** - ჭრა, კვეთა... **ფგცუნა** „ფუთფუთი“, **ჭკლუნა** „ხმაური (დიდი)“, **ჯუნჯღუნა** „ხმაური“...

როგორც ცნობილია **ცუნრ-ა / ცუნრ-ობ** „ტოვება, ღალატი“ -ა სუფიქსიანი არქაული მასდარები თანამედროვე სვანურში პარალელურად პრეფიქსულ მასდარებს აწარმოებენ: **ლი-ცუნერ** „ტოვება, ღალატი“ ამ ყალიბით კი - მათ უკვე შეუძლიათ კაუზატიურ მასდართა წარმოება: **ლი-ცუნერ** „ტოვება, ღალატი“ > **ლი-ცრ-უნ-ე** „მიტოვებინება“.

ლი-ხეხუჭაშ-ტ „ცოლ-ქმრობა“, ლი-დი-ტ-ლი-გზალ-ტ „დედა-შვილობა“, ლი-მუ-ტ-ლი-გზალ-ტ „მამა-შვილობა“, ლი-ტდულ-ტ „დობა“, ლი-ჯმულ-ლი-დრურ-ტ „დამობა“, ლი-თლალურ-ტ „რძლობა“, ლი-მყარ-ტ „ძმების ცოლობა, შილობა“ – ტიპის ფორმებში, ლი-ტ კონფიქსური წარმოების მასდარებში კაუზატივის კატეგორია არასდროს არ იქნება გამოხატული.

ამრიგად, სვანურ მასდარში გამოვლენილ აფიქსთაგან ლი -ე; ლი-ი; ლი-ტ; ლი- ; - ა; ტა -ა/-ობ კაუზატივის კატეგორია გვხვდება მხოლოდ ლი -ე; ლი-ი; ლი- პრეფიქს სუფიქსებით ნაწარმოებ მასდარებში.

§ 14. ობიექტის მრავლობითობის გამოხატვა მასდარში

სხვა ქართველურ ენებთან მიმართებით უაღრესად საინტერესოდ გვეჩვენება ფაქტი, რომ სვანური მასდარი განარჩევს ობიექტის მრავლობითობას, რაც განაპირობებს ფორმათა სიმრავლეს და სემანტიკურ ნიუანსთა მრავალფეროვნებას, ფორმოზრივად, სტრუქტურულად კი - მასდართა ერთგვარ „ოპოზიციურ“ წყვილებს:

ლირდი – ლირდ-ალ-ი „გაზრდა ერთისა და გაზრდა ბევრისა“

ლიწყე – ლინყ-ალ-ი „ცხოვა ერთისა და გამოცხოვა მრავლისა“

ლიხერხე – ლიხერხ-ალ-ი „ხერხვა, ჭრა“

ლისგურე – ლისგურ-ალ-ი „დაჯენა, დასმა“

ლიწყე – ლინყ-ალ-ი „ცხოვა ერთისა და გამოცხოვა მრავლისა“

ლირმი – ლირმ-ალ-ი „ჭერა, დაჭერა“

ლიშხბი – ლიშხბ-აქლ-ი „კერვა“

ლიძცენი – ლიძცენ-ალ-ი „დაკვლა საკლავისა“

ლიხტატი – ლიხტატი-ალ-ი „დახატვა“

ლიკენე – ლიკენ-ალ-ი „შეკონვა, შეხვევა“

ლიტურე – ლიტურ-ალ-ი „ანთება“

ლიკჩე – ლიკჩ-ალ-ი „აწევა, აშვერა, აღმართვა“...

ობიექტის მრავლობითობის აღსანიშნავად სვანურის ბალსზემოურ კილოში გამოიყენება სუფიქსები: -**წლ**, -**წლ**, -**იელ** (**იელ**), -**გრ** (**გლ**), - **ურ** (**ულ**), -**რ**. სხვა კილოებში ამ სუფიქსებს მოეპოვება სხვადასხვაგვარი ფონეტიკური ვარიანტები, მაგრამ ფორმანტები ძირითადად ერთი და იგივეა. ფორმანტები ორ ძირითად სახეზე დაიყვანება: -**წლ** (-**წლ**, -**იელ**, **იელ**) და -**გრ** (**გლ**, - **ურ**, **ულ**, -**რ**) [შარაძენიძე, 1964: 194; ჭუმბურიძე, 2007:182].

ძველ ქართულთან პარალელის თვალსაზრისით საინტერესოდ მიგვაჩნია მსგავსება – განსხვავების აღნუსხვა ზმნაში, სერიების მიხედვით სვანურსა და ძველ ქართულში პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის გამოხატვის თვალსაზრისითაც. როგორც ცნობილია, ძველ ქართულში პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა გამოიხატებოდა მხოლოდ მაშინ, თუკი ის იდგა ნარიან მრავლობითში და სახელობით ბრუნვაში, ე. ი. მეორე და მესამე სერიის გარდამავალ ზმნებთან: მაგ. **დავკაშ კარი /დავშკ-ენ კარ-ნ-ი; დახატა სურათი / დახატ-ნ-ა სურათ-ნ-ი...**

სვანურ ზმნაში კი პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა გამოხატულია სამივე სერიაში იმის მიუხედავად, თუ რომელ ბრუნვაში დგას ობიექტი სახელობითში თუ მიცემითში. ზ. ჭუმბურიძის მიერ ეს მოვლენა ინოვაციად არის შეფასებული: ობიექტის მრავლობითი რიცხვის გამოხატვით სვანური, ერთი მხრივ, ძველი ქართულის ვითარებას მოგვაგონებს, მაგრამ, მეორე მხრივ, საგრძნობლად განსხვავდება მისგან. ეს განსხვავება, ჩვენი აზრით, მეორეულია, ინოვაციაა სვანურში, სადაც ობიექტის მრავლობითობის გამოხატვის პროცესი ბოლომდე იქნა მიყვანილი და ყველა სერიაზე გავრცელდა, ქართულში კი მოშლის გზაზე დადგა და ახალ ქართულში მთლიანად გაქრა კიდევ [ჭუმბურიძე, 2007:182]

ძველი ქართულის მსგავსადვე პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის სუფიქსი სვანურში ზმნას შეიძლება კონვერსიულ ფორმაში - ვნებით გვარში გადაჰყვეს, რის შედეგადაც ვლელულობთ ორმაგად გამოხატულ მრავლობით რიცხვს ვნებითის სუბიექტური პირისას: მაგ. **წნტჷარწლწნხ** „აინთენ“, **წნგრდწლწნხ** „გაიზარდენ“...

სვანური ლექსიკონის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: მასდარის ნაწილი არჩევს მოქმედების ჯერობას, მაგრამ თარგმანი (მაგ. **ლიწგრე-ლიწგრწლი** „გამოწურვა,

გამოცლა“ ვერ ასახავს ამ ფორმებს შორის არსებულ შინაარსობრივ სხვაობას, რადგან ლინწგრე მოქმედების ერთგზისობაზე მიუთითებს, ლინწგრალი – მრავალგზისობაზე. ამათგან მრავალგზისებს შეიძლება გრამატიკული დახასიათება მიეცეთ [ქალდანი, 2000:905] სვანურ ლექსიკონში იმთავითვე ივარაუდებოდა ზმნაში, მსადარსა და მიმღეობაში მრავალგზისობის კატეგორიისა და ობიექტის სიმრავლის აღნიშვნა, თუმცა ამის განხორციელება საკმაოდ რთული არმოჩნდა პრაქტიკულ ლექსიკოლოგიურ საქმიანობაში.

შევნიშნეთ, რომ სვანურში მასდარში მრავლობითობის გამოხატვისას, საინტერესოა, რომ, ხდება ფორმათა ერგვარი უნიფიკაცია. დაკვირვებამ გვიჩვენა რომ კონფიქსური ლი-ი ლი-ე და ოდენ პრეფიქსული ლი- წარმოების მასდარები ერთიანად გადადიან წარმოების ლი-ი ყალიბზე:

ლი-ე > ლი-ი:

ლი-ნყ-ე	ლი-ნყ-წლ-ი	„გამოცხოზა“
ლი-ხერხ-ე	ლი-ხერხ-წლ-ი	„ხერხვა, ჭრა“
ლი-სგურ-ე	ლი-სგურ-წლ-ი	„დაჯენა, დასმა“
ლი-კენ-ე	ლი-კენ-წლ-ი	„შეკონვა“
ლი-ტურ-ე	ლი-ტურ-წლ-ი	„ანთება“
ლი-კჩ-ე	ლი-კჩ-წლ-ი	„აღმართვა“

ლი-ი > ლი-ი:

ლი-რდ-ი	ლი-რდ-წლ-ი	„გაზრდა“
ლი-შხბ-ი	ლი-შხბ-ღელ-ი	„კერვა“
ლი-რმ-ი	ლი-რმ-წლ-ი	„ჭერა, დაჭერა“
ლი-ძცენ-ი	ლი-ძცენ-წლ-ი	„დაკვლა“
ლი-ხტაჟ-ი	ლი-ხტაჟ-წლ-ი	„დახატვა“
ლი-დ-ი	ლი-დ-წლ-ი	„დადება“

ნულსუფიქსიანი საწყისები:

ლი – 0 > ლი – გრ–ე:

ლი-დეგ	ლი-დგ-გრ-ე	„ჩაქრობა“
ლი-ბეჭკჭ	ლი-ბჭკ-ჭრ-ე	„გაპობა“
ლი-ხეპ	ლი-ხპ-გრ-ე	„სკდომა“...

შევნიშნავთ, რომ მასდარებსა და შესაბამის ზმნურ ფორმებშიც მრავალგზისობის - ჯლ // -ჯლ (ასევე კაუზატივის -უნ) სუფიქსთა პირველადი ფუნქცია ყოველთვის მკაფიოდ არ ჩანს. მაგ.: ლიბულქოჭ-ჯლ „კარტის თამაში“, ლიჭდიერ-ჯლ „ყოყოჩობა, დიდგულობა, უდიერობა, ნებივრობა“ ლითხუმჯლ „თავკერძობა, მიკერძობა საკუთარი თავისადმი“...

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მოქმედების მრავალგზისობის გამომხატველი და ობიექტის სიმრავლის ამსახველი მასდარები, რომელთა სპეციფიკის გადმოცემა ქართულად უბრალოდ შეუძლებელია, -ჯლ აფიქსით ერთმანეთის მსგავსია, მაგრამ აღნაგობით - განსხვავებული; ემპირიულ მასალაზე ჩვენი დაკვირვების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ

სტრუქტურა ლი_ჯლ-0 ექნებათ მრავალგზის ფორმებს;

სტრუქტურა ლი_ჯლ-ი კი ობიექტის სიმრავლის გამომხატველ მასდარებს:

ლი-ზ-ი > ლი-ზელ-ჯლ „სვლა ერთხელ“ > „სიარული მრავალგზის“...

ლი-რდ-ი > ლი-რდ-ჯლ-ი „გაზრდა ერთისა და გაზრდა ბევრისა“...

§ 15. გეზის გამოხატვა სვანურ მასდარში

ზმნისწინით ქართულ ზმნაში გამოიხატება ორი ძირითადი კატეგორია: გეზი და ორიენტაცია, ზმნურ ფორმებში განსხვავებული მაწარმოებლები აქვთ. შესაბამისად, მათი ფუნქციებიც განსხვავებულია. [თ. უთურგაიძე, 2002:59]. ზმნისწინის ხმარების თვალსაზრისით ზმნები სამგვარია: 1. ზმნის ფორმები, რომელნიც ზმნისწინს არ დაირთავენ: უყვარს, სძინავს, შია... 2. ზმნები, რომელთაც მოეპოვებათ ისეთი წყვილ-წყვილი ფორმა, რომელნიც ერთმანეთისაგან გარეგნულად მხოლოდ ზმნისწინის დართვა-დაურთველობით განსხვავდებიან, ასეთი ზმნების რიცხვი ენაში დიდია: ხატავს და დახატავს, აკეთებს და გააკეთებს... 3. ზმნისწინიანი ფორმები, რომელთაც უზმნისწინო პარალელური ფორმები არ გააჩნიათ: წავიდა, მიფრინდა, გაგორდა, გაბრაზდა... ზმნისწინთა ფუნქციები სხვადასხვაგვარია: 1. აღნიშნოს მოქმედების გეზი. 2. ორიენტაცია. 3. გამოხატოს მოქმედების დასრულება. 4. აწარმოოს ახალი ზმნა. ზმნისწინი იგივეა ზმნისათვის, რაც თანდებული სახელისათვის. ერთიც და მეორეც დამოუკიდებელი სიტყვა იყო ერთ დროს, მაგრამ დამოუკიდებლობა დაკარგეს და შეეზარდნენ სახელსა და ზმნას.

ასპექტი: განსხვავებას უსრულსა და სრულ ასპექტს შორის ახალ ქართულში ზმნისწინი ქმნის. უზმნისწინო ფორმა საზოგადოდ უსრულია, ზმნისწინიანი სრული. უსრულს არანაირი მაწარმოებელი არ გააჩნია. ამ კუთხით განსაკუთრებით საინტერესოა საკითხის ისტორიული ჭრილში განხილვა: კერძოდ, ძველ ქართულში ვითარება იყო სრულიად სხვაგვარი; ამა თუ იმ ასპექტის ფორმა ზმნისწინიანიც შეიძლებოდა ყოფილიყო და უზმნისწინოც. ამის გადმონაშთი თანამედროვე ქართულშიც გვაქვს, ასეთებია: **თქვა**, **უთხრა**, **ბრძანა** და ა. შ. ორიენტაციას ხშირად ემთხვევა ასპექტი, რადგანაც ორიენტაციის ერთადერთი საშუალება იგივეა, რაც სრული ასპექტის მაწარმოებელი მორფემა, ე. ი. ზმნისწინი. თუ ზმნა ზმნისწინს არ დაირთავს, მას არც ორიენტაციის გამოხატვა შეუძლია და არც ასპექტის. უსრული ასპექტი რამდენადმე უახლოვდება მრავალგზისობას. გამოიყოფა კიდევ უასპექტო ზმნები, ასეთებია ის

ზმნები, რომლებიც ზმნისწინს საერთოდ არ დაირთავენ. ა) რიგი გარდაუვალი ზმნებისა: არის, უყვარს... ბ) სტატიკური ვნებითის ფორმები: წერია, ყრია, ახატია, აფენია...

სვანურ მასდარში გეზი ჟი-, ჩუ-, სგა-, ქა- ზმნისწინებით გამოიხატება, მაგ. **ჟი ღრზი** „ასვლა“, **ჩუ ღრზი** „ჩასვლა“, **სგა ღრზი** „შესვლა“, **ქა ღრზი** „გასვლა“ და ა.შ. მიმართული გეზის ამგვარ ფორმებს უზმნისწინო მიუმართავი უპირისპირდება: **ღრზი** „წასვლა“.

ზმნური კატეგორიებიდან სვანურ მასდარს გვარის, ჯერობის ანუ მრავალგზისობის, კაუზატივისა და გეზის მიხედვით საპირისპირო ფორმები ეძებნება. ასპექტის წარმომქმნელი ზმნისწინები (**ლა-**, **ან-**, **ად-**, **ეს-**) მასდარში არ დასტურდება. შესაბამისად, ასპექტის მიხედვით ოპოზიცია მისთვის, ქართულისგან განსხვავებით, ამიტომ უცხოა. **ჟი-, ჩუ-, სგა-, ქა-** ზმნისწინთა დართვა-დაურთველობა ასპექტურ ოპოზიციას არ წარმოქმნის, რამდენადაც ისეთი ფორმები, როგორც არის: **ლისყი /ჟი ლისყი** „კეთება“, **ლიშხი / ჩუ ლიშხი** „წვა“, **ღრზი / სგა ღრზი, ქა ღრზი** „სვლა“... ასპექტის მიხედვით არ განსხვავდებიან ერთმანეთისგანც, რაც კარგად ჩანს ჩვენ მიერ საილუსტრაციოდ მოძიებული მაგალითებიდან:

ლი-გნწლ ბზ., ლი-გნწლ ბქ., ლი-გნწლ ლშხ. - ადგომა, დგომა. **ზურაბს ჟი ლიგნწლ ჩუ ხწმეღდა** [ბზ., სვან.ლექსიკ., 2000:428]- ზურაბს ადგომა შეუძლია.

ლი-გღებ-ი ზს. ლშხ. - გაგება, შეტყობა, მიხვედრა. **გაღწბ** - ყურადღება, მიხვედრა, გამოცდილება... **ალას ჟი ლიგღები ხაკუ** [ბზ., სვან.ლექსიკ., 2000:429]- ამას გაგება უნდა.

ლი-ჩჭრბ-ე ბზ., **ლი-ჩუბ-ე** ბქ., ჩაგვრა, დამცირება, დაქვეითება. **მწრეს ჩიმი ლიჩჭრბე მწმ ხესგუჭ** [ბზ., სვან.ლექსიკ., 2000:471] - კაცს ყველას ჩაგვრა არ შვენის.

ლი-ბწრგ-ე ბზ., **ლიბარგ-ე** ბქ. - გადაბარგება, გამგზავრება, აბარგება. **სურუ ხეკუჭად ეჩა ქა ლიბარგე** [ბზ., სვან.ლექსიკ., 2000:425]- ძალიან უნდოდა მისი გადაბარგება.

ლი-ტბიდ-ე - გათბობა. **სემშდწრდ ლგჯე ჟი ლიტბიდე მგქაფ ჟი ანფჭწნე** [ბზ., სვან.ლექსიკ., 2000:448] - სემშდარმა რძე გათბობის მაგივრად აადღუდა.

ლი-შყედ - გახსენება. **მიჩა დრეჭუჟი ჟი ლიშყედ ხაკუ გჭწშუ** [ბქ., სვან.ლექსიკ., 2000:466] - საქმეს თავის დროზე უნდა გახსენება.

ლი-ზაზ ზს., - მიგებება. მექვერწლას ქა ლიზაზ ხაკუ [ინფ. რ. პირველი, 75 წლის, აჯარა] - მექორწილებს მიგებება უნდათ.

ლი-ფთ-ი - ჩეჩვა მატყლის. მატყს ჩუ ლიფთი ხაკუ ლწფთირშუ [ზზ., სვან.ლექსიკ., 2000:451] - მატყლს საჩეჩელით გაჩეჩვა უნდა.

ლი-ი - წაღება, წაყვანა, გატანა. დტუმდი ლადალ ქორხანქა ტგტი ლიი ხოლა ლი [ზზ., სვან.ლექსიკ., 2000:436] - ორშაბათ დღეს სახლიდან ნაცრის გატანა არ ვარგა.

ლი-გნალ ზზ., ლი-გნალ ბქ., ლი-გნალ ლშზ. - ადგომა, დგომა. ზურაბს ჟი ლიგნალ ჩუ ხმმედა [ზზ., სვან.ლექსიკ., 2000:428]- ზურაბს ადგომა შეუძლია.

ლი-რკალ ზზ., ლი-რკალ ბქ., ლი-რტალ ლშზ. - გათენება. ხტიგნალდ ჩუ ლირკალდ [ზზ., სვან.ლექსიკ., 2000:447] - ვდგებით დილაუთენია, გათენებამდე.

ლი-ჟუმ-ე ზს., ლი-ჟომ-ე ლნტ. - შეშლა, მოშლა, დაშლა, გაფუჭება, არევა. ლგდაწყა გტაშუ ჟი ლიჟუმე მმ ხაკუ [ზზ., სვან.ლექსიკ., 2000:442]

- აწყობილ საქმეს არევა არ უნდა.

ლი-შხმ-ე ზს., - მოწამვლა, ჩაშხამება. ხოჩემ ლიჩტემს ქა ლიშხმე მმ ხაკუ [ზზ., სვან.ლექსიკ., 2000:467] - კარგის ქმნას ჩაშხამება არ უნდა.

ლი-თნ-ე ზს. - გაჩენა, დაბადება. ჩიქი მადე ხაკტუნა გეზლშ მმმედაშ ქა ლითენე [ბქ., სვან.ლექსიკ., 2000:434] - ჯერ არ ნდომია შვილის შესაძლებლობის გამოჩენა.

ლი-წნ-ე - მორევა.ჯობნა. მეზტებლარს იმედ ხარხ ჟი ლიწნემიშ [ლშზ., სვან.ლექსიკ., 2000:480] - მეზობლებს იმედი აქვთ მორევის.

ლი-ფტურ-ე - გამოფიტვა, გამოლენჩება. ჩილად ლიმშდტუმს ქა ლიფტურე ხოხა [ინფ. მ. ფილფანი, 97 წლის, მესტია] - ყოველთვის სიმთვრალემ გამოფიტვა იცის.

ლი-სელტ-ე - რჩენა, მოსულიერება. წინწლიდიშ ჟი ლისელტე ძღღდ ამხრდა [ზზ., სვან.ლექსიკ., 2000:448]- წიწილას მოსულიერება ძალიან გამიხარდა.

ლი-ქჩ-ი ზს., ლშზ., ლი-ქჩჩ-ი ლნტ. - ჭრა, კაფვა. სიმინდი ლიქჩი ჩიქდ ლობიო ჟილეკედ ლი [ბქ., სვან.ლექსიკ., 2000:454] - სიმინდის კაფვამდე საჭირო იყო ლობიოს ამოღება.

ლი-ჯერ ზს., ლშზ., ცვეთა. ჩუ ლიჯერ ჩუ ლიმხეს ესერ იჭრი (ანდ.) [სვან.ლექსიკ., 2000:486]- გაცვეთა გაახლებას თხოულობსო.

ლი-ტბ-ე - დაბრუნება. **ზურნლს მწმ ხეკუწდ ამრ ქა ლიტხე** [ზზ., სვან.ლექსიკ., 2000:447] - ქალს არ უნდოდა ამის დაბრუნება.

ლი-ტბიდ-ე - გათბობა. **სემშდწრდ ლგჯე ჟი ლიტბიდჷ** მგქაფ ჟი ანფუწნე [ზზ., სვან.ლექსიკ., 2000:448] - სემშდარმა რძე გათბობის მაგივრად აადულა.

საინტერესოა რ. ჭკადუას დაკვირვება ოდენ სუფიქსური წარმოების მასდარებში მარტივ ზმნისწინთა დართვით სრული ასპექტის წარმოებასთან დაკავშირებით: გარდა სპეციფიკური გამონათქვამებისა -ა სუფიქსიანი მასდარები გვხვდება ჩვეულებრივ მეტყველებაში სხვადასხვა ბრუნვის ფორმით. შეიძლება დაერთოს ჩუ- და ქა- ზმნისწინები, ოღონდ არა მიმართულების, არამედ ასპექტის აღნიშვნის ფუნქციით. მაგ.: ისგე ჩუ თეფა-ს მაგ მიცხა [ზქ., სვან.ლექსიკ., 2000:448] „თქვენს დაკარგვას ყველაფერი მირჩევნია“.

ქა ბერა ისგა ქემა-დ ხესპი უ [ზქ., სვან.ლექსიკ.,2000:779] „დაკლება მატებად ექცეოდა“.

ეჯდწრე ქა ლერა სურუ მეკვად (ზქ.) „იმათი მოშორება ძალიან მინდოდა“.

ეჯი უოჯახი კონჩხი ქუტეცა ირი (ლშხ.) „ეს ოჯახის კისრის მოჭრა იქნება“.

ეჩა ქუტინ სედა / სწდა გუნ მწხდად [ზზ., სვან.ლექსიკ., 2000: 705] „იმის სული [შე]რჩენია (გადარჩენა) ძალიან მიხარია“.

ხწტი კუწმა მწდ შიდ [ზზ., სვან.ლექსიკ., 2000: 352] „ხატის (ფიცის) გატეხა არ შეიძლება“.

ეჯდწრ დჷს ხამურჯიხ ჩიქე ფხეჟა-ს [ზზ., სვან.ლექსიკ., 2000: 772] „ისინი ჯერ არ აპირებენ დაშლას“.

ერთი ნაწილი -ა სუფიქსიანი საწყისებისა, თავისებურებას ამჟღავნებს **ლიგნე** „[და]დგომა, [და]ყენება“ ზმნასთან კომბინაციაში. ამ ზმნას ძირითადი მნიშვნელობის გარდა, გარდაქცევითობის სემანტიკაც აქვსდა ასეთ შემთხვევაში მასთან დაკავშირებულ სახელს ვითარებით ბრუნვაში მოითხოვს. მაგ.: **კოჯ-დ ლიგნე** „კლდედ ქცევა, დაყენება“; **ბიფხდ ლიგნე** „ცვარ-ნამად ქცევა, დაყენება“ გადატანითი მნიშვნელობით - საქმის მოგვარება; **ძაფანა-დ ლიგნე** „წიწაკად ქცევა, გაწითლება“ და სხვ.

ლიგნე ზმნასთან -ა სუფიქსიანი მასდარებიც ვითარებითი ბრუნვის ფორმით გვაქვს, მხოლოდ ძირისეული -ე-ს უმლაუტით რედუცირებული -ა-ს წინ. ე.ი. უკანა მიმართულების უმლაუტით. მაგ.; დღელ-ა -> დღალ-დ „ გლეჯა, გლეჯა-დ“; ცელ-ა - ცალ-და „ხევა, ხევა-დ“; ბეჭკუ- > ბჭკუ-დ „სკდომა, სკდომა-დ“ ტყეც-ა -> ტყც-დ „რღვევა, რღვევა-დ“ და სხვ. უკანა მიმართულების უმლაუტი სვანურში საფუძვლიანად არის შესწავლილი მ. ქალდანი მიერ.

-ა ბოლოსართიანი მასდარები სვანურში ლიგნე „დაყენება, გაცილება“ ზმნის ფორმებთან ერთად აღწერითად გამოხატავს მოქმედებას, რომელიც ორგანული წარმოებითაც გადმოიცემა. მაგ.:

ბჭკუ-დ უვ ალგენელხი / ბიჭკუე „გამსკდარიყავი მცა“ / ხეთქავს“.

ტყც-დ ადგენე / ტყიცი „გაარღვია, არღვევს“.

ცქფ-დ აზნე / ცქიფე „ხეთქად იქცევა, ხეთქს“.

ცალ-დ ადგენე / ჩუაცილ „ხევა-დ აქცია, გახია“.

ხაპ-დ ადგენისგ / ჩუაპე „სკდომად [გადა]აქცევს, გახეთქვას“.

ჟღაპ-დ აზნე / ჟღიპე „ჰყლეტად აქცევს, ჰყლეტს“ და სხვ.

ჩვენ ვიზიარებთ რ. ჭკადუას მოსაზრებას მარტივი ზმნისწინების დართვით მასდარებში არა მიმართულების, არამედ სრული ასპექტის გამოხატვასთან დაკავშირებით, მაგრამ რამდენადაც ეს არა არის სისტემური ხასიათისა, არ ვრცელდება სხვა ტიპის მასდარებზე, ბუნებრივია, ძალაში რჩება თეზა, რომ ქართულისაგან განსხვავებით სვანურ მასდარში ზმნისწინს აქვს მხოლოდ გეზის გამოხატვის ფუნქცია და არა სრული ასპექტის წარმოებისა.

მით უფრო რომ -ა სუფიქსიანი მასდარი სვანურში სულ რამდენიმე ერთეულით იფარგლება მხოლოდ. ამასთან დასახელებულ მაგალითებში ზმნისწინიანი და უზმნისწინო მასდარები თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანერთს.

§ 16. ზოგი უმასდარო ზმნა სვანურში

არის ჯგუფი ზმნებისა, რომელთაც აქვთ პირიანი ფორმები, მაგრამ არ ეწარმოებათ მასდარი. მსგავსად ძველი ქართულისა, ეს სტატიკური ზმნებია ძირითადად.

სვანური უმასდარო ზმნებია: ხოზი „დაშორებულია, მანძილია... შორავს“, ხესმი „ესმის“, ყელე „ამბობს“, ყელეხ „ამბობენ“, ითხი „მოიპოვება“, წუა „მოიპოვება, გავრცელებულია“, პნჭინ „მოელის, ფიქრობს“, ხაბუა „1.თვლის, ჰგონია; 2.მადლიერია; ხაკუ „უნდა“ , ხოჭირ „უჭირს“, ხაჯემ 1. ჰგავს; 2. ღირს; ხანწამ „სწამს“, ხოწიუხ „მოუწევთ, უწევთ“, ხაზუბ „აღმოცენებულია, ამოდის წყარო“, ხათხამ „შურს, ეხარბება“, ხათემ „სჭირს“, ხაკლი „აკლია“, ხეყრენი „ემართება“, ხაყა „ვარგა, ჰყავს“, ხაჩა „იცინის, ელიმება“, ხობიც „ძალძს, შეუძლია“, ხოკუბ „უფრთხის, ერიდება“, ხომგურ „სრცხვენია“ შგუირ ჯან „სუნი აუდის“, მწრ „მაქვს“, ჯწრ „გაქვს“, ხწრ „აქვს“, გაქვს, აქვს“, მირი „მყავს“, ჯირი „გყავს“, ხორი „ჰყავს“ (ითქმის მხოლოდ სულიერზე) შდრ. ძვ. ქართ. მივის–გივის–უვის... ამავე ჯგუფში განვიხილავთ ხწწუნნი და ხწწდუნნი ფორმებსაც, გარკვეული მოსაზრებით, რის დასაბუთებასაც აქვე შემოგთავაზებთ; სალიტერატურო ქართულს ანალოგიური ზმნები ზუსტი შესატყვისი სტრუქტურითა და სემანტიკით არ გააჩნია: ხწწდუნნი „ენატრება, ა. შანიძის უზუსტესი თარგმანით „ნახვის ნატვრა“, ხწწუნნი ანალოგიურად შეიძლება ვთარგმნოთ, როგორც „წასვლა უნდა, წასვლის ნატვრა“.

მსგავსად ძველი ქართულისა ზემორე განხილულ ფორმებს უმასდარო ზმნათა სახით განვიხილავთ, რამდენადაც თეორიულად მოსალოდნელი იყო, მაგრამ არც თანამედროვე სვანურ მეტყველებაში, და არც ლექსიკონებში არ გვაქვს შემდეგი მასდარული ფორმები:

*ლიზნე < ხოზი „დაშორებულია, მანძილია... შორავს“

*ლისემ < ხესმი „ესმის“

*ლიყლე < ყელე „ამბობს“, ყელეხ „ამბობენ“

*ლითხი < ითხი „მოიპოვება“

*ლიწუე < წუა „მოიპოვება, გავრცელებულია“

*ლითიმ < ხათემ „სჭირს“

*ლინჭირ< წნჭინ „მოელის, ფიქრობს“

*ლიბაჟ < ხაბჟა „1.თვლის, ჰგონია; 2.მადლიერია;

*ლიკუედ < ხაკუ „უნდა“

*ლიჯონე < ხაჯემ 1. ჰგავს; 2. ღირს

*ლიჭირ< ხოჭირ „უჭირს“

*ლიკუბ < ხოკუბ „ უფროთხის, ერიდება“

*ლიჩუნე /*ლიჩე < ხაჩა „იცინის, ელიმება“

*ლიზუბ < ხაზუბ „აღმოცენებულია, ამოდის წყარო“...

ძველ ქართულში აწმყოში გვაქვს პირიანი ზმნები სთნავს, შორავს, შიშავს, სძინავს, ბრძავს, რომელთაც მასდარული ფორმები არ მოეპოვებათ. (არ გვაქვს *თნავად, *შორავად, *შიშავად, *ძინავად, *ბრძავად...)

ძველ ქართულში უმასდარო ზმნებია აგრეთვე: იცის, უწყის, ელის, ჰლამის, დის, ქრის, ეგების, ძრწის (არ გვაქვს *ძრწავად) მინებს, მინა, ჰყავს, ჰლვიძავს, წევს, დგას, ჩანს, აკლს, გუაღე, უფლიეს, ჰნთიედ, სწერიეს, მატს, წითს, არტყს, ჰრწამს, ღირს, სჭირს, ჰშურს, ვარდების, ცვივიან, უწყესს, წოდს, უძღუს, ებნის, ეჟვნის, ყარს, ელმის, ალმვის (არ გვაქვს *ალმვად) და სხვ. [ცხადაძე, 1984: 194].

სწორედ უმასდარო ზმნების ანალიზის საფუძველზე საინტერესოდ მივიჩნიეთ ავტორის მსჯელობა, რასაც ჩვენს შემთხვევაში სვანურის მონაცემებმაც უმასდარო ზმნათა სიმრავლით მხარი დაუჭირა: ეჭვგარეშეა, რომ მასდარი და მიმღობა აწმყოსთან შედარებით ახალი წარმონაქმნია, რის საფუძველზედაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართული ენის ადრინდელ საფეხურზე გვექონდა მხოლოდ აწმყო (ზმნის პირიანი ფორმები); ხოლო ენის განვითარების მოგვიანო საფეხურზე გაჩნდა მასდარისა და მიმღობის ფორმები. როგორც ჩანს, ენის ისტორიის თვალსაზრისით, მასდარისა და მიმღობის ფორმები ინოვაციად (ენობრივ სიახლედ) უნდა იქნას კვალიფიცირებული [ცხადაძე, 1984: 195].

სვანურის მონაცემებზე (უმასდარო ზმნათა ფორმებზე) დაყრდნობით ჩვენ ვიზიარებთ ბ. ცხადაძის ამ მოსაზრებას.

მასდარის **ზმნური კატეგორიების** ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ:

სახელური კატეგორიების გამოხატვის თვალსაზრისით სვანური მასდარი სრულად იმეორებს ქართულის ვითარებას, ზმნური კატეგორიების მიხედვით კი მნიშვნელოვნად განსხვავდება - **გვარის, მრავალგზისობის, ობიექტის მრავლობითობის** ასახვით.

ზოგი მასდარული ფორმის წარმოება განსხვავდება ამოსავალი **ზმნის გვარის** მიხედვით: ისტორიულ ჭრილში სხვა ვითარება ივარაუდება, მაგრამ სინქრონულ დონეზე უაღრესად საინტერესოა, რომ **სვანურ მასდარში ქართულთან მიმართებით მკვეთრად, თვალსაჩინოდ არის გარჩეული გვარის კატეგორია**: მოქმედებითი და ვნებითი, აქტიური და პასიური შინაარსი **გადმოცემულია მასდართა პარალელური ფორმებით**: ლიტებ - ლიტხე „დაბრუნება“ ლიხეკ-ლიხპე „სკდომა“... (ძირითადად, ფუძედრეკად ზმნათა მასდარებში...) სათანადო ფორმების არარსებობის გამო ქართული თარგმანი ვერ ასახავს გვარის მიხედვით დაპირისპირებულ ამ მასდარულ ფორმებს სვანურისას (შდრ. ძვ. ქართ. დევნის-დევნაი, მაგრამ იდევნების - იდევნებაი. პოვებს-პოვნაი, მაგრამ იპოვების- პოვებაი).

სხვა ქართველურ ენებთან მიმართებით, ასევე უდაოდ საინტერესოა, რომ სვანურ მასდარში გარჩეულია **მრავალგზისობის კატეგორია**: მრავალგზისობა გამოხატულია მრავალფუნქციური **-ჭლ და -ჭრ** სუფიქსებით.

სალიტერატურო ქართულის მსგავსად სვანურ მასდარში გარჩეულია **კაუზატივის კატეგორია** -უნ აფიქსით; თითქმის გამონაკლისის გარეშე სტრუქტურულად ამ ტიპის მასდარები პრეფიქს-სუფიქსური წარმოებისაა: **ლიმდჭბ > ლიმდბ-უნ-ე/ლიმდბ-უნჭტნ-ე** „მუშაობა“ მუშაობ-ინ-ებ-ა“...

ძველი ქართული ენის მსგავსად და თანამედროვე სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით სვანურ მასდარში ასახულია **ობიექტის მრავლობითობა**:

ლინყე / ლინყ-ჭლ-ი „გამოცხოვა ერთის / გამოცხოვა ბევრის“...

ლიდეგ / ლიდგ-ჭრ-ე „ჩაქრობა ერთის / ჩაქრობა ბევრის“...

(შდრ. ძვ. ქართ. **კარი დავკაშ / კარ-ნ-ი დავშკ-ენ...**)

მოქმედების მრავალგზისობის გამომხატველი და ობიექტის სიმრავლის ამსახველი მასდარები, რომელთა სპეციფიკის გადმოცემა ქართულად უბრალოდ შეუძლებელია, -**წლ** აფიქსით ერთმანეთის მსგავსია, მაგრამ აღნაგობით - განსხვავებული, სტრუქტურა: **ლი_წლ-0** ექნებათ მრავალგზის ფორმებს, სტრუქტურა **ლი_წლ-ი** კი ობიექტის სიმრავლის გამომხატველ მასდარებს:

ლირდი > **ლი-რდ-წლ-ი** „გაზრდა ერთისა და გაზრდა ბევრისა“

ლი-ზ-ი > **ლი-ზელ-წლ** „სვლა ერთხელ“ > „სიარული მრავალგზის“...

სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით სვანურ მასდარში არ გვაქვს საპირისპირო ფორმები ასპექტის მიხედვით, რამდენადაც **ან-**, **ად-**, **ეს-**, **ლა-** სრული ასპექტის წარმომქმნელი ზმნიწინები მასდარში არ გვხვდება.

მიმართული გეზის გამოსახატავად სვანურ მასდარში გამოიყენება მარტივი ზმნისწინები: **ჟი-**, **ჩუ-**, **სგა-**, **ქა-**. შესაბამისად, გვაქვს გეზი მიმართული და გეზი მიუმართავი, მაგრამ არ გვაქვს ოპოზიცია ასპექტის მიხედვით.

თავი III მასდარის სახელური კატეგორიები

§ 17. მასდარის ბრუნება სვანურში

სვანური ენის არქაულობისა და სირთულის შესახებ არაერთხელ მიუთითებიათ ქართველ თუ უცხოელ მკვლევართ. იმდენად რთულია სვანური ბრუნება, რომ ამ ენის მეცნიერული შესწავლის ერთ-ერთი ფუძემდებელი აკადემიკოსი აკაკი შანიძე იძულებული გახდა, ელიარებინა: „**ძნელია, ნათლად გაერკვეს კაცი იმ არეულ-დარეულ ფორმებში, რომელთაც იძლევა სვანური ბრუნება დღეს**“ [შანიძე, 1981:62] და ეს ითქვა ჯერ კიდევ 1924 წელს ფუნდამენტურ ნაშრომში „უმლაუტი სვანურში“, რომელშიც შეიძლება ითქვას, პირდაპირ ენათმეცნიერულად სანიმუშოდ არის ახსნილი უმლაუტი და კლასიკური ფორმულებია წარმოდგენილი საუმლაუტო პოზიციებისა...

სვანურის სირთულე კი უკავშირდება როგორც თავად სისტემას, ისე ბრუნვის ნიშანთა მრავალფეროვნებას: ერგატიული კონსტრუქცია, ფორმანტა და ალომორფთა განაწილება, ერგატივზე დაფუძნებული ორფუძიანობა, შესაბამისად, ბრუნებათა ტიპების მრავალფეროვნება... ქმნის საფუძველს სვანური ბრუნების სირთულისა; საკითხი უკვლევიანთ ნ. მარს, ა. შანიძეს, ვ. თოფურიას, ს. ჯანაშიას, თ. შარაძენიძეს, ალ. ონიანს, ი. ჩანტლაძეს... გამოყოფილია ბრუნების სხვადასხვა ტიპი – სხვადასხვა მკვლევართან რაოდენობრივად ორიდან ხუთამდე მონაცვლეობით.

ზ. ჭუმბურიძის შეფასებით სახელთა ბრუნება სვანურში მორფოლოგიური სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ურთულესი უბანია, რომელიც დიდი ხანია საგნგებო კვლევის ობიექტს წარმოადგენს; ბრუნვათაგან სვანურში მოთხრობითი განსაკუთრებით გამოირჩევა გამოირჩევა ალომორფთა სიმრავლით და მათი განაწილების წესების სირთულით [ჭუმბურიძე, 2007:81, 92].

ვიდრე უშუალოდ მასდართა ბრუნებაზე გადავიდოდეთ, სვანური ბრუნების სირთულის წარმოსაჩენად რამდენიმე ასპექტზე გავამახვილებთ ყურადღებას: არა სისტემებრ მაგრამ ცალკეულ სახელებთან დასტურდება შემთხვევები, როდესაც ერგატივს ახასიათებს როგორც ოდენ საკუთრივ მოთხრობითი ბრუნვის ფორმანტებით (-დ, -ემ) წარმოება, ასევე ორ- (-ემ, -ნ-ემ, -ა-დ) და სამფუძიანობაც კი (-ემ-ნ-ემ, -ემ-ნ-ემ-

დ). ერთეულების სახით, შესაძლოა, შეგვხვდეს **მუხტბე-მ-ნ-ემ** („მამ“) , **მარე-მ-ნ-ემ** („კაცმა“) ტიპის მაგალითები: ასევე სტრუქტურული თვალსაზრისით და ინტერფერენციულობის ასპექტითაც ისეთი საინტერესო ფორმები, როგორცაა **ერდტამ** (შდრ. **ერდტამდ**) „ვინც“ („ვინცმა“), **ერდ-ტა-ლ-ა-შ-ემ** (შდრ. **ერ-ტა-ლ-ე-დ**) „ვიღაცამ“... აღნიშნულ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებით საინტერესოდ გვეჩვენება ი. ჩანტლაძის თვალსაზრისი: ამ ტიპის მასალა სვანური ენის განვითარების ხანგრძლივი ისორიის მანძილზე სხვადასხვა ქრონოლოგიურ სიბრტყეთა ამსახველი უნდა იყოს, რადგანაც იგი წარმოგვიდგება ნაირ-ნაირ პარადიგმატულ სისტემაში შემავალ კომპონენტთა ნაერთად [ჩანტლაძე, 1998:124]. სვანურ პროზაულ ტექსტებში ვხვდებით თავად ერგატივისეულ ორმაგ აფიქსაციას (-ემ-დ), რაც დღეს შედარებით იშვიათია ნაცვალსახელთან და თითქმის უჩვეულოა არსებით სახელთან; სვანურის ეს ცალკეული შემთხვევები შეიძლება არქაულობის გამოვლენადაც ჩაითვალოს, თუმცა ინტერფერენციულობაც დასაშვებია: **ჩი-ემ-დ** „ყველამ“ (შდრ. **ჩი-ემ**): **ლიმზუბჷლ – ადუ, ჩიემდ ჟ'ოხსყედ** (შდრ. **ჩი-ემ**) – „მომბა (სამმო) – კი, ყველამ ჩამოვაცალიბეთ“ („გავაკეთეთ“).

ღერთ-ემ-დ „ღმერთმა“: **ღერთემდ მაქდის, ლიმზირ-ლიცგგჷრჷლ მამ მალტენდედს!** (შდრ. **ღერთ-ემ**) – ღმერთმა მაშოროს, ლოცვა-ვედრება [რომ] არ მიყვარდეს!

როგორც ტენდენცია, შეიძლება შევნიშნოთ, რომ დღეს სვანურ მეტყველებაში ამ შანიძისეული ეპითეტით „**არეულ-დარეული ფორმებიდან**“ ანუ **მრავალფეროვნებიდან ბრუნების I ტიპი ცდილობს გაბატონებას.**

უთუოდ საყურადღებოა გარემოება, რომ, დონიანი ფორმების გაბატონების ტენდენციის მიუხედავად, -ემ ფორმანტი მყარად არის შემორჩენილი იდიომატურ გამოთქმებში: **ღერთ-ემ მაქდის!** –ღმერთმა მაშოროს! **ღერთ-ემ ჯასზრჷინას!** – ღმერთმა გაპატიოს! (შდრ. **ღერბეთ-დ ეჯას ძალა ლახჷემ** – „ღმერთმა იმას ძალა მისცა“), რაც ამ ფრაზეოლოგიზმთა არქაულობაზე მეტყველებს.

სვანური ბრუნებისა და უღლების სპეციფიკათა ხაზგსმის მიზნით კიდევ ერთ გარემოებაზე გავამახვილებთ ყურადღებას: სალიტერატურო ქართულის მსგავსად და

ზანურისგან განსხვავებით, სვანურში გარდამავალი და მედიაოქტიური ზმნები უღლებს II სერიაში ერგატიულ კონსტრუქციას ქმნიან; არის გამონაკლისები: **ხოხა ამსტალდს** „იცის (ძვ. II ხოლმ.) ადამიან-ს“; **ჟ'ანაწცხ ბეფშუ** „გაიღვიძა ბავშვ-ი“. თუმცა ეს შემთხვევები კონკრეტულ ზმნათა სტრუქტურის სპეციფიკით აიხსნება და ასეთი მონაცემები ქართულისას ხშირად მხოლოდ სემანტიკურად შეესაბამებიან; მაგალითად, ხოხა „იცის“ სვანურში სტატიკური ზმნაა და II სერიის ფორმები არ გააჩნია, ამიტომაც პირველ სერიაში სტატიკურთა კვალობაზე დატიურ კონსტრუქციას ქმნის. **ჟ'ანაწცხ** „გაიღვიძა“ სვანურში გარდაუვალია და **იეცხნი** სიტყვასიტყვით „იღვიძებს“ კი არ არის, არამედ „ღვიძდება, ფხიზლდება“.... **გელნი** „იხევა“, **ხეპნი** „სკდება“ ტიპის ზმნათა მსგავსად, ის ვნებითის სტრუქტურისაა მართალია, აწმყოში გამოვლენილი -ნ სუფიქსი მთელ პარადიგმაზე არ ვრცელდება, მაგრამ სპეციალურ ლიტერატურაში იგი კვალიფიცირებულია „ვნებითის გამომხატველ დამატებით მორფემად“ [ონიანი, 1998: 235].

მასდარის ბრუნება სვანურში საკმაოდ საინტერესო სურათს გვიჩვენებს. აქ უპირატესობა ენიჭება ბრუნების ქართველურ ტიპს. ორფუძიანობა ასპარეზს უთმობს ერთფუძიან ბრუნებას, რაც მასდართათვის ბრუნების გაბატონებულ სახეობადაც შეგვიძლია ჩავთვალოთ. სრული სურათის წარმოჩენის მიზნით ბრუნების პარადიგმაში შევეცადეთ ასახულიყო სტრუქტურულად ყველა ტიპის მასდარი - უაფიქსო, პრეფიქსული, თავსართ-ბოლოსართიანი თუ ოდენსუფიქსური წარმოებისა.

უაფიქსო: **შკუტიფ** „ჯოხის დარტყმის ხმა“

პრეფიქსული: **ლი-ჯტესგ** „მიპარვა“

კონფიქსური: **ლი-პრისდ-ე** „მონათლვა“

ოდენსუფიქსური: **ცტწრა** „მიტოვება, ღალატი“, **მწადარ-ობ** „შიმშილობა“

კაუზატიური: **ლი-ჟნ-უნ-ე** „დახვნევიანება“

მრავალგზისი: **ლი-ფრკუჟ-ან-წლ** „გაწვილება“, გახვევა, მარტო დარჩენილის უხერხულად გახედ-გამოხედვა“...

სახ. ლიპრისდე „მონათლვა“	ლიჯრდუნე „დაგრძელება“
მიც. ლიპრისდე-ს	ლიჯრდუნე-ს
მოთხ. ლიპრისდე-დ	ლიჯრდუნე-დ
ნათ. ლიპრისდე-ემ-იშ	ლიჯრდუნე-ემ-იშ
მოქ. ლიპრისდე -შტ	ლიჯრდუნე-შტ
ვით. ლიპრისდე-დ	ლიჯრდუნე-დ

სახ. კუწმა „გატყდომა“	ცუწრა „მიტოვება, ღალატი“
მიც. კუწმა-ს	ცუწრა-ს
მოთხ. კუწმა-დ	ცუწრა-დ
ნათ. კუწმა-წშ	ცუწრა-წშ
მოქ. კუწმა-შტ	ცუწრა-შტ
ვით. კუწმა-დ	ცუწრა-დ

სახ. ლითუწლ „შობა, დაბადება“	ლიფრკუწწლ „გაწბილება, გახევევა“
მიც. ლითუწლ -ს	ლიფრკუწწლ-ს
მოთხ. ლითუწლ -დ	ლიფრკუწწლ-დ
ნათ. ლითუწლ -იშ	ლიფრკუწწლ-იშ
მოქ. ლითუწლ-შტ	ლიფრკუწწლ-შტ
ვით. ლითუწლ-დ	ლიფრკუწწლ-დ

სახ. ლიშდწბ „მუშაობა, შრომა“	ლიცტესგ „მიპარვა“
მიც. ლიშდწბ-ს	ლიცტესგ-ს
მოთხ. ლიშდწბ-დ	ლიცტესგ-დ
ნათ. ლიშდწბ-იშ	ლიცტესგ-იშ
მოქ. ლიშდწბ-შტ	ლიცტესგ-შტ
ვით. ლიშდწბ-დ	ლიცტესგ-დ

სახ. შკუტიფ „ჯოხის დარტყმის ხმა“
მიც. შკუტიფ-ს
მოთხ. შკუტიფ-დ
ნათ. შკუტიფ-იშ
მოქ. შკუტიფ-შუ
ვით. შკუტიფ-დ

სგრტგნ „ქალის უშნო ყვირილი“
სგრტგნ-ს
სგრტგნ-დ
სგრტგნ-იშ
სგრტგნ-შუ
სგრტგნ-დ

სახ. ლიკნუნე „დახვნევეინება“
მიც. ლიკნუნე-ს
მოთხ. ლიკნუნე-დ
ნათ. ლიკნუნე-იშ
მოქ. ლიკნუნე-შუ
ვით. ლიკნუნე-დ

ლიდუწალუნე „გაწელვა“
ლიდუწალუნე-ს
ლიდუწალუნე-დ
ლიდუწალუნე-იშ
ლიდუწალუნე-შუ
ლიდუწალუნე-დ

სახ. ლილხტპარი „მთაში ცხოვრება“
მიც. ლილხტპარი-ს
მოთხ. ლილხტპარი-დ
ნათ. ლილხტპარი-წშ
მოქ. ლილხტპარი-შუ
ვით. ლილხტპარი-დ

ლიმურყტპმი „აკომკება , გაზვიადება“
ლიმურყტპმი-ს
ლიმურყტპმი-დ
ლიმურყტპმი-წშ
ლიმურყტპმი-შუ
ლიმურყტპმი-დ

სახ. მწადარობ „შიმშილობა“
მიც. მწადარობ-ს
მოთხ. მწადარობ-დ
ნათ. მწადარობ-წშ
მოქ. მწადარობ-შუ
ვით. მწადარობ-დ

დბრობ „პურობა“
დბრობ-ს
დბრობ-დ
დბრობ-წშ
დბრობ-შუ
დბრობ-დ

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მასდარი სვანურში იბრუნვის, როგორც შესაბამისი ფუძის არსებითი სახელი. ზემოთ წარმოდგენილი პარადიგმებიდან ნათლად ჩანს, რომ ბრუნვის ნიშანთა სისტემა მასდარის ბრუნების მიხედვით სვანურში, ბალსზემოური კილოს მონაცემების მიხედვით იქნება შემდეგი სახისა:

სახ. -0

მიც. -ს

მოთხ. -დ

ნათ. -იშ / -შშ -ემ-იშ

მოქ. -შჷ

ვით. -დ

სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრებაც, რომ მკვლევართა უმეტესობა მასდარს მხოლოდ სინტაქსური ფუნქციით განიხილავს, ისინი ნაკლებად გილს უთმობენ მასდარს, როგორც მორფოლოგიურ კატეგორიას, არ აანალიზებენ მასდარს მორფოლოგიის თვალსაზრისით, არ აინტერსებთ მასდარის წარმოება, საწარმოებელი აფიქსები და უფრო მეტად სინტაქსურ ფუნქციას აქცევენ ყურადღებას. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ ძველ ქართულში ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარის ფუნქციაზე ყურადღება გაამახვილაა ა. შანიძემ. ძეგლების მიხედვით ირკვევა, რომ ძველ ქართულში ვითარებით ბრუნვაში დასმულ მასდარს შესწევდა უნარი, რომ პირიანი ზმნის მსგავსად, შეწყობოდა პირდაპირი ობიექტი. ასეთი უნარი ვითარებით ბრუნვაში დასმულ მასდარს საშუალი ქართულიდან მოეშალა. ვითარებითში დასმული საწყისი გარდამავალი ზმნისა ევროპული ენების ინფინიტივის ბადალია. იგი პირდაპირ ობიექტს მოითხოვს სახელობით ბრუნვაში ან მიცემითში. ა. შანიძე დასძენს, რომ ვითარებითში დასმული საწყისი გამოხატავს მიზანს: გამოვიდა მთესავი თესვად.

შდრ. : სვანური - უჟ-დ მამ მიგაღ „ძილი არ მეკარება“ ზედმიწ. „ძილ-ად არ მმართვეს“.

სვანური მასდარის სხვადასხვა ბრუნვაში გამოყენების ილუსტრაციები სვანური პროზაული ტექსტებიდან და ჩვენ მიერ ჩაწერილი მასალებიდან:

სახელობითი ბრუნვა:

ლი-წჰ-ი ზს. - დაპატიჟება. მწა ესერ ხაწხენა კესრი **ლიწჰი** [ზზ., სვან.ლექსიკ., 2000:480] - რად დაგჭირვებია კეისრის დაპატიჟება.

ლი-ჭნურ-ი ბზ., **ლმზ.**, **ლი-ჭნურ-ი** ბქ., **ლი-ჭიანურ-ი** ლნტ. - ჭიანურზე დაკვრა. **ლიჭნური** ქაშუემთთ ჩუ ლემსგმრლინ [ზზ., სვან.ლექსიკ., 2000:482] - ჭიანურის დაკვრის ხმა თურმე ქაშვეთამდე ისმოდა.

ლი-გურგუნ-ე ბზ., **ლი-გურგუნ-ე** ზს., **ლი-გურიგუნ-ე** ქს. - ჯვრისწერა. ხელწიფდ **ბზიიმდ ადწწნე დწწწ ლიგურგუნე** [ზზ., სვან.ლექსიკ., 2000:428] - ხელმწიფემ ამაღამისთვის დანიშნა დალის ჯვრისწერა.

ლი-ჩქტ-ი, **ლი-ჩქტე-ი** ზს., **ლი-ჩქტ-ი** ლზმ., **ლი-ჩოქტ-ი** ლნტ. - დაჩოქება. მახელტუჟს **ლიჩქტე-ი** მწმ ხესგუტ [ზზ., სვან.ლექსიკ., 2000:471] - ვაჟკაცს დაჩოქება არ შვენის.

ლი-ლთუყ-ი ბზ., - გუდის თრევა. (<თულუყ „გუდა, ტიკჭორა“) ლიწნის **ლილ-თუყი** ხოცხა [ინგ. მ.ფილფანი, 97 წლის, მესტია] - ხვნას გუდის ზიდვა ურჩევნია.

მოქმედებითი ბრუნვა:

ხოლამ ლიმარს ქორა **ლინკტემშტ** ათნე [ინგ. ქ. ჩხეტიანი, 60 წლის, დმანისი] - ცუდ კაცობას სახლის დამხოვით იწყებს.

ლი-ჩრჟალ ბზ., **ლი-ჩიჟალ** ბქ., **ლი-ჩრჟალ** ლმზ. - ცოლის შერთვა, ცოლის მოყვანის დრო. (ჩიჟე - სიძე) ლახტუბას **ლიჩრჟალდ** გტი ლახნდხ [ზზ., სვან.ლექსიკ., 2000:469] - ძმებს ცოლის მოყვანის სურვილი გაუჩნდათ.

მიცემითი ბრუნვა:

ლი-თჟალ ბზ., **ლი-თჟალ** ბქ., **ლი-თჟალ** ლმზ. -(და)ბადება. ჭყინტი **ლითჟალს** გუნ მწხიად ხაყა [ზზ., სვან.ლექსიკ., 2000:434] - ბიჭის დაბადებას დიდი სიხარული ახლავს.

ლი-ჟუმურა ბზ., **ლი-ჟუმურა** ბქ. - აშლილობა, არეულობა. ქორლისგან **ლი-ჟუმურა**ს ლითაჲს ესერ ახვასა (ანდ.)[ბზ., სვან.ლექსიკ., 2000:445]- ოჯახში აშლილობას გაყრა მოჰყოლიაო.

ლი-რგაჲ ბზ., **ლი-რგაჲ** ბქ., **ლნტ.**, **ლი-რგაჲ** ლმზ. - შერიგება, მორიგება, დარიგება. (გარეგ - დარიგება) **ლი-რგაჲ**ს ზეთ ესერ ხოწურ (ანდ.)[ბზ., სვან.ლექსიკ., 2000:446] - შერიგება კარგი საქმეაო. შერიგებას ზეთი სდისო.

ნათესაობითი ბრუნვა:

ლი-ჰმ-ე ზს., **ლმზ.**, **ლი-ჰმ-ე** ლნტ. - თიბვა. ლახუჲს **ლი-ჰმ-ე**ში ლიბნე ხოპირახ [ბზ., სვან.ლექსიკ., 2000:483] - მთაში თიბვის დაწყებას აპირებენ.

ლი-ჯნის ლილთუყი ხოცხა - ხვნას გუდის თრევა ურჩევნია.

ლი-ზგერა ბზ., **ლი-ზგერა** ბქ., - გათავება, დასრულება. **ლი-ფანე** ლი-ზგ-ერაჲთე მგანეჲი იკედ ყრუმ [ბზ., სვან.ლექსიკ., 2000:432] - სუფრის კურთხევის დამთავრებისას მაკურთხებელი კოვზს აიღებს.

§ 18. მრავლობითი რიცხვის საკითხისათვის სვანურ მასდარში

სახელურ კატეგორიასთან სვანურში საწყისს მხოლოდ ბრუნება მოეპოვება, რითაც ის მსგავსი ფუძის მქონე სახელთა ბრუნებას ემთხვევა. რიცხვის მიხედვით ცვლა საწყისისთვის არ არის დამახასიათებელი [ონიანი, 1998: 263]

ამგვარია საენათმეცნიერო ლიტერატურაში მიღებული თვალსაზრისი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სალიტერატურო ქართულის მსგავსად ფორმები **კითხვა** - **კითხვები**, **შრომა** - **შრომები**... თუნდაც მხოლოდ ერთულების სახით სვანურში გამოვლენილი –**არ** სუფიქსით ნაწარმოები ისეთი ფორმები, როგორცაა

ლი-ღრ-ალ „სიმღერა“ – **ლი-ღრ-ა**ლ-**არ** „სიმღერები“

ლი-შდრ-ალ „თამაში“ – **ლი-შდრ-ა**ლ-**არ** „თამაშები“

უნდა კვალიფიცირდეს, როგორც მასდართა მრავლობითი.

ძველი სვანური სიმღერები სვანურად აღინიშნება სწორედ ლექსებით: **ლიდრალ-
ზრ:**

ჯუინელ ლუმნუ ლიდრალ-ზრ ლიხ: ლილე, ლაგუშედა, რიჰო, გაულ-გავხე...
„ძველისვანური სიმღერებია: ლილე, ლილე, ლაგუშედა, რიჰო, გაულ-გავხე...“

**ეჩას ხობა ნუკუიშ-ნუკუიშ ლიშდრალ-ზრ: ლიყანსგუნალ, მალაჰ ჰაკუადა,
ლიპჟუნალ** [ექსპედ. მასალ. ინფ. მ. ფილფანი, 97 წლის, მესტია] „იმან იცის ნაირ-
ნაირი თამაშები: რიკტაფელა, მელიის კუდი, დამალობანა“.

თავი IV მასდარის სინტაქსური ასპექტები სვანურში

§ 19. მასდარის სინტაქსური ფუნქციები წინადადებაში

სინტაქსური ფუნქციების მიხედვით წინადადებაში მასდარი შესაძლოა იყოს ქვემდებარის, პირდაპირი დამატების, ირიბი დამატების, უბრალო დამატების... როლში.

ქვემდებარე:

ხოლემ **ლისყის ლიბჟემ** მტჟაფ, **ლილონე** ხაკუ [ინფ. ხ.გურციანი, 80 წლის, ჩხალთა]- ცუდის კეთებას,კარგად მიჩნევის მაგივრად, წყენა უნდა. **ლი-მკათ** - მოკეთეობა, მოყვრობა. **ეჩანლო ლიმკათ ხერის** [ბქ., სვან.ლექსიკ., 2000:441] - შემდეგ მოყვრობა ექნებათ.

ლი-ლეთ-ე - ღამის თევა. **ლინთჷისგა ქამ ლილჷთე გარჯ ლი**[ბზ., სვან.ლექსიკ., 2000:439] - ზამთარში ღამის გარეთ გათევა ძნელია.

ლი-ზგალ ბზ., ლი-ზგალ ბქ., ლი-ზგალ ლშხ. - დასახლება. ისგე ამჩჷ **ლიზგალს** ჰბბდ [ბზ., სვან.ლექსიკ., 2000:431] - თქვენი აქ დასახლება დაიწვას.

ლი-თჷალ ბზ., ლი-თჷალ ბქ., ლი-თჷალ ლშხ. -(და)ბადება. ჭყინტი **ლითჷალს** გუნ მწხიად ხაყა [ბზ., სვან.ლექსიკ., 2000:434] - ბიჭის დაბადებას დიდი სიხარული ახლავს.

საინტერესოა დატიური კონსტრუქცია:

განსაზღვრება:

ლიცმი **ლიზჷიბი[შ]** **ლიბზალდ** ჟი ლეჩჷე ხარხ **ლიზი** [ინფ. მ. ფილფანი, 97 წლის, მესტია] - წყლის ამოჩქეფის დაწყებამდე უნდა მოასწრონ წასვლა.

პირდაპირი დამატება:

მიშგჷა დიდ ჰამს, ურჰად, ადბინასგუნე **ლიბარგუნალ** - დედაჩემმა დილას ადრე დააწყებინა ბარგის ჩალაგება, აბრგება.

ლი-ლთ-ე - რთვა. ძაფის რთვა. **ლადი ლილოთეს ხუბინედ** [ბზ., სვან.ლექსიკ., 2000:440] - დღეს რთვას ვიწყებთ.

ლი-გურგუინალ ბზ., ლი-გურგუინალ ბქ., ლი-გურგუინალ ლშხ. - ჯვრისწერა. (გვირგვინ - გბირგვინი) ეჯიარს მგხარ ხარხ ლიგურგუინალ [ბზ., სვან.ლექსიკ., 2000:428]- იმათ ხვალ აქვთ ჯვრისწერა. ჩიმი **ლინწირს** ხოჩა ნაბგი ხაკუ - ყველას ჯობნას **სიმაგრე (ძალა)** უნდა.

უბრალო დამატება:

ცხმან ი ქმან „ზრდით და მატებით“ ...

ზამ ყერი მცვადი ხოჩა ზამს უჟ ჯიცადი, **ცხმან ი ქმან** უჟ ალხინდელხი „დრო-ჟათა მცვალელები ღვთაება კარგ ახალ წელსამც გინაცვლებდეს, **ზრდით და მატებით** მცა გახარებულიყავი“.

ითვლება, რომ სვანური სინტაქსი იმეორებს სალიტერატურო ქართულისას. რომ სინტაქსში ასეთი „არეულ-დარეული“ ფორმები არ შეინიშნება, როგორც ეს ახასიათებს სვანურ სახელთა ბრუნებას, ზმნის უღლებას და ზოგადად, მორფოლოგიას. ვიტყვოდი, რომ ა.შანიძის ეპითეტი „არეულ-დარეული“ ამ შემთხვევაში უფრო მეტაფორაა, რამდენადაც სწორედ ეს მრავალფეროვნება აქცევს სვანურის კვლევას ლინგვისტურად ასე მიმზიდველს და საინტერესოს.

სვანურის დიდი მოამაგე ვარლამ თოფურია ასე შეაფასებს ამ კუთხით სვანურის სისადავეს: სვანური და ქართული თითქმის არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სინტაქსურ საკითხებში¹. ქართული სინტაქსი მთლიანად მიუდგება სვანურს, მხოლოდ მაგალითები იქნება შესაცვლელი. ერთადერთი ძირითადი განსხვავება ჩანს III პირის სხვათა სიტყვის გადმოცმაში. ამ მხრივ სვანური ორიგინალურია არა მარტო ქართველურ ენებში; ამ თავისებურებით გამოირჩევა ის სხვა ენათაგანაც [თოფურია, 2002: 254].

¹ **შენიშვნა:** თანამედროვე კვლევებით დადასტურდა, რომ სხვაობანი სხვა ასპექტებშიც შეინიშნება. სვანური სინტაქსის საკითხებზე აქტიურად მუშაობს ნ. შავრეშიანი, რომელმაც მ.ჩუხუას ხელმძღვანელობით შესრულებულ სადოქტორო ნაშრომში სიღრმისეულად შეისწავლა და წარმოაჩინა სვანური სინტაქსის როგორც მსგავსებანი, ასევე სპეციფიკურობანი სალიტერატურო ქართულთან მიმართებით.

აქვე საინტერესოა ხაზგასმა ფაქტისა, რომ ერგატიული კონსტრუქციის, როგორც სისტემის, საკითხში ზანურისაგან განსხვავებით სვანურში ვითარება სალიტერატურო ქართულისეგურია. ცალკეული თითო ოროლა შემთხვევა სისტემურ სურათს, რათქმა უნდა, ვერ ცვლის.

სვანურში დავადასტურეთ მასდარის მონაწილეობა **კომპოზიტებში: ლიმზირ-ლიკგერალ** „ლოცვა-ვედრება“, **კინჩხიქუა** „შერცხვენა“ ზედმიწ. „კისრისმოჭრა“, **ქუინისადა** „გადარჩენა (ზედმიწ. „სულისშერჩენა“), **ბოლაკადა** „ამოწყვეტა“ (ზედმიწ. „ძირფესვინად, მთლიანად ამოწყვეტა“)...

ღერთემდ მაქდის, **ლიმზირ-ლიკგერალ** მამ მალტენდეს! „ღმერთმა მაშოროს, ლოცვა-ვედრება [რომ] არ მიყვარდეს!“

§ 20. მასდარი კომპოზიტებსა და პარონიმებში

ძველი ქართული ენის რთული გრამატიკული წყობის, მორფოლოგიური სტრუქტურისა თუ ლექსიკა-ფრაზეოლოგიის არაერთი მოვლენა და ფაქტი სვანურს დღესაც იმავე არქაული სახით აქვს შემონახული; ეს მოვლენებია: ხანმეტობა, პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ასახვა ზმნაში, ხარისხის ფორმათა წარმოება, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია, კითხვითობის -ა, -მეა, -მე ნაწილაკები, რომლებიც მიერთვიან რა ზმნა-შემასმენელს, თხრობით ფორმებს აქცევენ კითხვითად... ტმესი ანუ განკვეთა და სხვა არაერთი [მარგანი, 2016: 41].

პარონომაზიის არსი ერთი ვერბალი ცნების ორი ფორმით (ორი სიტყვით) გადმოცემაში მდგომარეობს. პარონომაზიულ გამოთქმებში, ჩვეულებრივ, ორი კომპონენტი გვაქვს: ზმნის პირიანი ფორმა და იმავე ძირის საწყისი მოქმედებითი ბრუნვის ფორმით, რომელიც უმეტესად უსწრებს მას, მაგრამ შეიძლება მოსდევდეს (შდრ. **მხილებით ამხილო...** და **იგლოვდეს გლოვით...**). პარონომაზიული შემასმენელი ორკომპონენტიანი, მაგრამ ერთი ცნების გამომხატველი კონსტრუქციაა. პარონომაზიული წყვილები, ჩვეულებრივ, გვერდი-გვერდ გვხვდება, მაგრამ შეიძლება

შგვხვდეს გათიშულადაც: **დადგა** მზე და მთვარე **დადგომით...** **სიკვდილით** მაშინ **მოგვკვდეთ** საუკუნოდ...

კ. წერეთელი, რომელმაც სპეციალური გამოკვლევა უძღვნა პარონომაზიას ქართულში, ერთი ძირის მქონე პარონომაზიულ წყვილს ძირეულ ანუ მორფოლოგიურ პარონომაზიას უწოდებს, ხოლო სინონიმური ძირებისაგან ნაწარმოებს - სემასიოლოგიურს ანუ სემანტიკურს. პარონომაზიის შესახებ ვრცლად მსჯელობს ივ. იმნაიშვილი, რომელსაც შენიშნული აქვს რამდენიმე შემთხვევა, როდესაც საწყისის ნაცვლად მოქმედებით ბრუნვაში აბსტრაქტული სახელი დგას: **სიმდაბლით დაიმდაბლე... წადიერებით სწადოდა** [იმნაიშვილი, 1957:236]. პარონომაზია სემიტურ ენათათვის, განსაკუთრებით ებრაულისათვის დამახასიათებელ მოვლენადაა მიჩნეული. გარდა სემიტური ენებისა პარონომაზიას ვხვდებით არასემიტურ ენებშიც: ძველ სპარსულში, მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში, ქართულში, ბერძნულში, ლათინურში, სომხურში, სლავურში [ცხადაძე, 1984: 41].

იგი ძალიან ხშირად ძველ ქართულ ნათარგმნ ძეგლებში გვხვდება, მაგრამ, როგორც ივ. იმნაიშვილი შენიშნავს, ამის ფესვები არ უნდა ვეძიოთ მხოლოდ უცხო ენის (მაგ. ებრაულის) გავლენაში..., ქართული პარონომაზია ყოველთვის არაა დამოკიდებული სხვა ენაზე, ეს მისი თვისებაცაა... რომ ეს მოვლენა ქართულისათვის იყო დამახასიათებელი... იქიდანაც ჩანს, რომ მას ვხვდებით ორიგინალურ ძეგლებშიც... პარონომაზია ახალი ქართულისთვისაც არაა უცხო მოვლენა... ამნაირი გამოთქმები დღეს სავსეა როგორც ცოცხალ კილოებში, ისე სალიტერატურო ქართულში. პარონომაზია ქართული მოვლენაა. პარონომაზიული ფორმები დასტურდება მეგრულსა და სვანურშიც... პარონომაზია ქართველური ენებისათვის დამახასიათებელი იყო უძველესი დროიდანვე... [ფეიქრიშვილი, 1996:112]. განსხვავებულია მკვლევართა თვალსაზრისები პარონომაზიული გამოთქმის სინტაქსური კვალიფიკაციის თაობაზე; კ. წერეთლის აზრით, სინტაქსურად პარონომაზია ერთი მთლიანია. იგი წინადადებაში შემასმენელს წარმოადგენს. პარონომაზიიდან არც ერთი სიტყვის ცალკე სინტაქსურ ერთეულად გამოყოფა არ შეიძლება, წინააღმდეგ შემთხვევაში პარონომაზია კარგავს თავის სპეციფიკას...

პარონომაზია სინტაქსურად სხვა არაფერია, თუ არა შედგენილი - ერთი ვერბალი ცნების გამომხატველი. ამაშია პარონომაზიის თავისებურება. ამდენადვე, ქართული პარონომაზიის ცალკეულ წევრთა სინტაქსურ რაობაზე საუბარი შეუძლებელია. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია ძველ ქართულში პარონომაზიის ფართოდ გავრცელებულობა (**ტანჯა ტანჯვითა.. ხედვიდა ხედვითა...**) ხილვით ვიხილე ძვირი იგი ერისა ჩემისა (გამოსვლ. 3,7) **პარვით წარმომიპარეს** მე (შესაქმე, 49,15)... და იგი ბერძნულით გაშუალებულ სემიტურ (ებრაულ) მოვლენადაა მიჩნეული [სარჯველაძე, 1997: 179].

სვანურში გვხვდება ისეთი მაგალითები, როდესაც ერთი ვერბალური ცნება გადმოცემულიაორი სინონიმური ძირიდან ნაწარმოები სიტყვებით. ასეთ სემთხვევებს სპეციალურ ლიტერატურაში **სემასიოლოგიურ (სემანტიკურ) პარონომაზიას** უწოდებენ: **გუემეს ცემით** ნეტარი ანტონი. **თრევით წარგიყვანოს** შენ [ცხადაძე, 1984: 41].

სვანურში პარონონიმებში უმეტეს შემთხვევაში პირველ ადგილზეა მასადარი, მომდევნო ადგილი უჭირავს ზმნის პირიან ფორმას, რომელიც I ან II სერიაში დგას. **ლიღრწლოშუ იღრწლ / ლაღრწლოშუ იღრწლ** „სიმღერით მღერის“, **ლითხუიწრშუ წნთხუიარე** „ნადირობით კი მოინადირა“ ...

როგორც ჩვენი მასალიდან ჩანს, მასდარი პარონომაზიაში მათავარ როლს ასრულებს, უმასდაროდ, შეიძლება ითქვას, რომ პარონომაზია არაა. საინტერესოდ გვეჩვენა ის გარემოება, რომ შეიძლება პარონომაზიის ორივე წევრად მხოლოდ მასდარი შეგვხვდეს, ე. ი. არ გვექონდეს ზმნის პირიანი ფორმა: ლათრინომ ლითრინე შდრ. ძვ. ქართ. თრევით მითრევაჲ საპყრობილედ...

ამ შემთხვევაში პარონომაზიის ორივე წევრი მასდარია. პირველი მასდარი, ჩვეულებრივ, მოქმედებითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი, ხოლო ზმნის პირიანი ფორმის ნაცვლად გამოყენებული მეორე მასდარი სახელობით ბრუნვაში დგას. ასეთი ტიპის პარონომაზიული შემთხვევები სპეციალურ ლიტერატურაში ნაკლებადაა შესწავლილი.

გვაქვს თუ არა სვანურში შემთხვევები პარონომაზიის მასდარი ვით. ბრუნვაში დგომისა? ძველ ქართულში ამ შემთხვევებში ზმნა შედგენილი შემასმენლის სახითაა

წარმოდგენილი:

საანალიზო მასალით იმთავითვე გამოიკვეთა კვლევის შემდეგი ასპექტები: მსგავსად სალიტერატურო ქართულისა გვხვდება თუ არა პრედიკატული მნიშვნელობით ორკომპონენტური ფორმათშეხამებანი სვანურში; როგორია მათი გამოყენების სიხშირე ცოცხალი მეტყველების მონაცემებისა და თითქმის საუკუნის წინ შეკრებილ და გამოცემულ სვანურ და ზანურ ტექსტებში დაფიქსირებულ ფორმათა შედარების თვალსაზრისით; პარონომაზიის სახეებიდან – ძირეული და სემასიოლოგიური – რომელი ჭარბობს და რომლის გამოყენების არეალი არის უფრო შეზღუდული; და ბოლოს, ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში არსებულ თვალსაზრისთაგან აღნიშნული ტიპის სიტყვათშენაერთების სინტაქსური კვალიფიცირების საკითხში ქართველურ ენათა მონაცემები რომელს უმაგრებს საფუძველს და უჭერს მხარს.

სვანურში შედარებით იშვიათია სემასიოლოგიური და ხშირია ძირეული პარონომაზია, რომელიც უფრო დიალოგებისთვისაა დამახასიათებელი, ვიდრე გაბმული მეტყველებისა და თხრობისათვის. ჩვენს ემპირიულ მასალაში დავადასტურეთ და მოვიოძიეთ პარონიმების მაგალითები და ილუსტრაციები სვანური მეტყველებიდან:

ლაბაკოჷშჷ ქა იბჷჯი, მარე თხუიმს ღალ დეშ იგჷე ი იბერცანდელ [ექსპედ. მასალ. ინფ. ა. ჯაჭვლიანი, 85 წლის, კოდორი] „ბიჯებით კი აბიჯებს, მაგრამ თავს ვერიჭერს და ბარბაცებს“.

ლაჭუდანომ იჭუდანი, იმჷი მამა,მარე თხუმთესგა მამგვეშ ღალ ესრზი „კითხვით კი თხულობს,როგორარა,მაგრამ თავში არაფერი შესდის“.

ლეგმერედე ლახუნტომ ღალ ადუ იხუნტი, მარე დაგრა ღალ დრუ უქად ხნდ [ინფ. მ. ფილფანი, 97 წლის, მესტია] „ავადმყოფი სუნთქვითკი სუნთქავს, მაგრამ სიკვდილი, ალბათ არ ასცდება“.

ლანყაჷომჷ ინყაჷხ – გართობით ერთობა.

ლიყედშუ ჯედნი – მოსვლით მოვა.

ლიმარჯუიშუ ქა ხომურჯი – დახმარებით დაეხმარება. **ლიმცუქვილშუ ადუ**, იმცუქულიელხ, ჰემჷი მოშ ლაგას ათგენნეხ მინე ლუბანძღე გვეშს [ინფ.

ა.ჯაჭვლიანი, 84 წლის, კოდორი] „შუამავლობით კი შუამავლობენ, თუკი როგორმე მოაგვარეს და გადაწყვიტეს ეს ჩახლართული საქმე“.

გარგლოჭუმუ ქა გარგლი იმჟი მადე, მარე გუნ გუიმეკუმად „ლაპარაკით კი ლაპარაკობს, მაგრამ ძალზედ გულდაწყვეტილად“.

სოფელთე **ლიშდტუეუმუ მამ ანშდტე**, მარე დოსგ ანმუსე ლახუართე, ამლად მუჟღურემი ლემდბარ უზგრად ოთსადხ [ექსპედ. მასალ. ინფ. მ. ფილფანი, 97 წლის, მესტია] „სოფელში თოვით არ თოვდა, მაგრამ ადრე ჩამოთოვა მთებზე, ამიტომაც დაუმთავრებელი დაურჩათ შემოდგომის სამუშაოები: მოტანა შემის, მოჭრა ჩალის, ნარჩენებისაგან მოწმენდა ყანებისა და შემოზიდვა მოსავლისა“.

ლითხუიარშუ დესამა მომ ანთხუიარე... [ინფ. დ. მიბჩუანი, 77 წლის, ომარიშალა] „ნადირობით ვეღარაფერი ვერ მოინადირა“.

რაც შეეხება პარონომაზიულ ფორმებს, ქართულში მის სინტაქსურ კვალიფიცირებასთან დაკავშირებით ძირითადი თვალსაზრისები შემდეგ სახეს იღებს: პარონომაზიული გამოთქმა ერთი წევრია და წინადადებაში შედგენილ შემასმენელს წარმოადგენს, პარონომაზიის კომპონენტები დამოუკიდებელი წევრებია: მოქმედებით ბრუნვაში მდგარი და ზმნა-შემასმენელთან დაკავშირებული საწყისი უბრალო დამატებაა, გარემოებაა, მოქმედებით ბრუნვაში მდგარი სიტყვა თავის მსაზღვრელთან ერთადა რის უბრალო დამატება ან გარემოება, პარონომაზიის მოქმედებით ბრუნვიანი კომპონენტი მხოლოდ აქტუალიზატორია და არ ააქვს დამოუკიდებელი წევრის ფუნქცია.

შეიძლება დავასკვნათ, რომ პარონომაზიული გამოთქმები სვანურისათვის, განსაკუთრებით ცოცხალი მეტყველებისათვის, სავსებით ბუნებრივია და დამახასიათებელი. შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც გვხვდება აღნიშნული ტიპის სიტყვათშეხამებანი ადრე გამოცემულ სვანურ ტექსტებში.

სვანურისთვის მეტწილად დამახასიათებელია ძირეული პარონომაზია, თითქმის არ შეგვხვდრია სემასიოლოგიური პარონომაზიის შემთხვევები. სვანური **ლაჭუდანოშუ იჭუდანი** –კითხვით კითლობს, **ლიმზირშუ იმზირ** –ლოცვით ლოცულობს – ტიპის სიტყვათშენაერთები ერთი ცნების გამომხატველია და ერთ

წევრად–პარონომაზიულ შემასმენლად შეიძლება ჩაითვალოს, რომელშიც მოქმედებითბრუნვიან სიტყვას აქვს აქტუალიზატორის ფუნქცია, რომლითაც ზმნის მნიშვნელობის ხაზგასმა ხდება და მას დამოუკიდებელ წევრად ვერ მივიჩნევთ.

§ 21. მასდარი ფრაზეოლოგიზმებსა და მყარ გამონათქვამებში

იდიომატიკა ლექსიკის ორგანული და ამავე დროს თავისებური ნაწილია [ონიანი, 1966:5] ფრაზემების, ლექსიკალიზებული შესიტყვებების, ფრაზეოლოგიური ერთეულების, ანუ ფრაზეოლოგიზმებისათვის ნიშანდობლივია სტრუქტურული, ლექსიკური, სემანტიკური, აგრეთვე გამოყენების სტაბილურობა.

ფრაზემები ლექსემათა მუდმივი კონტექსტის საფუძველზე მიიღება. ამგვარ შესიტყვებათა ზოგიერთი ან ყველა კომპონენტის მნიშვნელობა გარდაქმნილია მატაფორის, მეტონომიისა თუ სხვა ფორმით. ფრაზემათა სტრუქტურის მდგრადობა იმაში მდგომარეობს, რომ მათი კომპონენტების შენაცვლებადობა შეზღუდულია, სიტყვაფორმათა რიგი უმეტესწილად ფიქსირებულია, კომპონენტებს შორის სხვა სიტყვაფორმების ჩასმა, როგორც წესი, აკრძალულია; მაგალითად, არ ვამბობთ: დიდი დროის მოკვლა, ან ერთი საათის მოკვლა...

სხვადასხვა ნიშნის მიხედვით ფრაზემათა რამდენიმე კლასიფიკაცია არსებობს. ერთ-ერთ მათგანს საფუძველად უდევს მთელი შესიტყვებისა და მისი კომპონენტების მნიშვნელობათა თანაფარდობა. მაგალითად, „ბოლთას სცემს“ ფრაზემაში კომპონენტებს შორის კავშირი უფრო მჭიდროა, ვიდრე, ვთქვათ, ფრაზემაში „შიშმა შეიპყრო“.

მყარ შესიტყვებათა დისტრიბუციული (გრამატიკული) კლასიფიკაცია ითვალისწინებს წინადადებაში მათ სინტაქსურ როლს – გამოყოფენ ამა თუ იმ მეტყველების ნაწილის ეკვივალენტურ ფრაზემებს. მაგ., ფრაზემა „კალმით ნახატი“ ზედსართავი სახელის ეკვივალენტურია, „ღვთის ანაბარა“ – ზმნიზედისა და ა. შ.

ცალკე ჯგუფს ქმნის წინადადების ეკვივალენტური ფრაზემები. კიდევ ერთი

კლასიფიკაციის მიხედვით, მყარ შესიტყვებათა სიმრავლე იყოფა შემდეგ არაერთგვაროვან ჯგუფებად: იდიომები, ფრაზეოლოგიური შესიტყვებები, სამეტყველო შტამპები, ფრაზეოსქემები და ე. წ. ფრთიანი გამოთქმები (ანდაზები, აფორიზმები და მისთ.), მოარული ციტატები ბიბლიიდან – ე. წ. ბიბლეიზმები [გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელია, 2003: 378]

სპეციალურ ლინგვისტურ ლიტერატურაში საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ ფრაზემები სპეციფიკურია და ზედმიწევნით, სიტყვასიტყვით სხვა ენაზე, როგორც წესი, არ ითარგმნება. ამასთან, შინაარსი, რომელიც ერთ ენაში ფრაზემით გადმოიცემა, სხვა ენაში შეიძლება სხვა საშუალებით გამოიხატოს.

მყარ შესიტყვებათა უმრავლესობა ექსპრესიულია. თუმცა, გვხვდება კონოტაციას მოკლებული ფრაზემებიც. ექსპრესიული საშუალებებიდან ფრაზეოლოგიაში ხშირად გამოიყენება რიტმა, კონტრასტი, გამეორება, სინონიმები, შედარება, რიტმი. ფრაზემების შემთხვევაში საკმაოდ რთული გადასაწყვეტია ომონიმისა და პოლისემიის გამიჯვნის საკითხი. ხშირად ფრაზეოლოგიზმების არსებობა დაკავშირებულია რომელიმე კონკრეტულ მოვლენასთან, კონკრეტულ ადგილსა და დროსთან [ნებიერეიძე, 1984:239] მაგ., იულიუს ცეზარის სახელს უკავშირდება გამოთქმა „**რუბიკონის გადალახვა**“ საქართველოში ლეკიანობის ფაქტებს კი – „**ჩაილურის წყალი დალია**“.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად კლასიფიცირებულ მყარ სიტყვათშენაერთაგან სვანურში გვხვდება ე. წ. ბიბლეიზმები, ფრაზეოსქემები, სამეტყველო შტამპები; ხშირია ფრაზეოლოგიზმები, რომელთა დისტრიბუციული (გრამატიკული) ფუნქციის განსაზღვრა რამდენადმე უფრო მარტივი აღმოჩნდა, ვიდრე იმ სპეციფიკისა და სემანტიკური ნიუანსების ზედმიწევნით თარგმნა, რასაც ისინი სვანურში ასახავენ და შეიცავენ.

ფრაზეოლოგიზმებისა და იდიომების ლინგვისტური თუ ექსტრალინგვისტური ასპექტით შესწავლის პარალელურად საინტერესოა ასევე თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაში მათი გავრცელებულობა, კონოტაცია, წინადადებაში სინტაქსური როლი და დისტრიბუციის საკითხები, ასევე არქაული იერის მატარებელი იდიომების

გამოყენების სიხშირე სვანურად მეტყველლთა სხვადასხვა თაობის მიერ...

ირკვევა, რომ თითქმის საუკუნის წინ სვანური პროზაული ტექსტების ბალსზემოურ კილოზე შეკრებილი ენობრივი მასალა და სალექსიკონო ფონდი სვანურისა შეიცავს ისეთ იშვიათ სიტყვა-ფორმებს, ლექსემებსა და ფრაზემებს, რომელთაც ცოცხალ მეტყველებაში, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობის სასაუბრო ენაში დღეს უკვე მივიწყების ბინდი გადაჰკვრია, ან ძალზედ იშვიათი ხმარების სფეროს განეკუთვნება.

ყველა ენაში, მათ შორის, რა თქმა უნდა, ქართველურშიც, ე. წ. ენობრივი ფორმულები, დღეს უკვე გაქვავებული გამოთქმები შორეულ წარსულშია წარმოქმნილი. ყველა სპეციალისტი თანხმდება იმაზე, რომ მთარგმნელობით პრქატიკაში ფრაზეოლოგია რჩება ერთ-ერთ რთულ სფეროდ. სვანური ფრაზეოლოგია და იდიომატური გამოთქმები საენათმეცნიერო ლიტერატურაში შესწავლილია ალ. ონიანის, მ. სალლიანის მიერ. გაზარებულია თვალსაზრისი, რომ როგორც ენობრივი იერარქიის სხვადასხვა დონეზე, ასევე ამ კუთხითაც მრავალფეროვან მასალაზე დაყრდნობით სვანურის კვლევა იძლევა საინტერესო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას.

რამდენად მონაწილეობს სვანურში ფრაზეოლოგიზმებში მასდარული ფორმები – ამ ეტაპზე ეს არის ჩვენი ინტერესის საგანი.

ირკვევა, რომ მასდარი სვანურში ზმნური პირიანი ფორმების პარალელურად და დამოუკიდებლადაც აქტიურად მონაწილეობს **ფრაზეოლოგიზმებსა და მყარ გამონათქვამებში**: სგუზდ **ლიგნე** „ამოჟლეტა“, კიკეფიდ **ლიკედ** „ამოწყვეტა“, **ჰადლოდეუს ლიგნე** „აურზაური, ხმაური“...

ჩვენი საანალიზო მასალა ამ შემთხვევაში ამოკრებილია მ. სალლიანის წიგნიდან: სვანური ენის სტრუქტურის საკითხები, თბ. 2016 წ.

ლაშინდლ ლიკედ „გამასხარავება, აბუცად აგდება ვინმესი, (ზედმიწ. „საშაიროდ აღება“)

აზმ ლიჩომ „სხურება, პკურება („აიაზმის ქნა“)

თანახმას ლიკედ „დათანხმება“ (ზედმიწ. თანახმას მოსვლა“)

ლოცვშ ლიჩუმ „პირჯვრის გადასახვა (ზედმიწ. „ლოცვის ქმნა“)

არზდ ლიფუმდე „მაცნის გაგზავნა, გაშვება, ვინემსთვის ამბის შეტყობინება (ზედმიწ. „არზად გაშვება“) შდრ. ქართ. მთიულ. არაბ–ი „ბერიკების წინამძღოლი, შემურული, მურით გაშავებული“.

სტინდდ ლიფუმდე „დანამუსება, ე. ი. მის სინდისზე იყოს (ზედმიწ. „სინდის–ად გაშვება“). საინტერესოა, რომ ქართულში სინდისთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმების სიმრავლის მიუხედავად ზუსტი ეკვივალენტი სვანური **სინდისზე გაშვებისა**, არ ფიქსირდება, როგორც ამას შენიშნავს მ. საღლიანი. შდრ. სინდის–გარეცხილი, სინდისგარვიძებული, სინდისზე ხელის არება, სინდისი გაუხუნდა, სინდისის შეშვება, სინდისისც კაი საქონელია...[საღლიანი, 2016: 649]

შანთი ლიკედ (ლშხ.) „მტკიცე ფიცი“, მტკიცედ დაფიცება“ (ზედმიწ. „შანთის აღება“).

ძალა ლიყრინე „დაძალება“ (ზედმიწ. „ძალის დამართება“).

წასაგებაშ ლიჩუმ „წესის აგება მიცვალებულისათვის“ (ზედმიწ. „წესის აგების ქმნა“)

ყაბულს ლიკედ „დათანხმება“ (ზედმიწ. ყაბულს მოსვლა“)

ხატი ლიჩუმ „დაფიცება (ზედმიწ. „ხატის ქმნა“)

სგუმზდ ლიგნე „ამოწყვეტა, ამოჟლეტა“,

ბოლევდ ლიკედ „ამოწყვეტა, ამოჟლეტა“,

წინალდ ი წირკამაღდ ლიბლრკე „სრულიად მოსპობა, განადგურება“ (ზედმიწ. „ნასახად და ძირფესვიანად ამოწყვეტა“).

თერაღისგა ტგტი ლიშდე „მოტყუება, გამასხარავება“ (ზედმიწ. „თვალში ნაცარ–ტუტას მიყრა“.

მერმემ შიარშუმ ცხენდრე ლიკედ „სხვისი მეოხებით რთული საქმის მოგვარება“ (ზედმიწ. „სხვისი/ მეორის ხელებით ნაკვერჩხლების აღება“).

თხერემი ჯარჯისგა ლირდე „წვალებაში, ცუდ პირობებში ცხოვრება“ (ზედმიწ. „მგლის ხახაში ყოფნა“).

სადრ–კუდარიშ ჭაჭარლეჟა ლიყერ „გალანძვა, გათათხვა“ (ზედმიწ. „წყევლა–კრულვის ზურგს ქვემოთ დარტყმა“).

გუდ ლიკედ „მიხვედრა“ (ზედმიწ. „გულად მოსვლა“).

ნესყემ ჯომქა ლიგტეწ (ბქ.) „ნემსის ყუნწში გამძრომა“ < მალატ ნესყემ ჯომქა ესერ მუგტწინე ლი „სიყვარული ნემსის ყუნწში გამძვრენიაო“ (ზედმიწ. „სიყვარული ნემსის ყუნწში გამძვრენელი არის“).

ციცტში ი კტენი ლიტუმშლ (ბზ.) „საშინელი სიცივე“ (ზედმიწ. „კატის და კვერნის ჩახუტება“).

ის, რომ ბევრი სვანური იდიომის ახსნა დღეს უკვე თითქმის შეუძლებელია, ამისი მიზეზი, ალ. ონიანის აზრით, უნდა ვეძებოთ იმაში, რომ სათანადო მოვლენა, რომელიც რაიმე ისტორიულ ფაქტთან არის დაკავშირებული, ისტორიაში არ არის ფიქსირებული. ვინაიდან მათი წარმოშობის საფუძველი არ ვიცით, ამიტომ მათი ეტიმოლოგიის გარკვევაც, რასაკვირველია, ჭირს. იდიომის სხვა ენაზე სიტყვასიტყვით თარგმნის შეუძლებლობა არაფერს გვეუბნება მისი შინაგანი ბუნების, მისი სპეციფიკის შესახებ [ონიანი, 1954: 139]

ფრაზეოლოგიურ ერთეულებში მონაწილე სიტყვათა უმეტესობა არქაულია და საერთო სიტყვათხმარებიდან დღეს უკვე გამოსული. შესაძლოა, ამ არქაულ ფორმათაგან ზოგი უცხოური წარმოშობისაც აღმოჩნდეს მსგავსად ქართული ფრაზეოლოგიზმების ისეთი ლექსემებისა, როგორიცაა ბაიბური, იხტიბარი, აბრუ... თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ იდიომებსა და ფრაზეოლოგიზმებში მონაწილე მასდარული ფორმები გვანტერესებს.

მყარ გამონათქვამებსა და ფრაზეოლოგიზმებზე ჩვენი დაკვირვების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ აქ გამოყენებულია ძირითადად შემდეგი სვანური მასდარები: ლიყერ „ცემა“, ლიტუმშლ „ჩახუტება“, ლიკედ „მოსვლა“ (შდრ. ძვ. ქართ. ჯედ ძირი), ლიშდე „დაყრა“, ლიკედ „აღება“, ლიბლრკე „ამოწყვეტა“, ლიჩტემ „კეთება“, ლიყრინე „კეთება, დამართება“, ლიფტშდე „გაშვება“, ლიგნე „დაყენება“, გაცილება“...

გამოყენებულია მასდარები კონკრეტული აღნაგობით და კონკრეტული შინარსით, უნდა ითქვას, რომ ბუნდოვანი სემანტიკა იმ ფრაზეოლოგიზმებში, სადაც ამ

ეტაპზე ჩვენთვის საინტერესო მასდარები მონაწილეობენ, სვანურში მოდის დანარჩენ კომპონენტებზე და არა მასდარულ ფორმებზე.

სტრუქტურის მიხედვით ფრაზეოლოგიზმებში მაწარმოებელთაგან ძირითადად ლი-ე და ოდენ პრეფიქსული ლი- აფიქსებით ნაწარმოები მასდარებია წარმოდგენილი:

ლი-ე: ლი-შდ-ე „დაყრა“, ლი-ბლრკ-ე „ამოწყვეტა“, ლი-ფჷშდ-ე „გაშვება“, ლი-გნ-ე „აყენება“...

ლი- : ლი-ყერ „ცემა“, ლი-ჰედ „მოსვლა“, ლი-კედ „აღება“, ლი-ჩჷემ „კეთება“...

მხოლოდ ერთეულების სახით გამოვლინდა ოდენპრეფიქსული (-ა სუფიქსიანი) მრავალგზისობის -წლ აფიქსიანი და კაუზატიური მასდარები: დაგრ-ა „სიკვდილი“, ლი-ტჷმ-წლ „ჩახუტება“, ლი-ყრ-ინ-ე „გაკეთება“...

ძირითადი დასკვნები

1. საენათმეცნიერო ლიტერატურაში მიღებული თვალსაზრისის თანახმად, განსხვავებით ინდოევროპულ ენათაგან, რომლებშიც ინფინიტივს ეყრდნობა ზმნის პირიანი ფორმები, ქართველურ ენებში პირიქით: მასდარი გამომდინარეობს აწმყოს ზმნების პირიელი ფორმებიდან. სწორედ ამიტომ ვარჩიეთ ა. შანიძის მიერ დამკვიდრებულ საწყისს არნ. ჩიქობავას მიერ შემოთავაზებული ტერმინი მასდარი.

2. სტრუქტურული ყალიბების მიხედვით მასდარი სვანურში არის ოთხი სახის: პრეფიქს-სუფიქსური, ოდენ პრეფიქსული, სუფიქსური და უაფიქსო (ანუ არამარკირებული). მასდარის მაწარმოებელი აფიქსებია: ლი-; ლი _ ე; ლი _ ი; ლი _ ჴ; ქართველური -ა; ქართული -ობ; -ეჷ-ა; უაფიქსო: -0. უძველესი, ყველაზე არქაული ამ ყალიბთაგან ოდენ სუფიქსური წარმოება [-ა] უნდა იყოს.

3. მასდარი სვანურში ძირითადად აწმყოს ფორმათაგან იწარმოება. ლი-, ლი _ ი, ლი_ე აფიქსთა განაწილება დამოკიდებულია აწმყოს მწკრივის [-ე; -ი; -ა; -0] სუფიქსებზე. განაწილების წესებს, როგორც ეს ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, აქვს გამონაკლისები.

4. ქართველური შესატყვისობების მქონე მასდარებში **მხოლოდ ერთეულების სახით** გამოვლენილი **ლრ- პრეფიქსული ხმოვნის სიგრძე** აიხსნება ძირეული ბგერის დაკარგვით და, შესაბამისად კვალიფიცირდება, როგორც საკომპენსაციო სიგრძე: **ლრ-ტუ < *ლი-ულტ-უ** „გაქცევა“, **ლრზ-ი < *ლიგზი** „სვლა“, **ლრ-ქუსგ/ლრ-ქუმა < *ლი-თქუმა...**

5. სუფიქსური წარმოების მასდარები სვანურში შედარებით მცირერიცხოვანია: საერთოქართველური -ა და ქართული -ობ სუფიქსები თავისუფლად მონაცვლეობენ ფორმებში: **შდჰხა/შდჰხოზ** „გამოლევა“, **ცჷწრა/ცჷწროზ** „მიტოვება, ღალატი“... **თანამედროვე სვანურში ოდენ სუფიქსური წარმოება შერყეულია.** მას ავიწროებს და თანდათან ბატონდება პრეფიქს-სუფიქსური და პრეფიქსული წარმოება: (**ხჷჰტა > ლიხუტე/ლიხჷტე**) „ამოწყდომა“...

6. -ობ სუფიქსიანი სვანური მასდარები (**დორ-ობ** „პურობის დრო“, **მჰადარ-ობ** „შიმშილობა“, **ქჷჰზ-ობ** „დიდი ყინვების დრო“)... შინაარსობრივად გამოხატავენ პროცესს, პერიოდს, მიმდინარეობას.

7. სვანურში, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, დასტურდება პირველადი მასდარები (შედარებით მცირე ოდენობით). სვანური **უაფიქსო/არამარკირებული** მასდარებია: **ძგჷიზ** „წყვეტა“, **ბიჰკჷ** „სკდომა“, **შკჷიფ** „ცემა“, **რიყ** „ხმის გამოცემა“, **რიფ** „ყრუდ ხმის გამოცემა“, **ბიჩხ** „გაშლილი ხელით დარტყმის ხმა“...

8. სვანურში გამოიყოფა **ჯგუფი ბგერწერითი** ლექსიკით ნაწარმოები მასდარებისა. ფუძის რედუპლიკაციით მიღებული ეს **ფონოსემატიკური** ლექსემები ვერ ქმნიან სისტემას, მაგრამ ენაში მათი არსებობა (თუნდაც მცირე რაოდენობით) ფაქტია: **ზგრზგზ** „ზანზარი“, **ტგნტჷჷა** „ხმაური“, **ტურშჷნ** „რახუნი“...

9. **სახელური კატეგორიების** გამოხატვის თვალსაზრისით სვანური მასდარი სრულად იმეორებს ქართულის ვითარებას, **ზმნური კატეგორიების** მიხედვით კი მნიშვნელოვნად განსხვავდება **გვარის, მრავალგზისობის, ობიექტის მრავლობითობის** ასახვით.

10. ზოგი მასდარული ფორმის წარმოება განსხვავდება ამოსავალი **ზმნის გვარის** მიხედვით: ისტორიულ ჭრილში სხვა ვითარება ივარაუდება, მაგრამ სინქრონულ

დონეზე უაღრესად საინტერესოა, რომ სვანურ მასდარში ქართულთან მიმართებით მკვეთრად, თვალსაჩინოდ არის გარჩეული გვარის კატეგორია: მოქმედებითი და ვნებითი, აქტიური და პასიური შინაარსი გადმოცემულია მასდართა პარალელური ფორმებით: ლიტებ – ლიტხე „დაბრუნება“, ლიხეკ – ლიხპე „სკდომა“... (ძირითადად, ფუძედრეკად ზმნათა მასდარებში...); სათანადო ფორმების არარსებობის გამო ქართული თარგმანი ვერ ასახავს გვარის მიხედვით დაპირისპირებულ ამ მასდარულ ფორმებს სვანურისას.

11. სხვა ქართველურ ენებთან მიმართებით, ასევე უდაოდ საინტერესოა, რომ სვანურ მასდარში გარჩეულია მრავალგზისობის კატეგორია: მრავალფუნქციური – ზლ და -გრ სუფიქსებით (და ამ სუფიქსთა სხვადასხვა ალომორფებით).

12. სალიტერატურო ქართულის მსგავსად სვანურ მასდარში გარჩეულია კაუზატივის კატეგორია -უნ აფიქსით; თითქმის გამონაკლისის გარეშე სტრუქტურულად ამ ტიპის მასდარები პრეფიქს-სუფიქსური წარმოებისაა: ლიშდზბ > ლიშდბ-უნ-ე/ლიშდბ-უნ-ჭუნ-ე „მუშაობა/მუშაობინება“...

13. ძველი ქართული ენის მსგავსად და თანამედროვე სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით, სვანურ მასდარში ასახულია ობიექტის მრავლობითობა: ლინყე/ლინყ-ზლ-ი „გამოცხობა ერთის/გამოცხობა ბევრის“; ლიდეგ/ლიდგ-გრ-ე „ჩაქრობა ერთის/ჩაქრობა ბევრის“ (შდრ. ძვ. ქართ. კარი დავგაშ/კარ-ნ-ი დავგშ-ენ...)...

მოქმედების მრავალგზისობის გამომხატველი და ობიექტის სიმრავლის ამსახველი მასდარები, რომელთა სპეციფიკის გადმოცემა ქართულად შეუძლებელია, - ზლ აფიქსით ერთმანეთის მსგავსია, მაგრამ აღნაგობით – განსხვავებული. ჩვენი დაკვირვებით, სტრუქტურა: ლი – ზლ-ი ექნებათ მრავალგზის ფორმებს, სტრუქტურა ლი – ზლ-ი კი ობიექტის სიმრავლის გამომხატველ მასდარებს:

ლი-რდ-ი > ლი-რდ-ზლ-ი „გაზრდა ერთისა – გაზრდა ბევრისა“

ლი-ზ-ი > ლი-ზელ-ზლ „სვლა ერთხელ“ – „სიარული მრავალგზის“...

14. სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით სვანურ მასდარში არ გვაქვს საპირისპირო ფორმები ასპექტის მიხედვით, რამდენადაც ან-, ად-, ეს-, ლა- სრული ასპექტის წარმომქმნელი ზმნიწინები მასდარში არ გვხვდება.

15. მიმართული გეზის გამოსახატავად სვანურ მასდარში გამოიყენება მარტივი ზმნისწინები: ჟი-, ჩუ-, სგა-, ქა-, შესაბამისად კი გვაქვს გეზი მიმართული და გეზი მიუმართავი, მაგრამ არ გვაქვს ოპოზიცია ასპექტის მიხედვით.

16. სვანურში გვხვდება უმასდარო ზმნები: ხოზი „დაშორებულია/შორავს“, ხაზუბი „აღმოცენებულია/ამოდის წყარო“, წუა „მოიპოვება“, ხათემ „სჭირს“... მსგავსად ძველი ქართულისა უმასდარო ზმნები სვანურში არქაული ვითარების ამსახველნი უნდა იყონ (შდრ. ძვ. ქართ. ესავს, უვის...)

17. სვანურში მასდარი დასტურდება კომპოზიტებში, პარონიმებში, ფრაზეოლოგიზმებსა და მყარ გამონათქვამებში: კიკეფიდ ლიკედ „ამოწყვეტა“, ჰადოდუჟს ლიგნე „აურზაური/ხმაური“, ქუინისადა „გადარჩენა“ (ზედმიწ. – სულისშერჩენა), ლაჭუდანოშ იჭუდანი „კითხვით კითხულობს“...

18. მასდარი სვანურში იბრუნვის როგორც შესაბამისი ფუძის სახელი. უპირატესობა ენიჭება ბრუნვის ქართველურ ტიპს.

19. სინტაქსური ფუნქციების მიხედვით წინადადებაში მასდარი შესაძლოა იყოს ქვემდებარის, პირდაპირი დამატების, ირიბი დამატების, უბრალო დამატების... როლში.

20. სვანურში დადასტურდა მასდართა იშვიათი (=ხატოვანი) ფორმები: ლიფტკ-ტანაჟ „მარტო დარჩენილის უხერხულად გახედ-გამოხედვა“/ „გაოგნებული/გამშრალი ყურება“, ლიქუნაჟაჟ „აგონიაში ყოფნა“, ლითლუყი „ტიკჭორის ზიდვა“, ლიმყერჟაჟ „სხვისი შემყურე არაფრის კეთება“, ლილხჟარი „მთაში საქონლის მოვლა (ზედმიწ. – მემთეობა)“... ზუსტი მორფოლოგიურ-სემანტიკური ეკვივალენტების არარსებობის გამო აღნიშნული ფორმების თარგმნა არათუ მასდარული ფორმით, აღწერითი საშუალებებითაც კი საკმაოდ რთულია.

ლიტერატურა:

1. აბესაძე - ნ. აბესაძე, „გრძნობისა და თქმა-ბრძანების გამომხატველ ზმნათა შემცველი ქვეწყობილი წინადადებები სვანურში“, თსუ შრომები,ტ.XX, ენათმეცნიერება, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი - 1978
2. აბესაძე - ნ. აბესაძე, „ჰიპოტაქსის წევრ-კავშირები და კავშირები სვანურში“, თსუ შრომები, ტ.93, თბილისი 1960
3. აბესაძე - ნ. აბესაძე, „შერწყმული წინადადებები სვანურში, თბილისი, შრომები, ენათმეცნიერება“, ტ.174, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 1976
4. აბესაძე - ნ.აბესაძე, ბრუნვათა სინტაქსური ფუნქციები სვანურში ქართულთან მიმართებით: თსუ შრომები 164, ენათმეცნიერება, თბილისი 1975
5. ანტონ 1, ქართული გრამატიკა, შედგენილი ანტონ 1-ის მიერ, ტფილისი - 1885
6. ასათიანი - რ. ასათიანი (1987). ზმნურ პრეფიქსულ ხმოვანთა ფუნქციონალური კვალიფიკაცია ქართველურ ენებში. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 3, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
7. ახვლედიანი - გ. ახვლედიანი (1949). ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები. თბილისი: გამომცემლობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
8. ბაბლუანი - ლ. ბაბლუანი, ზოგი ზედსართავი სახელის ეტიმოლოგიისათვის სვანურში: იკე, ტ. 24, თბილისი 1985
9. ბარამიძე - ლ.ბარამიძე, საწყისი ძველ ქართულში, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტომი - 19, თბილისი - 1976
10. ბასილაშვილი - ე. ბასილაშვილი მასდარული კონსტრუქციის ფუნქცია ძველ ქართულში „ილარიონ პალესტინელის ცხოვრების მიხედვით“, თსუ შრომები ტომი - VII, თბილისი - 1981
11. გაბლიანი - ე. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, ტფილისი, 1925
12. გაგუა - კ. გაგუა (1988). საშუალი გვარის ზმნათა ერთი სახეობისათვის სვანურში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XXVII, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

13. **გაგუა** - კ. გაგუა, ერთი ტიპის დრონაკლი ზმნები სვანურში, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება - XVII, გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი 1970.
14. **გაზდელიანი** - ე. გაზდელიანი, ვითარებითი ბრუნვისათვის სვანურში: არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 73- ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი 2014. გვ. 25-26 .
15. **გაზდელიანი** - ე. გაზდელიანი, ზედსართავი სახელის ჯგუფები და ხარისხები სვანურში: იკე, XLI, თბილისი 2013
16. **გაზდელიანი** - ე. გაზდელიანი, მრავლობითი რიცხვის წარმოების ზოგი საკითხი სვანური ენის სახელებში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, X , თბილისი 2009
17. **გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელია** - თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2003.
18. **გაყრელიძე, მაჭავარიანი 1965** - თ. გაყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში (საერთო ქართველური სტრუქტურის ტიპოლოგი) თბ. 1965წ.
19. **გერსამია, კიკვიძე, მამისეიშვილი, ლომია, საღლიანი** - 2016 ფონოსემანტიკური ლექსიკა ქართველურ ენებში, თბილისი
20. **გიგინეიშვილი** - ბ. გიგინეიშვილი, მასდარი ძველ ქართულში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, VI, თბილისი - 1955
21. **გიგინეიშვილი, სარჯველაძე** - ბ. გიგინეიშვილი, ზ. სარჯველაძე, ნანათესაობითარი მიმართულებითისა და ნანათესაობითარი დანიშნულებითის ადგილი ძველი ქართულისა და ქართველური ენების ბრუნვათა სისტემაში: კრებული „მრავალთავი“, ტ. 6, 1978
22. **გოგოლაშვილი** - გ. გოგოლაშვილი (2016). ნ. შარაშენიძე, გ. ცოცანიძე, ნ. ჭუმბურიძე, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია. II, დიალექტები, თბილისი: შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გამოცემა.

23. **გუჯეჯიანი** - მ. გუჯეჯიანი, საანგარიშო მოხსენება აფხაზეთის სვანეთში (დალში) მივლინების შესახებ, ენიმკის მოამბე, IV 3, ტფილისი, 1939
24. **დადიანი** - ე. დადიანი 2005. ტ. ფუტკარაძე (2005). ნა-/ნო- პრეფიქსიან ზმნურ ფორმათა წარმოების ზოგიერთი საკითხი ქართველურ ქვესისტემებში. ქართველოლოგიური კრებული, IV, თბილისი: გამომცემლობა „ქართული ენა“.
25. **დავითიანი** - ალ. დავითიანი, სვანური ანდაზები, თბილისი, 1973
26. **დეეტერსი** - Deeters G. (1930). Das Kharthwelische Verbum, 1930.
27. **დონდუა** - К. Дондуа (1967). Категория инклюзивс-эксклюзива в сванском и ее следы в древнегрузинском: რჩეული ნაშრომები, I, თბილისი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
28. **დონდუა** - კ. დონდუა (1967) სვანურისა და ძველი ქართულის პირველი პირის ობიექტურ პრეფიქსთა რაობა მრავლობითში. რჩეული ნაშრომები, 1, თბ., 1967. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
29. **დონდუა** - კ. დონდუა ადიღური ტიპის მოთხრობითი ბრუნვა სვანურში, იკე, I, თბილისი, 1946
30. **ერთელიშვილი** – ფ. ერთელიშვილი ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბ. 1970.
31. **ზურაბიშვილი** - თ. ზურაბიშვილი, ოდნაობითის ფორმათა ისტორიისათვის ქართველურ ენებში: ტ. 29, თბილისი 1962
32. **თაყაიშვილი** - ე. თაყაიშვილი (1991). არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა: დაბრუნება. თბილისი.
33. **თოფურია** - გ. თოფურია, ბრუნების ისტორიის ზოგი საკითხი სვანურში, საქ. მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXVIII სამეცნიერო სესია, თბილისი 1972
34. **თოფურია** - გ. თოფურია, ორფუძიანი ბრუნების ზოგი საკითხისათვის სვანურში: ენათმეცნიერების საკითხავები 2. გვ.60. 1999
35. **თოფურია** - გ. თოფურია, სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, ტფილისი 1927

36. **თოფურია** - ვ. თოფურია (1954). გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VI, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
37. **თოფურია** - ვ. თოფურია (1967). სვანური ენა (ზმნა): შრომები, I, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
38. **თოფურია** - ვ. თოფურია (2002), სვანური სიტყვათწარმოება, შრომები, ტ. 2, თბ. 2002
39. **თოფურია** - ვ. თოფურია (2002). შრომები, II, თბილისი: გამომცემლობა „ქართული ენა“.
40. **თოფურია** - ვ. თოფურია (2008). სვანური ენის სახელმძღვანელო. გამოსცეს: გ. თოფურიამ და ი. ჩანტლაძემ. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
41. **თოფურია** - ვ. თოფურია, გარდამავალი დიალექტის საკითხისათვის სვანურში კილოების მონაცემთა მიხედვით, თსუ შრომები, 114, თბილისი, 1965
42. **თოფურია** - ვ. თოფურია, გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში იკე, ტ. მე-6, 1954,
43. **თოფურია** - ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში: იკე, 1, თბილისი 1946 (მორფოლოგია)
44. **თოფურია** - ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვათწარმოებიდან, ხმოვანთავსართოვანი სახელები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ტომი - XXXII, თბილისი - 1947
45. **თოფურია** - ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვათწარმოებიდან. კნინობითი ქართველურ ენებში: ნ.მარის სახელობის ენის ინსტიტუტის III სამეცნიერო სესია, თბილისი 1946 თეზისები
46. **თოფურია** - ვ. თოფურია, ქართულ ენათა სიტყვა წარმოებიდან, -ედ-ურ,-რ აფიქსებისთვის, 1940.
47. **თოფურია, ქალდანი** - ვ. თოფურია, მ. ქალდანი, „სვანური ლექსიკონი“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, არნ, ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, გამომცემლობა ქართული ენა - თბილისი - 2000
48. **ინგოროყვა** - პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, თბილისი, 1941

49. კაკაჩია... - მ. კაკაჩია, ქ. მარგიანი, მ. ჯღარკავა (2013). ქართველურ ენათა მორფოსინტაქსის საკითხები, თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.
50. კარტოზია - გ. კარტოზია (2005). ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში. თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“.
51. კვაჭაძე - ლ. კვაჭაძე, „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი“, გამომცემლობა განათლება, თბილისი - 1977
52. კლიმოვი - Г. Климов (1964). Этимологический словарь картвельских языков, Москва.
53. კოტინოვი - ნ. კოტინოვი 1965, ვითარებითში დასმული მასდარის ფუნქციები ძველ ქართულში, ი. გოგებაშვილს სახელობის თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, თბ. 1965წ. გვ.95–101
54. კოტინოვი - ნ. კოტინოვი, -ე ხმოვნთან სახელთა ბრუნებისათვის სვანურში: თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, კრებული VIII 1955 გვ. 313-319
55. ლომთათიძე - ქ. ლომთათიძე, მასდარის ერთი კორელატიური წყვილისათვის ძველ ქართულში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი XXXIV სამეცნიერო სესია, თბილისი 1978, თეზისები.
56. მარგიანი - ქ. მარგიანი (2011). სვანური ზმნის პირის ნიშანთა ფუნქციური ცხრილი. ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, ტ. III, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.
57. მარგიანი - ქ. მარგიანი, ტმესი ანუ განკვეთა ძველ ქართულსა და სვანურში, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 15, გვ. 41 თბ. 2016 წ.
58. მარგიანი - ქ. მარგიანი, 2007: ფუძედრეკად ზმნათა მასდარის წარმოება კოდორისა და ენგურის ხეობების მცხოვრებთა მეტყველებაში, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის 66–ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბ. 2007 წ. 68–71
59. მარგიანი - ქ. მარგიანი, 2004: აქტივ–პასივის ფორმათა სემანტიკური ნიუანსები სვანური ზმნის მასდარში, კვაკასიოლოგიური კრებული, თბ. 2004 წ. გვ. 62–64
60. მარგიანი-სუბარი - ქ. მარგიანი-სუბარი, ზემოსვანურ დიალექტთა მორფოსინტაქსური ანალიზის ზოგი ასპექტი, თბილისი, 2008-2009
61. მარი - Н.Я. Марр (1913). Из поездок в Сванию. Христианский Восток, выпуск 1

62. მარი - Н.Я.Март (1925). Грамматика древнелитературного грузинского языка., Л.
63. მარი -**Март** - Н. Март, Я. Георгий мерчул, Житье св. Григория Хандзтийского, Т.Р.VII, 1911
64. მარტიროსოვი - ა. მარტიროსოვი, ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, ისტ. შედარებითი ანალიზი. თბილისი 1964
65. მარტიროსოვი - არ. მარტიროსოვი, მასდარული კონსტრუქციის გენეზისისთვის ძველ ქართულში, იკე, ტომი - VII, ტფილისი - 1937
66. მაჭავარიანი - გ. მაჭავარიანი (1953). ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი.
67. მაჭავარიანი - გ. მაჭავარიანი (1959). უნიშნო ვნებითი ქართველურ ენებში. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
68. მაჭავარიანი - გ. მაჭავარიანი (1973). ვნებითის სუფიქსური ტიპის გენეზისის საკითხი ქართველურ ენებში. მაცნე, I, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
69. მაჭავარიანი - გ. მაჭავარიანი (1980). ნამყო უსრული სვანურში და მისი ადგილი ქართველურ ენათა უღვლილების სისტემაში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XXI, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
70. მაჭავარიანი - გ. მაჭავარიანი (2002). ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
71. მაჭავარიანი - გ. მაჭავარიანი, ბრუნების ერთი ტიპის გენეზისისათვის სვანურში: თსუ შრომები, ტ. 93, თბილისი 1960
72. მაჭავარიანი - გ. მაჭავარიანი, ბრუნების ზოგიერთი საკითხი სვანურში, იკე, XXIII, თბილისი, 1985
73. მაჭავარიანი - გ. მაჭავარიანი, შედარებითი ხარისხის ფორმათა გენეზისისათვის ქართველურ ენებში, თსუ შრომები, ტ. 71, თბილისი, 1958
74. მელიქიშვილი - დ. მელიქიშვილი (1977). ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გამოხატვის ისტორიისათვის ქართულ ზმნაში. მაცნე, 4, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
75. მელიქიშვილი - დ. მელიქიშვილი (2001). ქართული ზმნის უღვლების სისტემა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

76. მელიქიშვილი - დ. მელიქიშვილი (2005). პირდაპირი სემანტიკური მარკირება როგორც ქართველურ ენათა მორფოლოგიის განმსაზღვრელი პრინციპი და პირის ნიშანთა ინვერსიის პრობლემა. ტიპოლოგიური ძიებანი, ტ. V, თბილისი.
77. მელიქიშვილი –1959 Г.А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тбилиси, 1959
78. მიბჩუანი - თ. მიბჩუანი (1989). დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან. თბილისი: თსუ.
79. ნადარეიშვილი - ლ. ნადარეიშვილი, მასდარის წარმოების შესახებ ჭანურში, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება - XVII, გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი - 1970
80. ნათაძე - ნ. ნათაძე, თემის ნიშნები ქართველურ ენებში, იკე, ტომი - XI, თბ. 1959
81. ნათაძე - ნ. ნათაძე, შესაძლებლობის მიმღობათა წარმოებისთვის თანამედროვე ქართულში, იკე, XIII, თბილისი - 1962
82. ნაჭყებია - მ. ნაჭყებია, მსაზღვრელ საზღრულის ურთიერთობა ქართველურ ენებში, თბილისი - 2005
83. ნაჭყებია - მ. ნაჭყებია, ქართველთა ეთნოლოგიისტური ტერმინები, თბ. 2006
84. ნებიერიძე - გ. ნებიერიძე, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1991.
85. ნებიერიძე - გ. ნებიერიძე, ქცევის კატეგორია ქართულში, გამომცემლობა მაცნე, N4, ენისა და ლიტერატურის სერია, თბილისი - 1975
86. ნიკოლაიშვილი - მ. ნიკოლაიშვილი, ზოგიერთი მორფოლოგიური შეზღუდვა, რომლებიც ცვლიან სვანური ენის ბალსემოური დიალექტის ხმოვანთა რედუქციის ფონოლოგიურ მოდელს, ენათმეცნიერება, თსუ შრომები 1981, ტ. 217
87. ნიჟარაძე - ბ. ნიჟარაძე („თავისუფალი სვანი“) 1911. მოკლე განხილვა სვანური გრამატიკისა. „ძველი საქართველო“, ტ. II, ტფილისი.
88. ნიჟარაძე - ბ. ნიჟარაძე (2007). ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.
89. ნიჟარაძე - ლ. ნიჟარაძე, აწმყო დროის მიმღობა სვანურში, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ.30, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი - 2001

90. ნოზაძე - ლ. ნოზაძე, სახელობითი ბრუნვის მორფემასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი ქართველურ ენებში: ენათმეცნიერების ინსტიტუტის 50-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი 1992
91. ონიანი - ა. ონიანი (1963). პირველი და მეორე სუბიექტური პირის მრავლობითობის სუფიქსთა შესახებ ქართველურ ენებში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 3, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
92. ონიანი ა.ონიანი (1965). ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის საკითხისათვის ქართველურ ენებში. მაცნე (ენა-ლიტერატურის სერია), I, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
93. ონიანი - ა. ონიანი (1978). ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
94. ონიანი - ა. ონიანი (1998). სვანური ენა, თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი - 1998
95. ონიანი - ალ. ონიანი, „ქართული იდიომები“, თბ., 1966,
96. ონიანი - ალ. ონიანი, სახელობითი ბრუნვის მორფემის დიაქრონული ანალიზი სვანურში. ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXXV სამეცნიერო სესიის თეზისები, თბილისი 1979
97. ოსიძე - ე. ოსიძე (1976). ნამყო უსრულის წარმოების ისტორიისათვის სვანურში. თსუ შრომები, 174, ენათმეცნიერება, თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
98. პალმაიტი - ლ. პალმაიტი, „Upper Svan. Grammar and Texts“ (Kalbotura, XXXVII, #4, Vilnius).
99. ჟღენტი - ს. ჟღენტი, „სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი - 1949
100. როზენი - გ. როზენი, „Ossetische Sprachlehre nebst einer Abhandlung über das Mengrelische, Suanische und Abchasische“, Berlin – 1846
- სანიკიძე - ლ. სანიკიძე, რედუბლიკაცია სვანურსა და ზანურში. რედუბლიკაცია სვანურში. იკე, 1977, ტ. 4, გვ. 22-80

101. **სარჯველაძე** - ზ. **სარჯველაძე** (1984). ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
102. **სარჯველაძე** - ზ. **სარჯველაძე** (1997). ძველი ქართული ენა, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
103. **სარჯველაძე, ფენრიხი** - ზ. **სარჯველაძე**, ჰ. **ფენრიხი**, 1990, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი
104. **საღლიანი** - მ. **საღლიანი**, მასდარების საკითხისათვის სვანურ ფონოსემანტიკურ ლექსიკაში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“, IV, ქუთაისი, 2017
105. **საღლიანი** -მ. **საღლიანი**, ფლორის აღმნიშვნელი ნასესხები კომპოზიტებისათვის სვანურში, საენათმეცნიერო ძიებანი, XXVIII, თბილისი, 2009
105. **საღლიანი** - მ. **საღლიანი**, (2016) სვანური ენის სტრუქტურის საკითხები, თბილისი, 2016
106. **საღლიანი** - მ. **საღლიანი**, მარტივ რიცხვით სახელთა ფონეტიკური ვარიანტები სვანურ დიალექტებში და მათი ურთიერთდამოკიდებულება, ეტიმოლოგიური ძიებანი, მე-8, თბილისი, 2011
107. **საღლიანი** - მ. **საღლიანი**, ონომატოპოეტური სიტყვების შესახებ სვანურში, იკე, 42, თბილისი, 2014
108. **საღლიანი** - მ. **საღლიანი**, რიცხვითი სახელთა ბრუნების ტიპები სვანური ენის დიალექტ-კილოკავთა მიხედვით, ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი 2014
109. **საღლიანი** - მ. **საღლიანი**, სუფიქსაციისათვის სვანურ ფონოსემანტიკურ ლექსიკაში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XLIII, თბილისი, 2015
110. **სილოგავა ვ.**, სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, თბილისი, 1986; II, თბილისი, 1988
110. **სუხიშვილი** - მ. **სუხიშვილი**, სტატიკური ზმნები ქართულში, გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი - 1976
111. **სუხიშვილი** 1986 - **სუხიშვილი** მ. (1986). სუბიექტური პირველი პირის პრეფიქსისათვის ქართველურ ენებში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XXV, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

112. უთურგაიძე 2002 – თ. უთურგაიძე, გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში, თბილისი.
113. ფოგტი - ჰ. ფოგტი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, გამომცემლობა მაცნე, თბილისი - 1961
114. ფუტკარაძე - ტ. ფუტკარაძე (2005). ქართველები. ნაწილი I, ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
115. ფუტკარაძე - ტ. ფუტკარაძე (2006). სათავე და პერსპექტივა ქართული სამწიგნობრო ენისა. კავკასიოლოგიური სერია, IV, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.
116. ფუტკარაძე, მიქაუტაძე - ტ. ფუტკარაძე, მ. მიქაუტაძე, „ქართულ სამწიგნობრო ენის ფონეტიკა“, თბილისი 2014
117. ქალდანი - მ. ქალდანი (1956.). სვანური ენის ლახამულური კილოკავის გრამატიკული თავისებურებანი. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VIII, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
118. ქალდანი - მ. ქალდანი (1958). ბალსქვემოური კილოს ეცერული კილოკავის თავისებურებანი. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. IX-X, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
119. ქალდანი - მ. ქალდანი (1959). სვანური ენის ჩუბეხური მეტყველების თავისებურებანი. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XI, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
120. ქალდანი - მ. ქალდანი (1972). სუბიექტური მესამე პირის ნიშნის საკითხისათვის სვანურში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXVIII სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბილისი.
121. ქალდანი - მ. ქალდანი (1978). აორისტის წარმოება სვანურში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XX, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
122. ქალდანი - მ. ქალდანი (1978.). მესამე სუბიექტური პირის ნიშნის საკითხისათვის სვანურში. საენათმეცნიერო კრებული, მიძღვნილი გ. მაჭავარიანის დაბადების 50 წლისთავისადმი, თბილისი.

123. ქალდანი - მ. ქალდანი, „ელიზია სვანურ ენაში“, იკე-5, გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი - 1953
124. ქალდანი - მ. ქალდანი, დიალექტთა შერევა კოდორის ხეობის სვანურში, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება - XVII, გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი - 1970
125. ქალდანი - მ. ქალდანი, დიალექტთა შერევა კოდორის ხეობის სვანურში, იკე, XVII, თბილისი, 1970
126. ქალდანი - მ. ქალდანი, სახელობითი ბრუნვისა დამრავლობითი რიცხვის მაწარმოებელ სუფიქსთა საკითხისათვის სვანურში. თბილისი 1974
127. ქალდანი - მ. ქალდანი, სვანური ენის ბალსქვემოური კილოს ეცერული თავისებურებანი, იკე, IX-X, თბილისი 1958
128. ყიფშიძე - ი. Кипшидзе (1994). Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, С.Пб., 1914:
129. ყიფშიძე - იოსებ ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1994
130. შანიძე - ა. შანიძე (1923). ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის. უნივერსიტეტის მოამბე, 3, თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
131. შანიძე - ა. შანიძე (1923-4). ორგვარი ფორმა მრავლობითი რიცხვის პირველი პირისა სვანურ ზმნებში. წლიწდებული, 1-2, თბილისი.
132. შანიძე - ა. შანიძე (1930). ქართული გრამატიკა, I, მორფოლოგია, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
133. შანიძე - ა. შანიძე (1957). სუბიექტური მეორე პირი და ობიექტური მესამე პირი ქართულ ზმნებში. ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
134. შანიძე - ა. შანიძე (1973). ქართული გრამატიკის საფუძვლები. I, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსიტეტი“
135. შანიძე - ა. შანიძე (1980), ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი, ტ.3 თბ. 1980წ.

136. შანიძე - ა. შანიძე (1981), ნასახელარი ზმნები ქართულში, თხზულებანი, ტ. 2, თბ. 1981წ.
137. შანიძე - ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში. თხზულებანი (ტ. II). თბილისი.
138. შანიძე - აკაკი შანიძე, თხზულებანი II ტომი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 1981
139. შარაშენიძე - თ. შარაძენიძე (1958). სვანური ენის ცხუმარული კილოკავის ძირითადი თავისებურებანი. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. IX-X, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
140. შარაშენიძე - თ. შარაძენიძე, ბრუნებათა კლასიფიკაციისათვის სვანურში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VII, თბილისი 1955
141. შარაშენიძე - თ. შარაძენიძე, ორფუძიანობა და სამფუძიანობა სვანურ ბრუნებაში. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, XXXVIII სამეცნიერო სესია, თეზისები. თბილისი 1982
142. შარაშენიძე - თ. შარაძენიძე, ორფუძიანობის ერთი ტიპის შესახებ სვანურ სახელთა ბრუნებაში: ქესს, 11, თბილისი 1961
143. შარაშენიძე - თ. შარაძენიძე, სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება სვანურში ბალსზემოური კილოს მიხედვით, იკე, VI, თბილისი 1954
144. შარაშენიძე - თ. შარაძენიძე, სვანური ენა: იკე-ს წელიწდეული, XII, 1984 (ფონეტიკა, მორფოლოგია)
145. შარაშენიძე - თ. შარაძენიძე, სვანური ენის ლატალური კილოკავის ზოგიერთი თავისებურებანი: იკე, XVII, 1970
146. შარაშენიძე - თ. შარაძენიძე, სვანური ენის ცხუმარული კილოკავის ძირითადი თავისებურებანი. – იკე, IX–X, თბილისი, 1978
147. შარაძენიძე - თ. შარაძენიძე, „უარყოფითი ნაწილაკები სვანურში“, იკე -1, გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი - 1946
148. შარაძენიძე - თ. შარაძენიძე, ბრუნებათა კლასიფიკაციისათვის სვანურში, იკე, VII, თბილისი, 1955
149. ჩანტლაძე - ი. ჩანტლაძე (1998). ქართველოლოგიური ძიებანი, I, თბილისი: გამომცემლობა „ქართული ენა“.

150. ჩანტლაძე - ი. ჩანტლაძე, დეფექტურ ზმნათა თავისებურებანი კოდორის ხეობის სვანურში, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 61-ე სამეცნიერო სესია, თბილისი, 2002
151. ჩანტლაძე - ი. ჩანტლაძე, ინტერფერენციული მოვლენები კოდორის (resp. დალის) ხეობის მოსახლეობის მეტყველებაში, ენათმეცნიერების საკითხები, #1-2, 2007
152. ჩანტლაძე - ი. ჩანტლაძე, კვლავ ლიზ (არის“) ზმნის შესახებ სავანურში, ქართველოლოგიური ძიებანი, თბილისი
153. ჩანტლაძე - ი. ჩანტლაძე, (1998). სვანური ენის შესწავლის ისტორია. თბილისი.
154. ჩანტლაძე - ი. ჩანტლაძე, „ლოკალურ მიმართებათა გრამატიკული გამოსახვისათვის სვანურში“, თსუ შრომები, 6-7, თბილისი - 1974
155. ჩანტლაძე - ი. ჩანტლაძე, ბრუნების ძველი სისტემიდან ახალ წარმოებაზე გადასვლის პროცესი სვანურში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XLIII სამეცნიერო სესია, თეზისები, თბილისი 1984
156. ჩანტლაძე - ი. ჩანტლაძე, კოდორის (resp. დალის) ხეობის მოსახლეობის სვანური მეტყველების სპეციფიკა, „პროფესორ გურამ კარტოზიას 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული," თბილისი, 2008
157. ჩანტლაძე - ი. ჩანტლაძე, საზოგადო და გეოგრაფიულ სახელთაგან მომდინარე ადგილის ზმნისართები სვანურში: მაცნე, 1971
158. ჩანტლაძე - ი. ჩანტლაძე, შტო- გვარის აღმნიშვნელ სახელთა წარმოება და ბრუნება სვანურში, მაცნე, 1967
159. ჩიქობავა - ა. ჩიქობავა, სვანური მოთხრობითის ერთი ვარიანტი და ბრუნების ორფუმიანობა ზოგ კავკასიურ ენაში, თსუ შრომები, XVIII, თბილისი, 1941.
160. ჩიქობავა - არნ. ჩიქობავა, (1948). მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
161. ჩიქობავა - არნ. ჩიქობავა, (1950). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
162. ჩიქობავა - არნ. ჩიქობავა, „ენათმეცნიერების შესავალი“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1952

163. ჩიქობავა - არნ. ჩიქობავა, „რა თავისებურებანი ახასიათებს ქართული ენის აგებულებას“, გამომცემლობა სკოლა, თბილისი - 1998
164. ჩიქობავა - არნ. ჩიქობავა, „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი 1942
165. ჩიქობავა - არნ. ჩიქობავა, მასდარისა და მიმღეობის ისტორიული ურთიერთობისათვის ქართულში, იკე, ტომი - V, თბილისი - 1953
166. ჩიქობავა - არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ. 1942 წ.
167. ცხადაძე - ბ. ცხადაძე, „მასდარის წარმოება ძველ ქართულში“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, გამომცემლობა „მეცნიერება“ – 1984
168. ცხადაძე - ბ. ცხადაძე, მასდარის წარმოების ზოგი თავისებურება ქართული ენის დიალექტებში, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება - XXVI, გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი - 1987
169. ცაგარელი ა. – А. Цагарели, Мингрельские этюды, II, С. Петербург, 1880
170. ძიძიგური - შ. ძიძიგური, წინადადების მასდარული კონსტრუქცია, პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტომი - 19, თბილისი - 1966
171. ჭკადუა – რ. ჭკადუა (1998), სტატისტიკურ ზმნათა სტრუქტურულ სემანტიკური ანალიზი ზემოსვანურში (საკანდიდატო დისერტაცია), თბილისი.
172. ჭკადუა – რ. ჭკადუა (1999). სტატისტიკურ ზმნათა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი ზემოსვანურში. ავტორეფერატი. თბილისი.
173. ჭკადუა – რ. ჭკადუა (2005), ზოგი -ა სუფიქსიანი მასდარისა და „პირველად სახელთა“ შეპირისპირებისათვის სვანურში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. 9, 2005 წ. თბილისი
174. ჭუმბურიძე - ზ. ჭუმბურიძე (2013). წინასიტყვაობა ბ. ნიჟარაძის ნაშრომისა „მოკლე განხილვა სვანური გრამატიკისა“, თბილისი.
175. ჭუმბურიძე - ზ. ჭუმბურიძე, „მყოფადი ქართველურ ენებში“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი - 1986

176. ჭუმბურიძე - ზ. ჭუმბურიძე, საკუთარ სახელთა ბრუნება სვანურში, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, თბილისი, 1964.
177. ჭუმბურიძე, ნიჟარაძე, ქურდაძე - ზ. ჭუმბურიძე, ლ. ნიჟარაძე, რ. ქურდაძე, (ზ. ჭუმბურიძის რედაქციით), „სვანური ენა“, გამომცემლობა „პეტიტი“, თბილისი 2007
178. ჯავახიშვილი - ივ. ჯავახიშვილი (1937). ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. X 1992 ტფილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
179. ჯანაშია - ს. ჯანაშია (1959). სვანურ-ადიღური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები. შრომები, III, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
180. ჯორბენაძე - ბ. ჯორბენაძე (1989). ქართული დიალექტოლოგია. I, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
181. ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე –1988 ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

წყაროები

1. სვან. პოეზ. 1939 _ სვანური პოეზია, I, სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს ა. შანიძემ, ვ. თოფურია, მ. გუჯეჯიანი, თბილისი, 1939
2. სვან. პროზ. ტექსტ. 1939 _ სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსზემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურია, თბილისი, 1939
3. სვან. პროზ. ტექსტ. 1957 _ სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსქვემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. დავითიანი, ვ. თოფურია და მ. ქალდანმა, თბილისი, 1957
4. სვან. პროზ. ტექსტ. 1967 _ სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, ტექსტები შეკრიბეს და რედაქცია გაუკეთეს ვ. თოფურია და მ. ქალდანმა, თბილისი, 1967
5. სვან. პროზ. ტექსტ. 1979_ სვანური პროზაული ტექსტები, IV, ლაშხური კილო, ტექსტები შეკრიბეს არს. ონიანი, მ. ქალდანმა და ალ. ონიანი, რედაქცია გაუკეთეს მ. ქალდანმა და ალ. ონიანი, თბილისი, 1979
6. სვან. ენის ქრესტ. 1978_ სვანური ენის ქრესტომათია, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალდანმა და ზ. ჭუმბურიძემ, თბილისი, 1978.)
7. კოდ. ქრონიკ. 2007-2010_ ი. ჩანტლაძე, ქ. მარგიანი, მ. საღლიანი, რ. იოსელიანი - კოდორული ქრონიკები (გამოკვლევებითურთ), თბილისი.

შემოკლებათა განმარტებანი

1. სვან. ლექსიკ. - სვანური ლექსიკონი
2. ზს. - ზემო სვანური
3. ბზ. - ბალსზემოური
4. ბქ. - ბალსქვემოური
5. ლშხ. - ლაშხური
6. ლნტ. - ლენტეხური
7. ინფ. - ინფორმატორი
8. ექსპედ. მასალ. - ექსპედიციის მასალები

ინფორმატორები: 2016 - 2019 წელი

1. მადიშა ფილფანი (97 წლის ქალბატონი, დამსახურებული პედაგოგი, სვანურად არაჩვეულებრივად მოსაუბრე, მრავალი მივიწყებული სიტყვის მცოდნე...)
2. მურთაზ ვიბლიანი - ჭუბერი.
3. თამარა გუჯეჯიანი – 80 წლის, კოდორის ხეობა, ჩხალთა.
4. ირმა კოჭბიანი – კოდორის ხეობა, 50 წლის.
5. ვალერიან გუჯეჯიანი – 86 წლის, დალის ხეობა.
6. ხალურ გურჩიანი – 80 წლის, ჩხალთა.
7. ანტისა ჯაჭვლიანი – დალის ხეობა, 85 წლის, ომარიშალა.
8. რუსუდან პირველი – აჟარის საჯარო სკოლის დირექტორი -კოდორის ხეობა.
9. მარინა გურჩიანი-კორძაია – ისტორიკოსი - კოდორის ხეობა.
10. თენგიზ კორძაია – ისტორიკოსი - კოდორის ხეობა.
11. ეთერ ვიბლიანი – ფილოლოგი - კოდორის ხეობა.
12. კახა ფანგანი – 50 წლის, ექიმი, კოდორის ხეობა.
13. ვასილ უშხვანი – 78 წლის, კოდორის ხეობა, გენწვიში.
14. ლალი წერედიანი – 60 წლის, ქვაფჩარა, კოდორის ხეობა
15. ზაალ აფრასიძე – კოდორის ხეობა, გვანდრა.
16. ინდირა გუჯეჯიანი – ისტორიკოსი, მესტია.
17. ლია ანსიანი – 60 წლის, პედაგოგი, ჭუბერი.
18. ციალა სუბელიანი – 65 წლის, კოდორის ხეობა, აჯარა.
19. ქეთევან ჩხეტიანი – 50 წლის, დმანისი.
20. ლოლა რეზესიძე 70 წლის, ჭუბერი.
21. დოდო მიბჩუანი – 72 წლის, კოჩარა, ოჩამჩირე.
22. ეთერ ჯაჭვლიანი – 88 წლის, მესტია, მულახი.
23. ლადო შერვაშიძე – 83 წლის, მესტია.
24. კაკაშა ღვაჩლიანი – 67 წლის, საკენი.
25. მზია (იზო) არღვლიანი– ჩართოლანი – 76 წლის, სოხუმი, მესტია.